

ISSN 2449-2507

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონული სამეცნიერო ცენტრი
Georgian National Academy of Sciences
Adjara Autonomous Republic Regional Scientific Centre

შრომები
VI
Transactions

ბათუმი 2020 Batumi

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის არ რეგიონული სამეცნიერო ცენტრის „შრომები“

მთავარი რედაქტორი **ვანო პაპუნძე**

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი,
აჭარის არ რეგიონული სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი

სარედაქციო კოლეგია:

ვანო პაპუნძე - თავმჯდომარე

მამია ფაღვა - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მოადგილე

მარინე არაშიძე - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სწავლული მდივანი

ვლადიმერ ბალაძე - ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ნოდარ ბარამიძე - ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ემერიტუსი პროფესორი

დავით ბარათაშვილი - ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ვაჟა ბერიძე - ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი

მარინე გიორგაძე - ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი

ოთარ გოგოლიშვილი - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

დავით დევაძე - ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი

მიხეილ დონაძე - კომპიუტერულ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, ასოც. პროფესორი, პ/მდივანი

დავით თედორაძე - პოეტი

ამირან კახიძე - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ემერიტუსი პროფესორი

გიორგი კვეციტაძე - აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი

ქეთევან კინწურაშვილი - ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

როლანდ კობალიანი - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

ზაურ ლომთათიძე - აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი

მიხეილ მახარაძე - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

გურამ მემარნე - სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი

მარიამ მეტრეველი - ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი

როინ მეტრეველი - აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი

როინ მაღაყმაძე - ისტორიის აკადემიური დოქტორი

ელგუჯა მემარიანიშვილი - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი

ილია ნაკაშიძე - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

გურამ პაპუნძე - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

უჩა ოქროპირიძე - ისტორიის აკადემიური დოქტორი

თამარ სირაძე - ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი

ედმუნტ ტეირუმნიესკი - ლატვიის რესპუბლიკის რეზეკენს უმაღლესი ავგუსს სკოლის რექტორი

გაიოზ ფარცხალაძე - ტექნიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი

შუმანა ფუტყარაძე - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ანთაზ ქიქავა - გეოლოგია-მინერალოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი

რევაზ ჩაგელიშვილი - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

ასლან ცივაძე - ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მერაბ ხალვაში - ისტორიის აკადემიური დოქტორი, ბსუ რექტორი

ზურაბ ხონელიძე - პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

ნინო არაშიძე - ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოც. პროფესორი, ინგლისური ტექსტის რედაქტორი

ნანა ცეცხლაძე - ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოც. პროფესორი, ქართული ტექსტის რედაქტორი

**“Transactions” of the Adjara Autonomous Republic Regional Scientific Centre of the
Georgian National Academy of Sciences**

Editor-in-Chief - **Vano Papunidze**

Academic of the Georgian National Academy of Sciences,
Head of the Adjara Autonomous Republic Regional Scientific Center

Editorial Board:

Vano Papunidze - Chairman

Mamia Paghava - Doctor of Philological Sciences, Professor, Deputy Chairman

Marine Aroshidze - Doctor of Philological Sciences, Professor, Academic Secretary

Vladimer Baladze - Doctor of Physical and Mathematical Sciences, Professor

Nodar Baramidze - Doctor of Psychological Sciences, Professor Emeritus

Davit Baratashvili - Doctor of Biological Sciences, Professor

Vazha Beridze - Doctor of Economic Sciences

Marine Giorgadze - PhD in Philology, Professor

Otar Gogolishvili - Doctor of Historical Sciences, Professor

David Devadaze - Candidate of Physics and Mathematics, Professor

Mikheil Donadze - PhD in Computer Science, Associate Professor, Executive Secretary

Davit Tedoradze - Poet

Amiran Kakhidze - Doctor of Historical Sciences, Professor Emeritus

Giorgi Kvesitadze - Academician, President of the Georgian National Academy of Sciences

Ketevan Kintsurashvili - Doctor of Technical Sciences, Professor

Roland Kopaliani - Academician of the Georgian Agricultural Academy of Sciences

Zaur Iomtadze - President of the Abkhazian National Academy of Sciences, Academician

Mikheil Makharadze - Doctor of Philosophical Sciences, Professor

Guram Memarne - PhD in Agriculture

Mariam Metreveli - PhD in Biology

Roin Metreveli - Academician, Vice-president of the Georgian National Academy of Sciences

Roin Malakmadze - PhD in History

Elguja Medzmariashvili - Academician of the Georgian National Academy of Sciences

Ilia Nakashidze - Doctor of Medical Sciences, Professor

Guram Papunidze - Academician of the Georgian Agricultural Academy of Sciences

Ucha Okropiridze - PhD in History

Tamar Siradze - PhD in Philology, Professor

Edmunds Teirumniesk - Rector of Rezekne Higher Avguss School, Latvia

Gaioz Partskhaladze - PhD in Technical Sciences, Professor

Shushana Putkaradze - Doctor of Philological Sciences, Professor

Antaz Kikava - PhD in Geology-Mineralogy, Professor

Revaz Chagelishvili - Academician of the Georgian Agricultural Academy of Sciences

Aslan Tsivadze - Doctor of Chemical Sciences, Professor

Merab Khalvashi - PhD in History, BSU Rector

Zurab Khonelidze - Doctor of Political Sciences, Rector of Sokhumi State University

Nino Aroshidze - PhD in Philology, Associate Professor, Editor of English texts

Nana Tsetskhladze - PhD in Philology, Associate Professor, Editor of Georgian texts

შინაარსი
TABLE OF CONTENTS

ინფორმატიკა - INFORMATICS

მ. დონაძე

კომპიუტერული ქსელების ფუნქციონირების და სანიმდლოების კრიტერიუმების განსაზღვრა

M. DONADZE

DETERMINING THE CRITERIA FOR THE OPERATION AND RELIABILITY OF COMPUTER NETWORKS 9

ზ. დავითაძე, გ. კახიანი, ზ. მესხიძე

საინფორმაციო სისტემების მრავალდონიანი მართვა QR კოდების მეშვეობით მულტიპლატფორმული სისტემებისათვის

Z. DAVITADZE, G. KAKHIANI, Z. MESKHIDZE

MULTILEVEL MANAGEMENT OF INFORMATION SYSTEMS VIA QR CODES FOR MULTIPLATFORM SYSTEMS 19

აგრორული მეცნიერებანი - AGRARIAN SCIENCES

ი. ჩხარტიშვილი, გ. პაპუნძე, ზ. მიქელაძე, ს. პაპუნძე,

ნ. სეიდისვილი, დ. აბულაძე

მეორადი ნედლეული პროფილაქტიკური კვების პროდუქტების წარმოებისთვის

I. CHKHARTISHVILI, G. PAPUNIDZE, Z. MIKELADZE, S. PAPUNIDZE,

N. SEIDISHVILI, D. ABULADZE

USED RAW MATERIALS FOR THE PRODUCTION OF PREVENTIVE FOOD PRODUCTS 24

აგროტექნოლოგია - ეკოლოგია - AGROTECHNOLOGY - ECOLOGY

შალვა ხიდაშელი, ვანო პაპუნძე

სამკურნალო მცენარე სარისშუბლას (Senecio platyphylloides Somm. Etlev. S. Lev.) ბუნებრივი ბავრცელების საზღვრებში რესურსების დადგენის მეთოდი, ადგენისა და თვითგანახლების პროცესების გააქტიურების ხელშეწყობი ტექნოლოგიური დამუშავება

SHALVA KHIDASELI, VANO PAPUNIDZE

RESOURCE IDENTIFICATION METHOD FOR THE MEDICINAL PLANT GROUNDSEL (SENECIO PLATYPHYLLOIDES SOMM. ET LEV.) WITHIN THE HABITAT, TECHNOLOGICAL PROCESSING FACILITATING THE RECOVERY AND SELF-RENEWAL PROCESSES 31

მიკრობიოლოგია - MICROBIOLOGY

მ. წულუკიძე*, დ. გუგუნიშვილი **, ზ. ლომთათიძე*

მიკრობული ასოციაციების ბავრცელების თავისებურებანი კუმისის ტბის (საქართველო) მლაშო ნიადაგებში

M. TSULUKIDZE*, D. GHUGHUNISHVILI, Z. LOMTATIDZE***

PECULIARITIES OF SPREADING MICROBIAL ASSOCIATIONS IN SALINE SOILS OF LAKE KUMISI (GEORGIA) 62

ფსიქოლოგია - PSYCHOLOGY**ნოდარ ბარამიძე**

„ობიექტური ღირებულების“ ცნება

ნებელობითი ქცევის ზნეობრივთან მიმართების ასპექტში

NODAR BARAMIDZE

THE CONCEPT OF "OBJECTIVE VALUE" IN THE ASPECT OF THE RELATION OF

VOLITIONAL BEHAVIOR TO MORALITY..... 68

პედაგოგია - PEDAGOGY**ნოდარ ბასილაძე**

ვასილ სუხომლინსკის პედაგოგიკური თეორია და პრაქტიკა

NODAR BASILADZE

PEDAGOGICAL THEORY AND PRACTICE OF VASILY SUKHOMLINSKY 78

მშენებლობის ინჟინერია - CONSTRUCTION ENGINEERING**თემურ თურმანიძე**

ბეტონის კაბეზსა და დეფორმაციებს შორის დამოკიდებულების გამოკვლევა

სამქსკალუატაციო პირობებში მოქმედი ფაქტორების გათვალისწინებით

ТЕМУР ТУРМАНИДЗЕ

ИССЛЕДОВАНИЕ ЗАВИСИМОСТИ МЕЖДУ НАПРЯЖЕНИЕМ И ДЕФОРМАЦИЕЙ БЕТОНА

С УЧЕТОМ ФАКТОРОВ ДЕЙСТВУЮЩИХ ЭКСПЛУАТАЦИОННЫХ УСЛОВИЯХ..... 97

ისტორია - HISTORY**ოთარ გოგოლიშვილი**

საქართველოს დამოუკიდებლობის პირველი დღესასწაულები (1919-1920 წლები)

OTAR GOGOLISHVILI

THE FIRST HOLIDAYS OF INDEPENDENCE OF GEORGIA (1919-1920) 103

სატიჯე ერთურკი

ანაპის ციხესიმაგრე რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობაში

(XVIII ს-ს 80-იანი წწ. XIX ს-ს 20-იანი წწ.)

HATIJE ERTURK

ANAPA FORTRESS IN RUSSIAN-OTTOMAN RELATIONS

(80S OF THE XVIII CENTURY-20S OF THE XIX CENTURY) 112

ხელოვნების ისტორია - HISTORY OF ART**მანანა კაშია**

თ. მურვანიძისა და დ. მონავარდისაშვილის მხატვრული სტილის საწყისები ქართულ სცენოგრაფიაში ს. პროკოფიევის ბალეტ „რომეო და ჯულიეტას“ გაშრომების მიხედვით

MANANA KASHIA

THE BASICS OF ARTISTIC STYLE IN GEORGIAN SCENOGRAPHY BY T. MURVANIDZE AND D. MONAVARDISASHVILI ACCORDING TO S. PROKOFIEV'S BALLET "ROMEO AND JULIET".. 119

ლიტერატურა - LITERATURE**შორენა მახაჩაძე**

კოსტომოღერისტული თუ მეტამოღერისტული კოეფიციენტი?

(როინ აბუსელიძის კრებული - „იწის კოეფის მსხვერპლი“ - მიხედვით)

SHORENA MAKHACHADZE

POSTMODERN OR METAMODERN POETRY?

(ON THE BASIS OF ROIN ABUSELIDZE'S COLLECTION OF POEMS "THE VICTIM OF THE LAND POET").. 127

ლიანა ჯოიძე

არსენ ბულმაისიძის ბიოგრაფია

DIANA ZOIDZE

ARSEN BULMAISIMISDZE BIOGRAPHY..... 134

ენათმეცნიერება - LINGUISTICS**მამია ფაღავა, მაია ბარამიძე**

ბგერის დაკარგვისა და განვითარების შემთხვევები ტაოურში

MAMIA PAGHAVA, MAIA BARAMIDZE

CASES OF OWEL LOSS AND EVOLVE IN TAO 147

ნათელა ფარტენაძე

სახელები მარადიდულ კლარჯულში

NATELA PHARTENADZE

SOME PARTS OF SPEECH IN THE MARADIDI KLARJULI 160

რუსუდან საღინაძე, მაია კიკვაძე

ხატოვანი გამოთქმები და ფრაზეოლოგიური შემთხვევები ფაზარის

ჰამიდიან ქართულში

RUSUDAN SAGHINADZE, MAIA KIKVADZE

FIGURATIVE EXPRESSIONS AND PHRASEOLOGICAL COMBINATIONS IN

FAZAR HAMIDIAN GEORGIAN..... 167

ანა ახალაძე

იდიომთა და ფრაზეოლოგიისათვის

ANA AKHALADZE

FOR THE SEPARATION OF IDIOMS AND PHRASEOLOGIES 175

ლევან ხალვაში, ლია გორგაძე

საგნების, ცნებებისა და სიტყვების ურთიერთმიმართების პრობლემა

ფრ. ბაკონის ფილოსოფიაში

LEVAN KHALVASHI, LIA GORGADZE

THE PROBLEM OF THE RELATIONSHIP OF OBJECTS, CONCEPTS AND

WORDS IN FR. BACON'S PHILOSOPHY 182

თალიკო დავითაძე, თემურ ავალიანი

დასურული ინტერნეტჯგუფების ენის ზოგიერთი თავისებურების შესახებ

TALIKO DAVITADZE, TEMUR AVALIANI

ABOUT SOME PECULIARITIES OF THE LANGUAGE OF CLOSED INTERNET GROUPS 187

მეგზური ავტორთათვის 192**GUIDE FOR AUTHORS** 193

ინფორმაცია

კომპიუტერული ქსელების ფუნქციონირების და საიმედოობის კრიტერიუმების განსაზღვრა

მიხეილ ღონაქვი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი: თანამედროვე საინფორმაციო კომპიუტერული ქსელი ითვლის ათობით მილიონობით სერვერს და ასობით მილიონობით მომუშავე სადგურს. არსებულმა ტექნოლოგიებმა ფართო გამოყენება ჰპოვა საინფორმაციო სისტემებისა და ბიზნესის სფეროში, ამიტომ ქსელის საიმედოობა იქცა ყველაზე აქტუალურ პრობლემად, რადგან სულ ერთი არ არის მიიღებს თუ არა ადამიანი დროულ გამოძახილს ბანკომატიდან, აწარმოებს თუ არა კლიენტი საქონლის შენაძენს ინტერნეტ ქსელით, იმუშავეს თუ არა მოცემულ სისტემებში კორექტულად ნავიგაციური რაკეტები და ა.შ.

ზოგადად ყველა სისტემის საიმედოობას განსაზღვრავს მათი შემადგენელი ელემენტების საიმედოობა. ელემენტების საიმედოობა განისაზღვრება გამომუშავებული დროით გათიშვაზე ან დაწესებული დროს პერიოდის გათიშვის ალბათობით. სხვადასხვა ელემენტების საიმედოობა შეიძლება არსებითად განსხვავდებოდეს. ზევრ შემთხვევაში საიმედოობა და საიმედოობის დაყოფა განისაზღვრება ემპირიულად.

თუ განვსაზღვრავთ სისტემის საიმედოობას ისე, როგორც კომუნიკაციის შესაძლებლობას სხვადასხვა კვანძებსა და სამუშაო სადგურებს შორის, მაშინ ინტერნეტის საიმედოობა აღმოჩნდება მთელის თანასწორი. თუ თქვენი სამუშაო სადგური არ ხვდება ათასობით კვანძების რიცხვს შორის, ვერ დაადასტურებთ ქსელის აბსოლუტურ საიმედოობას, ამიტომ გასაგებია, რომ ორივე განსაზღვრება სრულად მიუღებელია.

საინფორმაციო კომპიუტერული ქსელების საიმედოობის, შრომისუნარიანობის განმსაზღვრელი კრიტერიუმების შერჩევა საინფორმაციო სისტემების ერთერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენს.

საკვანძო სიტყვები: კომპიუტერული ქსელი, ეფექტური მუშაობის კრიტერიუმები, ქსელის საიმედოობა.

შესავალი. ქსელის საიმედოობის ხარისხის განსაზღვრა. კომპიუტერული ქსელის საიმედოობის ხარისხი, წარმოადგენს ან განსაზღვრულ, შემთხვევით მოვლენათა ალბათობას, ან მოსალოდნელი მნიშვნელობების შემთხვევით ცვლილებებს, რომლებიც დამოკიდებულია ქსელის სტრუქტურაზე, გამტარუნარიანობაზე, ქსელის გრაფის ასოცირებულ E წევრებზე და შესაბამის მოვლენათა ალბათობაზე.

შრომისუნარიანობის ხარისხი აფასებს ქსელის საიმედოობას ფუნქციონირების

რამდენიმე კრიტერიუმზე დამოკიდებულებით. კვლევების შედეგად განხილულ იქნა ფუნქციონირების რამდენიმე კრიტერიუმი. მაგალითად, ქსელებში კომუტაციური პაკეტით პარამეტრების სახით იყენებენ შუალედურ შეფერხებებს, რომელიც წარმოიქმნება პაკეტის მიღებით ან შეტყობინებით (RTT). ასეთი კრიტერიუმები შეიძლება განიხილოს, როგორც შემთხვევითი ცვლილებები, ისე რომ ისინი დამოკიდებულნი არიან მომუშავე რკალების ნაკრებზე.

იმისათვის, რომ განვსაზღვროთ კომპიუტერული ქსელების საინჟინერო კრიტერიუმები და შესაბამისად ავამაღლოთ ლოკალური ქსელების მუშაობის ეფექტურობა სასურველია გადავწყვიტოთ შემდეგი ამოცანები:

1. ჩამოვყალიბოთ ქსელის ეფექტური მუშაობის კრიტერიუმები, ხშირ შემთხვევაში ასეთ კრიტერიუმებად გვევლინება წარმადობა და საინჟინერო. რომელთაც თავიანთ რიგში საჭიროა შეურჩიოთ კონკრეტული ხარისხობრივი მაჩვენებლები. მაგ: როგორცაა რეაქციის დრო და მზადყოფნის კოეფიციენტი.

2. განვსაზღვროთ ვარიანტები (ცვლადები) პარამეტრების რაოდენობა. (სიმრავლე). რომლებიც პირდაპირ ან ირიბ გავლენას ახდენენ ეფექტურობის კრიტერიუმებზე. ყველა ასეთი პარამეტრი შეიძლება დაჯგუფებული იქნას სხვადასხვა სახით. მაგ: კონკრეტული პროტოკოლის (Ethernet-პროტოკოლის კადრის მაქსიმალური ზომა ან TCP-პროტოკოლში დაუდასტურებელი პაკეტების კადრის ზომა) ან მოწყობილობის პარამეტრები. (სამისამართო ცხრილის ზომა ან ბოგირის ფილტრაციის სიჩქარე, მარშრუტიზატორის შიდა სალტის გამტარიანობა). პარამეტრებად შეიძლება ჩაითვალოს, როგორც თვითონ მოწყობილობა, ასევე მთლიანად პროტოკოლი. მაგ: რომ გავაუმჯობესოთ შენელებული და გლობალური არხებით გადავსებული ქსელი საკმარისია გადავიდეთ პროტოკოლების IPX/SPX სტიკიდან TCP/IP-ზე. ასევე შეგვიძლია მივაღწიოთ საკმაო გაუმჯობესებას, თუ შევცვლით უცნობი მწარმოებლის მიერ შეთავაზებულ ადაპტერს ცნობილი ფირმის პროდუქციით;

3. განვსაზღვროთ მგრძობიარობის ზღვარი ეფექტურობის კრიტერიუმის მნიშვნელობებისათვის.

ქსელის მუშაობა შეიძლება შევაფასოთ ლოგიკურად „მუშაობის“ – „არ მუშაობს“,

მაშინ ოპტიმიზაცია მიდის ქსელში დაზიანებების დიაგნოსტიკისაკენ, ისე, რომ ქსელმა ნებისმიერი შრომისუნარიანი მდგომარეობა მიიღოს.

შეფასების მეორე ფორმას წარმოადგენს ქსელის ზუსტი დაწყობა, სადაც მუშა ქსელის მახასიათებელი პარამეტრები იცვლება ქსელის წარმადობის ასამაღლებლად სულ მცირე რამდენიმე პროცენტით მაინც. როგორც წესი ქსელის ოპტიმიზაციის ქვეშ იგულისხმება ერთგვარი გარდამავალი ვარიანტი, რომლის არჩევის დროს საჭიროა მოიძებნოს ქსელის პარამეტრების ისეთი მნიშვნელობა, რომლებიც ეფექტურობის მაჩვენებლებს საგრძნობლად გააუმჯობესებს. მაგ: სერვერზე მოთხოვნა (მონაცემების გარეშე) გაგრძელდეს არა 10 წამი, არამედ 3 წამი და დაშორებულ კომპიუტერზე ფაილის გადაზიდვა გაგრძელდეს არა 2 წთ. არამედ 30 წამი. ასეთი სახით შეიძლება შევარჩიოთ ოპტიმიზაციის ამოცანის 3 სხვადასხვა ფორმა:

1. მოვიყვანოთ ქსელი შრომისუნარიან მდგომარეობაში. ის მოიცავს ქსელში დაზიანებული ელემენტების ძებნას. სადენები, მისამართები, ადაპტერები, კომპიუტერები, აქვე მოწმდება მოწყობილობისა და პროგრამული საშუალებების თავსებადობა. ძირითადი პარამეტრებისათვის კორექტული მნიშვნელობების შერჩევა, რომლებიც უზრუნველყოფენ შეტყობინების ქსელის ყველა კვანძში გატარებას, კადრების ტიპებისა და პროტოკოლების დაწყობას და ა.შ.

2. უხეში დაწყობა – ისეთი პარამეტრების დაწყობა, რომლებიც მკვეთრად ახდენენ გავლენას ქსელის მახასიათებლებზე. თუ ქსელი შრომისუნარიანია, მაგრამ მონაცემთა გაცვლა ხდება ძალიან ნელა, ანუ დაყოვნება ათეული წამია ან წუთი, ან კიდევ კავშირი ერთმანეთის შორის ხშირად წყდება გაუგებარი მიზეზით, ასეთ ქსელს შეიძლება შრომისუნარიანი დავარქვათ პირობითად. იგი საჭიროებს უხეშ

დაწყობას. ამ ეტაპზე აუცილებელია ქსელში მოძრავი პაკეტების დაყოვნებების მიზეზის მოძებნა.

ძირითადად სერიოზულ შეყოვნებად ან ქსელის ცვალებად მუშაობის მიზეზად ითვლება ქსელის შემადგენელი ერთ-ერთი ელემენტის მწყობრიდან გამოსვლა ან პარამეტრების არაკორექტული დაყენება. თუ ქსელი დიდია, მის აღმოსაფხვრელად საკმაოდ დიდი დრო არის საჭირო, რადგან შესაძლო ვარიანტების რაოდენობა საკმაოდ დიდია. ნორმალური ქსელის (შრომისუნარიანი) მუშაობის დროს სერვერის რეაქცია მომხმარებლის მოთხოვნაზე არ უნდა აღემატებოდეს 5 წამს.

3. ქსელის პარამეტრების ზუსტი დაწყობა (ოპტიმიზაცია). თუ ქსელი მუშაობს დამაკმაყოფილებლად, მაშინ მისი წარმადობის და საიმედოობის ამაღლება მხოლოდ რომელიმე პარამეტრის შეცვლით ვერ მოხერხდება. ამ შემთხვევაში ქსელის მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის საჭიროა მივაგნოთ მისი მახასიათებელი სხვადასხვა პარამეტრების წარმატებულ შეთანხმებას.

ქსელის დაწვრილებითი დაწყობის დროს პარამეტრებს შორის ოპტიმალური შეთანხმების მიღწევა შეუძლებელია (სუფთა მათემატიკური გაგებით) და არც არის საჭირო დაიხარჯოს კოლოსალური ძალები მკაცრი ოპტიმიზაციის მისაღწევად, საკმარისია მოიძებნოს ოპტიმალურთან მიახლოებულ შეთანხმებ და ქსელის ოპტიმიზაციის ამოცანა შეიძლება გადაჭრილად ჩაითვალოს. [1;4;9]

ასეთ გადაწყვეტილებებს რაციონალურ ვარიანტებს უწოდებენ და პრაქტიკაში ქსელის ადმინისტრატორებისათვის სწორედ ამ გადაწყვეტილების მიგნებაა ძირითადი პირობა.

ქსელში დაზიანებების მიგნება – ეს ორი ამოცანის ანალიზის (გაზომვა, დიაგნოსტიკა

და შეცდომების ლოკალიზაცია) და სინთეზის (გადაწყვეტილების მიღება თუ რა ცვლილებების შეტანაა აუცილებელი რომ შეცდომა აღმოფხვრას) ურთიერთშეთანხმებაა.

ანალიზი – ეფექტურობის კრიტერიუმის მნიშვნელობის განსაზღვრა. სისტემის პარამეტრების მოცემული შეთანხმების დროს. ამ ეტაპში გამოყოფენ მონიტორინგის ქვეეტაპს, რომლითაც წარმოადგენს ქსელის მუშაობის პირველადი მონაცემების შეგროვების პროცედურას. ასეთ მონაცემებად შეიძლება ჩაითვალოს ქსელში ცირკულირებადი სხვადასხვა პროტოკოლებისა და კადრების რაოდენობის სტატისტიკა. კონცენტრატორების, მარშრუტიზატორების და კომუტატორების პორტების მდგომარეობა. ანალიზის შემდგომ პროცესს წარმოადგენს მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემების შედარება უკვე არსებულ ადრე მიღებულ მონაცემებთან. ანალიზის ამოცანა მოითხოვს ადამიანის აქტიურ მონაწილეობას, მის მაღალ ინტელექტუალურ მონაცემებს, აგრეთვე ისეთი რთული საშუალებების გამოყენებას როგორცაა ექსპერტული სისტემები, რომლებიც შედგენილია ქსელის სპეციალისტების პრაქტიკული გამოცდილების შედეგად.

სინთეზი – ქსელში ვარიანტადი პარამეტრებისათვის მნიშვნელობების არჩევა იმ პირობით, რომ ეფექტურობის მაჩვენებელი იყოს საუკეთესო. თუ ეფექტურობის მაჩვენებლად მოცემულია ზღვრული მნიშვნელობა, მაშინ სინთეზის რეზულტატი უნდა იყოს ქსელის ისეთი ვარიანტი, რომელიც მოცემულ ზღვარს აღემატება. ქსელის ნორმალურ მდგომარეობაში მოყვანა ესეც სინთეზის ერთ-ერთი ვარიანტია. ხშირად არჩევანი მოწყობილობების ან მოდელის ტიპის მიმართ ტექნიკურ ხასიათს არ წარმოადგენს. ის განისაზღვრება ან კომერციული ან ქსელის ზოგადი განვითარების პოლიტიკით, ამიტომ რიგ შემთხვევაში

ოპტიმიზაციის ამოცანის ფორმირება უბრალოდ შეუძლებელია.

ქსელის ეფექტური მუშაობის კრიტერიუმები იყოფა ორ ჯგუფად, რომლებიც ახასიათებენ ქსელის წარმადობას და საიმედოობას. წარმადობა თავის მხრე იზომება ორი ტიპის მაჩვენებლით, დროითი – ქსელში მონაცემთა ურთიერთგაცვლის დროში დაყოვნება, შეფერხების ხანგრძლივობა და გამტარუნარიანობის მაჩვენებელი, რომელიც განსაზღვრავს ინფორმაციის რაოდენობას დროის ერთეულში. ეს ორი მაჩვენებელი ურთიერთდამოკიდებულია, ასე რომ თუ ვიცით ერთი შეიძლება გამოითვალოს მეორეც.

გამოთვლითი ქსელის მნიშვნელოვან პარამეტრს წარმოადგენს მისი საიმედოობა, უნარი, სწორად ფუნქციონირებდეს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. ეს მახასიათებელი სამ მდგენელს შეიცავს: საიმედოობა, მზადყოფნა და მოხერხებული მომსახურება. საიმედოობის ამაღლება წარმოადგენს ქსელში დაზიანებების, მტყუნებადობის და მწყობრიდან გამოსვლის აღმოჩენას, ელექტრონული სქემებისათვის ნორმალური თბური რეჟიმების უზრუნველყოფას. საიმედოობა იზომება მტყუნებადობის ინტენსივობით და მტყუნებადობის აღმოფხვრაზე საშუალო დახარჯული დროით. მზადყოფნის კრიტერიუმს აფასებენ მზადყოფნის კოეფიციენტით, რომელიც ტოლია სისტემის სამუშაო მდგომარეობაში ყოფნის დროისა. იგი გამოითვლება მტყუნებადობათა აღმოფხვრაზე დახარჯული დროის შეფარდებით, მტყუნებადობათა რაოდენობაზე. თუ ქსელს განვიხილავთ როგორც სატრანსპორტო სისტემას, მაშინ ეს პრობლემა ქსელის ნებისმიერ მაგისტრალზე შეიძლება დარჩეს, ამიტომ მტყუნებადობის ორგანიზაციის შემთხვევაში ქსელის ყველა ელემენტი რომელზედაც გაივლის ეს მარშრუტი უნდა

იყოს რეზერვირებული. ძირითადიდან რეზერვირებულზე გადასვლა შეიძლება მოხდეს, როგორც ავტომატურ ისე ხელოვნურ რეჟიმში. ქსელის საიმედოობის მაღალი ხარისხის მიღწევა შეიძლება როდესაც შრომისუნარიანობის ტესტირების პროცედურები და სარეზერვო მდგომარეობაში გადასვლის ელემენტები ჩაშენებული იქნება პროტოკოლებში. ამის მაგალითს წარმოადგენს პროტოკოლი FDDI სადაც ყოველთვის ტესტირდება ფიზიკური კავშირები ქსელის კვანძებსა და კონცენტრატორებს შორის [2;6].

სხვადასხვა დომის ჰეტეროგენიული კომპიუტერული ქსელების შესწავლის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ არსებობს კომპიუტერული ქსელების მტყუნებადობის სხვადასხვა გრადაცია, მაგალითად:

მაღალი მზადყოფნა - ახასიათებს სისტემებს, რომლებიც შესრულებულია ჩვეულებრივი კომპიუტერული ტექნოლოგიებით, სადაც გამოიყენება ჭარბი აპარატული და პროგრამული საშუალებები და სისტემის აღდგენის დროის ინტერვალი მერყეობს 2-დან 20 წუთამდე.

მტყუნებადობაზე მდგრადი - ახასიათებს ისეთ სისტემებს, რომლებსაც ყველა ფუნქციონალური ბლოკებისათვის რეზერვში გააჩნიათ დამატებითი (სარეზერვო) აპარატურა. აღდგენის დრო არ აჭარბებს 1 წმ-ს.

უწყვეტი მზადყოფნა - ისეთი სისტემების მახასიათებელია სადაც სისტემის აღდგენა 1 წმ-ის განმავლობაში ხდება. ასეთი სისტემები უზრუნველყოფენ ფუნქციონირების უწყვეტ შესაძლებლობას და წარმადობას ქსელში წამოჭრილი პრობლემების მიუხედავად [12].

წარმადობისა და საიმედოობის მახასიათებლებს შორის მჭიდრო კავშირია. ეს ორი მახასიათებელი ურთიერთსაპირისპიროა. ერთის მომატება მეორეს საგრძნობ შემცირებას იწვევს, ეს იმით აიხსნება, რომ

კავშირის არხების შეფერხება და მტყუნება-დობა იწვევს ზოგიერთი პაკეტის დამახინჯებასა და კარგვას, აქედან გამომდინარე საკომუნიკაციო პროტოკოლები იძულებული არიან მოახდინონ მონაცემთა ხელმეორედ გადაგზავნა და რადგან ლოკალურ ქსელებში მონაცემთა აღდგენით დაკავებულია სატრანსპორტო და გამოყენებითი დონეები, რომლებიც ტაიმ-აუტის რეჟიმში მუშაობენ ათობით წამის განმავლობაში ქსელის წარმადობა დაბალი საიმედოობის შემთხვევაში პროცენტულად საკმაოდ ეცემა.

ქსელი მომსახურების ხარისხის შეფასება. განხილული კრიტერიუმებიდან გამომდინარე თანამედროვე კორპორაციული ქსელები სასურველია აკმაყოფილებდეს გარკვეულ მკაცრ მოთხოვნებს, რომელთაგანაც ერთერთი მთავარი მოთხოვნაა უზრუნველყოს მისი ძირითადი ფუნქცია, ანუ უზრუნველყოს ქსელში გაერთიანებული კომპიუტერებისა და ქსელური მოწყობილობების თანამოქმედება. ყველა დანარჩენი მოთხოვნა - წარმადობა, საიმედოობა, თავსებადობა, მართვადობა, დაცულობა, გაფართოების შესაძლებლობა და მასშტაბურობა დაკავშირებულია ძირითადი ფუნქციის შესრულებასთან. საქსელო ტექნოლოგიებში შემოღებულია ტერმინი „მომსახურების ხარისხი“ QoS (Quality of Service), რომელშიც ჩართულია მხოლოდ ორი უმთავრესი მახასიათებელი - წარმადობა და საიმედოობა [1].

მომსახურების ხარისხის შეფასებისათვის მიღებულია ორი მიდგომა. მათგან პირველი, მომხმარებლის პოზიციიდან გამომდინარე, გულისხმობს, რომ ქსელის მომსახურე პერსონალი იძლევა გარანტიას, რომ დაცული იქნება გარკვეული რაოდენობრივი მაჩვენებლები. მაგ., ქსელის აბონენტის მიერ გაგზავნილი პაკეტები შეჩერებული იქნება დროით, არა უმეტეს 150 მლწმ, ან საშუალო გამტარუნარიანობა ქსელის A და B აბონენტებს შორის იქნება არა ნაკლებ 5 მგბტ/წმ.

მეორე მიდგომა მდგომარეობს იმაში, რომ ქსელი აბონენტებს მოემსახურება მათი პრიორიტეტების მიხედვით, ანუ მომსახურებაში გარანტირებულია მხოლოდ მინიჭებული პრიორიტეტის დაცვა. ასეთ მომსახურებას უწოდებენ best effort - მაქსიმალური მცდელობით. ქსელი ცდილობს მოემსახუროს აბონენტებს მაქსიმალური ხარისხით, მაგრამ არავითარ გარანტიას არ იძლევა. ასეთი პრინციპით მუშაობს მაგ., კომუტატორებზე აგებული ლოკალური ქსელები კადრების პრიორიტეტებით [1].

წარმადობა - არსებობს ქსელის წარმადობის რამდენიმე მახასიათებელი:

- რეაქციის დრო;
- გამტარუნარიანობა;
- გადაცემის შეყოვნება;

რეაქციის დრო - განისაზღვრება, როგორც დროის ინტერვალი ქსელის რომელიმე სამსახურის მიმართ შეკვეთის წარმოქმნის მომენტიდან მასზე პასუხის მიღებამდე. რათქმა უნდა გასაგებია, რომ ეს დრო დამოკიდებულია სამსახურის ტიპზე, რომელი მომხმარებელი მიმართავს და რომელ სერვისს მიმართავს. გარდა ამისა, დამოკიდებულია აგრეთვე ქსელის ელემენტების მდგომარეობაზე - ქსელის სეგმენტების, მარშრუტიზატორებისა და კომუტატორების დატვირთვაზე, სერვერის დატვირთვაზე და ა.შ. მომხმარებლისაგან ეს მახასიათებლები იწვევს რეპლიკას „დღეს ქსელი ნელა მუშაობს“.

ქსელის რეაქციის დრო იკრიბება მრავალი შემადგენლით. მათი ცოდნა მომხმარებლისათვის საინტერესო არ არის. ქსელის სპეციალისტებმა კი ეს დროები უნდა გაანალიზონ, გამოთვალონ ქსელის ელემენტების მწარმოებლობა, გამოავლინონ ვიწრო ადგილები და საჭიროების შემთხვევაში მოახდინონ ქსელის მოდერნიზაცია.

გამტარუნარიანობა - ასახავს ქსელის ან მისი ნაწილების მიერ დროის ერთეულში გადაცემული მონაცემების მოცულობას.

გამტარუნარიანობა ახასიათებს ქსელის შიდა ოპერაციების შესრულების სისწრაფეს - ქსელის კვანძებს შორის მონაცემების პაკეტების გადაცემას საკომუნიკაციო მოწყობილობების გავლით. ამდენად, ეს ქსელის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია. ქსელის გამტარუნარიანობა იზომება ან გადაცემული ბიტების რაოდენობით წმ-ში ან გადაცემული პაკეტების რაოდენობით წმ-ში. ქსელისათვის შეიძლება გაიზომოს მყისიერი, მაქსიმალური და საშუალო გამტარუნარიანობა.

მყისიერი გამტარუნარიანობა გამოითვლება გადაცემულ მონაცემების საერთო მოცულობის გაყოფით დახარჯულ დროზე, თანაც აიღება დროის საკმაოდ დიდი მონაკვეთი - საათი, დღე ან კვირა. საშუალო გამტარუნარიანობა ახასიათებს ქსელს ან მის ელემენტებს დროის დიდ მონაკვეთზე.

მყისიერი გამტარუნარიანობა საშუალოსაგან განსხვავდება იმით, რომ ანალიზისათვის აიღება დროის ძალიან პატარა მონაკვეთი, მაგ., 1 მლწმ ან 1 წმ.

მაქსიმალური გამტარუნარიანობა ეს არის დაკვირვების პერიოდში მყისიერი გამტარუნარიანობებიდან მაქსიმალური მნიშვნელობა. მაქსიმალური გამტარუნარიანობა ახასიათებს ქსელის უნარს, თუ რამდენად შეუძლია გაუმკლავდეს ქსელის პიკურ დატვირთვებს.

გამტარუნარიანობა შეიძლება გაიზომოს ქსელის ნებისმიერ ორ კვანძს შორის. ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება სასარგებლო იყოს ქსელის საერთო გამტარუნარიანობის დათვლა, რომელიც განისაზღვრება, ქსელის ყველა კვანძის მიერ დროის ერთეულში გადაცემული მონაცემების რაოდენობით. ამ მახასიათებლით ხასიათებადა მთლიანი ქსელი ხარისხი, სეგმენტებად და მოწყობილობებად დაყოფის გარეშე.

გადაცემის დაყოვნება - განისაზღვრება ქსელის რომელიმე კვანძისთვის ან ელემენტისათვის და წარმოადგენს დაყოვნებას

მოწყობილობის ან კვანძის შესასვლელზე შეტყობინების გამოჩენიდან მის გამოსასვლელზე იგივე შეტყობინების გამოჩენამდე. ეს პარამეტრი თავისი არსით ახლოა რეაქციის დროსთან.

ქსელის გამტარუნარიანობა და გადაცემის დაყოვნების დრო ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი პარამეტრებია. ქსელს შეიძლება ჰქონდეს მაღალი გამტარუნარიანობა, მაგრამ მის კვანძებს გააჩნდეთ გადაცემის დაყოვნების საკმაოდ დიდი დრო. ასეთი სიტუაციის მაგალითია გეოსტაციონალური თანამგზავრული კავშირის არხი. ასეთი კავშირის არხის გამტარუნარიანობა საკმაოდ მაღალია - 2 მგბტ/წმ, მაგრამ დიდია გადაცემის დაყოვნების დროც - 0,24 წმ, რაც გამოწვეულია გადაცემის დიდი მანძილით (72 000 კმ).

საიმედოობა და უსაფრთხოება - განაწილებული სისტემების შექმნის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს წარმოადგენს ქსელში ცალკეულ კომპიუტერებთან კავშირის შედარებით უფრო მაღალი საიმედოობის მიღწევა. მნიშვნელოვანია გავარჩიოთ საიმედოობის რამდენიმე ასპექტი. ტექნიკური მოწყობილობებისათვის გამოიყენება საიმედოობის ისეთი მაჩვენებელი როგორცაა უმტყუნო მუშაობის საშუალო დრო, მტყუნების ალბათობა, მტყუნების ინტენსიურობა. ეს მახასიათებლები გამოდგება ისეთი მარტივი ელემენტებისა და მოწყობილობებისათვის, რომლებსაც ახასიათებთ მხოლოდ ორი მდგომარეობა მუშა და არამუშა. რთულ სისტემებში მდგომარეობა უფრო რთულადაა, მათ ახასიათებთ შუალედური მდგომარეობაც, რომლებსაც ეს მახასიათებლები ვერ ითვალისწინებს. ამიტომ, რთული სისტემებისათვის, როგორცაა კომპიუტერული ქსელები, გამოიყენება სხვა მახასიათებლები.

მზადყოფნა ან მზადყოფნის კოეფიციენტი - (availability) აღნიშნავს დროის ნაწილს, რომლის განმავლობაშიც შეიძლება გამოყენებული იქნას სისტემა.

შესაძლებელია სისტემებში მზადყოფნის გაზრდა მასში სათადარიგო ელემენტების დამატებით, რათა, რომელიმე ელემენტის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში სისტემის ფუნქციონირება უზრუნველყონ სხვა ელემენტებმა.

იმისათვის, რომ სისტემა იყოს მაღალსაიმედო, მას უნდა გააჩნდეს მზადყოფნის მაღალი მაჩვენებელი. ეს აუცილებელი პირობაა, მაგრამ არასაკმარისი. უზრუნველყოფილი უნდა იყოს აგრეთვე მონაცემების დაცვა და **შეთანხმებულობა**, ანუ თუ საიმედოობის გაზრდის მიზნით ერთიდაიგივე მონაცემები ინახება რამდენიმე სერვერზე, უზრუნველყოფილი უნდა იყოს მათი იდენტურობაც.

ქსელებში ასევე მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს ადრესატი კვანძისათვის პაკეტის დამახინჯების გარეშე გადატანის ალბათობა. ამ მახასიათებელთან ერთად შეიძლება გამოიყენებოდეს სხვა მახასიათებლებიც: პაკეტის დაკარგვის ალბათობა (ნებისმიერი მიზეზის გამო), გადაცემულ მონაცემებში ცალკეული ბიტების დამახინჯების ალბათობა, დაკარგული და გადატანილი პაკეტების შეფარდება.

სისტემის საერთო საიმედოობის დაუზუსაითებლად გამოიყენება აგრეთვე **უსაფრთხოება** (security), ანუ სისტემების უნარი დაიცვას მონაცემები არასანქცირებული წვდომისაგან. განაწილებულ სისტემებში ამის მიღწევა უფრო რთული საქმეა ცენტრალიზირებულ სისტემებთან შედარებით.

ქსელის კიდევ ერთ მახასიათებელს წარმოადგენს **მტყუნება მედეგობა** (fault tolerance). ქსელებში მტყუნებამედეგობის ქვემოთ იგულისხმება სისტემის უნარი, დაფაროს მომხმარებლებისაგან მისი ცალკეული ელემენტების მტყუნების ფაქტი, რომელიც მომხმარებელმა შეიძლება ვერც კი აღმოაჩინოს. მტყუნებამედეგ სისტემებში მათი რომელიმე ელემენტის მტყუნება იწვევს

მხოლოდ მუშაობის ხარისხის შემცირებას და არა მთლიანად გაჩერებას.

გაფართოება და მასშტაბურობა - ტერმინები გაფართოება და მასშტაბურობა ზოგჯერ გამოიყენება როგორც სინონიმები, მაგრამ ეს სწორი არ არის. ორივე მათგანს გააჩნია სავსებით განსაზღვრული თავისი მნიშვნელობა.

გაფართოება - (extensibility) აღნიშნავს ქსელის შესაძლებლობას შედარებით ადვილად დამატებული იქნას ქსელის ცალკეული ელემენტები, გართულდეს ქსელის ცალკეული სეგმენტები, შეიცვალოს არსებული აპარატურა უფრო რთულით. ხშირად გაფართოების სიმარტივე უზრუნველყოფილია, მაგრამ ძალიან შეზღუდულ ფარგლებში. მაგ., მსხვილი კოაქსიალური კაბელით აგებულ Ethernet ქსელში, ახალი აბონენტების დამატება ადვილია, მაგრამ მათი რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 30-40-ს. თუმცა კი სეგმენტთან შეიძლება ფიზიკურად მიერთებული იქნას 100-მდე აბონენტი, მაგრამ ამ დროს მკვეთრად უარესდება ქსელის წარმადობა. ასეთი შეზღუდვის არსებობა სისტემის მაქსიმალური გაფართოების პირობებში მის ცულ მასშტაბირებადობაზე მიუთითებს.

მასშტაბურობა (scalability) - აღნიშნავს, რომ ქსელი საშუალებას იძლევა გაიზარდოს ქსელში კვანძების რაოდენობა და კავშირის მანძილები ძალიან ფართო დიაპაზონში ისე, რომ არ გაუარესდეს მისი წარმადობა. ქსელის მასშტაბირებადობის უზრუნველსაყოფად საჭირო ხდება დამატებითი კომუნიკაციური მოწყობილობების გამოყენება და ხშირად საჭიროა ქსელის სტრუქტურულად შეცვლა. მაგ., კარგი მასშტაბურობით ხასიათდება მრავალსეგმენტიანი იერარქიული სტრუქტურის ქსელი, რომელიც აგებულია მარშრუტიზატორებისა და კომუტატორების ბაზაზე. ასეთ ქსელებში შეიძლება

ჩართული იქნას რამდენიმე ათასი კომპიუტერი ისე, რომ თითოეულ მომხმარებელს გარანტირებული ექნება მომსახურების საჭირო დონე.

გამჭვირვალობა - ქსელის **გამჭვირვალობა** (transparency) მიიღწევა იმ შემთხვევაში, როდესაც ქსელი წარმოადგენს არა ერთმანეთთან დაკავშირებული კომპიუტერების სიმრავლეს, არამედ ტრადიციული გაგებით ერთიან გამოთვლით გარემოს. მაგ., კომპანია Sun Microsystems-ის ცნობილი ლოზუნგი „ქსელი ეს არის კომპიუტერი“ - მიუთითებს ქსელის კარგი გამჭვირვალობის აუცილებლობაზე.

გამჭვირვალობა შეიძლება მიღწეული იქნას ორ სხვადასხვა დონეზე - მომხმარებლისა და პროგრამების დონეებზე. მომხმარებლის დონეზე გამჭვირვალობა აღნიშნავს, რომ დაცილებულ რესურსებთან მუშაობისათვის ის გამოიყენებს იგივე ბრძანებებსა და პროცედურებს, რასაც ლოკალურ რესურსებთან სამუშაოდ. პროგრამულ დონეზე გამჭვირვალობა აღნიშნავს მდგომარეობს იმაში, რომ გამოყენებით პროგრამას დაცილებულ რესურსთან წვდომისათვის სჭირდება იგივე გამოძახებები და მიმართვები, რაც ლოკალურ რესურსებთან. მომხმარებლის დონეზე გამჭვირვალობის მიღწევა უფრო ადვილია, ვიდრე პროგრამულ დონეზე.

ქსელებმა უნდა დაფაროს ოპერაციული სისტემებისა და სხვადასხვა ტიპის კომპიუტერების თავისებურებები. _MacOS-ის მომხმარებელს უნდა შეეძლოს მიმართოს UNIX-ის გარემოში არსებულ რესურსებს, ხოლო UNIX-ის მომხმარებელს კი უნდა შეეძლოს წვდომა Windows-ის გარემოში არსებულ მონაცემებთან.

ტერმინი გამჭვირვალობა შეიძლება გამოყენებული იქნას სხვადასხვა ასპექტებში. მდგომარეობის გამჭვირვალობა აღნიშნავს, რომ მომხმარებლისაგან არ მოითხოვება პროგრამული ან აპარატული რესურსების

ადგილმდებარეობის ცოდნა. გადაადგილების გამჭვირვალობა კი აღნიშნავს, რომ რესურსები თავისუფლად უნდა გადაადგილდებოდეს ერთი კომპიუტერიდან მეორეში მათი სახელების შეუცვლელად. პარალელიზმის გამჭვირვალობა კი მდგომარეობს იმაში, რომ გამოთვლითი პროცესის დაპარალელება ხდება ავტომატურად, პროგრამისტის ჩარევის გარეშე.

თანამედროვე ქსელების შესახებ ძნელი სათქმელია, რომ ისინი ყველა გამჭვირვალეა. გამჭვირვალობა უფრო მეტად არის მიზანი, კერძოდ როგორ უნდა ხდებოდეს ქსელების განვითარება.

სხვადასხვა ტიპების ტრაფიკის მხარდაჭერა - კომპიუტერული ქსელების ერთერთ ძირითად დანიშნულებას წარმოადგენს მისცეს მომხმარებელს სხვადასხვა კომპიუტერების რესურსებთან წვდომის საშუალება. კომპიუტერულ ქსელებში წარმოქმნილი ტრაფიკი ხასიათდება საკუთარი თავისებურებით და მნიშვნელოვნად განსხვავდება სატელეფონო ან საკაბელო ტელევიზიის ტრაფიკებისაგან. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო კომპიუტერული მონაცემების ტრაფიკის შექმნა, რომელიც აერთიანებს ხმასა და ვიდეო გამოსახულებებს ციფრული ფორმატში. დაიწყეს კომპიუტერული ქსელების გამოყენება ვიდეოკონფერენცებისა, საწვავებისა და გართობისათვის. ცხადია, რომ მულტიმედიური ტრაფიკის დინამიური გადაცემისათვის საჭიროა სხვა ალგორითმები, განწყობები და მოწყობილობები. დღეს კომპიუტერული მონაცემების ტრაფიკში მულტიმედიური მონაცემების ხვედრით წილი საკმაოდ დიდია. ის უკვე შეიჭრა გლობალურ და ლოკალურ ქსელებში და მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

საერთოდ ხმისა და გამოსახულების დინამიური ტრაფიკის მიმართ ყველაზე მკაცრი მოთხოვნაა მათი სინქრონულობის დაცვა.

მცირედი დაყოვნებებიც კი დაამახინჯებს ხმასა და გამოსახულებებს.

კომპიუტერული მონაცემების ტრაფიკი კი ხასიათდება სულ სხვა თავისებურებებით. სინქრონულობის მიმართ აქ მკაცრი მოთხოვნები არ არის, სირთულეს არ წარმოადგენს. მაგრამ ამ ორი სახეობის ტრაფიკის შერწყმა კი უკვე გაცილებით რთული საქმეა. დღეს სერიოზული მუშაობა ტარდება ქსელებში ამ ამოცანის გადასაწყვეტად. ამ მიზანთან ყველაზე უფრო ახლოა ATM ტექნოლოგიის საფუძველზე დამუშავებული ქსელები. ეს ტექნოლოგია თავიდანვე გათვლილია ქსელში სხვადასხვა სახეობის ტრაფიკების ერთდროულად არსებობაზე.

მართვალობა - იგი გულისხმობს მისი ძირითადი ელემენტების ცენტრალიზებული კონტროლის შესაძლებლობას, მუშაობის პროცესში პრობლემების აღმოჩენას და აღმოფხვრას, ქსელის წარმადობის ანალიზს და მისი განვითარების დაგეგმვას. იდეალურ შემთხვევაში ქსელის მართვის საშუალებები წარმოადგენს ქსელის ელემენტების დაკვირვების, კონტროლისა და მართვის საშუალებებს, თანაც ქსელი განიხილება როგორც ერთი მთლიანი და არა როგორც ცალკეული კომპიუტერების ერთობლიობა.

ქსელის მართვის ეფექტური სისტემა თვალყურს ადევნებს ქსელს და პრობლემის აღმოჩენის დროს ახდენს გარკვეული ზემოქმედებას, გამოასწორებს სიტუაციას და ატყობინებს ადმინისტრატორის თუ რა მოხდა და რა ღონისძიებები მიიღო. ამასთან ერთად მართვის სისტემამ უნდა დააგროვოს მონაცემები, რომელთა საფუძველზეც უნდა მოხდეს ქსელის განვითარება.

მართვის სისტემა რომ ძალიან სასარგებლოა, ნათლად ჩანს დიდ ქსელში. კორპორაციულ და გლობალურ ქსელებში მართვის კარგი სისტემის მეშვეობით შესაძლებელია ქსელის მმართველი პერსონალის შემცირება.

ქსელების მართვის სისტემაში ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. მართვის თანამედროვე სისტემები ახორციელებენ ქსელში მიმდინარე პროცესებზე მხოლოდ თვალყურის დევნებას და ვერ ახორციელებენ აქტიურ მოქმედებებს.

თავსებადობა - თავსებადობა ანუ ინტეგრირებადობა აღნიშნავს, რომ ქსელში შესაძლებელია სხვადასხვა სახეობის პროგრამული და აპარატული უზრუნველყოფის ჩართვა, სხვადასხვა ოპერაციული სისტემებისა და განწყობების, სხვადასხვა სტეკების არსებობა. სხვადასხვაგვარი ელემენტებისაგან შემდგარ ქსელს უწოდებენ არაერთგვაროვანს ანუ ჰეტეროგენიულს. ხოლო თუ ჰეტეროგენიული ქსელი მუშაობს უპრობლემოდ, მაშინ მას უწოდებენ ინტეგრირებულ [1;10;12].

დასკვნა: ნაშრომში განხილულია კომპიუტერული ქსელების ფუნქციონირების და საიმედოობის კრიტერიუმები და მათი განსაზღვრის მეთოდები. წარმოდგენილი ქსელი მომსახურების ხარისხის შეფასების საზღვრები. პირდაპირი გამოთვლების სირთულის გამო ბევრი მკვლევარი შემოსაზღვრება მხოლოდ საიმედოობის საზღვრების შეფასების შესაძლებლობით. პრაქტიკაშიც ძირითადად გამოიყენება ყველაზე მწარმოებლური გამომთვლელი სისტემები, სადაც შესაძლებელია ქსელის საიმედოობის შეფასება ქსელის კვანძების რიცხვის შეზღუდვით. ნაშრომში წარმოდგენილი თანამედროვე მიდგომები კომპიუტერული ქსელების ფუნქციონირების მიმართ და შესაბამისი მახასიათებლები, საშუალებას იძლევა შემუშავებული იქნას რეკომენდაციები და კრიტერიუმები ქსელის ტოპოლოგიისა და სტრუქტურის შერჩევით, რაც საშუალებას მოგვცემს მივაღწიოთ კომპიუტერული ქსელების უფრო მაღალ საიმედოობას.

INFORMATIC

DETERMINING THE CRITERIA FOR THE OPERATION AND RELIABILITY OF COMPUTER NETWORKS

MIKHEIL DONADZE

Batumi Shota Rustaveli State University

The paper discusses the criteria for the operation and reliability of computer networks and methods for their determination. Discusses boundaries of network service quality assessment. Because of the complexity of the direct calculations, many researchers limit their work to the ability to estimate the limits of reliability. In practice, mainly, the most productive computing systems are used, where it is possible to assess the reliability of the network by limiting the number of network nodes. The modern approaches to the operation of computer networks and the relevant characteristics presented in this paper allow us to develop recommendations and criteria by selecting the network topology and structure, which will allow us to achieve higher reliability of computer networks.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ჯ.ბერიძე, ტ.ბურკაძე, ა.ბურკაძე, მართვა და მარშრუტიზაცია კომპიუტერულ ქსელებში, თბ., 2009
2. ა. ფრანგიშვილი, მ. ქურდაძე, ზ. გასიტაშვილი, კომპიუტერული ქსელების ინჟინერიის საფუძვლები, თბ., 2009.
3. გ. მურჯიკნელი, ა. რობიტაშვილი, თ. ვეკუა, ჯ. ხუნწარია, პ. ბოჩიკაშვილი, ვ. აბულაძე. ტელეკომუნიკაციის თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიები. თბ., ი/მ "მომავლიდან" 2006, 308გვ.
4. მონაცემთა მიღება-გადაცემის მართვისა და დიაგნოსტიკის ალგორითმები კომპიუტერულ ქსელებში, თ. ნატროშვილი, სტუ 2006.
5. თ. შონია, გ. ჯანელიძე, ბ. მეფარიშვილი ინფორმაციული და ქსელური რესურსების უსაფრთხოების უზრუნველყოფა სტუ, თბ 2009
6. Gertsbakh, Ilya, Shpungin, Yoseph, Network Reliability A Lecture Course, Springer, © 2020
7. J. F.Kurose, K._Ross., Computer Networking A Top-Down Approach 7th. Edition, 2017
8. Sanjay K. Chaturvedi, Network Reliability: Measures and Evaluation, 2016, Scrivener Publishing LLC
9. M.O. Ball, C.J. Colbourn, J.S. Provan Network Reliability, Сетевая надежность, Авторизованный перевод Семенова Ю.А. и Гончарова А.А. (ИТЭФ/ЦНТК).
10. В.Г. Олифер, Н.А. Олифер - Компьютерные сети. Принципы, технологии, протоколы, 5-е изд. - СПб.: Питер, 2016.
11. В.И. Завгородний Комплексная Защита информации В омпьютерных системах, М. Логос. 2001.
12. Хорев П.Б. Методы и средства защиты информации в компьютерных системах. М.: Академия, 2005.

ინფორმაცია

საინფორმაციო სისტემების მრავალდონიანი მართვა QR კოდების მეშვეობით მულტიპლატფორმული სისტემებისათვის

ჯაჯა ღავითაძე, ბრიგოლ კახიანი, ზურაბ მუსხიში

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნაშრომი შესრულებულია ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის 2020 წელის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ფარგლებში

აბსტრაქტი: ნაშრომში განხილულია საინფორმაციო სისტემების მრავალდონიანი მართვა QR კოდების მეშვეობით, შესაბამისი სამოდელო ამოცანის ფორმულირება. საინფორმაციო სისტემის აგებულება, მონაცემთა ბაზების შექმნა და გამოყენება.

საკვანძო სიტყვები: საინფორმაციო სისტემა, QR კოდები, მულტიპლატფორმული სისტემები.

შესავალი. თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების ტენდენცია მიგვანიშნებს იმაზე, რომ საინფორმაციო რესურსების სულ უფრო მეტი მიმწოდებელია დაინტერესებული, რომ მიზანმიმართულად მიაწოდოს მომხმარებლებს თავისი მონაცემები (საინფორმაციო რესურსები). ინფორმაციის მიზანმიმართული მიწოდება უპირველეს ყოვლისა დაკავშირებულია ინფორმაციული რესურსების ადმინისტრირების კომპონენტის ზრდასთან, ხოლო, მომხმარებლების თვალსაზრისით, ეს რესურსებთან წვდომის გართულებას და მოუხერხებლობას იწვევს. ყოველივე ერთად, თავის მხვრის ართულებს სერვისების გავრცელებას და გარკვეულად აფერხებს მათ განვითარებას [1].

ზემოთ აღწერილი ტენდენცია განსაკუთრებით კარგად გამოიხატა თანამედროვე მობილური (ტარებადი) მოწყობილობების განვითარების ეპოქაში, როდესაც თანამედ-

როვე ადამიანი მიჯაჭვილია საინფორმაციო სისტემას, მაგრამ აღნიშნული მოწყობილობების სამომხმარებლო ინტერფეისები ჯერ კიდევ განიცდის მნიშვნელოვან პროგრესს [2]. ჯერ-ჯერობით აღნიშნული სისტემების ერთიანი სტანდარტი ფორმირების პროცესშია, რისი კარგი მაგალითია ბაზარზე სამომხმარებლო მოწყობილობების, როგორც აპარატულ/პროგრამული ასევე სამომხმარებლო დიზაინის, ახალი პროდუქტების გამოჩენა. მიუხედავად აპარატული და პროგრამული პროდუქტების ფართო სპექტრისა ყველა ეს გადაწყვეტილება ვერ აცხადებს თავის პრეტენზიას როგორც მონაცემებთან წვდომის ისეთ სტანდარტზე, რომელიც უპირობოდ შეითავსებდა თავის-თავში როგორც გამოყენების სიმარტივეს ასევე უნივერსალობას, და რაც მთავარია ეს სტანდარტი თავსებადი იქნებოდა ბაზარზე არსებული მოწყობილობების უმეტესობასთან.

ჩვენი თვალსაზრისით ზემოთ არნიშნულ პრობლემების გადაწყვეტა შესაძლებელია

ე.წ. მონაცემთა კოდირების QR სისტემის გამოყენებით. როგორც ცნობილია ეს სისტემა საშუალებას იძლევა მარტივად მოვახდინოთ წვდომა სხვადასხვა რესურსზე და ამავე დროს მას შეუძლია საკმარისად დიდი მოცულობის მონაცემების შენახვა ერთ პაკეტში. იგი უკვე კარგად აპრობირებული მექანიზმია სხვადასხვა სახის მონაცემთა გადასაცემად. მეორეს მხრივ QR-კოდების პრაქტიკულობა და პოპულარობა მიმზიდველს ხდის მის გამოყენებას სხვა, ჯერ კიდევ გამოუყენებელ სფეროებში თუ დაცული იქნება ინფორმაციის უსაფრთხოება [3].

ჩვენ გამოვიკვლიეთ პრობლემა და შეიქმნა პროგრამული პროდუქტი, რომელიც ერთი და იგივე QR-კოდის საშუალებით სხვადასხვა რესურსზე უსაფრთხო წვდომის შესაძლებლობას იძლევა. ამ იდეის პრაქტიკული ფასეულობა იმაში მდგომარეობს, რომ კონკრეტული QR-კოდის საშუალებით სხვადასხვა პიროვნება შეძლებდა წვდომა ჰქონოდა სხვადასხვა ინფორმაციაზე მათი ამ ინფორმაციაზე დაშვების შესაბამისად.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (უნივერსიტეტის) მაგალითზე, თუ უნივერსიტეტის რომელიმე აუდიტორიაზე განთავსებულია შესაბამისი QR-კოდი, მაშინ შესაძლებლობა გვეძლევა უზრუნველყოთ, რომ სტუდენტებს ქონდეთ წვდომა ამ აუდიტორიაში მხოლოდ ლექციების განრიგზე; აკადემიურ პერსონალს - გარდა ლექციების განრიგისა წვდომა ექნებათ ვთქვათ აუდიტორიაში განთავსებულ ტექნიკურ საშუალებებზე, ხოლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციას დამატებით წვდომა ექნებათ აუდიტორიაში განთავსებულ ინვენტარზეც. სხვა მაგალითისათვის, მეთოდი შეიძლება გამოყენებული იქნეს ქალაქების დიგიტალიზაციისათვის როგორც ტურისტული ობიექტების, რესტორნების, კაფეების და ა.შ. შესახებ სხვადასხვა ინფორმაციის მისაწოდებ-

ლად სხვადასხვა დაშვების დონის მომხმარებლებისათვის ერთი, კონკრეტული QR-კოდის საშუალებით. სისტემის პრაქტიკული გამოყენების სფერო შეიძლება იყოს საკმაოდ ფართო მისი სიმარტივისა და პრაქტიკულობის თვალსაზრისით.

სისტემის არქიტექტურა და მეთოდები.
სისტემის არქიტექტურა ნახ.1-ზეა გამოსახული, სადაც:

1. მონაცემთა ბაზა - გაზიარებული რესურსების ერთობლიობა;
2. მონაცემებთან წვდომის ადმინისტრაციული ინტერფეისები, განკუთვნილი როგორც გაზიარებული რესურსების მართვისათვის ასევე წვდომის გასაღებების გენერირებისათვის;
3. ადმინისტრაციული პერსონალი;
4. რესურსებთან წვდომის გასაღები (QR კოდი);
5. მომხმარებლები;
6. მონაცემებთან წვდომის სამომხმარებლო ინტერფეისი, განკუთვნილი მომხმარებლებისათვის გასაზიარებელ რესურსებთან მათი პრივილეგიების შესაბამისად წვდომის უზრუნველსაყოფად.


ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში პრაქტიკულად QR-კოდის წაკითხვა, გაშიფვრა და ინფორმაციაზე წვდომა ხორციელდება მობილური ტელეფონის საშუალებით, რაც უფრო მოსახერხებელს ხდის მეთოდს.

უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერი ორგანიზაცია თავისი კორპორაციული ინტერნეტ ქსელის მეშვეობით ცდილობს გაამარტივოს თავისი საქმიანობა, რის გამოც ცდილობს ისეთი საინფორმაციო სისტემები დაინერგვას, რომლებიც ხელს შეუწყობენ საქმიანობის სწრაფად, ეფექტურად და სწორად შესრულებას.

კვლევის ძირითადი მიზანი იყო ისეთი სისტემის შემქნა, რომელიც შეძლებდა ერთი და იგივე QR კოდის მეშვეობით სხვადასხვა

დონის წვდომის განხორციელებას საინფორმაციო სისტემასთან, რომელშიც ინფორმაცია დაყოფილია დონეების შესაბამისი წვდომის უფლებებით და მომხმარებლის განსაზღვრა მხოლოდ საკუთარი აპლიკაციის საშუალებით

ბით იქნება შესაძლებელი. გარე მომხმარებლისათვის წვდომა შეზღუდული იქნება სპეციალური დაშიფვრის სისტემების გამოყენებით.



ნახ.1. სისტემის არქიტექტურა

კვლევის სხვა მიზანი მდგომარეობს მულტი-პროგრამული და მულტი-პლატფორმული მოდელის შექმნა ნები-სმიერი ბიზნეს-მოდელის მართვის გასამარტივებლად.

კვლევის სიახლე მდგომარეობს მოცემული სტატიკური QR კოდის დაშიფრული მონაცემების წაკითხვის შედეგად, შესაბამისი დონის აღმოჩენა და შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება საინფორმაციო სისტემიდან, დონის აღმოჩენა შეუძლია მხოლოდ უფლება მინიჭებულ მომხმარებელს, რომელსაც გააჩნია შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა (აპლიკაცია), რომლის მეშვეობით ის კითხულობს QR კოდს. ამოცანის გადაჭრისათვის ჩვენს მიერ შექმნილია საინფორმაციო სისტემა, მონაცემთა ბაზა,

მომხმარებლეთა ბაზა, QR-კოდების გენერატორი და QR-კოდების წამკითხველი ანდროიდ სისტემისათვის. თითოეული ეს კომპონენტი დაწერილია კონკრეტული ორგანიზაციისათვის/ბიზნეს მოდელისათვის და განხორციელებულია აუცილებელი უსაფრთხოების უზრუნველყოფა მონაცემების, პროგრამული კოდის და საინფორმაციო სისტემის მიმართ.

QR-კოდების გენერატორი - ქმნის კოდს რომელიც კოდირებულია BASE64 [4] და დაშიფრვას სიმეტრიული ალგორითმის მეშვეობით. დაშიფრვას ალგორითმად ჩვენს შემთხვევაში გამოყენებული იყო სიმბოლოების წანაცვლების მარტივი ალგორითმი (იხ.ნახ.2).

აღნიშნული სკრიპტი აგენერირებს QR კოდს საინფორმაციო სისტემის ბმულით - <http://westgeorgia/qrcode/>, ასევე კოდში დებს ინფორმაციას თუ რომელი წვდომის დონისთვის არის განკუთვნილი ბმული. საინფორმაციო სისტემა დაცულია შეტევებისაგან, ვინაიდან ბმული რომელიც გადადის

მასზე მხოლოდ ჩაშიფრულია QR კოდში და სხვაგან არსად ის არ ფიგურირებს. შესაბამისად გარე მომხმარებელს არა აქვს საშუალება დაინახოს სისტემის ვებ-მისამართი და განახორციელოს კიბერ-შეტევა. შესაბამისად მხოლოდ საინფორმაციო სისტემაზეა მიბმული მონაცემთა ბაზაც.



ნახ.2. QR-კოდების მაგალითები: ა) სტანდარტული კოდირება, ბ) რამდენიმე ბმული სტანდარტულ კოდირებაში, გ) რამდენიმე ბმული რომლებიც ერთდროულად არის კოდირებული BASE64 და დაშიფრული

QR-კოდების გენერატორის სკრიპტი დაწერილია პროგრამირების ენა PYTHON-ზე, ვინაიდან ყველაზე მარტივად QR კოდის შექმნა, ბმულის მითითება და დაშიფვრის ალგორითმის გამოყენება ხდება ამ ენაზე. პროგრამული კოდი სულ რამდენიმე ხაზისაგან შედგება. QR კოდების მაგალითები იხილეთ ნახ. 2-ზე.

QR-კოდების წამკითხველი წარმოადგენს ANDROID აპლიკაციას, რომელსაც ვიყენებთ საინფორმაციო სისტემის მართვისა და წვდომისათვის ANDROID ოპერაციული სისტემის მქონე მობილური ხელსაწყოებიდან (ტელეფონი, პლანშეტი). კოდი შემუშავებულ იქნა Android Studios-ს გამოყენებით, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავდაპირველად რიდერი შემუშავებულ იქნა PYTHON ენის გამოყენებით, ვინაიდან ალგორითმის შემუშავება ბევრად უფრო ადვილი აღმოჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი აპლეტის გენერირებისათვის საჭიროა ოპერაციული სისტემა LINUX-ის გამოყენება,

მისი სპეციალური ვერსია LINUX BUILDZER, სადაც დაწერილი ალგორითმი გენერირდებოდა ANDROID აპლიკაციად. გარდა ამისა ჩვენი აპლეტი (და სისტემა მთლიანად) ასევე პარალელურად ავაწყეთ ANDROID STUDIOS-ზე რადგან სტანდარტული აპლეტის დისტრიბუცია ამ მზით გაცილებით ადვილია და ის უზრუნველყოფს კარგ მულტიპლატფორმულობას.

დასკვნები.

განხილულია საინფორმაციო სისტემების მრავალნაირი მართვა QR კოდების მეშვეობით, შესაბამისი სამოდულო ამოცანის ფორმულირება. საინფორმაციო სისტემის აგებულება, მონაცემთა ბაზების შექმნა და გამოყენება, საინფორმაციო სისტემის კომპონენტებთან წვდომის ოპტიმიზაცია, კომპონენტების აღწერა, დახასიათებულია ის ტექნოლოგიები რომელიც იქნა გამოყენებული სისტემის შესაქმნელად.

აღწერილია საინფორმაციო სისტემის უსაფრთხოების თითოეული კომპონენტი,

აღწერილია კომპონენტებს შორის კავშირი და კავშირის არხები, რომლებიც უზრუნველყოფენ მაქსიმალურ უსაფრთხოებას. დახასიათებულია საინფორმაციო სისტემის კომპონენტების/პროგრამირების ეტაპები, და პროგრამული ენები.

განხილულია საინფორმაციო სისტემის დანერგვის ეტაპები, სისტემის გამოყენების მეთოდები, გამოყენებული რესურსები, ოპტიმიზირებული პროგრამული უზრუნველყოფის გავრცელება, მომხმარებლებისათვის მათი ინსტალაციის შესძლებლობები.

INFORMATIC

MULTILEVEL MANAGEMENT OF INFORMATION SYSTEMS VIA QR CODES FOR MULTIPLATFORM SYSTEMS

ZAZA DAVITADZE, GREGORY KAKHIANI, ZURAB MESKHIDZE

Batumi Shota Rustaveli State University

The paper is done within the framework of the targeted scientific-research project of Batumi Shota Rustaveli University 2020.

The paper discusses the multi-level management of information systems through QR codes, the formulation of the corresponding model task. Information system structure, creation and use of databases. Optimizing access to information system components, describing components, characterizing which technologies were used to create them, how the user sees their design. Information System Security Description A review of each component describes how the components are interconnected and what channels are used to maintain security.

The stages of creating / programming information system components, technologies used and programming languages are described.

The stages of implementation of the information system, the methods of using the system, the resources used, the distribution of the optimized software, the possibilities of their installation for the users are discussed.

გამოყენებული ლიტერატურა

1. М.Р. Когаловский. Тенденции развития технологий управления информационными ресурсами в электронных библиотеках. Институт проблем рынка РАН. <https://nsu.ru/xmlui/handle/nsu/8900>
2. Nagappan, Meiyappan, and Emad Shihab. "Future Trends in Software Engineering Research for Mobile Apps." FOSE@ SANER. 2016. <http://www.se.rit.edu/~mei/publications/pdfs/Future-Trends-in-Software-Engineering-Research-for-Mobile-Apps.pdf>
3. G. Kakhiani, V. Donadze, D. Devadze, Z. Davitadze. „Controlling programmable microcontrollers via QR codes“. <https://ieeexplore.ieee.org/abstract/document/8110079>
4. Christensen, Jason H. "Using RESTful web-services and cloud computing to create next generation mobile applications." Proceedings of the 24th ACM SIGPLAN conference companion on Object oriented programming systems languages and applications. ACM, 2009.

აბრარული მეცნიერებანი

მეორადი ნედლეული პროფილაქტიკური კვების პროდუქტების წარმოებისთვის

იასოზი ჩხარტიშვილი, გურამ კაკაშნიკი, ზურაბ მიქელაძე, სოფიო კაკაშნიკი, ნინო სვილიშვილი, დოდო აბულაძე

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის

აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის

აგრარული და კვების ტექნოლოგიების განყოფილება

ანოტაცია: დღეისათვის გადამამუშავებელი მრეწველობის ეფექტურობის ამაღლების უთავრესი მიმართულებაა მცირენარჩენიანი და უნარჩენო ტექნოლოგიების შექმნა, რაც გულისხმობს მეორადი ნედლეულის რესურსების ისე წარმოებაში დაბრუნებას და გამოყენებას. ჩვენთვის ასეთ მეორად ნედლეულს, მანდარინის გამონაწნები და მანდარინის კანი წარმოადგენს. საქართველოს ციტრუსის გადამამუშავებელ ქარხნებში მანდარინის გამონაწნების რაოდენობა წელიწადში 8-12 ათას ტონას შეადგენს, რაც ნედლეულის რაოდენობასთან მიმართებაში 55-60%-ია, ხოლო კანგაცილილი მანდარინიდან ნექტარის წარმოების დროს დარჩენილი კანის რაოდენობა 28-30%-ია. სტატიაში წარმოდგენილია მეორადი ნედლეულიდან მანდარინის კანიდან, პექტინის ექსტრაქტის (თხევადი პექტინი) ტექნოლოგიის შემუშავებისთვის, ნედლეულის ჰიდროლიზის და ექსტრაგირების ოპტიმალური პარამეტრების კვლევა. ჩატარებული კვლევების საფუძველზე დადგენილია ნედლეულის წინასწარი დამუშავების მეთოდი; ჰიდრომოდული; pH-არე; ტემპერატურა; ექსტრაგირების ხანგრძლივობა. კვლევამ აჩვენა, რომ პექტინის მაღალი შემცველობით გამოირჩევა 80°C-ზე ექსტრაგირების დროს მიღებული ექსტრაქტი.

საკვანძო სიტყვები: მანდარინის კანი, პექტინის ექსტრაქტი, ფუნქციონალური კვების პროდუქტები.

რამდენადაც პექტინოვანი ნივთიერებები ითვლება ფუნქციონალურ ინგრედიენტად, პექტინის შემცველი პროდუქტები მსოფლიო ბაზარზე განიხილება, როგორც ჯანსაღი, სპეციალური კვების პროდუქტები. კვების პროდუქტების უსაფრთხოება და ხარისხი, ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის ჯანმრთელობას და გენოფონდის შენარჩუნებას. ჩატარებული კვლევის შედეგებიდან ირკვევა, რომ კვების პროდუქტების უმეტესობა დაბინძურებულია ტოქსიკური ქიმიური ნაერთებით, ბიოლოგიური აგენტებით, მიკროორგანიზმებით.

დღეისათვის არსებულ ეკოლოგიურ პირობებში, რომელსაც თან ახლავს გარემოსა და კვების პროდუქტების ტოქსიკური ნივთიერებებით დაბინძურება მეტად აქტუალურია პექტინის შემცველი პროდუქტების გამოყენება. პექტინოვანი ნივთიერების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს თვისებას, კომპლექსწარმომქმნელი უნარი წარმოადგენს, რომელიც გამოიხატება პექტინის მოლეკულის ურთიერთმოქმედებაზე მძიმე და რადიოაქტიური ლითონების იონებთან, შებოჭოს და გამოდევნოს იგი ორგანიზმიდან. ასევე პექტინს უნარი აქვს ადსორ-

ბირება გაუკეთოს და გამოდევნოს ორგანიზმიდან ბიოგენური ტოქსინები, ანაბოლიკები, ქსენობიოტიკები, მეტაბოლიზმის პროდუქტები და ორგანიზმში დაგროვილი ბიოლოგიურად მავნე ნივთიერებები: ქოლისტერინი, ნაღვლის მჟავები, შარდოვანა [1; 2; 3].

პექტინის კომპლექსწარმომქმნელ უნარზე გავლენას ახდენს პექტინის ბუნება ანუ ნედლეული, რომლისგანაც გამოყოფილია პექტინი. შაქრის ჭარხლის პექტინის კომპლექსწარმომქმნელი უნარი ტყვიის იონის მიმართ, რომელსაც მრეწველობა უშვებს შეადგენს 192-220 მგ Pb^{2+}/g , ციტრუსის პექტინისთვის 67მგ Pb^{2+}/g , ვაშლის პექტინისთვის 58მგ Pb^{2+}/g [4]. პექტინი გამიყენება: შაქრიანი დიაბეტის, სხივური დაავადების, პოლიართრიტის, ჰემოფილიის, კუჭის წყლულის, პროსტატის მკურნალობის დროს; საჭმლის მომწეველი ორგანოების დაავადებების დროს; დამწვრობის და ჭრილობების შესახორცებლად; მსხვილი ნაწლავის სიმსივნის პროფილაქტიკისთვის. მომწამვლელ ნივთიერებებთან მუშაობის დროს; პექტინი გავლენას ახდენს უჯრედთა შორის მიმდინარე პროცესებზე, მიჩიგანის (Michigan) ონკოლოგიური ფონდის ონკოლოგებმა, ჩატარებული კვლევის შედეგად აღმოაჩინეს, რომ სიმსივნური უჯრედები პექტინთან წარმოქმნიან მტკიცე, მყარ კომპლექსს, რომელიც ხელს უშლის სიმსივნური მეტასტაზების გავრცელებას [5].

პექტინოვანი ნივთიერებები გვხვდება მცენარის ყველა ნაწილში: ფესვებში, ღეროებში, ყვავილებში, ფოთლებში, ნაყოფებში. პექტინის შემცველი ნედლეული იყოფა სამ ჯგუფად: პირველ ჯგუფს მიეკუთვნება ბოსტნეული: ტუბეროზები, ძირხვენიები, ფოთლოვანები, გოგრისებრნი, პარკოსნები. მეორე ჯგუფს: ნაყოფი, თესლოვანები, კურკოვანები, კენკროვანები, სუბტროპიკული და ტროპიკული ნაყოფები [13; 14; 15].

სუბტროპიკული და ტროპიკული ნაყოფი პექტინოვანი ნივთიერებების მაღალი შემცველობით გამოირჩევა: ფეიჭოა და ხურმა - 9 - 12%, ლეღვი - 5,5-12%, ბროწეული - 10-14%. სუბტროპიკული ნაყოფებიდან ლიმონი, ფორთოხალი, მანდარინი, გრეიპფრუტი პექტინის შემცველობით პრაქტიკულად არ განსხვავდებიან და შეიცავს 9-14%-ს. გარდა პექტინისა ციტრუსოვანთა ნაყოფი მდიდარია ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით, განსაკუთრებით ენტეროსორბციული თვისების ნივთიერებებით, როგორცაა პოლიფენოლური ნაერთები, ვიტამინები, მაკრო და მიკროელემენტები, რომლებიც განსაზღვრავენ მათ სამკურნალო და დიეტურ თვისებებს [14;15].

მეცნიერთა გამოკვლევებით დადგენილია, რომ განსაკუთრებით მაღალ კომპლექსწარმომქმნელ თვისებებს ავლენს პექტინის განზავებული ხსნარები ანუ სასმელები 0,1-დან 1%-მდე პექტინის შემცველობით, რომელსაც ამავე დროს უნდა ჰქონდეს შენახვის გარკვეული ხანგრძლივობა. პექტინის შემცველი სასმელების დამზადების დროს მიზანშეწონილია გავითვალისწინოთ მისი გამოყენების მიმართულეობა, მოსახლეობის ასაკობრივი ჯგუფები, დაწყებული ბავშვებიდან, გერონტოლოგიური დაავადებებით დამთავრებული. პროფილაქტიკური დანიშნულების სასმელებისთვის პექტინოვანი ნივთიერებების შემცველობა უნდა შეადგენდეს არა უცირეს 0,3-0,5%-ს. ამ შემთხვევაში ერთი ჭიქა სასმელის მიღებისას ადამიანი ღებულობს პექტინის, აუცილებელი, პროფილაქტიკური ნორმის 35-50%-ს [8; 9; 10; 11; 12].

პექტინის ერთ-ერთი ძირითადი თვისებაა ლაბის წარმოქმნის უნარი, რის გამოც იგი ფართოდ გამოიყენება კვების მრეწველობაში ლაბის შემცველი პროდუქციის დასამზადებლად, როგორცაა: ყელე, კონფიტიური, ჯემი, პიურე, წვენი, სასმელი,

ნექტარი, ბოსტნეულის და ხორცის კონსერვი, პურ-ფუნთუშეული [12].

თანამედროვე კვების მრეწველობის ეფექტურობის ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებას წარადგენს მცირენარჩენიანი და უნარჩენო ტექნოლოგიების შექმნა და ამ ტექნოლოგიებში მეორადი ნედლეულის ფართოდ გამოყენება. ყველაზე მეტად ამ მოთხოვნებს პასუხობს პექტინის წარმოება, რომლის დროსაც გამოყენებული იქნება ისეთი პექტინის შემცველი მეორადი ნედლეული, როგორცაა: ვაშლის გამონაწნები, შაქრის ჭარხლის გამონაწნები, მზესუმზირის ყვავილედ-კალათები და ღეროები, გოგრის გამონაწნები, ციტრუსის და ყურძნის გამონაწნები და სხვა [16]. დღეისათვის მსოფლიოში წარმოებული პექტინის რაოდენობა შეადგენს 30 ათას ტონას, რომლის უმეტესი წილი მოდის შემდეგ კომპანიებზე: "CP Kelco" (აშშ); "Herbstreith & Fox KG" (გერმანია). "Danisco" (დანია), „Degussa“ – (საფრანგეთი); "Cesalpina Food SpA"-(ესპანეთი); „Obipektin“ და "Unipektin" (შვეიცარია); „Cesalpina" Food SpA" (იტალია) და მათი შვილობილი კომპანიები [15].

საქართველოში პექტინი არ იწარმოება, რის გამოც არსებით მნიშვნელობას იძენს პექტინის მაღალი შემცველობის და პექტინით გამდიდრებული პროფილაქტიკური, ფუნქციონალური დანიშნულების კვების პროდუქტების ტექნოლოგიების შემუშავება. ჩვენთვის ასეთ ნედლეულს წარმოადგენს მანდარინის ნაყოფი და მისი გადამუშავების დროს მიღებული მეორადი ნედლეული, როგორცაა გამონაწნები და კანი.

კანგაცლილი მანდარინიდან ნექტარის დამზადების დროს ნარჩენის სახით 28- 30%-მდე რაოდენობით კანი იყრება, ხოლო ცირტუსის გადამამუშავებელ ქარხანებში მანდარინის ნაყოფიდან კონცენტრირებული

წვენის წარმოებისას კიდევ უფრო მეტი, ნედლეულის რაოდენობის დაახლოებით 60%-მდე მანდარინის გამონაწნები. მანდარინის ნექტარის დამზადების ტექნოლოგია ითვალისწინებს, მანდარინის ნაყოფის კანისგან გასუფთავებას, დაქუცმაცებას, ჰომოგენიზაციას, ლიმონის მჟავას და შაქრის შერევას, გაცხელებას 100°C -ზე, შედეგ ხდება ჩამოსხმა, მოხუფვა, პასტერიზაცია. მიღებული ნექტარი 40% მშრალი ნივთიერების შემცველობით, წარმოადგენს ჰომოგენიზირებულ, დისპერსიულ პროდუქტს, რომლის 2,5-ჯერ განზავებით მიიღება ნექტარის ტიპის სასმელი [17], რომლის 100მლ 0,2%-დე პექტინს შეიცავს.

მანდარინის უნშიუ კანი (*Pericarpium Citri reticulatae*) განსაკუთრებით მდიდარია P, C, B ჯგუფის ვიტამინებით, კაროტინოიდებით, ეთერზეთებით, საკვები ბოჭკოებით, განსაკუთრებით პექტინოვანი ნივთიერებებით, მინერალური ნივთიერებებით. ხასიათდება სამკურნალო თვისებებით: ფლავონოიდი გესპერიდინი, რომლის მიღების წყაროც მანდარინის კანია [18; 19], იცავს ორგანიზმს ვირუსისგან, ანთებისგან, გააჩნია ანტიალერგიული თვისებები, სიმტკიცეს ანიჭებს სისხლძარღვებს. ფენოლიკონის ამინომჟავას შემცველობით, რომელიც ცნობილია სინეფრონის სახელწოდებით შეუცვლელია ასთმის და ბრონხიტის მკურანალობის დროს. მანდარინის კანი უფრო მაღალი ანტიოქსიდანტური თვისებებით ხასიათდება ვიდრე მანდარინის წვენი.

მანდარინის (უნშიუ) კანის ქიმიური შედგენილობა, ნედლ მასაზე გადაანგარიშებით მოცემულია ცხრილში 1. როგორც ცხრილიდან ჩანს მანდარინის კანი მნიშვნელოვანი რაოდენობით შეიცავს კაროტინოიდებს, პექტინოვან ნივთიერებებს, საკვებ ბოჭკოებს, P, C ვიტამინს.

მეორადი ნედლეული პროფილაქტიკური კვანის პროდუქტების წარმოებისთვის

მანდარინის კანის ქიმიური შედგენილობა ნედლეულ მასაზე გადაანგარიშებით %-ში
ცხრილი 1

№	კვლევის ობიექტი	მშრალი ნივთიერება (აბაზონობა) %	საერთო შაქრები %	ფრუქტოზა %	გლუკოზა %	საქაროზა %	მჟავიანობა %	ეთერზეთი %	ვიტამინი C %	საერთო კაროტინი %	საერთო პექტინი %	ხსნადი პექტინი %	უხსნადი პექტინი %	საერთო პოლიფენოლები %	უჯრედანა %	ცელულოზა %	ჰემიციტულოზა %
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17
1	მანდარინის კანი	26,8	8,5	3,8	3,2	1,4	0,19	2,1	0,125	6,5	4,8	0,6	4,2	2,5	4,5	3,4	1,8

კვლევის სიახლე - კვლევის სიახლეს წარმოადგენს მანდარინის ნექტარის დამზადების დროს დარჩენილი მანდარინის კანიდან პექტინის ექსტრაქტის (თხევადი პექტინი), მიღების ტექნოლოგიის შემუშავება, რომელიც იძლევა შესაძლებლობას მაღალი ფიზიოლოგიური ეფექტის, ფუნქციონალური, პროფილაქტიკური დანიშნულების კვების პროდუქტების ასორტიმენტის გაფართოებისთვის.

კვლევის ობიექტი და მეთოდები - კვლევის ობიექტს წარმოადგენდა მეორადი ნედლეული მანდარინის კანი;

ექსპერიმენტული კვლევების დროს გამოყენებული იყო ფიზიკო-ქიმიური ანალიზის არსებული მეთოდები.

- მშრალი ნივთიერების განსაზღვრა რეფრაქტომეტრით - ГОСТ-51433;
- ცენტრიფუგირება - 3000 ბ/წთ 100სმ³ ჭიქებით;
- მჟავიანობის განსაზღვრა - ГОСТ 2555. 0-82;
- pH არის მაჩვენებლის განსაზღვრა - HANNA H12213 pH ORP Meter მარკის აპარატზე;
- პექტინის შემცველობა - კალციუმ პექტატის მეთოდით;
- ექსტრაქტების დაკონცენტრირება როტაციულ ვაკუუმ-ამორთქლებელზე (RVO-400 და RE-2000 0°C-90°C-მდე).

მანდარინის კანიდან პექტინის ექსტრაქტის ტექნოლოგიის, ტექნოლოგიური

პროცესების ოპტიმიზაციისთვის, ჰიდროლიზისა და ექსტრაგირების ეფექტურად ჩატარებისთვის აუცილებელია ნედლეულის წინასწარი მომზადება, მანდარინის კანში არსებული პროტოპექტინის კოპლექსის ჰიდროლიზი მოიცავს ორ სტადიას, რომელიც ითვალისწინებს: პროტოპექტინის მაკრომოლეკულების ჯაჭვებს შორის კავშირის გახლეჩას და პროტოპექტინის პოლიმერული ჯაჭვის ჰიდროლიზს, რომლის შედეგად წარმოიქმნება სხვადასხვა მოლეკულური მასის წყალში ხსნადი ჰიდროლიზის პროდუქტები. უმთავრესი პარამეტრები, რომელიც გავლენას ახდენს პექტინოვანი ნივთიერებების ჰიდროლიზსა და ექსტრაგირებაზე არის ესტრაგენტში წყალბად იონების კონცენტრაცია, ტემპერატურა და პროცესის ხანგრძლივობა.

მოთხოვნები ნედლეულზე: მანდარინის კანი უნდა იყოს სუფთა, საღი, სიდამპლის გარეშე, რადგან დასნებოვნებული ნედლეული იწვევს პექტინის დეგრადაციას და გამოსავლიანობის შემცირებას.

მანდარინის კანის მომზადება: 2-3მმ ზომის ნაწილაკებად დაქუცმაცებული კანი ეთერზეთების, ნეიტრალური შაქრების, ცილების და სხვა ბალასტური ნივთიერებების მოცილების მიზნით ექვემდებარება გამორეცხვას ცივი წყლით ერთი საათის განმავლობაში. ამის შემდეგ ჰიდრომოდულს

1:4 შეფარდებით ასხამენ სხვადასხვა კონცენტრაციის 2-დან-3%-მდე ლიმონის მჟავას ხსნარს. ჰიდროლიზისა და ექსტრაგირების პროცესი მიმდინარეობს 40, 60, 80 C⁰-ის პირობებში, 2 საათის ხანგრძლივობით. ჰიდროლიზისა და ექსტრაგირების დამთავრების შემდეგ ექსტრაქტი იფილტრება და

ყოველი ცდის შემდეგ ხდება ექსტრაქტში მშრალი ნივთიერების და პექტინის შემცველობის განსაზღვრა. ჩატარებული ექსპერიმენტალური კვლევის შედეგები მოცემულია ცხრილში 2.

მანდარინის კანიდან პექტინის ჰიდროლიზისა და ექსტრაგირების პარამეტრები ცხრილში 2

მანდარინის კანი ცდების რაოდენობა	ჰიდროლიზის პირობები					პექტინის რაოდენობა %	ჰიდროლიზის პირობები					პექტინის რაოდენობა %	ნიდროლიზის პირობები					პექტინის რაოდენობა %
	ტემპერატურა C 0	pH	ჰიდროლიზის ხანგრძლივობა სთ	ლიმონის მჟავა %			ტემპერატურა C 0	pH	ჰიდროლიზის ხანგრძლივობა სთ	ლიმონის მჟავა %			ტემპერატურა C 0	pH	ჰიდროლიზის ხანგრძლივობა სთ	ლიმონის მჟავა %		
1	40	4,0	2	2	0,22	60	3,2	2	2,5	0,30	80	2,6	2	3	0,41			
2	40	3,8	2	2	0,21	60	3,2	2	2,5	0,31	80	2,6	2	3	0,40			
3	40	3,8	2	2	0,22	60	3,2	2	2,5	0,32	80	2,6	2	3	0,42			
4	40	3,8	2	2	0,22	60	3,2	2	2,5	0,32	80	2,6	2	3	0,42			

როგორც ცხრილიდან ჩანს პექტინის გამოსავალი დამოკიდებულია pH-არეზე, ტემპერატურულ რეჟიმზე და ჰიდროლიზის ხანგრძლივობაზე. პექტინის მაქსიმალური გამოყოფა ხდება 80 C⁰-ის პირობებში. მიღებულ პექტინის ექსტრაქტის მშრალი ნივთიერება შეადგენს 2%-ს, ხოლო პექტინის შემცველობა შეადგენს 0,4%-ს. მიღებული პექტინის ექსტრაქტი, ხასიათდება მანდარინის წვენიისთვის დამახასიათებელი ორგანოლექტიკური მაჩვენებლებით, რომელიც ასევე მდიდარია ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით. პექტინის ექსტრაქტის დაკონცენტრირება მოხდა ვაკუუმ-როტაციულ ამორთქლებელზე 60 C⁰ -ზე 8% მშრალი ნივთიერების შემცველობამდე. არსებული

ტექნოლოგიით ნექტარში პექტინის შემცველობა სამელში შეადგენს 0,2%-ს, თუ რეცეპტურით საჭირო დასამატებელ სიროფს დავამზადებთ პექტინის კონცენტრატზე, ნექტარის ყოველ 100მლ სამელში პექტინის რაოდენობა იქნება 1,2%, ასეთი სამელი შეიძლება ჩაითვალოს ფუნქციონალურ სასმელად.

დასკვნები და რეკომენდაციები - პექტინის ექსტრაქტი (თხევადი პექტინი) და პექტინის კონცენტრატი შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც, ნატურალური დანამატი სხვადასხვა ასორტიმენტის კომპლექსწარმოქმნელი თვისებების ფუნქციონალური, პროფილაქტიკური პექტინით მდიდარი სასმელების და კონსერვების დასამზადებლად.

AGRARIAN SCIENCES

USED RAW MATERIALS FOR THE PRODUCTION OF PREVENTIVE FOOD PRODUCTS

IAMZE CHKHARTISHVILI, GURAM PAPUNIDZE, ZURAB MIKELADZE,
SOPHIO PAPUNIDZE, NINO SEIDISHVILI, DODO ABULADZE

Shota Rustaveli State University

Institute of Agrarian and Membrane Technologies

Department of Agrarian and Food Technologies

The article presents data on production of hydropectin from secondary raw material of tangerine peel, the optimal parameters of raw material preparation, hydrolysis and extraction are investigated. It is concluded that for maximum extraction of soluble pectin into extract it is necessary to preliminary treatment of raw materials. Installed hydraulic module (1:4); medium pH -2.6; temperature 80°C; extraction time 2 hours.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Беззубов А.Д., Хатина А.И. - Применение пектина в качестве детоксиканта в производстве изделий для детского питания. // Гигиена труда и профзаболевания. 1981 г., №4, с.25-28
2. Бондарь С.Н. - Разработка технологии полуфункционального пектина для лечебно-профилактических продуктов. // Автореферат, М., 1991г.
3. Левченко Б.Д. - Использование полезных свойств пектина в медицинской практике. // Тез. докл. Киев. 1993 г. с.30.
4. Чолбаева Д.Ш. - Получение пектинов и исследование его физикохимических свойств. // Автореферат, Душанбе, 1987 г.
5. ФанЮнг А.Ф., Каминская Ф.И., Давыдова И.В. Пектинсодержащие консервы и их профилактическая ценность. // Консервная и овощесушильная промышленность. 1990 г., №11/
6. 6.Донченко Л.В. Функциональные продукты питания – проблемы и перспективы пектинового производства // Междунар. конф. «Функциональные продукты питания (Кубань – 2001)»: тез. докл. Краснодар: Куб ГАУ, 2001. С. 13 – 18.
7. Микрюкова Н.В. Основные аспекты получения функциональных продуктов питания // Молодой ученый. -2012.-№12. С.90-92.
8. Родионова Л.Я. Применение жидких пектинопродуктов в производстве консервированных изделий и напитков // Хранение и переработка сельскохозяйственного сырья. 1994. № 3.
9. Донченко Л.В. Технология пектина и пектинопродуктов: учебное пособие. М.: Де Ли, 2000.
10. Степовой А. В. Совершенствование технологии пищевого гидратопектина из свекловичного жома для производства функциональных напитков: автореферат дис. Кандидата технических наук .: Краснодар, 2013. 24с.

11. Дробот В.И., Доценко В.Ф., Арсентьева А.Ю., Юстинов Ю.В., Пересуда. Н.А. Сравнительная оценка эффективности использования цитрусового, яблочного и свекловичного пектинов в хлебопечении. //– Киев, 1997 г., стр. 14.
12. Донченко Л.В. - Совершенствование процесса экстрагирования пектиновых веществ из различного сырья. Автореферат, Киев, 1995.
13. Фишман Г.М. - Физико- химические характеристики пектиновых веществ плодов цитрусовых. // Субтропические культуры., 1997 г., №1-2, стр.105-107.
14. Василенко Ю.К. Компанцев В.А. Костенко Л.П. Гонжаев Т.И. О гипополидемическом эффекте яблочного и цитрусового пектинов. //Пищевая промышленность, 1990 г., №11, стр.17
15. Сокол Н.В. Хатко З.Н. Донченко Л.В. Фирсов Г.Г Состояние рынка пектина в России и за рубежом. КГАУ. 2008.
16. Соболев И.В. Разработка пектино содержащих напитков из вторичных сырьевых ресурсов. Новая наука: Опыт, традиции, инновации. -2015, №7-2, с 173-177.
17. ჩხარტიანი ი. რომანენკო ე. – „მანდარინის წვენი რბილობით მიღების ხერხი“ - პატენტი, GER 2004. 3284 VAR 2004. 3291 A.
18. Романенко Е. Чхартишвили И.Н и другие. Увеличение выхода витамина Р с применением мацерирующих ферментных препаратов. Авторское Свидетельство. №1686730, 1991.
19. Романенко Е. В. Определение витамина Р. Прикладная биохимия и микробиология т.2, 1966.

აბროტექნოლოგია - ეკოლოგია

სამკურნალო მცენარე ხარისშუბლას (*Senecio platyphylloides* Somm. Etlev. S. Lev.) ბუნებრივი გავრცელების საზღვრებში რესურსების დადგენის მეთოდი, აღდგენისა და თვითგანახლების პროცესების გააქტიურების ხელშეწყობი ტექნოლოგიური დამუშავება

შალვა ხიდაშელი

აკად. ვასილ გულისაშვილის სახელობის სამთო მეტყევეობის ინსტიტუტი

ვანო კაკუნიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანოტაცია: ხარისშუბლას რესურსების დადგენის მათემატიკურად უზრუნველყოფილი, მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდი დღემდე განსაზღვრული არ იყო, ამიტომ მისი რაყების ექსპლოატაციის დაგეგმვისთვის ობიექტური საფუძველი არ არსებობდა, რის გამოც თითქმის ყოველთვის დაუსაბუთებლად იგეგმებოდა უსაზღვრო რაოდენობის ნედლეულის დამზადება. ამან უდიდესი ზარალი მიაყენა ამ მცენარის რესურსებს და ბევრგან იგი გადაშენების ზღვრამდე მიიყვანა, რამაც განაპირობა მისი საქართველოს წითელ წიგნში შეტანა. მართალია, სამკურნალო მცენარეების ა/კ ზონალურმა სადგურმა დაამუშავა ხარისშუბლას კულტივირების წესები, მაგრამ მას არავინ იყენებდა. ხარისშუბლას ბუნებრივი განახლების ხელშეწყობ ღონისძიებათა შესახებ ძალიან ცოტა მასალა მოგვეპოვება. დასმული საკითხის დამუშავების პროცესში განხორციელდა ხარისშუბლას რესურსების განსაზღვრის მათემატიკურად უზრუნველყოფილი და მეცნიერულად დასაბუთებული წესი შესაბამისი ცხრილის სახით, რომელიც წარმოადგენს პრაქტიკულ სახელმძღვანელოს მგეგმავების, პროექტანტების, დამამზადებლებისა და მუშების, აგრეთვე მოსწავლე ახალგაზრდობისათვის. დამუშავდა ხარისშუბლას ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის ღონისძიებებიც მისი ცენტრული პოზიციების გასამტკიცებლად და კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად. ხარისშუბლას რაყებში ინდივიდიუმთა დგომის სიხშირეების მიხედვით გამოიყო ხუთი კლასი (ძალიან ხშირი, მაღალი სიხშირის, ხშირი, დაბალი სიხშირისა და ძალიან დაბალი სიხშირის რაყები). საჭექტარო მოსავლის რაოდენობის გაანგარიშებისათვის შედგენილია სპეციალური ცხრილი, სადაც გათვალისწინებულია ინდივიდიუმთა დგომის სიხშირე, პროექციული დაფარულობა, ინდივიდიუმთა რაოდენობა და მათს საფუძველზე განსაზღვრულია ფიტომასა კილოგრამებში ერთ ჰექტარზე ახალ შეგროვილ ნედლეულში, რასაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

საკვანძო სიტყვები: ენდემი, პლატიფილინი, სარაცინი. რაყები, წითელი წიგნი, ბიოცენოზი, ფილოგენეზი, ფიტომასა.

1. პრობლემის დამუშავების აქტუალობა, მიზნები და ამოცანები

განახლებადი ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, დაცვა და კვლავ-წარმოება წარმოუდგენელია მათი მეცნიერული კვლევისა და მიღებული შედეგების საფუძველზე დამუშავებული მეცნიერულად დასაბუთებული ღონისძიებების სახალხო მეურნეობაში ფართო მასშტაბით დანერგვის გარეშე.

საქართველოს მთიანი ტყის რესურსების სამკურნალო მცენარეული ნედლეულიდან ფიტოთერაპიაში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ფარმაცოლოგიურად საკმაოდ დიდი ხნის წინ ფართოდ დანერგილი ისეთი სამკურნალო მცენარე, როგორცაა ხარისშუბლა - **SENECIO PLATYPHYLLOIDES SOMM. ETLEV. S. et Lev.**

ხარისშუბლა რთულყვავილოვანთა ოჯახში შედის. მრავალწლიანი, ნიადაგში ჰორიზონტალურად გაწოლილი, გრძელფესურიანი მცენარეა. აყვავებული, გულგულით ამოვსებული ღეროს სიმაღლე 100-150 სმ-ია, ზოგან 200 სმ-საც აღწევს, რომელიც მრგვალი გარშემოწერილობისაა და სიგრძეზე წვრილად დაღარულია.

გრძელყუნწიანი, განიერფუძიანი სამკუთხედიანი, სამკუთხედ-თირკმლისებური, განივად გულისებრამოჭრილფუძიანი, 25-30 სმ სიგანის ფოთლები ღეროზე მორიგეობითაა განწყობილი. ფოთლის ყუნწს გვერდებზე კარგად გამოსახული ფრთები ჩასდევს, რომელნიც ყუნწის ფუძესთან ბიბილოებივითაა გაგანიერებული და ღეროს ეხვევიან, ფოთლის ფირფიტის კიდეები ბასრი ხერხებილას, საყვავილე ღეროს კენწეროში ფოთლები ფრიად დაკნინებული და წაგრძელებულ-ლანცეტისებურია, ყვითელი კალათა ყვავილები კენწერულ ფარისებრ-ყვავილედადაა შეკრებილი. კალათების საბურველის მწვანე ფოთლები ხაზურ-ლანცეტაა, ბოლოში წაწვეტებული

და კიდეებში ჩალისებრი სიფრიფანა არშიით შემოვლებული. ყვავის ივლის-აგვისტო-სექტემბერში. ჩვეულებრივ იგი სუბალპური რიხისა და შამბის (მაღალ ბალახეულის) შემადგენლობაში გვხვდება. ხშირადაა სუბალპური დაბალი სიხშირის როგორც ფოთლოვან, ასევე წიწვოვან ტყეებში. უფრო მეტი რაოდენობითაა ტყის ნაკადულების პირას და ჩადაბლებულ ნესტიან ადგილებში. იგი იზრდება აჭარის, სვანეთისა და აფხაზეთის ტყის ზედა და სუბალპურ სარტყელში. უფრო ხშირად ზღვის დონიდან 1500-2500 მეტრამდე სიმაღლის ფარგლებში ქმნის კარგად განვითარებულ შამბნარს. მცენარის ყველა ნაწილში მოიპოვება ალკალოიდები (პლატიფილინი, სენეციფილინი, ნეოპლატიფილინი, სარაცინი), რომელსაც ამზადებდა ბათუმის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხანა.

ფესურისა და ფესვებისაგან, აგრეთვე მიწისზედა ნაწილებისაგან იღებენ პრეპარატ „პლატიფილინის ჰიდროტარტრატს“, რომელსაც მუცლის ღრუს მუსკულატურის სპაზმების დროს იყენებენ, მასვე ხმარობენ კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის, ბრონქული ასთმის, ჰიპერტონიის, სტენოკარდიის, სისხლძარღვების სპაზმების დროს, აგრეთვე ოფთალმოლოგიაში თვალის გუგის გასაფართოებლად. სარაცინის ჰიდროტარტრატის მისაღებად გამოიყენება *S. rombofolius* (willd.) Sch. Bip., რომელიც აქ განხილული სახეობისაგან განსხვავდება იმით, რომ ღეროს შუა და ქვედა ნაწილში განლაგებული ფოთლების ყუნწებს არ გააჩნია ღერომხვევი ბიბილოები, გარდა ამისა, ყვავილედში ყვავილთა რიცხვი მცირეა (5-8), სარაცინი შინაგანი ორგანოების მუსკულატურის სპაზმების დროს გამოიყენება (პილოროსპაზმა, სპასტიკური კოლიტი, საშარდე გზების სპაზმები), აგრეთვე კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის, ქოლეცისტიტისა და ბრონქული ასთმის სამკურნალოდ (გუბანოვი, კრილოვა, ტიხონოვა, 1976).

ალკალოიდი სენეციფილინი ტოქსიკურია, იგი იწვევს ჰემორაგიულ ცვლილებებს ღვიძლში და მედიცინისათვის პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს, ამიტომ არაა რეკომენდებული ხარისშუბლას ნაყენი და სხვა გალენური პრეპარატები, რომლებიც პლატიფილინთან ერთად სენეციფილინსაც შეიცავს (ბანკოვსკი, 1962).

ა.დ. ტუროვას (1974) ნაშრომის მიხედვით, პლატიფილინი სპაზმატოლოგიური საშუალებაა ტკივილების მოსახსნელად კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის, სპასტიკური კოლიტის, ღვიძლისა და თირკმლების ჭვალის და ქოლეცისტიტის დროს. ამ პრეპარატის დიდი დოზის მიღებისას ვლინდება სიმშრალე პირის ღრუში, გულის გამლიერებული ცემა, თვალის გუგების გაფართოება და ქოლინორეცეპტორების ბლოკირების გამომხატველი სხვა სიმპტომები. პლატიფილინის დანიშვნა შეუძლებელია გლაუკომის, გულ-სისხლძარღვთა სისტემის ორგანული დაავადებების დროს სისხლის მიმოქცევის დარღვევის თანხლებით, აგრეთვე ღვიძლისა და თირკმლების ორგანული დაავადებების დროს. სარაციინით მკურნალობისას ავადმყოფთა უმრავლესობას გაუმჯობესდა მდგომარეობა (წყლულოვანი დაავადება, ქრონიკული გასტრიტი და სპასტიკური კოლიტი), ქრება ან მცირდება ტკივილები და პირღებინება, უმჯობესდება მადა, იგი ანელებს გულწვას (გულის რუჯვა) და ბოყინს. მისი გავლენით კუჭის მოტორული ფუნქციაც მოწესრიგდა. იგი არ იწვევს გვერდით მოვლენებს და ავადმყოფები მას კარგად იტანენ.

სამკურნალო მცენარე ხარისშუბლა კაკვასიური ენდემია და მისი უმნიშვნელოვანესი სამკურნალო თვისებების მქონე პლატიფილინისა და სარაციინის შემცველობით გლობალური მნიშვნელობის უძვირფასესი ბოტანიკურ ობიექტს წარმოადგენს.

ხარისშუბლას ულმობელი, ყოვლად დაუშვებელი მეთოდების გამოყენებით, ექსპლუატაცია, რაც მისი ფესვების დიდი როდენობით, მასობრივ დამზადებაში გამოიხატება, დაიწყო 1935 წელს ა.პ. ორეხოვისა და რ.ა. კონოვალოვას მიერ მასში ალკალოიდ პლატიფილინის აღმოჩენის შემდეგ. ხარისშუბლას ბიოქიმიურ შემადგენლობაში, 1959 წელს, ა.ნ. ბანკოვსკაიასა და ა.ი. ბანკოვსკის მიერ ძვირფასი ალკალოიდის სარაციინის აღმოჩენის შემდეგ, კიდევ უფრო გააქტიურდა ხარისშუბლას რაყების უმაწყოლო ექსპლუატაცია მხოლოდ და მხოლოდ მისი ფესვურების დამზადების გზით, რაც 1974 წლამდე გაგრძელდა და ამით აუნაზღაურებელი ზარალი მიაღდა ხარისშუბლას რაყებს. უპირველეს ყოვლისა, ბორჯომის რაიონში (ბაკურიანი, მიტარბი და ციხიჯვარი), ოზურგეთ-ქობულეთის რაიონებში, გომის მთის აგარაკში, ჩოხატაურის რაიონის კურორტ ბახმაროს რაიონში, ხულოს რაიონში (გოდერძის გადასასვლელი, კურორტ ბეშუმის შემოგარენი), ადიგენის რაიონში (ღაღვის სატყეო უბნის „სალაშქროს“ აგარაკი), ბაღდადის რაიონში (ზეკარის გადასასვლელის მიდამოები) და სხვა ხარისშუბლას ნედლეულის დამზადებამ საქართველოში 1973 წელს ჰაერმშრალ მდგომარეობაში 460 ტონას მიაღწია. ფესვების მასობრივი დამზადების გავლენით მკვეთრად შემცირდა ხარისშუბლას რაყების ბუნებრივი მარაგები ზემოთ ჩამოთვლილ ადგილებში. კურორტ ბეშუმის მიდამოებში ფესვების განუწყვეტელმა დამზადებამ მთლიანად მოსპო იგი ამ კურორტის უშუალოდ მიმდებარე ქედზე.

XX საუკუნის ორმოცდაათიანი წლების ბოლოსა და სამოციანი წლების პირველ ნახევარში ხარისშუბლას ფესვების დამზადება ფრიად მასშტაბური გახდა (ცხრ.1.1)

სამკურნალო მცენარე ხარისშუბლას (*Senecio platyphylloides* Somm. Etlev.S.Lev.) ბუნებრივი გავრცელების...

ცხრილი 1.1

ხარისშუბლას ფესვების საქართველოში დამზადების რაოდენობრივი მაჩვენებლები წლების მიხედვით (ტონობით)

დამზადების წლები	1958	1959	1960	1961	1962	1963	1964	1965
დამზადებული ჰაერმშრალი ფესვების მასა ტ-ში	29	26	89	148	102	220	230	235

1958 წლამდე ხარისშუბლას ფესვები, თითქმის ბორჯომის რაიონში მზადდებოდა (ბაკურიანი, მიტარბი, ციხისჯვარი, და სხვ.). 1959 წელს ხარისშუბლას ფესვების დამზადება დაიწყო ბახმაროში, 1960 წელს ზეკარის გადასასვლელის შემოგარენში, 1963 წელს კი გოდერძის გადასასვლელის მიდამოებში, ამავე წელს დაიწყო დამზადება გომის მთაზე.

როგორც ცხრილი 1.1-დან ჩანს 1963 წლიდან ხარისშუბლას ფესვების ყოველწლიური დამზადება 200 ტონას აღემატებოდა ჰაერმშრალ მდგომარეობაში და იგი, ძირითადად, ბახმაროში, გომის მთაზე, გოდერძ-ზეკარის გადასასვლელის შემოგარენში, ბაკურიანში, ციხისჯვარსა და მიტარბში მზადდებოდა (დ.ა. მურაიოვა, მ.მ. მოლოდოჟ-ნოკოვი, 1968).

ამ მდგომარეობამ სერიოზულად დააფიქრა მოწინავე ქართველი ბოტანიკოსებისა და

მეტყვე მეცნიერთა წარმომადგელობა აკადემიკოსების ნიკოლოზ კეცხოველისა და ვასილ გულისაშვილის ხელმძღვანელობით, რომელთაც მეცნიერულად დასაბუთებული წინადადებები წაუყენეს საქართველოს მაშინდელ მთავრობას. მთავრობამ ყურადილო რა ეს წინადადებები და მეცნიერული მტკიცებანი, მათს საფუძველზე მიღებული სპეციალური დადგენილობით, 1974 წლიდან, კატეგორიულად აიკრძალა ხარისშუბლას ფესვურების დამზადება და ნებადართულად გამოცხადა მხოლოდ და მხოლოდ ხარისშუბლას მიწისზედა ნაწილების დამზადება. მიუხედავად ამისა, შემდგმ წლებში მაინც შეინიშნებოდა ფესვურების დამზადების ცალკეული შემთხვევები. გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში მკვეთრად გაიზარდა ხარისშუბლას მიწისზედა ნაწილების დამზადების მაჩვენებლები (ცხრ. 1.2).

ცხრილი 1.2

ხარისშუბლას მიწისზედა ნაწილების გამხმარ მდგომარეობაში გადამამუშავებელ ფარმაცოლოგიურ მრეწველობაზე ჩაბარების მაჩვენებლები

დამზადების წლები	1982	1983	1984	1985	1986	1987	1988
დამზადებული ნედლეული ჰაერმშრალ მდგომარეობაში, კგ-ში	108919	459183	781420	634116	70360	359768	658160

როგორც ცხრილი 1.2-დან ჩანს ხარისშუბლას მიწისზედა ნაწილების დამზადების რაოდენობა, წლების მიხედვით, საკმაოდ მერყევია, თუმცა ნათელად ჩანს დამზადების კოლოსალური მასშტაბები, მაშინ, როდესაც

პრაქტიკულად არავითარი ღონისძიებები არ ტარდებოდა დამამზადებლების მხრივ ხარისშუბლას რაყების ზომიერად დამზადების, მოსავლიანობის გასაზრდელად და მისი რესურსების გასამრავლებლად.

შალვა ხიდაშელი, პანო კაკუნიძე

გამოკვლევებით დადგენილია, რომ ხარისშებლას მიწისზედა ნაწილების ყოველწლიურად ერთსა და იმავე ადგილზე დამზადებაც საზარალო გამოდგა. ხარისშებლას რაყების შემადგენელი ინდივიდიუმები დაკნინდა, ამით მოსავლის მკვეთრი შემცირება, რაც ინდივიდიუმთა ფესვურების პროგრესული გამოფიტვათაა განპირობებული, რის გამოც დაირღვა მცენარეთა საკვები ნივთიერებებით მომარაგების რიტმი და ინტენსივობა. ოთხმოციან წლებში

მნიშვნელოვნად გაიზარდა ხარისშებლას ნედლეულის საქართველოს ფარგლებს გარეთ გატანის რაოდენობრივი მაჩვენებლებიც. შუახორგის სამკურნალო მცენარეების მეურნეობის მონაცემებით რესპუბლიკის გარეთ არსებული ფარმაცოქიმიური ქარხნების საჭიროებისათვის გატანილი ხარისშებლას ნედლეულის რაოდენობა შემდეგი მაჩვენებლებით ხასიათდება ჰაერმშრალ მდგომარეობაში (ცხრ. 1.3).

ცხრილი 1.3

ხარისშებლას ნედლეულის დამზადება-საზღვარგარეთ გატანის მაჩვენებლები წლების მიხედვით

დამზადება-საზღვარგარეთ გატანის წლები	1986		1987		1988		1989	
	გეგმა	ფაქტ	გეგმა	ფაქტ	გეგმა	ფაქტ	გეგმა	ფაქტ
დამზადებული და საზღვარგარეთ გატანილი ნედლეულის რაოდენობა ჰაერ-მშრალ მდგომარეობაში, ტონობით	70	57,4	250	57,7	130	126	130	46

ცხრილ 1.3-ში მოტანილი მონაცემები აშკარად მიგვანიშნებს ხარისშებლას ნედლეულის დამზადების რაოდენობრივი მაჩვენებლის დაგეგმარების არასიმყარესა და არასტაბილურობაზე, რასაც საგეგმო დავალებების, თითქმის, ყოველწლიური შეუსრულებლობა გვიმტკიცებს, რაც უმთავრესად იმით იყო განპირობებული რომ არ იყო დაუმუშავებული ხარისშებლას რესურსების განსაზღვრის მათემატიკურად უზრუნველყოფილი და მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდი. ამის გამო განუსაზღვრელია ხარისშებლას ნედლეულის, ცალკეული რეგიონებისა და უბნების მიხედვით, საექსპლუატაციო მარაგები. აქედან გამომდინარე ხარისშებლას ნედლეულის დამზადების დაგეგმვა არ ემყარება მისი რესურსების ფაქტობრივი მდგომარეობის საფუძვლებს. გარდა ამისა, დღემდე ხარისშებლას მხოლოდ ექსპლუატაციას ეწევიან სხვადასხვა სახის გაურკვეველი დამამზადებლები

და მის კვლავწარმოებაზე კი არავინ ფიქრობს, რის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი ისიცაა, რომ დამუშავებული და მეცნიერულად დასაბუთებული არაა, ხარისშებლას რესურსების კვლავწარმოების, პროგრესული ტექნოლოგიური პროცესები, თუმცა აღსანიშნავია, რომ ზოგი რამ უკვე გაკეთდა ხარისშებლას კულტივირების საფუძვლების დასამუშავებლად, მაგრამ ჯერ ერთი, იგი სრულებითაც საკმაო არაა და მეორეც, არსებულ რეკომენდაციებს ამ მიმართებით არცერთი დამამზადებელი ორგანიზაცია არ იყენებს და ამის მომთხოვნაც პრაქტიკულად არავინაა. სამკურნალო მცენარეების ზონალური სადგურის მიერ დამუშავებული მითითებები ხარისშებლას რესურსების კვლავწარმოებაზე სრულყოფასა და შემდგომ დახვეწა მეცნიერულ დასაბუთებას საჭიროებს. ყოველივე ზემოაღნიშნული-სა და ბევრი სხვა გარემოებების გამო ხარისშებლა ბევრგან განადგურება-

გადაშენების ზღვარზე აღმოჩნდა, რამაც მისი წითელ წიგნში შეტანა განაპირობა. ამ ფაქტებს თავისი შესატყვისი კორექტივები უნდა შეეტანა ხარისშუბლას ექსპოატაციისა და მისი რესურსების კვლავწარმოების ტემპებსა და რაოდენობრივ მაჩვენებლებში, რაც სამწუხაროდ, გარკვეულ გარემებათა გამო, არ მოხდა და იგი გარკვეულწილად ხარისშუბლას შესახებ რესურსების, მეცნიერული ცოდნის თავმოურელობამ და მისი ბუნებრივი განახლების ხელშემწყობ ღონისძიებების დაუმუშავებლობამ, ფართო მასშტაბით პრაქტიკაში დაუნერგაობამაც განაპირობა.

აღწერილი მდგომარეობა მთელი დამაჯერებლობით ასაბუთებს საკითხის აქტუალურობას და მისი დამუშავების გადაუდებლობას.

ის უმთავრესად ხარისშუბლას რესურსების განსაზღვრის მათემატიკურად უზრუნველ-ყოფილი, მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდის დამუშავებას გულისხმობს, რაც ესოდენ აუცილებელია მისი რესურსების მახასიათებლების ცოდნაში მოყვანის თვალსაზრისით. კვლევის მიზნებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ხარისშუბლას ცენოტური პოზიციების განსაზღვრას ედაფოკლიმატური, ცენოტური და ანთროპოგენური ფაქტორების ზეგავლენასთან დაკავშირებით, რაც უშუალოდ გავლენას ახდენს ხარისშუბლას რაყების ბიოლოგიურ პროდუქტიულობაზე. ამასთან, გათვალისწინებული იყო ხარისშუბლას ბუნებრივი გავრცელების საზღვრებში ბუნებრივი განახლების პროცესზე ხელშემწყობი ტექნოლოგიური პროცესების დამუშავება, ხარისშუბლას რაყებით სარგებლობის რაციონალური ტექნოლოგიური პროცესების დახვეწა, მათი გამოყენებისა და სვენებითი პერიოდების დადგენა.

2. პრობლემის დამუშავების არჩეული მიმართულებისა და მეთოდის მეცნიერული დასაბუთება

მცენარულ ასოციაციებში ხარისშუბლას ინდივიდუუმების მონაწილეობის ხარისხის დასადგენად საყოველთაოდ აღიარებული აღრიცხვის საზოგადოებრივი (მარშრუტული) პროექციული დაფარულობის განსაზღვრის მეთოდებით სარგებლობენ. აღრიცხვის ხაზობრივი მეთოდის საიმედობის ასამაღლებლად, კერძოდ, ხარისშუბლას მცენარულ ასოციაციებში ხდომილების განსაზღვრისათვის გამოიყენება რაუნკიერის ობიექტური მეთოდი, რომელიც ზუსტ რაოდენობრივ მაჩვენებლებს იძლევა ფიტოცენოზური ერთეულების შედარება-შეფასებისათვის (რაუნკიერი, 1918).

ამ მეთოდის გამოყენებით სახეობრივი შემადგენლობის გამოვლენა ხდება 0,1 მ² სააღრიცხვო ბაქნების სერიული გამოყოფით (25-50 ცალის რაოდენობით თითოეულ სანიმუშო ფართობზე), რომელთა მეოხებითაც გამოიანგარიშება თითოეული სახეობის მცენარის ხდომილების პროცენტი.

სააღრიცხვო სტატისტიკურ ბაქნებს შემდეგნაირად გამოვყოფდით: ცალკეული მცენარული ფორმაციის ფართობზე გავლით ბაქნების გამოყოფას ვახდენდით ნიადაგში ჯოხის ჩარჭობით, რომელზედაც ჩამაგრებულია მეტალის მავთულის ნაჭერი, რომლის სიგრძეც იმ ბაქნის რადიუსის ტოლია, რომელიც 0,1 მ² ფარდობის წრეს შემოხაზავდა. ბაქნების გამოყოფას ვახდენდით ყოველი ორი ნაბიჯის შემდეგ სანიმუშო ფართობების ტრანსექტებზე გავლით. რაუნკიერის ხსენებული მეთოდით ფორმაციის განსაზღვრა ვახდენდით დომინანტი სახეობების მიხედვით (ხდომილების უმაღლესი კლასის მქონე (81-100%) სახეობების მიხედვით).

ეს მეთოდი თავისი ობიექტურობით გამოირჩევა და მექანიკური შერჩევის წესით სავსებით საიმედო მასალას იძლევა სტატისტიკური დამუშავებისათვის, როგორც

შალვა ხიდაშელი, კანო კაკუნიძე

რაოდენობრივად, ასევე ხარისხობრივად (ალექსანდროვა, 1969).

ხარისშუბლას ფიტომასის განსასაზღვრავად ვიკლევდით მისი ინდივიდიუმების სიმსხოს, სიმაღლის, წონის (ნედლ და ჰაერშრალ მდგომარეობაში), შამბდგომის სიხშირეს.

სააღრიცხვო მაჩვენებლების: ხარისშუბლას ინდივიდიუმთა რაოდენობას ფიტოცენოზებში, მისი წონის სიმსხოსა და სიმაღლის ამონაკრებთა რეპრეზენტატულობას ვაღწევდით ხარისშუბლას ინდივიდიუმების მექანიკური შერჩევით, მისი ადგილსამყოფლის ნაირგვარ პირობებში.

დღემდე სამკურნალო მცენარეების რესურსების დასადგენად მკვლევართა დიდი ნაწილი 1მ² ფართობის სააღრიცხვო ბაქნების გამოყოფით კმაყოფილდება, რაც საკმაოდ შრომატევადი, ნაკლებზუსტი და რაც მთავარია მათემატიკურად დაუსაბუთებელია (ბორისოვა, შრეტერი, 1966; კრილოვა, შრეტერი 1971; პინემოვა, ეფრემოვი 1984; კრილოვა, ტემბალია 1978 და სხვა).

ამიტომ ხარისშუბლას ფიტომასის განსაზღვრისათვის უფრო მნიშვნელოვანია მისი ინდივიდიუმების მორფომეტრიული მაჩვენებლების ურთიერთდამოკიდებულების კანონზომიერებების დადგენა და შამბდგომის სიხშირის მნიშვნელობის განსაზღვრა, რომელთა მჭიდრო და საკმაოდ მაღალი კორელაციური კავშირი ფიტომასის მაჩვენებელთან გვიმტკიცებენ მათი კვლევის პრიორიტეტულობას.

თემის დამუშავების პერიოდში მეცნიერულად დასაბუთდა კვლევის პროგრამა, მიზნები, ამოცანები, მეთოდოლოგია და უმთავრესი მიმართულებები.

რეკონოსტირების მასალების საფუძველზე განისაზღვრა სამეცნიერო კვლევის ყველაზე უფრო პერსპექტიული რეგიონები და მათ ფარგლებში ყველაზე დამახასიათებელი რაიონები და აგარაკები.

თემასთან დაკავშირებით დამუშავდა ლიტერატურული წყაროები (350 ტომი) და საუწყებო ოპერატიული მასალები (75 ტომი), - ბაკურიანში: „ძველი ელიას“, „ციხიჯვარის“, „დიდველის“, „გადაღმის“ ხულოში: „კენჭისაყარის“, „სამსმელოს“ ბოდიშისა და გოდერძის გადასასვლელთა შემოგარენის, ბეშუმის; ადიგენში: ღაღვის სატყეო უბნის „სალაშქროს“ აგარაკებში, აგრეთვე, ზეკარის გადასასვლელის მიმდებარე უბნებში რეკონოსტირებული და შემდგომ გამოკვლეული იქნა ხარისშუბლას რაყები ნაირგვარ მცენარეულ ფორმაციებსა და ასოციაციებთან დაკავშირებით. გამოიყო და დამუშავდა 105 სანიმუშო ფართობი, რომელთა ფარგლებშიც ჩადებული და გამოკვლეული ერთი მ. სიგანის ტრანსექტების საერთო სიგრძემ 7875 მ. შეადგინა. სააღრიცხვო სტატისტიკური ბაქნების რიცხვმა 5250 ცალი შეადგინა. ხარისშუბლას ინდივიდიუმების მორფომეტრიული გაზომვების საერთო რიცხვი 9610 ერთეულით განისაზღვრა.

ფაქტობრივი მასალების საფუძველზე, კამერალურ პირობებში შედგენილი ვარიაციული მწკრივების მიხედვით, ძირითადი სტატისტიკური მონაცემების დამუშავება პერსონალური ელექტროგამომთვლელი მანქანის - „რობოტრონ 1715-ის“ გამოყენებით განხორციელდა. მიღებული საშუალო მაჩვენებლების ბაზაზე მთელი მასალა დაჯგუფდა ხალიშუბლას საარსებო გარემო პირობების თავისებურებების მიხედვით და ჩამოყალიბდა ვარიაციული მწკრივები საშუალო მაჩვენებლების გამოყენებით, რომლის მიზანიც იყო ხარისშუბლას ინდივიდიუმთა მორფომეტრიული მონაცემების ურთიერთკავშირის კანონზომიერებების გამოვლენა-გამოთვლა. საამისოდ გამოყენებულია ნაირგვარი მათემატიკური მოდელები, რომელთაგანაც შეირჩა ყველაზე მისაღები, რომელმაც ნათლად განსაზღვრა ფაქტობრივი მასალების თავისებურებების რეალიები.

შევადგინეთ შესაბამისი ცხრილები და განხორციელდა მათი ციფრობრივი მასალის ანალიზი.

ყოველივე აღნიშნულმა საშუალება მოგვცა განგვესაზღვრა ხარისშუბლას რესურსების დადგენის მეთოდი შესაბამისი მათემატიკური უზრუნველყოფითა და ამ მიზნით შეგვედგინა პრაქტიკოსებისათვის გამოსაყენებელი ცხრილები ხარისშუბლას რესურსების დასადგენად, რაც სიახლეს წარმოადგენს და მნიშვნელოვნად გაზრდის ტაქსატორების, ეკონომისტების, მგეგმავების, პროექტანტებისა და დამზადებაზე მომუშავე სპეციალისტების შრომის ნაყოფიერებასა და რაც მთავარია, შესაბამის სიზუსტეს.

საკითხის მდგომარეობა - ხარისშუბლას და მისი თანამზარდი სუბალპური შამშის შემადგენელი სხვა სახეობების ფლორისტული თავისებურებები ვრცლად და მრავალმხრივ აქვს დახასიათებული რ.ი. გაგნიძეს (1960). ტყის ზედა საზღვრის მიმდებარე სივრცეებში მცენარეულობის გეოგრაფიული ნაირგვარობის დახასიათების მასალებში ა.გ. დოლოუხანოვს (1966) აღწერილი აქვს ხარისშუბლას ცენტური პოზიციები.

ხარისშუბლას ნედლეულის რესურსების განსაზღვრის მცდელობის კუთხით საინტერესო მონაცემებია ფიქსირებული დ.ა. მურავიოვასა და მ.მ. მოლოდოჟნიკოვის (1968) ნაშრომში, სადაც საქართველოსა და ნაწილობრივ ჩრდილო კავკასიის მაგალითზე მოცემულია ხარისშუბლას ფესვურების, როგორც სამკურნალწამლო უმნიშვნელოვანესი ნედლეულის საორიენტაციო რაოდენობრივი მაჩვენებლები და ასევე მისი საორიენტაციო საექსპლუატაციო მარაგი. ეს მასალა თავისთავად საინტერესოა, მაგრამ რესურსების განსაზღვრის მეთოდი მათემატიკურად უზრუნველყოფილია არცთუ სავსებით დამაკმაყოფილებლად (შ. ხიდაშელი, ი. წითლიძე, კ. ხიდაშელი, 1992), ამიტომ

შრომში ფიქსირებული ციფრობრივი მასალაც შესაბამისად სიზუსტით ნაკლებად გამოირჩევა და თვალზომიერობის ზღვარს არ სცილდება. რაც შეეხება ხარისშუბლას მიწისზედა ნაწილების რესურსების განსაზღვრის წესს, დღემდე ეს საკითხი ძალზე სუსტადაა შესწავლილი, მათემატიკური სიზუსტით დამუშავებული ასეთი მეთოდი კი ჯერ კიდევ სამეცნიერო ლიტერატურაში არ მოგვეპოვება.

სამკურნალო მცენარეების ა/კ ზონალური სადგურის მიერ (ნაკაიძე და სხვ., 1985) მიერ ჩატარებული რესურსებრივი გამოკვლევებით (ვიზუალური მეთოდის გამოყენებით) მთელი რიგი რეგიონის მაგალითზე, დაფიქსირებულია, მართალია, არცთუ ზუსტი, მაგრამ საკმაოდ საინტერესო რესურსებრივი დახასიათებლები შუახევის, ხულოს, ბორჯომის, ოზურგეთის, ქობულეთის, ჩოხატაურის, ბაღდადის, ვანის, ადიგენის, ხაშურისა და ახალციხის რაიონების მიხედვით. საყურადღებოა ამავე სადგურის მიერ დასაბუთებული ხარისშუბლას კულტივირების ტექნოლოგიური პროცესები და მისი ინტენსიფიცირების გზები, რომლებიც, მართალია, გარკვეულ შენიშვნებს იმსახურებს, მაგრამ ამ მიმართებით მუშაობის გაშლის ბაზისად, აუცილებელი კორექტირების შემდეგ, უდავოდ სასარგებლოა (სამკურნალო მცენარეთა კულტურაში მოყვანის საკითხზე ქვემოთაც გვექნება საუბარი).

სამკურნალო მცენარეებში არსებული ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების რაოდენობა (ალკალოიდები, გლიკოზიდები, ეთერზეთები და სხვა) მნიშვნელოვნად იცვლება ეკოლოგიური ფაქტორების, სასუქების, წინამორბედი კულტურების, ნიადაგის ტენიანობისა და ამინდის პირობების ზეგავლენით, მაგრამ ფილოგენეზში გამომუშავებული განსაზღვრული ბიოქიმიური პროცესების საერთო მიმართულება შემოინახება

ამა თუ იმ მცენარის მკვეთრად განსხვავებულ პირობებში გადატანის შემთხვევებში (ნ.პ. პერეჩენკო, 1965).

სამკურნალო მცენარეების დამზადება-შრობის ტექნოლოგიური პროცესებისადმი მიძღვნილი შრომებიდან აღსანიშნავია ი. ლ. კრილოვასა და ე.ფ. მიხაილოვას (1968) ინსტრუქციული ნაშრომი სარაცინშემცველი რომბისებრფოთლებიანი ხარისშუბლას *{(Senecio rombifolius (wild.) Sch. Bip)}* ფესვურების დამზადებაზე. ხარისშუბლას ფესვურებისა და მიწისზედა ნაწილების დამზადება-შრობის თაობაზე ინტერესს იმსახურებს მ.მ. მოლოდოჟნიკოვის, დ. ა. მურავიოვასა და ს.დ. კურის (1968) მიერ შედგენილი ინსტრუქცია.

გამოკვლევებით დადგენილია, რომ განსხვავებული გეოგრაფიულ ობიექტებში არსებული ხარისშუბლას რაყები პლატიფილინის ნაირგვარი რაოდენობრივი შემცველობით ხასიათდება. ცხადია, ეს უპირველეს ყოვლისა ხარისშუბლას სახეობის შიგნით არსებული ნაირგვარი სახესვაობებისა და რასების არსებობით უფრო უნდა იყოს განპირობებული (პიმენოვი, ხონტოვა, ლესკოვა, შრეტერი, 1969; მურავიოვა, მოლოდოჟნიკოვი, 1968).

ხარისშუბლას სარაცინშემცველი სახესვაობის პიატიგორსკის ფარმაცევტული ინსტიტუტის ბაღში დანერგვა-კულტივირებით გაირკვა, რომ არსებითად უცვლელი დარჩა მისი ბიოქიმიური შემადგენლობა ბუნებრივ რაყებთან შედარებით, (მურავიოვა, მოლოდოჟნიკოვი, 1968). ეს ფაქტი იმის რწმენას გვიმტკიცებს, რომ ველურად მოზარდი სამკურნალო მცენარეების კულტივირებით ხშირად შესაძლებელია ბიოქიმიური შემადგენლობის სტაბილურობის არა მარტო შენარჩუნება, არამედ ზოგჯერ მათი გაუმჯობესებაც კი, ამა თუ იმ ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერების შემცველობის რაოდენობრივი გაზრდით.

მრავალწლოვანი სამკურნალო მცენარეების ფართობის ერთეულზე დგომის დიდი სიხშირე (ინდივიდიუმთა ერთმანეთთან ახლო, მჭიდრო დგომა) ხშირათ მათი ზამთრის სიცივეებისადმი მედეგობისა და ხანგრძლივ სიცოცხლისუნარიანობის განმაპირობებელია. როგორც ჩანს, ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ხარისშუბლას ხშირი რაყები ყოველთვის უკეთ გადაიზამთრებს ხოლმე, გამეჩხრებულ რაყებთან შედარებით. ამ ფაქტის უპირველესი ისაა, რომ ხშირ რაყებში ზამთრის დასაწყისში პირველი თოვლის მოსვლისთანავე მყარი საკმაოდ სქელი თოვლის საფარი ფორმირდება, რომელიც ხარისშუბლას სასიცოცხლო ჩანასახებს, ფესვურების კვირტებს, საიმედოდ იცავს წაყინვებისაგან.

როგორც სამკურნალო მცენარეების უმეტესობა, ხარისშუბლაც, მცენარეულ თანასაზოგადოებაში არცთუ იშვიათად სექტორის დაქვემდებარებულ როლს ასრულებს (ნ. ა. ბორისოვა, კ.ფ. ბლინოვა, 1968) და ხშირად იმ ცენოზების დაცვასაც კი საჭიროებს, რომელთანაც იგია შერეული. ალბათ ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ხარისშუბლა საკმაოდ მტკიცე ცენოტური პოზიციებით დეკიანებში, სუბალპურ ტანბრეცილი დაბალი სიხშირის კორომებსა და კავკასიური მოცვის რაყებში გამოიჩევა.

ჩვენთვის ხელმისაწვდომ ლიტერატურულ წყაროებში არ მოიპოვება მასალები ხარისშუბლას რაყებზე ანთროპოგენური ფაქტორების გავლენით გამოწვეულ ცვლილებათა შესახებ, მათი დაკნინების ხარისხის ჩვენებით და გადაშენების ზღვარზე მიყვანის განპირობებული კონკრეტული ფაქტების დახასიათებით, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ ზოგად ცნობებს, რომლებიც საქართველოს წითელ წიგნშია დაფიქსირებული.

ალ.ა. ფიოდოროვის (1965) მტკიცებით დიდი შეკრულ საბურველიან რაყებს ქმნის,

რაც სარეველების წინააღმდეგ ბრძოლის წარმოების აუცილებლობას გამორიცხავს.

ჩვენი გამოკვლევების შედეგები ასეთივე მდგომარეობის აღნიშვნის შესაძლებლობას იძლევა ხარისშუბლას საბურველშეკრული რაყების მიმართ, განსაკუთრებით *Senecio platyphylloides* Somm. Et Lev. რაყების მიმართ. ხარისშუბლას დომინანტობით ფორმირებულ ნაირგვარ ასოციაციებში იგი ძლიერი კონკურენტუნარიანობითა და მტკიცე ცენოტური პოზიციებით გამოირჩევა და ამ შემთხვევაში მასთან თანამზარდი უმეტესი სხვა სახეობის ბალახები და დაბალტანოვანი ბუჩქები ასექტორის დაქვემდებარებულ როლს სჯერდება (დეკა, მელიქაური, კავკასიური მოცივი და სხვა.)

სამკურნალო მცენარეების რესურსებრივი დახასიათებისა და რესურსების განსაზღვრის მეთოდები აღწერილია მრავალი ავტორის შრომებში (ბორისოვა-შრეტერი, 1966; ბორისოვა-ტოკარევა-კუზნეცოვი, 1982; კრილოვა-შრეტერი, 1971; კუზნეცოვა-კლიაზნიკოვა-შრეტერი და სხვ. 1974; კრილოვა, 1989; საუტინ-ბურაკი, 1984; და სხვ.). ნიშანდობლივია, რომ ზოგიერთ ავტორთა მიერ ჩატარებული საცდელ-ეკსპერიმენტული კვლევები თითქმის იდენტური მეთოდოლოგიური მიმართულებებით ხასიათდება, მაგრამ მიღებული შედეგების უმეტესობა მკვეთრად განსხვავებულ, არაზუსტ და დიდ შრომატევადობასთანაა დაკავშირებული.

3. ხარისშუბლას ნედლეულის რესურსებრივი დახასიათება და ფაქტობრივი მასალის ანალიზი

ცნობილია, რომ ცალკეულ ფიტოცენოზში მონაწილე სახეობების ცენოტური პოზიციების განსაზღვრაში კონკრეტული სახეობის ხდომილების პროცენტის დადგენას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს მის სიუხვესთან (ინდივიდიუმთა რაოდენობასთან) ერთად.

ხდომილების პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით გეობოტანიკოსები მასალების

ხუთ კლასად ყოფენ შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

81 – 100% ძალიან მაღალი ხდომილება

61 – 80% მაღალი

40 – 60% საშუალო

31 – 40% დაბალი

1 – 20% ძალიან დაბალი

ამ კრიტერიუმის გათვალისწინებით ბაკურიანის „ძველი ელიას“ აგარაკის გამოკვლევულ ცენოკომპლექსებში ხარისშუბლას ხდომილების პროცენტული მაჩვენებლები მაღალია (64.1%), ასევე მაღალია იგი ხულოს რაიონის „სამსმელოს“ აგარაკის სამხრეთ ექსპოზიციის ფერდობზე (70%).

ხდომილების ძალიან მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა „სამსმელოს“ აგარაკის ჩრდილო ექსპოზიციის ფერდობები (85-90%).

ხდომილების 64.1%-ის დროს „ძველ ელიაზე“ ხარისშუბლას ინდივიდიუმთა სიუხვე (რაოდენობა) 25.1%-ს არ აღემატებოდა, „სამსმელოს“ სამხრეთ ექსპოზიციის ფერდობებზე ხდომილების 70%-ის დროს ხარისშუბლას სიუხვე 77.89%-ით განისაზღვრებოდა, ხოლო ამავე აგარაკის ჩრდილო ფერდობებზე კი 85% ხდომილების დროს ხარისშუბლას სიუხვე 62.1 %-ს შეადგენდა. სამხრეთ-დასავლეთ ექსპოზიციის ფერდობზე 90% ხდომილების შემთხვევაში სიუხვე 62,2%-ს არ აღემატებოდა. მოყვანილი მონაცემები იმაზე მიგვანიშნებს, რომ ხარისშუბლას ცენოკომპლექსებში ხდომილებისა და სიუხვის მაჩვენებლები პირდაპირ და მჭიდრო კორელაციაში არაა, რადგან ხდომილების მაღალი ან ძალიან მაღალი კლასის შემთხვევაში სიუხვის მაჩვენებლები რამდენადმე დაბალია. ეს იმას ნიშნავს, რომ ხდომილების მაჩვენებელი არასაკმაო სახეობის ცენოტური პოზიციების დასადგენად. საამისოდ აუცილებელი ხდება გამოსაკვლევი სახეობის პროპორციული დაფარულობის მაჩვენებლების განსაზღვრა (ცხრ. 3.1).

სამსმელო მცენარე ხარისშულას (*Senecio platyphylloides* Somm. Etlev.S.Lev.) ბუნებრივი გავრცელების...

ცხრილი 3.1

ხარისშულას ფესვთანი ფოთლების ხდომილების, სიუხვისა და პროექციული დაფარულობის მაჩვენებლები

კვლევის ადგილი	ხდომილება %	სიუხვე %	რაოდენობა 1 მ ² -ზე	რაოდენობა 13ა-ზე კვ.	ერთი ინდივიდიუმის პროპორცია, მ ²	პროპორციული დაფარულობა 1 ჰექტარზე %
„ძველი ელია“	64.1	25.10	34.70	34 700	0.01	3.47
„სამსმელო“ სამხ-დას. ექსპოზიცია	90.0	62.20	44.0	44 000	0.03	13.20
„სამსმელო“ სამხ. ექსპოზიცია	70.0	77.89	79.6	79 600	0.01	7.96

ცხრილ 3.1-ში ფიქსირებული მონაცემები იმაზე მიგვანიშნებს, რომ ხდომილებისა და სიუხვის მაღალი მაჩვენებლები ჯერ კიდევ არ ნიშნავს სახეობის ცენტრული პოზიციების სიმტკიცეს. დიდ მნიშვნელობას იძენს სახეობის პროექციული დაფარულობის ხარისხი, რაც თავის მხრივ პირდაპირ დამოკიდებულებაშია ინდივიდიუმთა რაოდენობასა და მათი პროექციების ფართობთა ჯამის სიდიდეზე. ამ ცხრილიდან ისიც ირკვევა, რომ ინდივიდიუმთა დიდი რაოდენობა ფართობის ერთეულზე, ხდომილებისა და სიუხვის მაღალი მაჩვენებლები თავისთავად საბოლოოდ არ განსაზღვრავს პროექციული დაფარულობის მაღალ მაჩვენებლებს. იგი დამოკიდებულია ინდივიდიუმთა პროექციის საშუალო ფართობის სიდიდეზე, ერთი საშუალო ინდივიდიუმის პროექციის ფართობის სიმცირის შემთხვევაში, მიუხედავად ხდომილების სიუხვისა და ინდივიდიუმთა რაოდენობის მაღალი მაჩვენებლებისა პროექციული დაფარულობა მაღალი არაა. მაშინ კი, როდესაც პროექციის ფართობი დიდია იმავე რაოდენობის ან რამდენადმე მცირე რიცხოვრივობის შემთხვევაშიც პროექციული დაფარულობის მაჩვენებლები იდენტურთან ახლოა, ან ყოველ შემთხვევაში, არსებით განსხვავებას არ იძლევა. ამრიგად, სახეობის ცენტრული

პოზიციის სიმტკიცე, მრავალ მაჩვენებელზეა დამოკიდებული (ხდომილება, სიუხვე, ინდივიდიუმთა პროექციის ფართობის სიდიდე და ინდივიდიუმთა რაოდენობა ფართობის ერთეულზე).

ხარისშულას რესურსების პროდუქტიულობა ფართობის ერთეულზე ინდივიდიუმთა რაოდენობასთან ერთად დიდადაა დამოკიდებული ცენოპოპულაციის შემადგენელი ინდივიდიუმების მორფომეტრულ მახასიათებლებზე, კერძოდ, სიმსხოსა და სიმაღლეზე. ამიტომ ხარისშულას რაყების პროდუქტიულობის კვლევისას დიდ მნიშვნელობას იძენს მათი სტრუქტურული თავისებურებების კვლევა ხსენებული მორფომეტრიული ნიშნების მიხედვით.

ხარისშულას რაყების სტრუქტურა ინდივიდიუმთა სიმაღლეების საფუძვრების მიხედვით იმ თავისებურებით გამოირჩევა, რომ „სამსმელოს“ აგარაკში კარგად დრენირებულ, ტენიან ნიადაგზე (60-65%) ხარისშულას რაყების სტრუქტურაში დომინანტური მდგომარეობა 120 და 150 სმ. სიმაღლის ინდივიდიუმებს უკავია, გამოკვლეული 62 ინდივიდიუმიდან რვა-რვა ძირი აღნიშნულ სიმაღლეებზე მოდის. საკმაოდ მავალრიცხოვანია 160 სმ სიმაღლის ინდივიდიუმთა რაოდენობაც (შვიდი ძირი). დახასიათებულ სიმაღლეებზე უფრო მაღალი

და დაბალი ინდივიდიუმების რიცხვი აშკარად დაბალია.

ხარისშუბლას რაყების სტრუქტურა ინდივიდიუმთა სიმაღლეების საფუძვრების მიხედვით იმ თავისებურებით გამოირჩევა, რომ „სამსმელოს“ აგარაკში კარგად დრენირებულ, ტენიან ნიადაგზე (60-65%) ხარისშუბლას რაყების სტრუქტურაში დომინანტური მდგომარეობა 120 და 150 სმ. სიმაღლის ინდივიდიუმებს უკავია, გამოკვლეული 62 ინდივიდიუმიდან რვა-რვა ძირი აღნიშნულ სიმაღლეებზე მოდის. საკმაოდ მრავალრიცხოვანია 160 სმ სიმაღლის ინდივიდიუმთა რაოდენობაც (შვიდი ძირი). დახასიათებულ სიმაღლეებზე უფრო მაღალი და დაბალი ინდივიდიუმების რიცხვი აშკარად დაბალია.

საგულისხმოა ხარისშუბლას რაყების სტრუქტურის თავისებურებები სიმსხოს საფუძვრების მიხედვითაც, გამოვლინდა, რომ მსხვილი ინდივიდიუმების რაოდენობის მიხედვითაც მდიდარია კვლავ „სამსმელოს“ აგარაკის რაყები. 16 და 20 მმ სიმსხოს ინდივიდიუმები აქ ყველაზე დიდი რაოდენობით აღირიცხა.

რაც შეეხება „ძველი ელიასა“ და „კენჭისაყარის“ აგარაკებს, პირველ შემთხვევაში, ნიადაგი საკმაოდ ნოყიერი და ზომიერად მშრალია, მაგრამ ხანგრძლივი ძლიერი ექსპლუატაციის გავლენით ხარისშუბლას რაყებს დაკნინების აშკარად გამოხატული ნიშნები აქვს. აქ 150 სმ-ზე მაღალი ინდივიდიუმები საერთოდ არაა, ხოლო სიმსხოს მიხედვით კი 12 მმ დიამეტრის მქონე ინდივიდიუმები დომინანტობს. „კენჭისაყარის“ აგარაკი ზომიერად მშრალი ადგილსამყოფელია და აქაც დომინანტური მდგომარეობა 150 სმ სიმაღლის ინდივიდიუმებს უკავია, სიმსხოს მიხედვით კი ყველაზე დიდი რაოდენობით 12 მმ სიმსხოს ინდივიდიუმებია წარმოდგენილი. ყოველივე აღნიშნული თვალნათლივ გვიმტკიცებს „ძვე-

ლი ელიასა“ და „კენჭისაყარის“ ხარისშუბლოს რაყების მნიშვნელოვნად დაკნინების რეალობას. დაკნინების ნიშნები ორივე შემთხვევაში საკმაოდ რელიეფურადაა გამოხატული, რის დასტურიცაა ზემოთ განხილული მიკროფოტომეტრიული მაჩვენებლების ზღვრული სიდიდეების ხვედრითი წონის დონეთა მნიშვნელოვანი სხვაობით საშუალო სიდიდეებთან შედარებით. ყოველივე ეს კი ხარისშუბლას რაყების მრავალწლიური ძლიერი ექსპლუატაციის შედეგია და დროული და ეფექტური რონისძიებების გატარების გარეშე ხსენებულ აგარაკებში შეუძლებელი გახდება ხარისშუბლას რაყების პროდუქტიულობის მნიშვნელოვანი გაზრდა.

ხარისშუბლას მორფომეტრიული მაჩვენებლების ანალიზით ირკვევა, რომ მათ განმსაზღვრელი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეთ ინდივიდიუმთა მასასა და მოსავლის საერთო რაოდენობაზე (ცხრ. 3.2).

3.2 ცხრილში მოცემული ხარისშუბლას ნიმუშების საანალიზოდ აღების ადგილები განსხვავებული ეკოლოგიური პირობებით გამოირჩევა. კერძოდ, „ძველი ელია“ და „კენჭისაყარი“ ზომიერად მშრალია, ხოლო „სამსმელო“ კი ნესტიანია, მაგრამ კარგად დრენირებული ნიადაგით. ცხრილის ციფრობრივი მასალა გვიჩვენებს, რომ ეკოლოგიური თავისებურებები გავლენას ახდენს ხარისშუბლას ინდივიდიუმთა როგორც მორფომეტრიულ, ასევე მასის მაჩვენებლებზეც. ზომიერად მშრალ გარემო პირობებში ხარისშუბლას სიმსხო საშუალოდ 8.51 – 8.93 მმ ფარგლებში მერყეობს, საშუალო სიმაღლე კი 134.69 სმ-ია. ამისდაშესაბამისად ხარისშუბლას ნედლი ბალახის მასა საშუალოდ 35.67 გრ-ზე მეტი არაა, ნესტიან პირობებში კი ხარისშუბლას ინდივიდიუმები საკმაოდ დიდ ზომებს აღწევს, კერძოდ, სიმსხო საშუალოდ 14.48 მმ-ს შეადგენს, სიმაღლე 145.94 სმ. საშუალო ინდივიდიუმის ნედლი მასა 58.61 გრ-ით განისაზღვრება.

ცხრილი 3.2

ხარისშებლას მორფომეტრიული და წონითი მახასიათებლების ურთიერთკავშირის მონაცემები

მორფომეტრიული და წონითი მაჩვენებლები	ნიმუშების ადგილები					
	“ძველი ელია”		“სამსმელი”		“კენჭისაყარი”	
	ნედლი	ხმელი	ნედლი	ხმელი	ნედლი	ხმელი
ფესვის ყელის დიამეტრი, მმ.	8.93± 0.34	---	14,48 ± 0,52	---	8.51 ± 0.30	---
სიმაღლე, სმ.	124.42 ± 3.63	---	145,94 ± 3,25	---	134.69 ± 2.87	---
წონა, გ.	29.0±± 3.47	13,65 ± 0,92	58,61 ± 4,82	17,54 ± 1,50	35.67 ± 2.28	18.46 ± 1.56
წონითი დანაკარგი ხმობის შემდეგ, გ/%	***	<u>15,35</u>	***	<u>41.07</u>	***	<u>17.21</u>
	***	53,0	***	70.07	***	48.22

თვალში საცემია ის გარემოება, რომ გამოშრობის შედეგად ნესტიან ადგილზე შეგროვილი ბალახის წონითი დანაკლისი გაცილებით დიდია (70.07%) ზომიერად მშრალ ადგილებში შეგროვილ ბალახთან შედარებით (50.61%). ამრიგად, დადგენილია, რომ ნესტიან ადგილებში ხარისშებლას შეგროვება მნიშვნელოვან წონით დანაკარგებთანაა დაკავშირებული ნელდლეულის ხმობის პროცესში, რაც დამამზადებლებისათვის არცთუ ინტერესმოკლებული უნდა იყოს.

ცნობილია, რომ ხარისშებლას ორგანოებიდან ალკალოიდ პლატიფილინს ყველაზე დიდი რაოდენობით მისი ფესვურები შეიცავს (არა უმეტეს 0.5%-სა), რომლების დამზადებაც კარგა ხანია აკრძალულია. მიწისზედა ნაწილებიდან პლატიფილინს უფრო მეტი რაოდენობით ფოთლები შეიცავს (არაუმეტეს 0.2%-სა), ამიტომ ფოთლების შენარჩუნებას ხმობის პროცესში უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. ხმელ მასაში ფოთლების წონის ხვედრითი წილი 23-26% ფარგლებშია. დამამზადებელთა აბსოლუტური უმრავლესობა ხარისშებლას ნედლეულის გამოშრობის მეტად პრიმიტიულ, ყოვლად არარაციონალურ ტექნოლოგიას - ღია ცის ქვეშ შრობის მამაპაპურ მეთოდს

იყენებს, რაც ძალიან დიდ დანაკარგებსა და ნედლეულის ხარისხობრივ გაუფასურებასთანაა დაკავშირებული. ჯერ ერთი, ღია ცის ქვეშ გამშრალ ნედლეულზე უარყოფითად მოქმედებს როგორც მზის სხივები, ასევე წვიმები, რომლის დროსაც ბევრი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერების ნედლეულიდან გამორეცხვა-დაკარგვა და ამით ნედლეულის ხარისხის მკვეთრი გაუარესება ხდება. მეორე და რაც მთავარია, უკვე გამოშრალი ნედლეულის ფოცხებითა და ორთითებით შეგროვებისას ადვილად მსხვრევადი ფოთოლი მთლიანად იფშვნება და იკარგება, რაც როგორც უკვე აღინიშნა ხარისშებლას ხმელი მასის 23-26% შეადგენს. ესოდენ მაღალხარისხოვანი და მაღალპროდუქტიული მნიშვნელოვანი რაოდენობის ნედლეული დანაკარგი დიდად საზარალოა არა მარტო დამამზადებლებისათვის, არამედ გადამამუშავებელი წარმოებისათვისაც, რადგან მზა პროდუქტის გამოსავლიანობა ხმელი კაჭაჭიდან გაცილებით ნაკლებია, ფოთოლშენარჩუნებულ ხმელ მასასთან შედარებით.

ამ ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტების გაუთვალისწინებლობა დიდ ზიანს აყენებს არა მარტო დამამზადებლებსა და

ფარმაცოქიმიურ წარმოებას, არამედ, რაც მთავარია, ბუნების დაცვასაც, რადგან აღწერილ გარემოებათა გამო დამამზადებლები იძულებულნი არიან გაზარდონ ხარისშუბლას რაყების ექსპლუატაციის ინტენსივობა, რაც გარდაუვლად იწვევს ხარისშუბლას ცენოტური პოზიციების მკვეთრ დასუსტებას, მის დაკნინებასა და ბუნებრივი განახლების პროცესების ჩახშობას.

ცნობილია, რომ ხარისშუბლა ცოტად თუ ბევრად დიდფართობიან რაყებს სუბალპურ სარტყელში ქმნის არცთუ იშვიათად თავისი გაბატონებით, მაგრამ, უფრო ხშირად, იგი სხვა და სხვა ხარისხით მონაწილეობს სუბალპური შამბისა და ლიხის ცენოკომპლექსებში მთის შუა სარტყლისა და სუბალპური შამბის ისეთ სახეობებთან, როგორცაა *Senecio othanal*, *S. propiquus*, *Campanula lactiflora* (ცისფერყვავილა რასა), *C. latifolia*, *Gentiana cruciate* L., კატაბალახა (*Valeriana officinalis* L.), ჟოლო (*Rubus idaeus* L.), ჟანგოვანა, ფუტკარა (*Digitalis derruginea* L.), ბურა, დიმელა (*Petasttes albus* L.), გვიმრების ნაირსახეობები, [(*Dryopteris filix-mas* L. Schott; *Athyrium distentifolium* Taussch ex Opiz; *Dtyopteris oreades* Fomin; *D. dilatata* (Hoffm.) A. Gray)], დეზურა აღმოსავლური ტილჭირი (*Aconitum orientale* Mill.), ვარდკანაფა (*Euphorbia macroceras* L.), ლაშქარა (*Symphytum oddicinale* L.), ფოთოთი (ნემსიწვერა)-*Geranium sanguineum* L.), ტილჭირი (*Aconitum nasuyum* Fisch.), ტყის ჩიტისთვალა (*Asperula odorata* L.), ფარსმანდუკი (*Achillea millefolium* L.), შხამა (*Veratrum lobelianum* Bernh.), ნალველა ჯვრისებრი (*Gentiana cruciate* L.), ჯადვარი, გუგულის კაბა (*Orchis masculata* L.) თხაწართხალა (*Chamaenerium angistifolium* (L.) Scop), მთის შროშანა (*Convallaria transcaucasica* Utk.), მთის პიტნა (*Calamintha grandiflora* (L.) Moench), დიცი (*Heracleum sosnowvskkyi* Manden.) მთის წყალნაწყენი,

{(*Epilobium alpestre* (Jasq.) Krock.)}. ხარისშუბლა ძალიან ხშირად შერეულია პასტორალურ მაღალ ბალახებთანაც (ლოლო-*Rumex alpinus* L., ანწლი (*Sambucus ebulus* L., ჯინჭარი (*Utika dioica*) და სხვ.). ჩამოთვლილი სახეობების უმეტესობა ძალიან ფართო ეკოლოგიური დიაპაზონის მცენარეებია და გვხვდება მთის ქვედა სარტყელიდან დაწყებული თვით ალპურ სარტყელამდეც კი ცხადია, მათი ცენოტური პოზიციებიც ამასთან დაკავშირებით ნაირგვარია.

ხარისშუბლა ყველაზე მდგრადი ცენოტური პოზიციებით სუბალპურ სარტყელში გამოირჩევა (ზღვის დონიდან 1800 – 2200 მეტრის ფარგლებში). ამ სარტყლის ზემოთ და ქვემოთ მისი ცენოტური პოზიციები აშკარად შესუსტებულია და ასეთ გარემო პირობებში იგი უმეტესწილად ასექტორის დაქვემდებარებულ როლს ითავისებს, განსაკუთრებით ანთროპოგენური ფაქტორების ზეგავლენით.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია, ერჯერ კიდევ, იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ ხარისშუბლას ბიოლოგიური პროდუქტიულობა დიდადაა დამოკიდებული მის მორფომეტრიულ მახასიათებლებზე რთული შესამჩნევი არაა, რომ რაც მეტი რაოდენობაა ცენოზებში მსხვილი და მაღალი ინდივიდიუმები, მით მეტი ხარისშუბლას ბიოლოგიური პროდუქტიულობა, რასაც ქვემოთ მოტანილი 3.3 ცხრილის მონაცემებიც ადასტურებს.

კომენტარის გარეშე ვერ დავტოვებთ იმ დეტალსაც, რომ ხარისშუბლას ცენოზების ფორმირებაში გონივრული ჩარევით აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იქნეს მსხვილი და მაღალი ინდივიდიუმების რაოდენობის ოპტიმიზირება.

ვფიქრობთ, ყოველივე ზემოთ თქმულის მართებულობას, ჯეროვანი სისავსით ნათელყოფს სანიმუშო ფართობებზე შეკრებილი ფაქტობრივი მასალის მათემატიკური სტატისტიკის მეთოდების გამოყენებით

შალვა ხიდაშელი, კანო კაკუნიძე

დამუშავებული ხარისშობლას ფიტომასალისა და მორფომეტრიული მაჩვენებლების ურთიერთკავშირის მათემატიკური მოდელირების შედეგები (ცხრ. 3.4).

ხარისშობლას საველე ექპერიმენტალური ფაქტობრივი მასალების ელექტროგამომთვლელი მანქანა “პევმ“-ზე მათემატიკური სტატისტიკის მეთოდებით პირველადი დამუშავების შედეგად მიღებული საშუალო მორფომეტრიული მონაცემები (საშუალო დიამეტრი ფესვის ყელთან, საშუალო სიმაღლე და ფიტომასა), დავაჯგუფეთ ხარისშობლას რაყების ადგილსამყოფელების ეკოლოგიური პირობების მიხედვით და მის ბაზაზე შევადგინეთ ვარიციული მწკვრივები ხარისშობლას ფიტომასაზე მისი ინდივიდუუმების დიამეტრისა და სიმაღლის გავლენის ხარისხის დასადგენად, აგრეთვე თვით ინდივიდუუმების სიმაღლეებისა და დიამეტრების ურთიერთკავშირის გამოსავლენად.

ხარისშობლას ფესვის ყელის დიამეტრისა და სიმაღლის ურთიერთკავშირის დასადგენად გამოვიყენეთ ნაირგვარი ტიპის ზოგადი მათემატიკური მოდელები (კვადრატული და კუბური განტოლებების, მაჩვენებლიანი, ხარისხობრივი და სწორი ხაზის). მოტანილი ტიპების კავშირებიდან ყველაზე სარწმუნო შედეგები მოგვცა სწორი ხაზის განტოლებამ.

როგორც ცხრილი 3.4-ის ციფრობრივი მასალა გვიჩვენებს ყველა შემთხვევაში კორელაციის კოეფიციენტები (R_{x_1, x_2}) ექსპერიმენტალურ და გამოთვლილ მაჩვენებლებს შორის სწორი ხაზის განტოლებების გამოყენების შემთხვევაში 0.963-დან 0.999-მდე, მერყეობს, ხოლო სტიუდენტის კრიტერიუმი-(t) კი 4.3-დან – 45.6-მდე, რაც იმის დამადასტურებელია, რომ მიღებული შედეგები საიმედოა ალბათობის ხდომილების 95%-ის დონეზე.

ცხრილი 3.3

ხარისშობლას ინდივიდუუმთა საშუალო მორფომეტრიული მონაცემებისა და მისი ურთიერთშეზამამისობის მაჩვენებლები

საშუალო დიამეტრიც ფესვის ყელთან, მმ.	საშუალო სიმაღლე, სმ.	მიწისზედა ნაწილების საშუალო მასა, გ.
8.7	109	54
8.7	124	64
8.9	132	65
10.0	135	92
10.6	148	110

ცხრილი 3.4

ხარისშობლას სიმაღლეზე ზრდის მათემატიკური მოდელები დიამეტრთან დაკავშირებით

ხარისშობლას ზრდის გარემო პირობები და ადგილმდობარეობა	მათემატიკური მოდელის ნომერი	მათემატიკური მოდელის კოეფიციენტები		კორელაციური კოეფიციენტები		სტიუდენტის კრიტერიუმი t
		A	B	$R_{y,x}$	R_{x_1,x_2}	
ზომიერად მშრალი გარემო პირობები-ბაკურიანი	1	9.893	41.32	0.998	0.999	45.6
	2	11.095	26.73	0.902	0.989	4.3
	3	9.988	43.00	0.992	0.996	19.7
	4	11.041	28.03	0.932	0.991	4.51
ზომიერად მშრალი გარემო პირობები-ადიგენი	5	4.450	80.95	0.906	0.963	5.7
	6	4.357	91.29	0.924	0.988	5.4
ზომიერად ტენიანი გარემო პირობები-ხულო	7	4.430	83.78	0.948	0.988	6.60
	8	4.232	83.67	0.941	0.997	6.20

სამკურნალო მცენარე ხარისშუბლას (*Senecio platyphylloides* Somm. Etlev.S.Lev.) ბუნებრივი გავრცელების...

ზოგადი მათემატიკური მოდელი: $y=ax+b$

სადაც: y - სიმაღლეა, სმ-ში

x - დიამეტრი ფესვის ყელთან, მმ-ში.

ხარისშუბლას დიამეტრისა და სიმაღლის მჭიდრო კავშირის დამადასტურებელია აგრეთვე კორელაციის კოეფიციენტები არგუმენტსა და ფუნქციას შორის. 3.4 ცრილიდან ჩანს, რომ კორელაციის კოეფიციენტები დიამეტრსა და სიმაღლეს შორის კავშირის მიმართებაში დადებითია და 0.902-დან 0.998-მდე ფარგლებში მერყეობს. ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ ხარისშუბლას სიმსხოს (დიამეტრის) მატებასთან ერთად სიმაღლაც კანონზომიერად იზრდება.

სულ საცდელ ობიექტებზე (ბაკურიანი, ადიგენი, ხულო, ზეკარის გადასასვლელი და სხვ.) 8 მათემატიკური მოდელია მიღებული. აღნიშნული მათემატიკური მოდელები (ცხრ. 3.4) შესაძლოა გამოყენებულ

იქნეს ხარისშუბლას სიმაღლის ან დიამეტრიც ცვალებადობის პროგნოზირებისათვის. ამ განტოლებების პრაქტიკული მნიშვნელობა უდავოა. ვაჯამებთ რა ზემოთაღნიშნულ კვლევის შედეგებს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ როცა ცნობილი იქნება ხარისშუბლას რომელიმე მორფომეტრიული მაჩვენებელი, შეგვიძლია დიდი სიზუსტით დავადგინოთ მეორე მაჩვენებელიც (დიამეტრიც და სიმაღლეც), რომლებიც ძირითადად განმსაზღვრელ ფაქტორებს წარმოადგენენ ხარისშუბლას ფიტომასის დადგენაში.

ხარისშუბლას ექსპერიმენტული საშუალო სიმაღლეების (h) და მათემატიკური მოდელებით გამოთვლილი საშუალო მაჩვენებლების დინამიკა, მის დიამეტრთან დაკავშირებით, მოცემულია 3.5 და 3.6 ცხრილებში.

ცხრილი 3.5

ხარისშუბლას საშუალო სიმაღლეების (h) დინამიკა დიამეტრთან (d_0) დაკავშირებით ბაკურიანის სატყეო მეურნეობაში

ფესვის ყელის დია- მეტრი (d_0) მმ	საშუალო სიმაღლე (h), სმ							
	ფორმულა №1		ფორმულა №2		ფორმულა №3		ფორმულა №4	
	ექპერიმენტალური მონაცემები	გასწორებული მონაცემები	ექპერიმენტალური მონაცემები	გასწორებული მონაცემები	ექპერიმენტალური მონაცემები	გასწორებული მონაცემები	ექპერიმენტალური მონაცემები	გასწორებული მონაცემები
5	-	91	-	82	-	93	-	83
6	-	101	-	93	-	103	-	94
7	-	110	-	104	110	113	107	105
8	121	120	107	116	128	123	122	116
9	130	130	121	127	133	133	126	127
10	140	140	124	138	142	143	125	138
11	149	150	124	149	151	153	168	149
12	162	160	-	160	164	163	132	161
13	169	170	168	171	169	173	-	172
14	180	180	169	182	186	183	-	183
15	-	190	-	193	-	193	-	194
16	-	200	-	204	-	203	-	205

ცხრილი 3.6

ხარისშუბლას საშუალო სიმაღლეების (h) დინამიკა დიამეტრთან (d₀) დაკავშირებით ადიგენისა და ხულოს სატყეო მეურნეობებში

ფესვის ყელის დია- მეტრი (d ₀) მმ	საშუალო სიმაღლე (h), სმ							
	ფორმულა №5		ფორმულა №6		ფორმულა №7		ფორმულა №8	
	ექსპერიმენ- ტალური მონაცემები	გასწორებუ- ლი მონაცემები	ექსპერიმენ- ტალური მონაცემები	გასწორებუ- ლი მონაცემები	ექსპერიმენ- ტალური მონაცემები	გასწორებუ- ლი მონაცემები	ექსპერიმენ- ტალური მონაცემები	გასწორებუ- ლი მონაცემები
5	106	103	-	103	-	106	-	105
6	98	108	-	107	-	110	-	109
7	110	112	108	112	-	115	-	113
8	122	117	116	116	-	119	-	118
9	129	121	125	121	120	124	120	122
10	126	125	127	125	126	128	126	126
11	132	130	132	129	137	133	133	131
12	127	134	127	134	137	137	138	135
13	139	139	139	138	145	141	133	139
14	-	143	-	142	148	146	148	143
15	-	148	-	147	150	150	150	148
16	-	152	-	151	186	154	186	152

როგორც 3.5 და 3.6 ცხრილებიდან ჩანს, ექსპერიმენტული მაჩვენებლები ძალიან ახლოსაა ერთმანეთთან, რაზედაც მიგვანიშნებს კორელაციის კოეფიციენტები გასწორებულ და ექსპერიმენტულ მაჩვენებლებს შორის, აგრეთვე სტიუდენტის კრიტერიუმები, რომლებიც ყველა შემთხვევაში 3-ზე მეტია (ცხრ. 3.4).

ხარისშუბლას ინდივიდიუმების ფიტომასაზე მნიშვნელოვან გავლენას, ძირითადად, ფესვის ყელის დიამეტრი (d₀) და სიმაღლე (h) ახდენენ. ნიადაგის ტენიანობის ხარისხი და კლიმატური მაჩვენებლები აისახება ხარისშუბლას მორფომეტრიულ მაჩვენებლებში (d₀, h), ამიტომ ხარისშუბლას ფიტომასის მათემატიკური მოდელის დამუშავებისა და კორელაციური ანალიზის დროს ტენიანობის ხარისხი და კლიმატის მაჩვენებ-

ლები გამოირიცხა ანალიზიდან და მოპოვებული ექსპერიმენტული მასალა დავაჯგუფეთ მხოლოდ ხარისშუბლას ფიტომასის, დიამეტრისა და სიმაღლის მიხედვით. ფიტომასის მრავალფაქტორიანი მათემატიკური მოდელის დამუშავებისათვის გამოვიყენეთ ხარისშუბლას ის მორფომეტრიული საშუალო მაჩვენებლები, რომლებიც სავსე ფაქტობრივი მასალის პირველადი დამუშავების შედეგად აკმაყოფილებდა მათემატიკურ მეთოდების გამოყენების კრიტერიუმებს, კერძოდ მატრიცაში (ცხრ. 3.7) შეტანილია ის საშუალო მაჩვენებლები, რომლის ცდის სიზუსტის მაჩვენებელი ±3%-ს არ აღემატებოდა და სტიუდენტის კოეფიციენტები 3-ზე მეტი იყო. საბოლოოდ ხარისშუბლას ფიტომასა, დიამეტრისა და სიმაღლის საშუალო მაჩვენებლები დავაჯგუფეთ შემდეგნაირად (ცხრ. 3.7).

ცხრილი 3.7

ხარისშუბლას საბაზისო მორფომეტრიული კრიტერიუმები ნედლ მდგომარეობაში ფიტომასის მრავალფაქტორიანი მათემატიკური მოდელის კოეფიციენტების დასადგენი ზოგადი მათემატიკური მოდელი: $y = ax_1 + bx_2 + c$

№ რიგზე	საშუალო სიმაღლე, x_1 , სმ	ფესვის ყელის საშუალო დიამეტრი x_2 , მმ	ინდივიდუუმის ფიტომასა, y , გრ.	შენიშვნა
1	148.2	10.6	110.3	ნიადაგის ტენიანობის ხარისხი, ფიტომასაზე გავლენის მხრივ, გამოიხატება სიმაღლისა და დიამეტრის მაჩვენებლებში
2	132.3	8.9	65.0	
3	123.7	8.7	64.0	
4	109.0	8.6	53.7	
5	134.5	9.9	91.6	

ზოგადი მათემატიკური მოდელის კოეფიციენტების გამოსათვლელად 3.5 ცხრილის მონაცემები შევიყვანეთ კომპიუტერში და მივიღეთ კონკრეტული მათემატიკური მოდელი, რომელიც შემდეგი სახით წარმოსდგა $\log y = 0.6078 = \log x_1 + 2.51 b^2 \log x_2 - 4.26$.

ხარისშუბლას ფიტომასის მრავალფაქტორიანი მათემატიკური მოდელის სიზუსტე ეჭვს არ იწვევს, რადგან ინდივიდუუმთა ფიტომასაზე დიამეტრისა და სიმაღლის ერთობლივი გავლენის მრავალჯერადი კორელაციის კოეფიციენტი მაღალია ($R = 0.993$). როგორც კერძო კორელაციის კოეფიციენტებიდან ჩანს, ხარისშუბლას ფიტომასაზე უფრო დიდ გავლენას ფესვის ყელის დიამეტრი (d_0) ახდენს, ვიდრე მისი სიმაღლე ($R_{ym \times d_0} > R_{ym \times h}$). აქედან გამომდინარე სავლელ პირობებში დიამეტრის გაზომვა უფრო მეტ სიზუსტეს მოითხოვს, ვიდრე სიმაღლის ($R_{ym \times d_0} = 0.98 > R_{ym \times h} = 0.91$).

ცხრილი 3.8-ის გამოყენებით, ხარისშუბლას დიამეტრებისა და სიმაღლეების მონაცემების და ფიტომასის განსაზღვრის მიღებული მათემატიკური მოდელის საშუა-

ლებით, პერსონალურ ელექტროგამომთვლელ მანქანა-“პეგმ“-ით, ადვილად დავადგენთ ინდივიდუუმთა ფიტომასის წონას, რომლის პრაქტიკული მნიშვნელობა, უკვე მრავალჯერ აღვნიშნეთ, იმაში გამოიხატება, რომ ამ ცხრილის საშუალებით სრულიად ადვილად და მაღალი სიზუსტით ხერხდება ხარისშუბლას რაყების რესურსებრივი მონაცემების დადგენა, რაც ესოდენ დიდ დახმარებას გაუწევს მეცნიერებს, პრაქტიკოს-პროფესიონალებს (ტაქსატორებს, სამკურნალო ნედლეულის დამამზადებლებს, პროექტანტებს, ეკონომისტებს და სხვ.). აქ ყურადღება უნდა მიექცეს ერთ უმნიშვნელოვანეს გარემოებას: ცალკეული ინდივიდუუმის ბიოლოგიური ფიტომასის დიდი სიზუსტით განსაზღვრისათვის, შეძლებისგვარად ზუსტად უნდა გაიზომოს ფესვის ყელის დიამეტრი. აქვე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ცალკეული სიმსხოს საფეხურის ფარგლებში ინდივიდუუმთა სიმაღლე, ცხადია, საკმაოდ ნაირგვარია. ამიტომ თითოეული სიმსხოს საფეხურის ფარგლებში დიამეტრები უნდა გაიზომოს არანაკლებ 5 ინდივიდუუმისა.

შალვა ხიდაშელი, კანო კაკუნიძე

ცხრილი 3.8

ხარისშუბლას ინდივიდიუმების ფიტომასა გრამებში მორფომეტრიულ მაჩვენებლებთან დაკავშირებით (ნედლი, ახალ შეგროვილი)

სიმაღლე (h), სმ	ხარისშუბლას ფესვისყელის დიამეტრი (d), მმ											
	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16
85	12	19	28	39	53	69	91	-	-	-	-	-
90	12	20	29	41	55	71	94	117	-	-	-	-
95	13	20	30	42	57	74	97	121	147	-	-	-
100	13	21	31	43	58	76	100	124	152	193	-	-
105	14	22	32	45	60	79	103	128	156	188	224	-
110	14	22	33	46	62	81	105	131	161	193	230	271
115	15	23	34	47	64	83	108	135	165	199	236	278
120	15	24	35	49	65	85	111	138	169	204	242	285
125	15	24	36	50	67	87	114	141	173	208	248	292
130	16	25	36	51	69	89	116	145	177	213	254	298
135	16	25	37	52	70	91	119	148	181	218	259	305
140	16	26	38	53	72	94	121	151	185	223	265	312
145	-	26	39	54	73	98	124	154	189	227	271	318
150	-	27	40	56	75	99	126	157	193	232	276	325
155	-	-	41	57	76	101	129	160	196	236	281	331
160	-	-	41	59	79	103	131	163	200	241	286	337
165	-	-	-	59	79	105	136	166	204	245	292	343
170	-	-	-	60	81	107	138	169	207	250	297	349
175	-	-	-	-	82	109	141	172	211	254	302	355
180	-	-	-	-	84	111	143	175	214	258	307	361
185	-	-	-	-	-	112	145	179	218	263	313	368
190	-	-	-	-	-	-	-	181	221	267	317	373
195	-	-	-	-	-	-	-	184	225	271	322	379

ცხრილი 3.9

ხარისშუბლას სიხშირისა და პროდუქტიულობის მახასიათებლები 1 ჰექტარზე

მახასიათებლები	ინდივიდიუმთა ფართობის ერთეულზე დგომის სიხშირე				
	ძალიან ხშირია	ხშირი	საშუალო სიხშირის	დაბალი სიხშირის	ძალიან დაბალი სიხშირის
ხდომილება %	1	5	8	27	59
პროექტიული დაფარულობა, %	81-100	61-80	41-60	31-40	1-20
ინდივიდიუმთა რაოდენობა, ათას ძირებით	61-80	41-60	21-40	11-20	0.5-10
ნედლი ფიტომასა, კგ.	8400	6000	3600	1800	1200
საექსპლუატაციო ნედლი მასა, კგ.	3780	2700	1620	790	480
ყოველწლიური დასაშვები სარგებლობის სიდიდე, კგ.	1900	1560	940	470	240

ხარისშუბლას ინდივიდიუმა საშუალო წონის მაჩვენებლების და მათი რაოდენობის მიხედვით თვალსაჩინოებისათვის გამოვთვალეთ 1 ჰა ხარისშუბლას რაყის პროდუქტიულობა, რომლის მაგალითსაც წარმოადგენს 3.9 ცხრილის მონაცემები.

ცხრილში მოცემული მასალის მიხედვით ფიტომასაში იგულისხმება ხარისშუბლას წონა ახალად შეგროვილ მდგომარეობაში ყვავილობის დასაწყის ფაზაში, რაც, განპირობებულია იმით, რომ პლატიფილინშემცველობის მაჩვენებელი ყველაზე მაღალი სწორედ ამ ფაზაშია.

მეცნიერ-მკვლევართა მიერ (შ. ხიდაშელი, ი. წითლიძე, კ. ხიდაშელი 1992), ხარისშუბლას ინდივიდიუმა საშუალო წონის მაჩვენებლების მიხედვით, დადგენილია 1 ჰექტარზე ხარისშუბლას პროდუქტიულობა. ხარისშუბლას სიხშირისა და პროდუქტიულობის მახასიათებლები, მოცემული მასალის მიხედვით, ფიტომასაში იგულისხმება ხარისშუბლას წონა ახალ შეგროვილ მდგომარეობაში ყვავილობის დასაწყის ფაზაში, რაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განპირობებულია იმით, რომ პლატიფილინშემცველობის მაჩვენებელი ყველაზე მაღალი სწორედ ამ ფაზაშია.

ბიოლოგიურ პროდუქტიულობაში იგულისხმება ხარისშუბლას ინდივიდიუმების მიწისზედა ნაწილების საერთო წონა, რომელიც მოიცავს ხარისშუბლას განვითარების ყველა ფაზაში მყოფ ინდივიდიუმებს (იუველირული ეგზემპლარები, რომელთაც მართო ფესვთანი ფოთლები აქვთ განვითარებული, ახალგაზრდა გენერატიულ სიმწიფეს მიუღწეველი ინდივიდიუმები და სხვ.).

ცხადია, ეს ყველა ინდივიდიუმები შეუძლებელია ექსპლუატაციის ობიექტები იყოს ფიზიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა ჯერ კიდევ ნაკლებშემცველობის გამო. ექსპლუატაციას ექვემდებარება მხოლოდ გენერატიულად მომწიფებული ინდივიდიუმები

აყვავების საწყის ფაზაში. ამ გარემოებამ განაპირობა ფიტომასის გარდა საექსპლუატაციო მასის განსაზღვრის აუცილებლობა, რაც საერთო ბიოლოგიური პროდუქტიულობის (ფიტომასის) 50-60 %-ის ფარგლებში მერყეობს.

ყოველწლიური დასაშვები სარგებლობის სიდიდე გამოვლილია იმ დანაკარგების გათვალისწინებით, რაც დაკავშირებულია იუველირული ეგზემპლარების და საერთოდ გენერატიულად მოუმწიფებელ ეგზემპლართა საერთო ანგარიშიდან გამოთიშვასთან და სარგებლობის ბრუნვასთან, რაც 3 წელს შეადგენს, სადაც 10 წლიან სარევიზიო პერიოდში 3 წელი სვენების პერიოდზე მოდის. ყოველი ორი წლის განმავლობაში წარმოებული ექსპლუატაციის შემდეგ, მესამე წელს, ხარისშუბლას ასეთი ფართობები, არა ნაკლებ ერთი წლით, უნდა გამოითიშოს ექსპლუატაციიდან.

ხულოს სატყეო მეურნეობის აგარაკ სამსმელოსა და ადიგენის სატყეო მეურნეობის სალაშქროს აგარაკში წარმოებული სპეციალური ექსპერიმენტებით დადგენილია, რომ არსებული ყოვლად დაუშვებელი მეთოდით, ხარისშუბლას მოგლეჯით დამზადების შედეგად, მეორე წელს, ინდივიდიუმა რაოდენობა, ფართობის ერთეულზე, 47%-ით შემცირდა, ხოლო მასა (წონა) კი 57%-ით. თითოეული ინდივიდიუმის საშუალო წონა 29%-ით შემცირდა, რაც იმითაა განპირობებული, რომ ხარისშუბლას ეგზემპლარების ფესვებიანად ამოგლეჯის შემთხვევაში, განსაკუთრებით ნესტიან ადგილებში მოგლეჯილ ინდივიდიუმების 88%-ს მთელი ფესვთა სისტემა მოჰყვება, მათ შორის, ფესვურის კვირტებიანი ზედა ნაწილიც, ზომიერად მშრალ ადგილებში-40%. ხარისშუბლას ნედლეულის ზემოთ აღნიშნული, ყოვლად დაუშვებელი წესით დამზადებით, ხელოვნურად მცირდება ფართობის ერთეულზე ხარისშუბლას სასიცოცხლო

ჩანასახთა (ფესვურების ან მათი ზედა კვირტებიანი ნაწილების) დიდი ნაწილი.. ეს დანაკლისი ნაწილობრივ ივსება ნიადაგში არსებული თესლის გალივება-აღმოცენებისა და მომიჯნე რაყებიდან მორჩენილი თესლის ხარჯზე, მაგრამ ფაქტია, რომ ამ სახით შევსება იმდენად უმნიშვნელოა, რომ არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა მას არ გააჩნია. უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ იმ ფაქტსაც, რომ ხარისშუბლას რაყების ასეთ ხელოვნურ ინტენსიურ დამზადება-გამოხშორვას გარდაუვლად თან სდევს სხვა სახეობების შამბნარების ინტენსიური განვითარება და ხარისშუბლას აღმონაცენის ჩახშობა, სამწუხაროდ, ამის არა ერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება.

ვფიქრობთ, ყოველივე წინათქმულის გათვალისწინებით ორი აზრი აღარ შეიძლება არსებობდეს იმაზე, რომ ხარისშუბლას რაყების პროდუქტიულობის კატასტროფული შემცირების თავიდან აცილება შესაძლებელია მათი ექსპლუატაციის გონივრული წესებით წარმოებით და ექსპლუატაციიდან პერიოდული გამოთიშვით.

როგორც ნაშრომის დასაწყისში უკვე ითქვა, მე-20 საუკუნეში ბუნების დაცვის, სამთო მეტყევეობისა და ბოტანიკის, როგორც მეცნიერებისა და ამ სფეროს ქართველ მეცნიერთა ძლიერი სკოლის დამაარსებლები, აკადემიკოსები: ვასილ გულისაშვილი, ნიკოლოზ კეცხოველი და მათი მრავალრიცხოვანი მოწაფეები ჭეშმარიტ მესაძირკვეებად გვევლინებიან, მათ კაპიტალურ ნაშრომებში კატეგორიულად მოითხოვდნენ ბუნებისა და მისი რესურსებისადმი ფრთხილ და გონივრულ დამოკიდებულებას, მეზრდოლი სულისკვეთებით და უკომპრომისოდ იბრძოდნენ ბუნებრივი რესურსების დანაშაულებრივი, მავნებლური სარგებლობის წინააღმდეგ, მოუწოდებდნენ მეტი სიმტკიცის გამოჩენას, რათა მომავალ თაობას

აუცი არ ეთქვა ჩვენს თაობაზე, ჩვენს დროზე, ჩვენს საქმიანობაზეო.

ჩვენს ამ სტატიაში დიდი დრო დავუთმეთ სამკურნალო მცენარის - ხარისშუბლას ბუნებრივი გავრცელების საზღვრებში რესურსების დადგენის, აღდგენისა და ბუნებრივი თვითგანახლების საკითხების შესწავლას. ამჯერად, რაც ყველაზე მეტად არის ჩვენთვის საინტერესო და აუცილებელი, მკითხველის ყურადღებას გავამახვილებთ ერთ საკითხზე: როგორც ცნობილია, აჭარაში და მის მოსაზღვრე რეგიონებში საკმაოდ მდიდარი სასარგებლო მცენარეული სახეობებია, რომელთა შორის მრავლადაა სამკურნალო მცენარეები. რეგიონში გავრცელებულ ველურად მოზარდ სამკურნალო მცენარეული რესურსების გამოყენებას სამკურნალო ნედლეულის მიღების მიზნით, სწავლობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ბოტანიკური ბაღის და სამკურნალო მცენარეთა ყოფილი სრულიად საკავშირო სამკურნალო მცენარეთა სამეცნიერო კლევითი ინსტიტუტის („ВИЛАР“) ამიერკავკასიის ზონალური საცდელი სადგური თითქმის მთელი საბჭოთა პერიოდის განმავლობაში.

1990-იანი წლების ცნობილი პოლიტიკური მოვლენების შემდეგ, ამიერკავკასიის ზონალური საცდელი სადგური დაექვემდებარა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ფარმაცოლოგიის სამეცნიერო კლევით ინსტიტუტს, მაგრამ არა როგორც სამეცნიერო დაწესებულება, არამედ როგორც სამკურნალო მცენარეთა მინდორი. ფაქტობრივად ის გადაიქცა ფარმაცეპტულ მინდვრად. ასეთი მინდორი საცდელი სადგურის ტერიტორიაზე ადრე, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტსაც გააჩნდა. ვინაიდან აჭარის რეგიონში მცენარეულ რესურსებს, ძირითადად, სწავლობდა დღიდან მისი დაარსებისა, საქართველოს მეცნიერებათა

აკადემიის ბათუმის ბოტანიკური ბაღი, მიზანშეწონილად ჩაითვალა ყველა ველურად მოზარდი მცენარეული რესურსების რაციონალურად გამოყენების, მათი დაცვისა და აღდგენის საკითხები თავმოყრილიყო ბათუმის ბოტანიკურ ბაღთან სპეციალურად შექმნილ სამკურნალო მცენარეთა სამეცნიერო განყოფილების სამეცნიერო კოლექტივში. ეს განზრახვა გამოწვეული იყო იმ სავალალო მდგომარეობით, რაც იმჟამად შეიქმნა სამკურნალო მცენარეთა დამზადების საქმეში, - სამკურნალო მცენარეთა ყოვლად უსისტემო ექსპლუატაციას ეწეოდა ყველა, ვისაც კი მოესურვებოდა, კერძო პირები, ფირმები, სხვადასხვა სამეურნეო ორგანიზაციები. დიდი რაოდენობით სამკურნალო წამლო ნედლეული გადიოდა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, რომელიც არავითარ კონტროლს და წესს არ ექვემდებარებოდა. საკმარისია დავასახელოთ თბილისში არსებული „მარტინ ბაუერ“-ის ფირმა, რომელიც აჭარის ტერიტორიიდან დიდი რაოდენობით მარაგდებოდა სამკურნალო წამლო ნედლეულით მაღალიან დაბალ ფასებში. ასეთი უკონტროლო დამზადების განხორციელებით, აჭარის ტერიტორიაზე არსებული სამკურნალო მცენარეთა სარესურსო მარაგი კატასტროფულად მცირდებოდა. ზოგიერთი გაქრობის პირას მისული სახეობა მცენარეული რესურსების დაცვის წითელ წიგნშიც იქნა შეტანილი.

ყოველივე ამის გამო, დღის წესრიგში დადგა ალტერნატივა: აჭარის ტერიტორიაზე არცერთ სხვა ორგანიზაციას, გარდა ბათუმის ბოტანიკური ბაღისა, არ ჰქონოდა უფლება მცენარეული რესურსების შესწავლისა, რაციონალური გამოყენებისა, დაცვისა და განახლება-აღდგენის საკითხების მეცნიერულ დონეზე გადაჭრისა. თუ გავითვალისწინებ იმ გარემოებასაც, რომ ბათუმის ბოტანიკური ბაღის მეცნიერ-თანამშრომლებს აღნიშნულ სფეროში დიდ დახმარებას

გაუწევდა ხანგრძლივი სამეცნიერო კვლევების და მდიდარი პრაქტიკული გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეთა ამიერკავკასიის ზონალური საცდელი სადგურის თანამშრომლები, დაკვირვებული მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ საკითხისადმი ასეთი მიდგომა უდავოდ სასარგებლო იქნებოდა ბუნების დაცვის, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების, მისი განადგურებისაგან თავის აცილების თვალსაზრისით. ზემოთ მოტანილ მოსაზრებებს განამტკიცებდა ისიც, რომ მას მხარს უჭერდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია და აკადემიის ფარმაკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი.

უკვე მრავალჯერ აღვნიშნეთ, რომ ბუნებრივ პირობებში გავრცელებული სამკურნალო მცენარეების სისტემატიური მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის მასობრივმა უსისტემო ექსპლუატაციამ მნიშვნელოვნად დაარღვია ბუნებრივი ცენოზების მდგრადობა, გადაშენების პირას მიიყვანა ცალკეული მცენარეული სახეობა. გულისტკივილით უნდა განვმარტოთ, რომ ბევრი სამკურნალო მცენარე, რომელიც დიდი წარმატებით გამოიყენება სამკურნალო ნედლეულის პირდაპირი რეალიზაციით თუ ქარხნული წესით გადამამუშავებული სახით, ასეთი უსისტემო ექსპლუატაციის შედეგად, ადრე თუ გვიან, მათ მარაგების ამოწურვას გამოიწვევდა. სხვადასხვა წყაროს მიხედვით, თვალსაჩინოებისათვის სრულიად საკმარისია ხარისშუბლას ბუნებრივი რაყების შემცირების მაგალითიც. გამოთქმული ვარაუდი ყოველთვის დღის წესრიგში აყენებდა სამკურნალო მცენარეული სახეობების კულტურაში, სამრეწველო დანიშნულების პლანტაციების შექმნის აუცილებლობას, რაც ქვეყნისათვის საჭირო გაზრდილი მოთხოვნის დაკმაყოფილებასთან ერთად, უზრუნველყოფდა ბუნებრივ პირობებში

შალვა ხიდაშელი, პანო კაკუნიძე

მათ აღდგენა-განახლებას და ბუნებრივი მარაგის შენარჩუნება-გაუმჯობესებას.

ჩვენს თაობას, მიუხედავად დღევანდელი მძიმე ეკონომიკური პირობებისა და რთული პოლიტიკური ვითარებისა, უფლება არა აქვს იოლად შეეგუოს და დაივიწყოს თავისი წარსული. ვერსად გავექცევით იმ ფაქტს, რომ სამკურნალო მცენარეთა სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის და ჩვენი რესპუბლიკის სამკურნალო მცენარეების საფუძვლიანი შესწავლით მიღებული უნარ-ჩვევების მეცნიერთა ერთობლივი ურთიერთ-თანამშრომლობით, მათი სხვადასხვა სამეცნიერო ფორმებზე მნიშვნელოვანი თეორიული და პრაქტიკული გამოცდილების გაანალიზებული მასალების საფუძველზე გაკეთებული უტყუარი და დაზუსტებული დასკვნების ურთიერთმეჯერებულ აზრთა გაზიარება-შეთავაზებით მნიშვნელოვანი პრობლემები წყდება. დასაბუნია, რომ ახლა ამის დაწერა გვჭირდება, მაგრამ სატკივარი იმდენად დიდია, რომ ყველა ქართველის ვალია თითოეული სიტყვა და აზრი გაითავისოს, ოღონდაც აქ სიტყვა სწორად ნათქვამი, სწორად გაიგოს.

ჩვენ ლირიკული გადახვევა გამოგვივიდა, მაგრამ ახლა შევეცდებით საკითხი კვლავ დოკუმენტურ წყაროებზე დაყრდნობით გავანალიზოთ: აჭარის ტერიტორიაზე სამკურნალო მცენარეთა კულტივირების საქმე ორგანიზებულად იყო დაყენებული ქობულეთის სამკურნალო მცენარეთა მეურნეობაში, რომელიც 1950 წლიდან საკავშირო გაერთიანება „სოიუზლეკრასპრომს“ ექვემდებარებოდა. ეს მეურნეობა ადრე, 1950 წლამდე წარმოადგენდა სამკურნალო მცენარეთა ამიერკავკასიის ზონალური საცდელი სადგურის ექსპერიმენტულ ბაზას. 1990-იანი წლების შემდეგ ის გადავიდა ადგილობრივ დაქვემდებარებაში. მის ტერიტორიაზე არსებულ სათბურებსა და ღია გრუნტში, ძირითადად, უცხოეთიდან შემოტანილი სითბოს

მოყვარული სამკურნალო მცენარეები მოჰყავდათ, რომელიც საჭიროებდა დახურული გრუნტის გამოყენებას, თუმცა იყო ისეთებიც, რომელსაც დახურული გრუნტი არ სჭირდებოდა. მეურნეობაში კულტივირებული იყო აგრეთვე დეფიციტური, დიდი მოთხოვნილების მქონე სამკურნალო მცენარეები, რომლებიც რუსეთის სამხრეთ რაიონებში მოჰყავდათ. ერთდროულად, მეურნეობას გააჩნდა ველურად მოზარდი სამკურნალო მცენარეების დამზადებისა და გადამუშავების კარგი ბაზა პრაქტიკული გამოცდილების მქონე, მცოდნე სპეციალისტებით. აქ, საკავშირო დაკვეთებით, დიდი რაოდენობით მზადდებოდა სამკურნალო წამლო ნედლეული. მეურნეობას გააჩნდა დახურული გრუნტის საკმაოდ დიდი ფართობი, საკმარისია აღინიშნოს, რომ ეს მეურნეობა მარტო ერთ სამკურნალო მცენარეს - ხარისშუბლას წელიწადში 800-1000 ტონას (მშრალი მასა) ამზადებდა.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით მოპოვებული მასალის ანალიზის საფუძველზე შეიძლება კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხზე გავამახვილოთ ყურადღება. როგორც ბუნებრივ პირობებში, ასევე კულტურაში მოყვანილი სამკურნალო წამლო ნედლეულიდან, ქარხნული წესით მზა სამკურნალო საშუალებების მიღებას აჭარაში, ქალაქ ბათუმში არსებული ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხანა (ყოფილი კოფეინის ქარხანა) ახდენდა. მას გააჩნდა საკმაოდ ძლიერი საწარმოო ბაზა. ის ადრე ასევე, საკავშირო დაქვემდებარებაში იყო. ამჟამად ადგილობრივ დაქვემდებარებაშია. ქარხანა ამზადებდა 30-ზე მეტი დასახელების სამკურნალო პრეპარატს. შემდეგ, მათი გამოშვება მნიშვნელოვნად შემცირდა პროდუქციის რეალიზაციის და საწარმოს საფინანსო სფეროში შექმნილი არახელსაყრელი პირობების გამო. ქარხანას ჰყავდა მაღალპროფესიონალი

კოლექტივი. საკმარისია აღინიშნოს, რომ მისი მაღალმწარმოებლური საწარმოო ქიმიური ლაბარატარია, ერთდროულად, ბათუმის სამედიცინო-ეკოლოგიური ინსტიტუტის ფარმაციის კათედრის სასწავლო ბაზას წარმოადგენდა. ქარხანას შეეძლო გამოემზა საკმაოდ დიდი რაოდენობის სამკურნალო პრეპარატი ადგილობრივი მცენარეული ნედლეულიდან. თუ გავითვალისწინებთ იმ საგულისხმო დეტალსაც, რომ ქარხნის ლაბორატორიაში დამუშავებული იყო კოფეინის მიღების ახალი ინოვაციური ტექნოლოგიური რეგლამენტები და ამისთვის რეგიონში ჩაის ნედლეულის დიდი ოდენობით დამზადების შესაძლებლობებიც იყო, ყველა პირობა არსებობდა იმისათვის რათა, ქარხანას გაენახლებინა ჩაის ნედლეულიდან კოფეინის წარმოების მასშტაბები. ის ფაქტიც ნიშანდობლივია, რომ ქარხანას გააჩნდა დამზადებული სამკურნალწამლო ნედლეულის და მზა პროდუქციის სხვა ქვეყნებში ექსპორტის დიდი გამოცდილება. 90-იანი წლებიდან ქარხანაში შექმნილი დაბალი საწარმოო პოტენციალის და შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვნად შემცირების გამო იგი, ფაქტიურად, უფუნქციო გახდა. სამკურნალწამლო ნედლეულის დამზადებას და აჭარის ტერიტორიიდან ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში ექსპორტს (თბილისში, ფირმა - „მარტინ ბაუერის“ ჩათვლით) რამდენიმე ორგანიზაცია, სხვადასხვა იურიდიული და ფიზიკური პირები ახდენდნენ, რაც აშკარა სტიქიურ, არაორგანიზებულ, შენიღბულ სახეს ატარებდა და არავითარ კონტროლს და აღრიცხვას არ ექვემდებარებოდა. სწორედ ამიტომ დაისვა საკითხი, რათა სამკურნალწამლო ნედლეულის დამზადების და ქარხნის მიერ წარმოებული მზა პრეპარატების ექსპორტი და გაცვლა სხვა სამკურნალო საშუალებებზე თავმოყრილიყო ერთ გამსაღებელ ორგანიზაციაში, კერძოდ, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების შემადგენლობაში.

ამასთან, აუცილებელია საგანგებოდ ითქვას, რომ ნედლეულის პირდაპირ გაყიდვას თითქმის არცერთი ქვეყანა არ ეწევა, რადგან იგი ძალზე მცირე შემოსავალს იძლევა. სხვადასხვა წყაროების მიხედვით შეიძლება მოვიხმოთ ზუსტი ფაქტები იმისა, რომ ნედლეულის ადგილზე გადამუშავებით მიღებული სამკურნალო საშუალებების რეალიზაციით გაცილებით მეტ მოგებას და შემოსავალს იძლევა.

ჩვენ მიერ შემუშავებული კონცეფციის შესაბამისად სამკურნალო მცენარეთა როგორც ბუნებრივ, ასევე კულტურაში დამზადებული რესურსების რაციონალური ექსპლუატაციის, დაცვისა და აღდგენის, ნედლეულის გადამუშავების, მზა სამკურნალო პრეპარატების დამზადება-გამოშვების და რეალიზაციის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება უნდა შექმნილიყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ბოტანიკურ ბაღის ბაზაზე, რომლის კოლექტივსაც საკმაოდ დიდი გამოცდილება ჰქონდა. ბოტანიკურ ბაღს ქმედითი დახმარებას აღნიშნულ საკითხებში, ქობულეთის სამკურნალო მცენარეთა ყოფილი საცდელი სადგურის გამოცდილი კადრები გაუწევდნენ, რომელთაც ჩატარებული ჰქონდა უამრავი სამუშაო აღნიშნულ საკითხებზე.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საკითხებისა და პრობლემების გადაწყვეტა გაადვილებოდა, თუ გამოვიყენებდით სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების საყოველთაოდ მიღებულ ნაცად ფორმას. ამას განსაკუთრებით ხაზს ვუსვამთ იმიტომ, რომ მეცნიერებისა და წარმოების ასეთი სიახლოვე იძლევა იმის საფუძველს და საშუალებას, რომ მეცნიერებისა და წარმოების ერთიანი წრე და ჰარმონიული დაკავშირება, ყოველგვარი გამოყოფი ზღვარის გარეშე! სათანადო პირობებს ქმნის დიდი ეროვნული მნიშვნელობის საქმის გადაჭრაში, ამასთან იგი ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური

შალვა ხიდაშელი, კანო კაკუნიძე

წინსვლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობას წარმოადგენს. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის გადამუშავების სამეცნიერო საწარმოო გაერთიანება, რომელიც ოზურგეთის რაიონის ტერიტორიაზე მდებარეობს. ადრეულ პერიოდში, აქ არსებობდა საკაშირო გაერთიანების ორი

სამეცნიერო კვლევითი ორგანიზაცია, შემდეგ ისინი გაერთიანდა სამეცნიერო საწარმოო ორგანიზაციად, მასში შევიდა ყოფილი ექსპერიმენტული ბაზა, სუბტროპიკული მეურნეობის პლანტაციებით, ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა და ორი ჩაის ფაბრიკა. დამზადებული ნედლეულის რეალიზაციას ახდენდა თვითონ გაერთიანება.



ნახ.1 ხარისშუბლა (*Senecio platiphyllus*) (Крестовник широколистный)

დასკვნები:

ჩვენ მიერ ჩატარებული გამოკვლევებისა და დაკვირვებების შესახებ არსებული ლიტერატურული წყაროების შედეგად შესაძლოა შემდეგი ძირითადი დასკვნების გამოტანა:

- ხდომილებისა და სიუხვის მაჩვენებლების ანალიზით ირკვევა, რომ ხარისშუბლას რაყებში მნიშვნელოვანი როლდენობითაა შერეული სუბალპური შამბის შემადგენელი სხვა მაღალი და მსხვილდეროიანი სახეობები;
- ხარისშუბლას რესურსებრივ დახასიათებაში მრავალი ფაქტორი მონაწილეობს (ხდომილება, სიუხვე, პროექციული დაფარულობა და ინდივიდიუმთა დგომის სიხშირე ფართობის ერთეულზე);
- ეკოლოგიური ფაქტორების დიდი ნაირგვაროვნება განმსაზღვრელ გავლენას ახდენს ხარისშუბლას რაყების პროდუქტიულობაზე;
- ხარისშუბლას აშკარა მეზოფილური ბუნება ზომიერად მშრალ ნიადაგებზე მისი რაყების ნაკლებპროდუქტიულო-

- ბის განმაპირობებელია. ამასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ზომიერად მშრალ ედაფურ პირობებში მოწეული ნედლეულის მოსავალი მნიშვნელოვნად ნაკლებ წონით დანაკარგებთანაა დაკავშირებული მისი ხმობის პროცესში, ნესტიან ადგილებში შეგროვილ ნედლეულთან შედარებით;
- პრაქტიკაში ფართოდ გამოყენებული ღია ცის ქვეშ პრიმიტიული ტექნოლოგიით ხარისშუბლას ნედლეულის შრობის პროცესები არამართო დიდ დანაკარგებთანაა დაკავშირებული, არამედ მნიშვნელოვნად ამცირებს მის ხარისხსაც;
 - ხარისშუბლას ერთი და იმავე რაყების ყოველწლიური ექსპლუატაციით მკვეთრად მცირდება მათი პროდუქტიულობა;
 - ხარისშუბლას რაყების ცენოკომპლექსთა რთული არა მართო ფლორისტული შემადგენლობა, არამედ სტრუქტურული აღნაგობაც დიდი ნაირგვარობით გამოირჩევა, მათი შემადგენელი ინდივიდიუმთა სიმსხოსა და სიმაღლის საფეხურების, აგრეთვე მათი შესაბამისი ბიოლოგიური პროდუქტიულობის ჩათვლით;
 - ხარისშუბლას მოსავალი დამოკიდებულია არა მართო მისი სახეობის შიგნით არსებული რასების ნაირგვარობაზე, არამედ ზრდის გარემო პირობებსა და ამინდის პირობებზეც;
 - ხარისშუბლას ნედლეულის მოსავლის ფორმირებაში მნიშვნელოვან ფაქტორთა რიცხვს განეკუთვნება მისი ხდომილების, სიუხვის პროექციული დაფარულობისა და მორფომეტრიული მაჩვენებლები;
 - ხარისშუბლას ნედლეულის შრობის პროცესში გამოწვეული დანაკარგების მაჩვენებლები ზომიერად ნესტიანი და ზომიერად მშრალ გარემო პირობებში შეგროვილი ფიტომასისათვის პრაქტიკულად იდენტურია და შესაბამისად 69.6-71.83%-ის ფარგლებში მერყეობს;
 - ხარისშუბლას ინდივიდიუმთა ფესვის ყელის დიამეტრისა და სიმაღლის ურთიერთკავშირის დადგენაში ყველაზე მეტი სიზუსტით სწორი ხაზის განტოლება გამოირჩევა;
 - ხარისშუბლას ადგილსამყოფლის ნაირგვარობის ყველა შემთხვევაში კორელაციის კოეფიციენტები ექსპერიმენტულად და მათემატიკურად გამოთვლილ მაჩვენებლებს შორის სწორი ხაზის განტოლების შემთხვევაში 0,963-დან 0,999-მდე მერყეობს, სტიუდენტის კრიტერიუმი კი 4,3-დან 45,6-მდე, რაც იმას გვიდასტურებს, რომ მიღებული შედეგები სავსებით საიმედოა, ალბათობის ხდომილების 99%-ის დონეზე;
 - ხარისშუბლას ფესვის ყელის დიამეტრისა და სიმაღლის მჭიდრო კავშირის დამადასტურებელია აგრეთვე კორელაციის კოეფიციენტების მაჩვენებლები არგუმენტსა და ფუნქციას შორის.
 - კორელაციის კოეფიციენტები ხარისშუბლას ფესვის ყელის დიამეტრსა და სიმაღლეს შორის დადებითია და 0,902-სა და 0,998-ს შორის მერყეობს, რაც იმის მაწყებელია, რომ დიამეტრის მატებასთან ერთად ხარისშუბლას სიმაღლეს კანონზომიერად იმატებს.
 - ჩვენ მიერ გამოყენებული მათემატიკური მოდელების გამოყენება შესაძლებელია ხარისშუბლას დიამეტრისა და სიმაღლის დინამიზმის პროგნოზირებისათვის, აგრეთვე მისი ზრდა-განვითარების თავისებურებების დახასიათებისათვის;
 - რომელიმე მორფომეტრიული მაჩვენებლის ცოდნის შემთხვევაში შესაძლებლობა გვეძლევა დიდი სიზუსტით

შალვა ხიდაშელი, პანო კაკუნიძე

განსაზღვროთ მეორე მაჩვენებელიც (დიამეტრი ან სიმაღლე). სწორედ ესაა ამ განტოლების უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა, რადგან დიამეტრი და სიმაღლე ეს ის ფაქტორებია, რომლებიც განსაზღვრავენ ფიტომასის რაოდენობრივ მაჩვენებლებს;

- ფიტომასის რაოდენობაზე უფრო მნიშვნელოვან გავლენას ფესვის ყელის დია-

პრაქტიკული რეკომენდაციები:

საზღვარგარეთის მეცნიერ-მკვლევართა და ჩვენ მიერ მრავალმხრივი სტაციონარული და საველე საცდელ-ექსპერიმენტული კვლევის შედეგებით გაკეთებული დასკვნებით ყველა საფუძველი გვაქვს, შევიმუშაოთ მეცნიერულად დასაბუთებული შემდეგი რეკომენდაციები:

- ღია ცისქვეშ ხარისშუბლას ნედლეულის ხმობის პრიმიტიული ტექნოლოგიის გამოყენება სრულიად მიუღებელია;
- სათანადო აღჭურვილობისა და მექანიზმების უქონლობისას დროებით დაიშვება ხარისშუბლას ნედლეულის მარტივი კონსტრუქციის ფარდულებში შრობა;
- საუკეთესო მაღალხარისხოვანი გამომშრალი ნედლეულის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური დანადგარებით აღჭურვილ საშრობში, რაც არცთუ დიდ ფულად და შრომით დანახარჯებთანაა დაკავშირებული;
- ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების მაქსიმალურად შენარჩუნების უზრუნველსაყოფად ხარისშუბლას ნედლეული აუცილებლად ჩრდილში უნდა შრებოდეს და არამც და არამც მზეზე;
- შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვნად გაზრდილი დანახარჯების შემცირების, ნედლეულის მაღალხარისხოვანი თვისებებით შენარჩუნების და მაღალი ეკო-

მეტრი ახდენს, ვიდრე სიმაღლე. ნიადაგის ტენიანობისა და კლიმატური მაჩვენებლები თავის გარეგნულ გამოხატულებას ხარისშუბლას მორფომეტრიულ მაჩვენებლებში პოულობს, ამიტომ ამ ფაქტორთა მაჩვენებლები კორელაციური ანალიზის დროს გათვალისწინებული არაა.

ნომიკური ეფექტიანობისათვის უმჯობესია ხარისშუბლას ნედლეულის დამზადება-შრობა ერთსა და იმავე ობიექტზე;

- ხარისშუბლას ცენოკომპლექსთა ფორმირებაში გონივრული ჩარევებით ხელი უნდა შეეწყოს ისეთ ცენოზთა ფორმირებას, სადაც დომინანტური მდგომარეობა მსხვილ და მაღალღეროიან ინდივიდიუმებს ექნებათ.
- ზომიერად ნესტიან და ზომიერად მშრალ გარემო პირობებში მოწეული ხარისშუბლას ნედლეულის შრობისას დანაკარგები შედარებით მცირე, პრაქტიკულად იდენტური და ეკონომიკურად რენტაბელურია, ამიტომ მაქსიმალურად ხელი უნდა შეეწყოს ფიტომასის ცენოტური მაოპტიმიზირებული პირობების შენარჩუნება-გაუმჯობესების პრაქტიკული ღონისძიებების გატარებას.
- ვინაიდან ხარისშუბლას რთული ფლორისტული შემადგენლობის რაყები უფრო რეზისტენტულია გამარტივებულ ცენოზებთან შედარებით, ხელი უნდა შეეწყოს ისეთი რთული შემადგენლობის ცენოზთა ფორმირებას, სადაც ედიფიკატორის როლს ხარისშუბლა შეასრულებს, ყველა დანარჩენი სახეობები კი მხოლოდ ასექტორის დაქვემდებარებულ როლს, ამრიგად, ცალკეული რაყე-

ბის სახეობრივი ასორტიმენტის ფორმირებისას სწორედ აღნიშნული კანონზომიერება უნდა იქნეს გათვალისწინებული.

მეცნიერი კვლევების შედეგებიდან გამომდინარე ხარისშუბლას რაყებში ბუნებრივი განახლების ხელშეწყობი ღონისძიებებიდან საყურადღებოა შემდეგი:

1. ხარისშუბლას რაყებში ნედლეული უნდა დამზადდეს მხოლოდ და მხოლოდ ხარისშუბლას მცენარეების ცელისა და ნამგლის გამოყენებით, რადგან ისინი გავრცელებულია მიუდგომელ, მცირეკონტურიან, მკვეთრქანობიან ფერდობებზე და მექანიზაციის გამოყენება შეუძლებელია;
1. ხარისშუბლას მცენარეების თიბვისა ან მკის პროცესში ისეთნაირად უნდა გადაიჭრას, რომ ნაწვერალის სიმაღლე 15-20 სმ-ზე დაბალი არ იყოს, ე. ი. მცენარეს გადაჭრიან მიწისპირიდან 15-20 სმ სიმაღლეზე. ამ წესების გამოყენებით არა მარტო დაუზიანებელი რჩება ხარისშუბლას ფესურები, არამედ შესაძლებლობა იქმნება ნაწვერალისაგან უხვი აქვიტის (გათიბვის შემდეგ მიღებული ამონაყარი. იგი უხვად მიიღება მაშინ, როცა ხარისშუბლა პირველად ყვავილობამდე იქნება გათიბული) მივიღოთ, რაც ხელს უწყობს ხარისშუბლას ბუნებრივი განახლების გაუმჯობესებას.
- დაბალი სიხშირისა და გამეჩხრებული რაყების ბუნებრივი განახლების პროცესების გასაძლიერებლად და ხარისშუბლასთან შერეული სუბალპური შამბისა და ლიხის სახეობების კონკურენტუნარიანობის შესამცირებლად, მათი ნამგლით ან ცელით გამოჭრა უნდა განხორციელდეს ხარისშუბლას ეგზემპლარების დაუზიანებლად სავეგეტაციო პერიოდში ერთ-ორჯერ, საჭიროების

მიხედვით. ამით ხელუხლებლად დატოვებული ხარისშუბლას ინდივიდუმების ზრდისა და განვითარების მნიშვნელოვანი ინტენსიფიცირება ხდება და ფართობი საკმაო რაოდენობის თესლითაც იქნება უზრუნველყოფილი.

- ხარისშუბლას ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია დაბალი სიხშირისა და გამეჩხრებულ რაყებში ხარისშუბლას ინდივიდუუმებისა თუ ბიოჯგუფებს შორის არსებული სხვა ბალახებით დასარევილიანებული მიკროადგილები ბაქნებად და ვიწრო ზოლებად გადაიბაროს და გაფხვიერდეს. მთელი სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში ფხვიერ მდგომარეობაში მყოფი ასეთი ბაქნები და ზოლები ხარისშუბლას ბუნებრივი მოთესვისა და განახლების შესანიშნავი ობიექტებია.
- ხარისშუბლას ბუნებრივი განახლების პროცესების ინტენსიპიცირება შესაძლოა, აგრეთვე ძალიან ხშირ რაყებიდან გარკვეული რაოდენობის ხარისშუბლას ფესურების მიწის კომპიტით ამოთხრა და გამეჩხრებული დაბალი სიხშირის რაყებში გადარგვა მათი სიხშირის ოპტიმიზირების მიზნით.
- ყოველივე აღნიშნულთან ერთად, ხარისშუბლას ბუნებრივი მარაგის მოსპობისგან გადარჩენა, ზოგიერთ ადგილში (უპირველესად მის ბუნებრივ გავრცელების არეალებში) აუცილებელია ხარისშუბლას კულტივირება. ჩვენ ამის შესახებ საკითხი დავაყენეთ გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიაში“ (1975 წლის 30 აგვისტო) გამოქვეყნებული წერილით, რომელსაც დადებითად გამოეხმაურა მაშინდელი საქართველოს მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი, მას ასევე დადებითად მოე-

შალვა ხიდაშელი, კანო კაკუნიძე

- კიდა ქობულეთის სამკურნალო მცენარეთა ზონალური საცდელი სადგური და სამკურნალო მცენარეთა სპეციალური საბჭოთა მეურნეობა. ამ ორგანიზაციების გამართულ და შეთანხმებულ მუშაობაზე დიდად იყო დამოკიდებული ხარისშობლას პლანტაციების გაშენების საქმის უსწრაფესად და წარმატებით გადაწყვეტა.
- ხარისშობლას ხელოვნური პლანტაციების შექმნის დახვეწილი აგროტექნიკის შემუშავებისა და პლანტაციების ექსპლუატაციის ჩვევების გამომუშავების შემდეგ გვექმნება რეალური შესაძლებლობები, რომ უარი ვთქვათ ხარისშობლას ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციაზე. ამით ხელს შეუწყობთ მის ბუნებრივი მარაგის აღდგენა-გამრავლებას, ფარმაცევტული წარმოება კი შეუფერხებლად მომარაგდება მისთვის საჭირო ესოდენ ძვირფასი ნედლეულით. საამისოდ ძლიერ გამეჩხრილდია ველობებსა და ნაირგვარ მდელოებზე ნიადაგი უნდა მომზადდეს როგორც პირწმინდად მოხვნით, ასევე ზოლებად ან ბაქნებად. ნიადაგი მთელი სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში ფხვიერ, ე.წ. შავი ანეულის მდგომარეობაში უნდა შენარჩუნდეს, ხოლო შემოდგომით ხარისშობლას თესლი უნდა დაითესოს 5-6 კგ-ის ოდენობით ერთ ჰექტარზე. ფართობის პირწმინდად მოხნული ნიადაგის ბაქნებად და ზოლებად მომზადებისას თესლი, შესაბამისად, უფრო ნაკლები რაოდენობით იქნება საჭირო.
 - თესვა უმჯობესია განხორციელდეს ბუნდობრივ მწკრივად, მწკრივებსა და ბუნდებს შორის 50X50 სმ დაცილებით. ამით უზრუნველყოფილი იქნება ოპტიმალური საწყისი სიხშირის ფორმირება, რაც ხელს შეუწყობს ინდივიდუალურად საბურველის შეკრულობის მაღალი ხარისხის მიღებას. ასეთ პირობებში ხარისშობლას ცენოზები თავიდანვე მდგრადია და დიდი კონკურენტუნარიანობით გამოირჩევა მასთან თანამზარდი სხვა ბალახეული სახეობებისადმი. ასევე ფასეულია ის ფაქტიც, რომ აღნიშნული ტექნოლოგიური პროცესი უზრუნველყოფს მოვლითი სამუშაოების მნიშვნელოვან შემცირებას, ზრდის ეკონომიკურ ეფექტიანობას, მოგებას და შემოსავალს ფართობის ერთეულზე.
 - საექსპლოატაციო ბრუნვაში მხოლოდ მაღალი სიხშირისა რაყები უნდა ჩაირთოს. დაბალი სიხშირის, გამეჩხრებული რაყები ექსპლუატაციიდან აუცილებლად უნდა გამოითიშოს.
 - ხარისშობლას რაყების პროდუქციულობის პოტენციალის შენარჩუნების მიზნით საექსპლუატაციო რაყებში ნედლეული მზადდება 2 წლის განმავლობაში, მესამე წელს იგი ექსპლუატაციიდან ითიშება არა უმეტეს ერთი წლის სვენებით (საჭიროების მიხედვით). სვენების ამ წესით ხარისშობლას დამზადება წარმოებს 10-წლიან სარევიზიო პერიოდის განმავლობაში, რის შემდეგ რაყების ექსპლუატაცია წყდება არა უმცირეს სამი წლით და ხორციელდება ბუნებრივ განახლებაზე ხელშემწყობ ღონისძიებები საჭიროების მიხედვით.
 - ჩვენ მიერ გამოყენებული მათემატიკური მოდელების გამოყენება შესაძლებელია ხარისშობლას დიამეტრისა და სიმაღლის დინამიკის პროგნოზირებისათვის, აგრეთვე მისი ზრდა-განვითარების თავისებურებების დასახასიათებლად.
 - ცხრილი 3.6-ის ციფრობრივი მასალა საშუალებას იძლევა სწრაფად და დიდი სიზუსტით განისაზღვროს ხარისშობლას რესურსებრივი მაჩვენებლები,

ამიტომ იგი ფართოდ უნდა გამოიყენებოდეს საგემო-ეკონომიკური მაჩვენებლების განსაზღვრისათვის აუცილებელი ობიექტური რესურსობრივი მახასიათებლების განმსაზღვრელად, რაც საფუძვლად დაედება ხარისშულას დამზადების ობიექტურ დაგეგმვას.

ამრიგად, ხარისშულას რესურსების სისტემაში მოყვანისათვის მათემატიკურად უზრუნველყოფილ ყველა აუცილებელ მასალას

მოიცავს ცხრილი 3.6-ის და მისი პრაქტიკაში ფართოდ დანერგვა არავითარ სიმნელესთან არაა დაკავშირებული. რაკი თითოეული სიმსხოს საფეხურში ნაირგვარი სიმაღლის ინდივიდიუმები მონაწილეობს, უფრო ობიექტური მონაცემების მისაღებად თითოეული სიმსხოს საფეხურში უნდა გაიზომოს არანაკლებ 5 ინდივიდიუმისა.

AGROTECHNOLOGY-ECOLOGY

RESOURCE IDENTIFICATION METHOD FOR THE MEDICINAL PLANT GROUNDSEL (SENECIO PLATYPHYLLOIDES SOMM. ET LEV.) WITHIN THE HABITAT, TECHNOLOGICAL PROCESSING FACILITATING THE RECOVERY AND SELF-RENEWAL PROCESSES

SHALVA KHIDASHELI

Tbilisi Forestry Institute

VANO PAPUNIDZE

Batumi Shota Rustaveli State University

A mathematically sound and scientifically proven method for determination of the groundsel resources has not been identified so far. Therefore, there was no objective basis for planning the exploitation of its thickets, which is why it was almost always unreasonably planned to produce an infinite number of raw materials. It caused the greatest damage to the resources of this plant and in many places brought it to the edge of extinction, which led to its inclusion into the Red Book of Georgia. It is true, the rules of groundsel cultivation were developed by the Zonal Station of Medicinal Plants but no one was using them. We have at hand very little material on the measures promoting the natural renewal of the groundsel. In the process of elaborating the issue under study, a mathematically secured and scientifically substantiated rule for determining groundsel resources including drafting the corresponding chart that can serve as a practical guide for planners, project designers, producers and workers as well as students. Measures to promote the natural renewal of the groundsel have been developed to strengthen its coenosis positions and increase its competitiveness. Five classes have been distinguished between the groundsel thickets according to the density of individuals standing in the thickets (very dense, high density, dense, low density and very low density). A special table has been compiled to calculate the number of hectare crops, which takes into account the density of standing individuals, projected coverage, number of individuals. Based on them, a Phyto mass is determined in kilograms per hectare in the newly collected raw state, which is of great practical significance.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბელონოგოვა ტ.ვ., ზაიცევა ი.ლ., სამკურნალო მცენარეების განახლება ნაირგვარი რეჟიმის ექსპლუატაციის დროს, წიგნი: კარელიის ტყის ფიტოცენოზების ბიოლოგიური და სამეურნეო პროდუქტიულობა, პეტროზავოდსკი, 1977, გვ.94-97 (რუსულ ენაზე).
2. ბორისოვა ნ.ა., შრეტერი ა.ი., სამკურნალო ნედლეულის მარაგების განსაზღვრა და რესურსების კარტირების მეთოდისათვის//მცენარეული რესურსები, 1966, ტ.2, გვ 271-277 (რუსულ ენაზე).
3. ბორისოვა ნ.ა., ტოკარევა ვ.დ., კუზნეცოვა მ.ა., სამკურნალო რესურსების შესწავლის რეკომენდაციები მათი რაციონალური გამოყენებისა და დაცვის ორგანიზაციისა- თვის, კურსკი, 1982, გვ. 50 (რუსულ ენაზე)
4. გაგნიძე რ.ი., ცენტრალური კავკასიონის ჩრდილო ფერდობების სუბალპური მაღალბალახეულის ფლორისტული ელემენტები. საქ.მეცნ.აკადემიის მოამბე, 25, 5, თბ., 1960 (რუსულ ენაზე).
5. გაგნიძე რ.ი., კავკასიის სუბალპური მაღალბალახეულის ფლორისტული კომპლექსის ბოტანიკო-გეოგრაფიული ანალიზი. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1974, 226 გვ. (რუსულ ენაზე).
6. დოსპეხოვი ბ.ა., სველე ცდების დაგეგმვა და მისი მონაცემების სტატისტიკური დამუშავება, მოსკოვი, 1972, 207 გვ (რუსულ ენაზე)
7. ზაიცევი გ.ი., ბიომეტრიული გამოთვლების მეთოდისა, მოსკ., 1973, 256 გვ. (რუსულ ენაზე)
8. კრილოვა ი.ა., შრეტერი ა.ი., ველურად მოზარდი სამკურნალო მცენარეების მარაგების შესწავლის მეთოდური მითითებები, მოსკოვი 1971, 31 გვ. (რუსულ ენაზე)
9. კრილოვა ი.ა., სამკურნალო მცენარეების ნედლეულის მარაგების აღდგენის ვადების განსაზღვრის წესები//მცენ. რესურ., 1981, ტ. XVII, გამომც. 3, გვ. 446-450 (რუსულ ენაზე)
10. მურავიოვა დ.ა., მოლოდოჟნიკოვი მ.მ., პლატიფილინის, სარაცინისა და სენეციფილინის წარმოებისათვის საჭირო ნედლეულის ბაზის შესწავლის შედეგები. წიგნი: სსრკ ველურად მოზარდი სამკურნალო მცენარეების რესურსები. გამომც. „ნაუკა“ ლენინგრადი, 1968, გვ. 121-129 (რუსულ ენაზე)
11. ოლეშკო გ.ი. და სხვ.-მოზარდი სამკურნალო მცენარეების მარაგები ჩელიაბინსკის ოლქის ტყიანი მთების ნაწილში// მცენარ. რესურს. 1989, ტ. 25 გამომც. 1. გვ. 33-38 (რუსულ ენაზე).
12. ოჩაროვი კ.ე., თესლების აღმოცენების ფიზიოლოგიური საფუძვლები, მოსკ., 1969, 279 გვ.
13. პაპუნიძე ვ. რ., ხიდაშელი შ.ა., საქართველოს სამკურნალო მცენარეები. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტამბა. თბილისი, 2014, 215 გვ.
14. რაბოტნოვი ტ.ა., მრავალწლოვანი მცენარეების ხნოვანებისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის განსაზღვრა//თანამედროვე ბიოლოგიის მიღწევები, 1947, ტ.24 გამომც. 1 (4), გვ. 133-149 (რუსულ ენაზე)
15. საუტინი ვ.ი., ბურაკი ფ.ფ., ველურად მოზარდი მცენარეების მარაგების განსაზღვრის მეთოდისა// მცენ. რესურ., 1984, XX, გამომც. 2, გვ. 265-270 (რუსულ ენაზე)
16. საკოვეცი ვ.ი., არამერქნითი პროდუქციის რესურსების ტაქსაცია ტყეთმომწყობის დროს კარელის ტყეებში, საკანდიდატო დის. ავტორეფერატი, კრასნოიარსკი, 1982, 25 გვ.
17. ფედორენკო ი.პ., კონონი ნ.ტ., სამკურნალო მცენარეების თესვა-მოყვანის აგროტექნიკის საკითხები, მოსკოვი, 1978, ნაწილი 2, გვ 41-43. (რუსულ ენაზე)
18. შეფევი გ., დისპრესიული ანალიზი, მოსკოვის, ფიზიკა-მათემატიკური ლიტერატურის გამომცემლობა, 1963, 625 გვ.
19. ხიდაშელი შ. ა., პაპუნიძე ვ.რ., საქართველოს ტყის სამკურნალო მცენარეები. გამომც. „საბჭოთა აჭარა“, მეორე გამოცემა, ბათუმი, 1985, 351 გვ
20. ხიდაშელი შ.ა. სამკურნალო მცენარეები და მათი გამოყენება ხალხურ ფიტოთერა- პიაში, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1987, 62 გვ.
21. ხიდაშელი შ. ა., პაპუნიძე ვ.რ., აჭარის ტყეები. გამომც. „საბჭოთა აჭარა“, ბათ., 1976, 122 გვ.
22. ხიდაშელი შ.ა., ბოტანიკური ობიექტების დაცვისა და აქტიური გამოყენების მეცნიერული საფუძვლები, „საქართველოს ბუნების დაცვა“, ტ. 6. თბ., 1978.

მიკრობიოლოგია

მიკრობული ასოციაციების გავრცელების თავისებურებანი კუმისის ტბის (საქართველო) მლაშობ ნიადაგებში

მზია ჭულუკიძე*, დ.ლულუნიშვილი **, ზ.ლომთათიძე*

* სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ანოტაცია. შესწავლილია აღმოსავლეთ საქართველოს მლაშობი ნიადაგის (კუმისის ტბის მიმდებარე ტერიტორია) მიკროფლორა. დადგენილია, რომ საკვლევ ნიადაგში დომინირებენ ამინოფიკატორები და ამილოლიტური ბაქტერიები. კუმისის ტბის მიმდებარე ნიადაგში მცირე რაოდენობითაა ცელულოზო დამშლელი ბაქტერიები, სოკოები, აქტინომიცეტები, I და II ფაზის ნიტრიფიკატორები, რაც მოწმობს ნიადაგში მინერალიზაციის დაბალ დონეს. ნიადაგში მარილიანობის კონცენტრაციის ცვლილება გავლენას ახდენს ფიზიოლოგიური ჯგუფის რაოდენობრივ შემცველობაზე.

საკვანძო სიტყვები: მიკროორგანიზმთა ფიზიოლოგიური ჯგუფები, მლაშობი ნიადაგები, მარილიანობა.

ნიადაგების მიკროფლორის კვლევას დღეს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. ნიადაგში მიმდინარე ბიოქიმიური პროცესების ინტენსიფიკაციაში დიდი როლი მიკროორგანიზმებს ეკუთვნის., ამასთან გარემო არის რიგი ქიმიური თუ ფიზიკური ფაქტორი ძირეულად ცვლის ნიადაგში მიკრობიოლოგიურ აქტივობას (1,2). ამ თვალსაზრისით დიდ ყურადღებას იქცევს ნიადაგის მარილიანობა, კერძოდ მლაშობი ნიადაგები და მათში ჰალოფილური მიკროორგანიზმების რაოდენობრივი და თვისებრივი შემადგენლობის კვლევა (3). აქედან გამომდინარე ჩვენს სამუშაოს მიზანს წარმოადგენდა შეგვესწავლა აღმოსავლეთ საქართველოს, კერძოდ კუმისის ტბის მიმდებარე მლაშობი ნიადაგის მიკროფლორის რიგი ფიზიოლოგიური ჯგუფის გავრცელების თავისებურებანი.

კვლევის ობიექტები და მეთოდები. კვლევის ობიექტს წარმოადგენდა კუმისის ტბის

სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს მიმდებარე ტერიტორიის მლაშობი ნიადაგები. ავიღეთ 9 ნიმუში სამი წერტილიდან – ნაპირიდან 50 მ, 100 მ. და 200 მ. დაშორებით (თითოეულ წერტილში 5სმ, 10სმ. და 20სმ-ის სიღრმეზე). ნიმუშები აღებულია 2019 წლის თებერვალში, შემდეგი მეტეოროლოგიური მაჩვენებლების პირობებში: ცვალებადი ღრუბლიანობა, სამხრეთის ქარი – 2 მ/წ, ატმოსფერული წნევა - 720-721 მერკური მილი, ტემპერატურა: 8-11°C, ჰაერის ტენიანობა – 62%.

ცდებში გამოყენებული იყო მიკრობიოლოგიაში დღეს მიღებული ნიადაგის კვლევის მეთოდები (4, 5, 6, 7, 8).

ნიმუშებში განისაზღვრა მიკროფლორის ფიზიოლოგიური ჯგუფების (ამონიფიკატორები, ცელულოზოდამშლელები, საპროფიტები, ამილოლიტური ბაქტერიები, აქტინომიცეტები, ნიტრიფიკაციის I და II ფაზის ბაქტერიები, სოკოები). რაოდენობრივი შემად-

მზია ფულუკიძე, დ.ლულუნიოვილი, ზ.ლომთათიძე

გენლობა და მისი დამოკიდებულება ნიადაგის ტენიანობასთან, pH-თან და მარილიანობასთან.

ამონიფიკატორების რაოდენობრივი განსაზღვრა ხდებოდა ხორც-პეპტონიან აგარზე (ხპა), აერობული ცელულოზოდამშლელების – იმშენეცკის-სოლნცევას არეზე, საპროფიტული მიკროფლორის - ხპა-ზე, ამილოლიტური ბაქტერიების და აქტინომიცეტების – ჩაპკის არეზე, ნიტრიფიკაციის I და II ფაზის ბაქტერიების – ვინოგრადსკის არეზე, სოკოების – ჩაპკ-დოქსის მოდიფიცირებულ არეზე (4, 5).

ნიადაგის ნიმუშების ტენიანობას ვსაზღვრავდით წონითი მეთოდით საშრობ კარადაში (9). pH-ს ვსაზღვრავდით პოტენციომეტრულად პორტატული pH-მეტრის მეშვეობით (მარკა pHep2, ჩინეთი), მარილიანობას - წყლიანი გამონაწურის მკვრივი ნარჩენით.

მიკროორგანიზმების რაოდენობრივ გათვლას თხევად არეებზე ვაწარმოებდით მაკრედის ცხრილის გამოყენებით, ხოლო მყარ არეებზე ვიზუალურად, წარმოქმნილი კოლონიების აღრიცხვით (4).

კვლევის შედეგები. კუმისის ტბის მიმდებარე ნიადაგის ნიმუშებში ტენის, მარილიანობის და pH-ის შესწავლის შედეგები მოცემულია ცხრილებში -1, 2, 3.

შედეგების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საკვლევ სინჯებში ტენის რაოდენობა მცირედ განსხვავდება ერთმანეთისაგან. შეინიშნება ტენდენცია, რომ რაც უფრო შორსაა ნიადაგის ნიმუშის ადების წერტილი ტბის ნაპირიდან, მით უფრო ნაკლებია მასში ტენის რაოდენობა (ცხრ. 1). ასევე მცირდება მარილიანობაც (1,30-0,46%) და მჟავიანობაც (7,5-7,0). ხოლო ამასთან ერთად იზრდება მიკროორგანიზმთა საერთო რიცხვი, რომელიც ყველაზე მაქსიმალურია ტბიდან 200 მ დაშორებით (ცხრ. 6).

გამოკვლევულ ნიმუშებში (ტბიდან 50 მ დაშორებულ ნიმუშებში) დომინირებენ ამონიფიკატორი ბაქტერიები. მათი რაოდენობა შეადგენს 97,13%-ს მიკროორგანიზმების საერთო რაოდენობიდან. ეს კი მაჩვენებელია ადვილად მჟანგავი ორგანული ნაერთების მაღალი კონცენტრაციების შემცველობაზე. საკვლევ ნიადაგში საკმაო რაოდენობით წარმოდგენილია საპროფიტები – 2,43%, რაც მიუთითებს იმაზე რომ, ნიადაგი უხვად შეიცავს მცენარეულ და ცხოველურ ნარჩენებს.

ტბიდან 100 მ-ის დაშორებით აღებულ ნიმუშებში დომინირებენ ამონიფიკატორი (74,89%) და ამილოლიტური (19,53%) ბაქტერიები. მცირე შემცველობით აღინიშნება საპროფიტების რაოდენობა (5,58%).

ტბიდან 200 მ-ის დაშორებით აღებულ ნიმუშებში უფრო მაღალია ამილოლიტური ბაქტერიების რაოდენობა (57,06%). რაც სავარაუდოდ მცენარეთა ფესვთა სისტემის მიერ ექსუდატურ გამოყოფასთანაა დაკავშირებული. მცირე რაოდენობით გვხვდებიან საპროფიტები – 1,56%.

საკვლევ ნიმუშებში ძალიან მცირე რაოდენობით წარმოდგენილია ცელულოზოდამშლელები, სოკოები, აქტინომიცეტები, I და II ფაზის ნიტრიფიკატორები (ცხრ. 4, 5, 6).

ცდის შედეგების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ნიადაგის ფიზიკა-ქიმიური ფაქტორების, კერძოდ მარილიანობის, მჟავიანობისა და ტენის ცვლილება იწვევს მიკრობული ასოციაციების სტრუქტურის ცვლილებებს, რაც კარგად აისახა მიკროორგანიზმების ცალკეული ფიზიოლოგიურ ჯგუფების რაოდენობრივ შემცველობაში.

დასკვნები: კუმისის ტბის მიმდებარე მლაშობი ნიადაგების მიკროფლორაში დომინირებენ ამონიფიკატორი და ამილოლიტური ბაქტერიები ამონიფიკატორი ბაქტერიების რაოდენობა ტბიდან დაშორებით (50, 100, 200 მ) მცირდება, ხოლო ამილოლიტურები პირიქით – იზრდება.

მიკრობული ასოციაციების გავრცელების თავისებურებანი კუმისის ტბის ვლასოზ ნიადაგში

კუმისის ტბის შემოგარენის ნიადაგებში მცირე რაოდენობითაა ცელულოზოდაშლელი ბაქტერიები, სოკოები, აქტინომიცეტები, I და II ფაზის ნიტრიფიკატორები, რაც მოწმობს კუმისის ტბის მიმდებარე ნიადაგებში მინერალიზაციის დაბალ დონეს.*

ნიადაგში მარილის კონცენტრაციის, მჟავიანობის და ტენის ცვლილება საგრძნობლად ცვლის მიკრობული ასოციაციების სტრუქტურას.

ცხრილი №1.

კუმისის ტბიდან მიმდებარე ნიადაგებიდან ნიმუშების ტენიანობის მონაცემები

ნიმუშის დასახელება პარამეტრი	მანძილი ტბის ნაპირიდან								
	სიღრმე								
	50მ			100მ			200მ		
	5სმ	10სმ	20სმ	5სმ	10სმ	20სმ	5სმ	10სმ	20სმ
ტენიანობა, %	15,99	13,15	13,94	13,30	11,98	14,57	15,64	14,34	14,80

ცხრილი №2.

კუმისის ტბიდან მიმდებარე ნიადაგებიდან ნიმუშების მარილიანობის მონაცემები

ნიმუშის დასახელება პარამეტრი	მანძილი ტბის ნაპირიდან								
	სიღრმე								
	50მ			100მ			200მ		
	5სმ	10სმ	20სმ	5სმ	10სმ	20სმ	5სმ	10სმ	20სმ
მარილიანობა, %	1,30	1,04	1,36	0,83	1,49	0,71	0,17	0,20	0,46

ცხრილი №3.

კუმისის ტბიდან მიმდებარე ნიადაგებიდან ნიმუშების მჟავიანობის მონაცემები

ნიმუშის დასახელება პარამეტრი	მანძილი ტბის ნაპირიდან								
	სიღრმე								
	50მ			100მ			200მ		
	5სმ	10სმ	20სმ	5სმ	10სმ	20სმ	5სმ	10სმ	20სმ
pH, ერთ.	7,5	7,4	7,6	7,4	8,3	7,3	7,0	7,1	7,4

ცხრილი №4.

ფხია წულუკიძე, დ.ლუღუნიშვილი, ზ.ლომთათიძე

მიკროორგანიზმთა ასოციაციების გავრცელება კუმისის ტბის მლაშობ ნიადაგებში (ტბიდან 50 მ)

მიკროორგანიზმთა ჯგუფები	(სიღრმე 5 სმ)		(სიღრმე 10 სმ)		(სიღრმე 20 სმ)		ცალკეული მიკრო- ორგანიზ- მების ჯგუფების ჯამი	%
	რაოდ.	%	რაოდ.	%	რაოდ.	%		
ამონიფიკატორები, მლნ	3154400	98,95	587200	92,77	209200	84,48	3950800 * 10 ⁶	97,13
ამილოლიტური ბაქტერიები, მლნ	2400	0,08	9200	1,45	6400	2,58	18000* 10 ⁶	0,44
აქტინომიცეტები, მლნ	0,0095	0,3*10 ⁻⁶	0,0058	0,92* 10 ⁻⁶	0,0581	23,46* 10 ⁻⁶	0,0734* 10 ⁶	1,8*10 ⁻⁶
სოკოები, მლნ	0,0190	0,06 *10 ⁻⁶	0,0046	0,07*10 ⁻⁶	0,0046	1,86* 10 ⁻⁶	0,0282* 10 ⁶	0,69*10 ⁻⁶
ცელულოზადამშლელები	2023	0,06 *10 ⁻⁶	1842	0,29*10 ⁻⁶	697	0,28* 10 ⁻⁶	4562	0,11*10 ⁻⁶
საპროფიტები, მლნ	30948	0,97	35690	5,64	32049	12,94	98687* 10 ⁶	2,43
ნიტრიფიკატორები (I ფაზა), მლნ	5,5232	173*10 ⁻⁶	0,9557	0,14	0,0349	14,09* 10 ⁻⁶	6,5138* 10 ⁶	160*10 ⁻⁶
ნიტრიფიკატორები (II ფაზა), მლნ	0,0024	0,08*10 ⁻⁶	0,0173	2,73*10 ⁻⁶	0,0069	2,79* 10 ⁻⁶	0,0266* 10 ⁶	0,65*10 ⁻⁶
მიკროორგანიზმების საერთო რაოდენობა	3,19*10¹²	100	0,63*10¹²	100	0,25*10¹²	100	4,07* 10¹²	100

ცხრილი №5.

მიკროორგანიზმთა ასოციაციების გავრცელება კუმისის ტბის მლაშე ნიადაგებში (ტბიდან 100 მ)

მიკროორგანიზმთა ჯგუფები	(სიღრმე 5 სმ)		(სიღრმე 10 სმ)		(სიღრმე 20 სმ)		ცალკეული მიკრო- ორგანიზ- მების ჯგუფების ჯამი	%
	რაოდ.	%	რაოდ.	%	რაოდ.	%		
ამონიფიკატორები,მლნ	49600	63,24	1700	0,43	1299300	97,37	1350600* 10 ⁶	74,89
ამილოლიტური ბაქტერიები, მლნ	0	0	352200	90,2	0	0	352200* 10 ⁶	19,53
აქტინომიცეტები, მლნ	0,1384	176,4 *10 ⁻⁶	0,2045	52,4*10 ⁻⁶	0,007	0,5*10 ⁻⁶	0,3499* 10 ⁶	19,4*10 ⁻⁶
სოკოები, მლნ	0,0254	32,4*10 ⁻⁶	0,0523	13,4*10 ⁻⁶	0,0049	0,4*10 ⁻⁶	0,0826* 10 ⁶	4,58*10 ⁻⁶
ცელულოზადამშლელები	4037	5,2*10 ⁻⁶	1291	0,3*10 ⁻⁶	1112	0,08*10 ⁻⁶	6440	0,36*10 ⁻⁶
საპროფიტები, მლნ	28835	36,76	36585	9,37	35128	2,63	100548* 10 ⁶	5,58
ნიტრიფიკატორები (I ფაზა), მლნ	0,7843	999,9*10 ⁻⁶	0,0852	21,8*10 ⁻⁶	0,0714	5,4*10 ⁻⁶	0,9409* 10 ⁶	52,18*10 ⁻⁶
ნიტრიფიკატორები (II ფაზა), მლნ	0,0069	8,8*10 ⁻⁶	0,0140	3,6*10 ⁻⁶	0,0211	1,58*10 ⁻⁶	0,042* 10 ⁶	2,33*10 ⁻⁶
მიკროორგანიზმების საერთო რაოდენობა	7,84*10¹⁰	100	3,90*10¹¹	100	1,33*10¹²	100	1,80* 10¹²	100

ცხრილი №6.

მიკრობული ასოციაციების გავრცელების თავისებურებანი კუმისის ტბის ვლასოზ ნიადაგში

მიკროორგანიზმთა ასოციაციების გავრცელება კუმისის ტბის მლაშე ნიადაგებში (ტბიდან 200 მ)

მიკროორგანიზმთა ჯგუფები	(სიღრმე 5 სმ)		(სიღრმე 10 სმ)		(სიღრმე 20 სმ)		ცალკეული მიკრო-ორგანიზმების ჯგუფების ჯამი	%
	რაოდ.	%	რაოდ.	%	რაოდ.	%		
ამონიფიკატორები, მლნ	2560500	36,67	350200	42,01	610300	89,53	3521000* 10 ⁶	41,47
ამილოლიტური ბაქტერიები, მლნ	4386000	62,81	420300	50,43	38500	5,65	4844800* 10 ⁶	57,06
აქტინომიცეტები, მლნ	0,0178	0,25*10 ⁻⁶	0	0	0	0	0,0178* 10 ⁶	0,21*10 ⁻⁶
სოკოები, მლნ	0,0332	0,48*10 ⁻⁶	0,0004	0,05*10 ⁻⁶	0,0004	0,06*10 ⁻⁶	0,034* 10 ⁶	0,4*10 ⁻⁶
ცელულოზადამშლელები	2016	0,03*10 ⁻⁶	233	0,03*10 ⁻⁶	129	0,02*10 ⁻⁶	2378	0,03*10 ⁻⁶
საპროფიტები, მლნ	36747	0,53	63039	7,56	32863	4,82	132649* 10 ⁶	1,56
ნიტრიფიკატორები (I ფაზა), მლნ	2,1574	30*10 ⁻⁶	0,047	5,65*10 ⁻⁶	0,0551	8,08*10 ⁻⁶	2,26* 10 ⁶	26,6*10 ⁻⁶
ნიტრიფიკატორები (II ფაზა), მლნ	0,1766	2,53*10 ⁻⁶	0,9106	42,01	0,0021	0,31*10 ⁻⁶	1,09* 10 ⁶	12,84*10 ⁻⁶
მიკროორგანიზმების საერთო რაოდენობა	6,98*10¹²	100	8,34*10¹¹	100	6,82*10¹¹	100	8,49* 10¹²	100

MICROBIOLOGY

PECULIARITIES OF SPREADING MICROBIAL ASSOCIATIONS IN SALINE SOILS OF LAKE KUMISI (GEORGIA)

M. TSULUKIDZE*, D. GHUGHUNISHVILI**, Z. LOMTATIDZE*

* *Sokhumi State University,*

***Georgian Technical University*

The saline soils of Eastern Georgia have been studied, namely, the quantitative composition of the physiological groups of the microflora of the soil around Kumisi Lake and the peculiarities of their distribution. It has been determined that a large number of ammonifiers and amylolytic bacteria are prevalent in the soil under study. Saprophytes are found in small numbers while cellulosic decomposers, fungi, I and II phase nitrifiers and actinomycetes are present in minimal quantities. Analysis of the results of the experiment showed that the active process of ammonification is taking place in the saline soils around Lake Kumisi. However, the mineralization processes are relatively slow. Changes in salinity concentration in the soil affects the quantitative composition of physiological groups.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Lomtadze Z., Buliskeria I., Kotia N., Gorozia I. (2010) Peculiarities of Distribution of Oligokarbophilic and Humus Mineralizing Microorganisms in Alkali Soils of Georgia. *Bull. Georg. Natl. Acad. Sci.*, Volume 4, 2: 141-144, Tbilisi.
2. Kvesitadze G., Urushadze T. Field pedology, 170 p., 2016, Tbilisi, *Georg. Natl. Acad. Sci*
3. T. F. Urushadze (Ed.) *Soil Map of Georgia, Scale 1: 500000* (Kartfabrika, Tbilisi, 1999).
4. Tepper E.Z., Shil'nikova V.K., Pereverzeva G.I. Praktikum po mikrobiologii: ucheb. posobie. M.: Izdatel'stvo Drofa, 2004 – 256 p. (in Russian).
5. Praktikum po mikrobiologii. Pod red. N. S. Egorova. Uchebnoe posobie. M., Izd-vo Mosk. un-ta, 1976. - 307 p. (in Russian).
6. Mineev V.G. Agrokhimia: ucheb. posobie. M.: Izdatel'stvo Moskovskogo Universiteta, Izdatel'stvo KolosS, 2004–753 p. (in Russian).
7. Prozhorina T.I., Zatul'ei E.D. Khimicheskii analiz pochv, ch.2: laboratornyi praktikum dlia vuzov. Izdatel'sko-poligraficheskii tsentr Voronezhskogo gosudarstvennogo universiteta, 2009 – 31 p. (in Russian).
8. Praktikum po agrokhimii 2-e izdanie, pererabotannoei dopolnennoe /Pod redaktsiei akademika RASKhN Mineeva V.G. Izdatel'stvo Moskovskogo universiteta, 2001-688 p. (in Russian)
9. agrohimiya24.ru/agrohimicheskie-metody/1833-opredelenie-vlazhnosti-pochvy-vysushivaniem.html

ფსიქოლოგია

„ოზიმატური ღირებულების“ ცნება ნეპელობითი ქცევის ზნეობრივთან მიმართების ასკეპტში

ნოდარ ბარამიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი - სტატია მოკლედ, გარკვეული აქცენტითა და სათანადო განმარტებებით წარმოდგენილია დასმული საკითხი და მის კონტექსტში ყურადღება გამახვილებულია ობიექტური ღირებულების ცნებისა და ნებისყოფის პრობლემის ფსიქოლოგიაში კარგად ცნობილი ჩხარტიშვილისეული გაგებისათვის ძნელად მისაღებ ზოგიერთ მომენტზე.

1969 წელს, ჯერ კიდევ თსუ-ის მეხუთე კურსის სტუდენტმა, დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტში პრაქტიკაზე ყოფნისას, როდესაც მოვისმინეთ შ. ჩხარტიშვილის ლექცია-საუბარი ნებისყოფის მისეული გაგების შესახებ, მოკრძალებით ვკითხე მას: როგორ უნდა გავიგოთ აქ მოსმენილი შეხედულების მიხედვით, მაგალითად, ჰიტლერს ჰქონდა თუ არა მტკიცე, თუნდაც სათანადო ნებისყოფა? მოქმედებდა თუ არა იგი გადაწყვეტილების მიღებისას ობიექტური, საზოგადოებრივი ღირებულებებით, ე.ი. როგორც ნებისყოფის სუბიექტი? „საკითხს ასე ნუ დავსვამთ“ - მიპასუხა ბატონმა შალვამ და იმჯერად საჭიროდ არ ჩათვალა საუბრის ამ ასპექტით გაგრძელება.

მოხდა ისე, რომ შემდეგ გავხდი ბატონ შალვას ასპირანტი, შემდეგ მისი განყოფილების თანამშრომელიც, მაგრამ ეს კითხვა არასოდეს დასმულა ჩემს წინაშე. ათეული წლების შემდეგ, როდესაც ბატონი შალვა უკვე ცოცხალი აღარ იყო, მე კი ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვმუშაობდი, მოულოდნელად, 40-წლიანი ხანდაზმულობის საკითხი კვლავ ამოტივტივდა ჩემს ცნობიერებაში და მას ნებელობითი და ზნეობრივი ქცევის მიმართების კონტექსტში

სტატიაც მივუძღვენი, მაგრამ იგი სრულიადაც არ მაკმაყოფილებდა, რაზედაც სტატიაშივე მივანიშნე [3:89-93].

ამ თავისებური, კვაზიმოთხოვნილები-სეული მდგომარეობის ამჯერამდელი აქტუალიზაციის მიზეზი გახდა პროფ. ზ. ვახანიას ნაშრომი - „მოთხოვნილებისა და მოტივაციის ცნებები განწყობის თეორიაში“, რომელშიც გამოთქმულია საყურადღებო მოსაზრებები ჩვენთვის საინტერესო საკითხებზეც [6:56-104]. ვიზიარებთ რა ყოველივე პოზიტიურს, რაც უხვადაა ნაშრომში, ჩვენ ძირითადად ყურადღებას შევაჩერებთ ჩხარტიშვილის შეხედულებასთან მიმართებაში გამოთქმულ ზოგიერთ მომენტზე. მაგრამ ვიდრე მათ შევეხებოდეთ, მიზანშეწონილი იქნება მოკლედ დავალაგოთ ჩხარტიშვილის შეხედულების ძირითადი აზრი ნებისყოფისა და ნებელობითი ქცევის შესახებ, რაც, ბუნებრივია, მოიცავს ობიექტური ღირებულების ცნების მისეულ გაგებასაც.

ნებისყოფაზე თავისი შეხედულების აგებისას, შ. ჩხარტიშვილი, უწინარეს ყოვლისა, განიხილავს მოთხოვნილების ფსიქოლოგიურ ბუნებას და ნათელყოფს, რომ შეუძლებელია ყოველგვარი ადამიანური აქტივობის წყარო იყოს მხოლოდ მოთხოვნილება

[11][12]. მართალია, მოთხოვნილება არის აქტივობის ყველაზე უფრო ძირითადი ფაქტორი, რომელიც ფიგურირებს ყველა ქცევაში, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ადამიანის ქცევა ყოველთვის აღიმკვრება და წარმართება მოთხოვნილების ცოცხალი პროცესით. მოთხოვნილება, როგორც ქცევის წყარო, საერთოა ადამიანისა და ცხოველსათვის. ადამიანს გააჩნია ამ საერთოსაგან განმასხვავებელი აქტივობის სპეციფიკური წყაროც, რომელიც მან ისტორიული განვითარების პროცესში შეიძინა ცნობიერების გვერდით და რომლის მეოხებითაც იგი თავისუფლდება აქტუალური მოთხოვნილებების იმპულსთა ტყვეობისაგან. სპეციფიკურადამიანური აქტივობის წყაროს ნებისყოფა წარმოადგენს.

მოთხოვნილების იმპულსით აღძრულ ქცევას შ. ჩხარტიშვილი იმპულსურ ქცევას უწოდებს, განურჩევლად იმისა, თუ როგორი მოთხოვნილებაა ეს, ცნობიერების რომელ დონეზე მიმდინარეობს ქცევა და რა წინააღმდეგობის გადალახვა უხდება მის სუბიექტს. იმპულსურ ქცევას, მოთხოვნილების ფსიქოლოგიური ბუნებიდან გამომდინარე, ერთადერთი მიზანი გააჩნია: დაკმაყოფილდეს ამ ქცევის აღმძვრელი მოთხოვნილება. სხვა რამ (ქცევის შედეგები, მათი დადებითი ან უარყოფითი მნიშვნელობა ახლო თუ შორეული პერსპექტივისათვის, საზოგადოებისათვის) ამ ქცევის სუბიექტს არ აინტერესებს. იმპულსური ქცევის მიზანი თვით ამ ქცევაშია მოცემული. რაც შეეხება მოტივს, ავტორის აზრით, იმპულსური ქცევის მოტივის ფუნქციას ასრულებს ემოციური განცდის ფორმაში მოცემული ქცევის სუბიექტური ღირებულება, რომელიც მისი აღმძვრელი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისაკენ მიმართულ ქცევის აქტებთან უშუალო კავშირში იჩენს თავს და რომლის სიდიდე იცვლება მოთხოვნილების სუბიექტის მდგომარეობის ცვალებადობის

შესატყვისად: მოთხოვნილების ზრდასთან ერთად იზრდება, ხოლო მისი დაკმაყოფილების კვალობაზე მცირდება. სწორედ ამიტომ უწოდებს ავტორი მას სუბიექტურ ღირებულებას.

აღნიშნულისაგან განსხვავებით, ნებისყოფით განსაზღვრული ნებელობითი ქცევის მიზანი ყოველთვის ქცევის შედეგზე, ამ შედეგის ობიექტურ ღირებულებაზეა მიმართული. ნებელობითი ქცევის სუბიექტს აინტერესებს იმ შედეგების ობიექტური და საზოგადოებრივი ღირებულება, რომელიც უნდა დარჩეს ქცევის დასრულების შემდეგ და უნდა დააკმაყოფილოს ადამიანთა სამომავლო მოთხოვნილებები. ნებელობითი ქცევის მოტივია ნივთიერ და სულიერ ღირებულებათა შექმნის, დაცვის, გამრავლებისა და შენახვის საჭიროება.

ობიექტური ღირებულებისა და საზოგადოებრივი მოთხოვნების გაცნობიერება მხოლოდ ნებისყოფასთან მიმართებაში იძენს მოტივის ფუნქციას. ნებისყოფის სუბიექტი ობიექტურ (საზოგადოებრივ) ღირებულებათა საზომით აფასებს მოვლენებს. თუკი მოთხოვნილება მხოლოდ თავისი თავის დაკმაყოფილებაზე ზრუნავს, ნებისყოფა ერთნაირად მოიცავს ყველა მოთხოვნილებას და პირველ რიგში ზრუნავს იმის დაკმაყოფილებაზე, რომელსაც მეტი ობიექტური ღირებულება აქვს.

ნებელობითი ქცევის მოტივი, როგორც ვთქვით, განსხვავებით იმპულსური ქცევისაგან, არის ობიექტური ღირებულება. იგი იმით განსხვავდება სუბიექტური ღირებულებისაგან, რომ მისი არსებობა და სიდიდე არაა დაკავშირებული სუბიექტის მომენტურ მდგომარეობასთან და ამის მიხედვით არ ცვალებადობს. ობიექტური ღირებულება, ანდა ღირებულების ობიექტურობა, მნიშვნელობა და საჭიროება საზოგადოების მოთხოვნილებაზეა დამოკიდებული და არა ცალკე ინდივიდის მოთხოვნილებაზე. თუ

მოთხოვნების საგნის სუბიექტურ ღირებულებას ის განიცდის, ვისაც აქვს შესატყვისი მოთხოვნილება, მოთხოვნილების საგანი ობიექტურ ღირებულებას იძენს მოთხოვნილების იდეასთან მიმართებაში. ასეთ ღირებულებას „ხესუბიექტური“ არსებობის ფორმა გააჩნია და, ჩვეულებრივ, ლოგიკური მსჯელობის სახით ეძლევა ქვეყნის სუბიექტს.

ნებისყოფის სპეციფიკურ ბუნებას ჩხარტიშვილის აზრით, უზნაძისაგან განსხვავებით [9:190-192], გამოხატავს „მე უნდა“ განცდა, ხოლო „მე მინდა“ განცდა მხოლოდ იმპულსური ქცევის აქტებში დასტურდება და მოთხოვნილების სუბიექტის ბუნებას უფრო გამოხატავს.

როგორც ვხედავთ, შ. ჩხარტიშვილი არაერთხელ აჩვენებს, რომ მოთხოვნილება მონაწილეობს ყველა ქცევაში. იმპულსური ქცევის შემთხვევაში „მინდა“-სეული მოთხოვნილების ცოცხალი ფაქტი ფუნქციობს უკან, როგორც ბიძგისა და სტიმულის მიმნიჭებელი ძალა. ნებელობით ქცევაში კი წარმოდგენილია მისი აზრი, მისი იდეა, რომელიც სუბიექტს წინ ესახება და ნებელობითი ქცევის „მე უნდა“-სეული მიზნის განსაზღვრაში მონაწილეობს.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ საკითხებზე მსჯელობისას, შ. ჩხარტიშვილი აკეთებს მნიშვნელოვან განმარტებას თუ დამატებას, რომელსაც ჩვენ (და არა მხოლოდ ჩვენ) არ თუ ვერ მივაქციეთ სათანადო ყურადღება:

„შეიძლება ზოგჯერ სუბიექტი შეცდეს: მიზანი, რომლის შინაარსსაც იგი გარკვეული ობიექტური ღირებულების შემცველ მოვლენად თვლის, ნამდვილად მოკლებული იყოს ასეთ რამეს. მაგრამ ფსიქოლოგიური თვალსაზრისისათვის ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. ობიექტური ღირებულებანი ფსიქოლოგიური კვლევის საგანს არ შეადგენენ. ფსიქოლოგიას შეიძლება აინ-

ტერესებდეს მხოლოდ სუბიექტის დამოკიდებულება მათდამი. ამიტომ აქ მნიშვნელობა არ აქვს, მოცემული მიზნის შინაარსი მართლა ატარებს თუ არა იმ ობიექტურ ღირებულებას, რომელსაც მას სუბიექტი მიაწერს. მთავარი ისაა, რომ თვითონ ნებისყოფის სუბიექტი დარწმუნებულია, რომ, რასაც იგი აკეთებს და ქმნის, უეჭველად ობიექტურ ღირებულებას წარმოადგენს, და ამ რწმენასთან დაკავშირებით ქცევის აქტებს ფაქტობრივად ნებისყოფა მართავს და არა რომელიმე აქტუალური მოთხოვნილების იმპულსი...“ [12:262].

ვფიქრობ, ჩხარტიშვილის ეს განმარტება თუ დამატება გასათვალისწინებელია მისი შეხედულების მიმართ გამოთქმული ზოგიერთი შენიშვნის შეფასებისას. ასევე, მის საფუძველზე გადასახედა ჩვენი მოსაზრებები თუ ვარაუდები ავადსახსენებელი ბელადების ნებისყოფისა და ნებელობითი ქცევის თაობაზე [3:84-89]. არადა, თავის დროზე სათანადო ყურადღება რომ მიგვექცია ჩხარტიშვილის ამ ვრცელი ამონარიდისათვის, ჩვენს მიერ განხილული ზოგიერთი საკითხი სხვა რაკურსით წარმოდგებოდა.

ვახანია ზემოაღნიშნულ ნაშრომში აღნიშნავს, რომ გაუგებარია მოთხოვნილებით განსაზღვრულ ქცევას იმპულსური ვუწოდოთ, თუკი ეს ქცევა თავიდან ბოლომდე გააზრებულია და ხანგრძლივი აწონ-დაწონის შედეგად ცივი გონებითაა დაგეგმილი, რაც „იმპულსი“-ს ცნებას უაზროს ხდის [6:66].

მართალია, ამ შემთხვევაში ცნება „იმპულსი“ თითქოს საქმის ვითარების შეუსაბამო ხდება, მაგრამ, როგორც ვნახეთ, მხოლოდ ქცევის აღმძვრელი მოთხოვნილების იმპულსის გამო როდი უწოდებს ჩხარტიშვილი ქცევას - იმპულსურს. იმპულსურ ქცევაში მოთხოვნილების იმპულსის უშუალოდ ქცევაში გადასვლის მომენტი კი არაა ყველაფრის მომცველი ნიშანი, არამედ ის

ახალი, ის სისტემური დახასიათება, რომელსაც იძლევა ჩხარტიშვილი და რომლითაც იგი იმპულსური ქცევის თავისებურებებს განასხვავებს ნებელობითი ქცევის თავისებურებებისაგან.

რა თქმა უნდა, მოთხოვნილებით განსაზღვრულ ქცევაში, უმეტესწილად, მოთხოვნილების იმპულსი მომენტალურადაა გადასული ქცევაში, მაგრამ ადამიანი მყისიერად, ყოველგვარი განსჯის გარეშე, არა-იმპულსურ, არამოთხოვნილებსეულ ქცევა-საც ასრულებს (მაგალითად, თვითდაცვის უძლიერესი მოთხოვნილების დაძლევა და ჯარისკაცის მყისიერი გამიჯნული მოქმედება ბრძოლაში...).

მოთხოვნილების იმპულსის ქცევაში უშუალოდ გადასვლის მომენტი რომ არაა მთავარი იმპულსური ქცევისათვის, ამას ჩვენი მრავალრიცხოვანი ექსპერიმენტებიც ადასტურებს [5:55-116]. მაგალითად, საბავშვო ბაღის აღსაზრდელს ვაძლევთ ლამაზად შეფუთულ კანფეტს და ვეუბნებით: „წაუღე ეს კანფეტი შეუძლოდ გამხდარ დედიკოს. შენ შეგიძლია თვითონვე შეჭამო კანფეტი, მაგრამ თუ არ შეჭამ და დედიკოს შეუნახავ, იგი მალე მორჩება“. ჩაფიქრებული ბავშვი ერთხანს აგრძელებს თამაშს, შემდეგ საჭირო ოთახში შესვლის მიზეზით მორცხვად განერიდება თანატოლებს და მალულად შეჭამს კანფეტს. ვერ ვიტყვით, რომ ბავშვის ამ მოქმედებაში მოთხოვნილების იმპულსი უშუალოდ გადავიდა ქცევაში და ეს მოქმედება გააზრებას იყო მოკლებული. მაგრამ ვერც იმას ვიტყვით, რომ ეს არაა იმპულსური ქცევა, რომ ეს ნებელობითი მოქმედებაა. ასე რომ, იმპულსური ქცევის დახასიათებისათვის მოთხოვნილების იმპულსის უშუალოდ ქცევაში გადასვლის ნიშანი, ვფიქრობთ, არაა საკმარისი.

ვახანას აზრით, „მცდარია ნებისყოფის არსებით ნიშან-თვისებად „ობიექტური“ ღირებულების შეგნების მიჩნევა. ხშირად

ნებელობით ქცევას მართლაც „ობიექტური“ მიზანი აქვს, მაგრამ საკმაოდ ხშირად ასე არაა. საზოგადოდ, გაურკვეველია თუ მანც რას ნიშნავს ღირებულების „ობიექტურობა“ [6:66].

შ. ჩხარტიშვილის შეხედულებისათვის უმძიმესი შენიშვნაა, მაგრამ, ვფიქრობთ, მის ნაშრომებში, უპირველესად მის კაპიტალურ წიგნში - „ნებისმიერი ქცევის მოტივის პრობლემა“ [12], არის პასუხი ამ შენიშვნაზე, რაზედაც მისი შეხედულების მოკლე ზემოთ დალაგებაც მეტყველებს. არსებითად, ღირებულების „ობიექტურობა“, ანდა ობიექტური ღირებულების ცნობიერება გულისხმობს იმის გაცნობიერებას, თუ რა მნიშვნელობა აქვს საგანს ან მოვლენას თავისთავად სუბიექტის მოთხოვნილებისა და ინტერესებისაგან დამოუკიდებლად, შესაბამისად, უარყოფითისაგან თავშეკავებას და დაებითის მიხედვით მოქმედებას.

ვინაიდან ობიექტური და სუბიექტური ღირებულების ცნებები უშუალო კავშირშია ადამიანის ქცევის წყაროს პრობლემასთან, დამატებით გვინდა აღვნიშნოთ შემდეგი:

ადამიანის ქცევის ერთადერთ წყაროდ მოთხოვნილების გამოცხადება [6][8] და ნებისყოფის მაორგანიზებელი ძალის უარყოფა, ამ სპეციფიკურად ადამიანურ თავისებურებას ფიქციად აქცევს. ნებისყოფა კი ისტორიულად სწორედ ადამიანის მოთხოვნილებების გონივრული დაკმაყოფილებისათვის მცდელობაში ჩამოყალიბდა და მისი საბოლოო ფუნქციაც, არსებითად მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საქმის ღირებულებითი თვალსაზრისით რეგულირებაში, ამ პროცესის დროსა და სივრცეში მიზანშეწონილად წარმართვაში მდგომარეობს. ფენომენოლოგიური პოზიციებიდან რომ ვიმსჯელოთ, ნებისყოფისეულ „მე უნდა“-ს მიხედვით გადაწყვეტილების მიღებას და მოქმედებას საბოლოოდ სწორედ „მე მინდა“-ს გონივრული დაკმაყოფილების

ახლო თუ შორეული მიზანი ამართლებს. თუკი ფილოგენეზში, არსებობისათვის ბრძოლის პროცესში ჩაისახა და განვითარდა აზროვნება და სხვა შემეცნებითი ფუნქციები, სავსებით ლოგიკურია, რომ იგივე პროცესში ობიექტური აუცილებლობით უნდა განვითარებულიყო და განვითარდა კიდევ თავ-შეკავების, აქტუალური მოთხოვნილების მომენტურ დაკმაყოფილებაზე უარის თქმის და ამ გარემოების გონივრული რეგულირების უნარიც, ანუ ნებისყოფის უნარი.

მართალია, ნებელობით ქცევას უშუალო კავშირი არ აქვს აქტუალურ მოთხოვნილებასთან და მასთან დაკავშირებულ, ემოციური ფორმით მოცემულ სუბიექტური ღირებულებასთან, მაგრამ მოთხოვნილება, მისი იდეის, აზრის სახით ნებელობითი ქცევის აუცილებელი წანამდღვარია. იგი ამ ქცევის იდეური სიტუაციის ერთ-ერთ ძირითად მომენტს წარმოადგენს და მის გარეშე ვერ დაისახება ნებელობითი ქცევის მიზანი, რომელიც გარკვეული ობიექტური ღირებულების შექმნაში, დაცვასა და გამრავლებაში მდგომარეობს. ობიექტურ ღირებულებებს მოთხოვნილების საგნები და მოვლენები მხოლოდ მოთხოვნილებათა იდეებთან მიმართებაში იძენენ. წარმოებას, როგორც ნებელობით ქცევას მხედველობაში აქვს მოთხოვნილების აზრი, მოთხოვნილების იდეა, მაშინ როცა მოხმარების იმპულსურ აქტებს მოთხოვნილების ცოცხალი ფაქტი აღძრავს. ის, რისკენაც იმპულსური ქცევის სუბიექტი ისწრაფვის, არასოდეს შეიძლება ნებელობითი ქცევის მიზანს წარმოადგენდეს და, პირიქით - ნებელობითი ქცევის მიზანი შეუძლებელია ოდესმე იმპულსური ქცევის მიზანი გახდეს.

ნებელობით ქცევაში ქცევის შედეგების ობიექტური საჭიროება-ღირებულება ცნობიერდება და მიზანი მასთან მიმართებაში ისახება და ხორციელდება, მაშინ როცა იმპულსურ ქცევაში ობიექტური ღირებულება

საერთოდ უგულებელყოფილია. ნებელობითი ქცევა მიჰყავს თვითონ პიროვნებას, როგორც ნებისყოფის არსებას, რომელიც ფლობს საკუთარ თავს და იმას აკეთებინებს, რასაც მისგან საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრების პერსპექტივები მოითხოვენ. გადაწყვეტილებასთან, როგორც ნებისყოფის აქტთან და პიროვნულ მოვლენასთან მაშინ გვაქვს საქმე, როცა იგი ნებისყოფისეული მოტივის საფუძველზეა მიღებული თავისუფალი არჩევანის გზით. ეს არჩევანი კი ყოველთვის ობიექტური ღირებულებისკენაა მიმართული. ღირებულების ობიექტურობა და საჭიროება კი დამოკიდებულია საზოგადოების მოთხოვნაზე. მაგალითად, შრომის, როგორც ნებელობითი ქცევის შედეგს ღირებულება ეძლევა იმ მოთხოვნილების იდეასთან მიმართებაში, რომელსაც იგი დააკმაყოფილებს მომავალში. ამ შედეგის ღირებულება-საჭიროებას კი განსაზღვრავს საზოგადოების შესაბამისი მოთხოვნები. ჩხარტიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ნებელობითი ქცევის მიზანია ის საქმის ვითარება, რომელიც განხორციელებული უნდა იქნას, ხოლო მოტივი - ის ობიექტური ღირებულება, რომელიც მიზანში გათვალისწინებულ საქმის ვითარებას აქვს“ [11:210].

ზემოაღნიშნულის შემდეგ, ვფიქრობ, გასაგებია თუ რატომ ენაცვლება ერთმანეთს ჩხარტიშვილის შეხედულებაში ობიექტური და საზოგადოებრივი ღირებულების ცნებები. რაც შეეხება ვახანიას შენიშვნას, რომ ძალიან დაუსაბუთებელია “ობიექტურ ღირებულებად” მივიჩნიოთ ისეთი წმინდად სუბიექტური ღირებულება, როგორცაა, მაგალითად, სპორტსმენის მიზანი პირადი ჩემპიონობისა (რისთვისაც საჭიროა მრავალწლიანი ვარჯიში და სიტუაციური იმპულსების აღკვეთა), ვფიქრობთ, ძნელი გასაზიარებელია.

ერთი წუთით რომ წარმოვიდგინოთ “პირად ჩემპიონობას” არავითარი საზოგადოებრივი

ფასი და მნიშვნელობა არ აქვს, საკითხავია, მომავალი ჩემპიონი აიძულებდა კი თავს გაემლო ასეთი ვარჯიშისთვის? ანდა, რა აზრი ექნებოდა, საერთოდ, “ჩემპიონობას”? ამიტომაც, შეუძლებელია ჩემპიონობა პირად საქმედ, “წმინდა სუბიექტურ ღირებულებად” მივიჩნიოთ. მით უფრო, რომ პირადი ჩემპიონობისათვის მებრძოლი სპორტსმენის ხანგრძლივი ვარჯიში არის არა პროცესუალური აქტივობა, არამედ შედეგზე, ამ შედეგის საზოგადოებრივ ღირებულებაზე ორიენტირებული მოქმედება და არა უბრალოდ სხეულის გაკაჟებისთვის ბრძოლა, რომელიც არავითარ დემონსტრირებას და “საჩემპიონო” შეფასებას არ მოითხოვს. თუმცა, სხეულის გაკაჟებისათვის ბრძოლაც მომავლის ინტერესებისათვის, ობიექტური საჭიროებისათვის სიტუაციური იმპულსების დაძლევისა და მომენტურ სუბიექტურ მდგომარეობაზე ამაღლებას გულისხმობს.

უნდა ვაღიარო, რომ ადრე გამოქვეყნებულ ჩემს ნაშრომში [3:84-89] არის ანალოგიური ხასიათის პრობლემული ვითარება, “ობიექტური ღირებულების” ცნების ჩხარტიშვილისეული გაგებიდან გადაცდომა. ამის მიზეზი, ჩვენს შემთხვევაში, ისაა, რომ სათანადო ყურადღება არ თუ ვერ მივაქციეთ ჩხარტიშვილის ზემოთ მოყვანილ განმარტებას. როგორც ჩანს, იგივეთია განპირობებული ვახანას ასეთი შენიშვნაც:

„შ. ჩხარტიშვილისეული პოზიციის თანმიმდევრული ლოგიკური დასასრული ისაა, რომ ნებისყოფის კრიტერიუმად ზნეობრიობა დაისახოს და მაგალითად, სტალინი უნებისყოფო ადამიანად მივიჩნიოთ. ეს კი ფაქტობრივად სრულიად მცდარი. იოსებ ჯულაშვილი უძლიერესი, “ფოლადისებური” ნებისყოფით გამოირჩეოდა და მისი პარტიული ფსევდონიმი “სტალინი” სწორედ აქედანაა“ [6:67].

ახლა გავიხსენოთ რას ამბობს ჩხარტიშვილი: „შეიძლება ზოგჯერ სუბიექტი შეცდეს: მიზანი, რომლის შინაარსსაც იგი გარკვეული ობიექტური ღირებულების შემცველ მოვლენად თვლის, ნამდვილად მოკლებული იყოს ასეთ რამეს, მაგრამ აქ ფსიქოლოგიური თვალსაზრისისათვის ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს... ფსიქოლოგიას შეიძლება აინტერესებდეს მხოლოდ სუბიექტის დამოკიდებულება მათდამი... მთავარი ისაა, რომ თვითონ ნებისყოფის სუბიექტი დარწმუნებულია, რომ რასაც იგი აკეთებს და ქმნის უეჭველად ობიექტურ ღირებულებას წარმოადგენს, და ამ რწმენასთან დაკავშირებით ქცევის აქტებს ფაქტიურად ნებისყოფა მართავს და არა რომელიმე აქტუალური მოთხოვნის იმპულსი“... [12:262].

ვფიქრობ, ჩხარტიშვილის ამ განმარტების თავისებური იგნორირების „მსხვერპლი“ გავხდით მეც და ბატონი ზურაბიძე. არადა, აღნიშნულის გათვალისწინებით, რომ არაფერი ვთქვათ ფაქტობრივ ვითარებაზე, არაფრით არ შეიძლება სტალინის მტკიცე ნებისყოფაში ეჭვი შევიტანოთ. ეს არ შეიძლება იმიტომ, რომ იგი „დიდ“ საქმეებთან მიმართებაში შინაგანად ღრმად იყო დარწმუნებული თავის სიმართლეში, საზოგადოებრივად ღირებულ ქმედებებში და ამ რწმენით უანგაროდ და თავგანწირვით იბრძოდა ხალხის კეთილდღეობისთვის. ამას ფსიქოლოგიურად კარგად ადასტურებს აკაკი ვასაძესთან პირისპირ საუბარში ნათქვამი მისი სიტყვებიც: “თუ მიზანი წმიდა გაქვს და ხალხისთვის სასარგებლო, თუ მიზანში მდგომარეობს შენი სიცოცხლე, შეუპოვრად გასწიე წინ. შეიძლება დაგასისხლიანონ, შეიძლება უსამართლოდ დაგამცირონ, შეიძლება მუცელზე ხოხვაც მოგიხდეს, მაინც გასწი და შენი მრწამსით იარე წინ, თამამად გასწი და გამარჯვება შენი იქნება [7:255].

ამ სიტყვებს ასაკოვანი სტალინი, ცხადია, თავისი პიროვნებიდან, საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარეც ამბობდა. ასეთი ქმედებების საფუძველი კი მართლაც უძლიერესი ნებისყოფა შეიძლება იყოს და არა წარმავალი მოთხოვნილებების იმპულსი.

ანალოგიურად, არასწორი მსჯელობა განვითარებული და მეორდება ჩვენს ნაშრომებშიც [2:101-116; 3:84-89]. კერძოდ, იმის გამო, რომ ყურადღების მიღმა დაგვრჩა ჩხარტიშვილის ზემოაღნიშნული განმარტება, ჩვენ ლენინის, ჰიტლერის და მათი მსგავსი სხვა ბელადების საშინელი ქმედებები ფაქტობრივად იმპულსურ ქცევათა კატეგორიაში გავაერთიანეთ. ჩვენი ადრინდელი მსჯელობის ძირითადი შინაარსი შემდეგში მდგომარეობდა:

ვინაიდან ნებელობითი ქცევის მოტივი ჩვენთვის ობიექტური, საზოგადოებრივი და საკაცობრიო ღირებულებებია, ბუნებრივად დაისვა კითხვა: რა იყო, მაგალითად, ჰიტლერის მოქმედების მოტივი, როდესაც იგი არაარსი რასის განადგურების დირექტივას იძლეოდა? რომელ მოტივს ეფუძნებოდა მისი ცნობილი ლოზუნგი: გერმანია, გერმანია უპირველეს ყოვლისა! ან რომელ ობიექტურ, საზოგადოებრივ თუ საკაცობრიო ღირებულებაზე ფიქრობდა იგი, როდესაც იგივე გერმანელების ჩასახრჩობად მეტროში მდინარის ჩაშვება გადაწყვიტა – არ ყოფილხართ გერმანელები ჩემი ღირსიო. მივაქციეთ ყურადღება: არ ყოფილხართ ჩემი ღირსიო. აქ უკვე ჰიტლერის ჩაკეტილი მსოფლმხედველობაც ვერაფერს გვიხსნის.

ჩვეულებრივ, ქცევის სუბიექტი სინდისის ქენჯნას უნდა განიცდიდეს შეცდომის, მარცხის თუ ქცევის საზოგადოებრივი მიუღებლობის შემთხვევაში. ჰიტლერი არათუ არავითარ სინდისის ქენჯნას არ განიცდიდა, არამედ სინდისისაგან (ამ “ქიმერისაგან”) ათავისუფლებდა გერმანელ ჯარისკაცებსაც და მოქმედების სრულ თავისუფლებას

ამლევდა თავისი იდეების განხორციელებისათვის ბრძოლაში. “ის ადამიანები, შენიშნავს ერის ფრომი, რომლებსაც სწამდათ ჰიტლერის მიერ გამოცხადებული იდეებისა, როცა ადამიანური ბუნებისათვის უცხო ქმედებებს ჩადიოდნენ, დარწმუნებული იყვნენ, რომ სინდისიერად იქცოდნენ” [10:4]. ცხადია, ეს ადამიანები ჩხარტიშვილის აღნიშნული განმარტებისა და ფრომის ამ გამონათქვამის მიხედვითაც რომ ვიმსჯელოთ, ნებისყოფით ძალისხმევას არ დააკლებდნენ თავიანთ ქმედებებს.

პრინციპულად იგივე ითქმის პროლეტარიატის დიდი ბელადის, “მია ლენინის” შესახებაც [4]. საკუთარი სამშობლოს გაყიდვის ფასად მიღწეული ოქტომბრის გადატრიალება, საზოგადოებისა და მთელი მსოფლიოს ერთი, სოციალისტური იდეებისათვის მიუღებელი ნაწილის მტრად გამოცხადება და მზადყოფნა მისი განადგურებისათვის, ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით გაცემული ამაზრზენი განკარგულებები, ეკლესია-მონასტრების დანგრევა, რელიგიის მსახურთა და რელიგიურ ფასეულობათა უმოწყალო განადგურება და ა.შ., რომელი ობიექტური, სოციალური და საკაცობრიო მოტივებით იყო ნაკარნახევი? კაცობრიობის ე.წ. ნათელი მომავლისთვის ჩადენილი ეს ქმედებანი, სამყაროს ყველაზე დიდი ღირებულების - ადამიანის (ათეული მილიონობით ადამიანის) სიცოცხლის მოსპობის ფასად, ნებელობითი ქცევის მოტივის ჩვენთვის მისაღებ გაგებაში ვერ თავსდება. დასახელებული მოქმედებები შეიძლება დავახასიათოთ, როგორც უაღრესად ეგოისტური ხასიათის, უზნეო, წმინდა იმპულსური ქცევა, რომლის მოტივიცაა სუბიექტური ღირებულება. გავიხსენოთ ჰიტლერის გამონათქვამი: გერმანელებო, არ ყოფილხართ ჩემი ღირსი და ამიტომ უნდა დაიღუპოთო. სიტყვა “ჩემი” აქ სწორედ უმაღლესი ეგოიზმის, საკუთარი სიდიადის,

ნოღარ ბარამიძე

თუ მესიანური დანიშნულების გამოვლი-
ნებაა, ამისკენ მისწრაფების გამოხატულებაა.

მაშასადამე, ყოველივე აღნიშნულის
საფუძველზე, ჩვენ ვასკვნიდით, რომ ბელა-
დების საყოველთაოდ ცნობილი ქმედებები
იყო ძალაუფლებისაკენ უძლიერესი ლტოლ-
ვით ან მისი შენარჩუნების ვიწრო პარ-
ტიული ინტერესებით, შურისძიების არაა-
დამიანური მისწრაფებებით გაპირობებული
იმპულსური ბუნების აქტივობა და არა ჭეშ-
მარიტად საზოგადოებრივი, ადამიანისათ-
ვის ბედნიერების მომტანი მოტივებით
განსაზღვრული ნებელობითი ქცევა. იმპულ-
სური და ნებელობითი ქცევის მოტივების
ჩხარტიშვილისეული გაგებიდან გამომდი-
ნარე, ჩვენ შეუთავსებლად მიგვაჩნდა
ნებისყოფის გადამწყვეტი მონაწილეობა არა-
ზნეობრივ, არაჰუმანურ ქმედებებში, წინა-
აღმდეგობრივად - მათი აღიარება ნებე-
ლობით ქცევად.

როგორც შესავალშივე აღვნიშნეთ, ჩვენ
სრულიადაც არ გვაკმაყოფილებდა საკითხის
ასეთი გაგება, ვინაიდან კარგად ვგრძ-
ნობდით სირთულეებს და სისუსტეებსაც
მასში. ამიტომ, სამაგალითოდ იქვე მივანიშ-
ნებდით: ძნელი სათქმელია რომელი ობიექ-
ტური, საზოგადოებრივი თუ საკაცობრიო
მოტივებით ხელმძღვანელობდა ალექსანდ-
რე მაკედონელი თავის დაპყრობით ომებში,
მაგრამ ასევე ძნელია ამის გამო ეჭვი შევი-
ტანოთ მისი ნებელობითი ქცევის უნარში.
სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, უდაბნოში,
მისთვის დიდი სიძნელით ნაშოვნის წყლის
ჯარის თვალწინ გადაღვრის მაგალითი ხომ
ნებისყოფის გამოვლენის კლასიკურ ნიმუ-
შადაა მიჩნეული.

ახლა ვიმსჯელოთ ჩხარტიშვილის გან-
მარტების მიხედვით:

ჩხარტიშვილი ერთმნიშვნელოვნად აცხა-
დებს, რომ ობიექტური ღირებულებანი
ფსიქოლოგიური კვლევის საგანს არ შეად-
გენენ. ფსიქოლოგიას აინტერესებს მხოლოდ

სუბიექტის დამოკიდებულება მათდამი.
ამიტომ აქ მნიშვნელობა არ აქვს მოცემული
მიზნის შინაარსი მართლა ატარებს თუ არა
იმ ობიექტურ ღირებულებას, რომელსაც მას
სუბიექტი მიაწერს. მთავარი ისაა, რომ
თვითონ ნებისყოფის სუბიექტი დარწმუ-
ნებულია, რომ რასაც იგი აკეთებს და ქმნის,
უეჭველად ობიექტურ ღირებულებას წარ-
მოადგენს, და ამ რწმენასთან დაკავშირებით
ქცევის აქტებს ფაქტიურად ნებისყოფა
მართავს და არა რომელიმე აქტუალური
მოთხოვნილება.

თუკი ეს ასეა, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ,
რომ ბელადებიც (და არა მხოლოდ) შინაგანი
რწმენით მოქმედებდნენ (რაც, მაგალითად,
სტალინმა აღიარა კიდეც აკ. ვასაძესთან საუ-
ბარში) და ფიქრობდნენ, რომ საზოგადოე-
ბისათვის, შესაბამისი ქვეყნებისათვის დიდი
ღირებულების მქონე საქმეს აკეთებდნენ.
სხვა საკითხია რეალურად იყო თუ არა ეს
ასე, მაგრამ ასეთი რწმენიდან გამომდინარე,
მათი ქმედებები, ჩხარტიშვილის განმარ-
ტების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ნების-
ყოფას უნდა დავუკავშიროთ.

მაშასადამე, თუ არ გავითვალისწინებთ
სულიერად და ფიზიკურად მძიმედ ავადმ-
ყოფი ლენინის სიცოცხლის ბოლო თვეებს
და „ხაფანგში გაბმული“ ჰიტლერის ბოლო
დღეებს, როდესაც მათი შერაცხადობა სა-
თუო იყო, ისინი გადაწყვეტილებების მიღე-
ბისას ნებელობითი ქცევის სუბიექტები იყ-
ნენ. მათი მოტივაცია, შესაბამისი ძალისხმე-
ვა და ქმედება-განკარგულებები, ჩვენი ად-
რინდელი მტკიცების საწინააღმდეგოდ, ნე-
ბისყოფისეულია, თუმცა, ეგოისტური, მოთ-
ხოვნილებისეული ბუნების იმპულსების
ჩართულობის გამორიცხვაც არ შეიძლება.

საკითხი ამ სახით თითქოს გარკვეულია,
მაგრამ მაინც რჩება კითხვები. ზოგიერთის
შესახებ თავის დროზე მიანიშნებდა პროფ. გ.
ბანძელაძე [1:56-139]. მაგალითად, მისი აზ-
რით, ნებისყოფა ჩხარტიშვილთან, საბოლოო

შედგეში, გაიგივეებულია კეთილ ნებასთან, ამიტომ ბოროტების აქტში არ შეიძლება მონაწილეობდეს ნებისყოფა. ნორმალური ადამიანის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი აიხსნება ინტელექტუალური შეცდომით და არა ნებისყოფის მიზეზით. მაგრამ ნებისყოფა, ნებისყოფითი ძალისხმევა, ბანძელადის მოსაზრებით, ერთნაირად შეიძლება იყოს მიმართული სიკეთესა და ბოროტებაზეც. ნებისყოფა შეიძლება ჰქონდეს როგორც კეთილ, ისე ბოროტ ადამიანს და ერთნაირად შეიძლება იყოს საფუძველი როგორც კეთილი, ისე ბოროტი ქმედების. იგი შინაგანი აუცილებლობით არ უკავშირდება მხოლოდ ობიექტურ ღირებულებას, საზოგადოებრივ საჭიროებას, სიკეთეს.

ნებისყოფა არის შეგნებისადმი დამორჩილების, ანუ შეგნებული მოქმედების უნარი. „შეგნებული მოქმედების“ ცნებაში ბანძელადეს ესმის „არა რაიმე დადებითი მოქმედების უნარი, არამედ მხოლოდ გააზრებული, მოფიქრებული, აწონ-დაწონილი მოქმედება. შეგნებულ მოქმედებაში რომ დადებითი, კეთილი მოქმედება ვიგულისხმობთ, მაშინ ნებისყოფისა და სიკეთის (ნებელობითი ქცევისა და ზნეობრივი ქცევის - ნ.ბ.) ცნებები დაფარავენ ერთმანეთს და გამოვა, თითქოს, ვისაც ნებისყოფა აქვს, ყველა კეთილი იყოს. ნებისყოფის უნარი არაფერს ამბობს მოქმედების ღირებულების შესახებ. იგი მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ ადამიანს შეგნებული აქვს რას აკეთებს, და აკეთებს ამას არა გარეგანი იძულებით, არამედ საკუთარი სურვილით, განზრახვით, თავისი ნებით ანუ შინაგანი იძულებით. სწორედ ეს არის იმის საფუძველი, რომ ადამიანი პასუხისმგებელია თავისი მოქმედებისათვის როგორც სიკეთის, ისე ბოროტების შემთხვევაში [1:137-138].

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ბანძელადის აღნიშნული მოსაზრების შესახებ შ. ჩხარტიშვილს თავისი აზრი არ გამოუთქვამს.

ჩვენ ამ მიმართებით აღარ გავაგრძელებთ საუბარს. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ არსებითი განსხვავების მიუხედავად, ბანძელადისეულ საკითხის დაყენებასა და ჩხარტიშვილის შეხედულებაში გამოთქმულ ზოგიერთ მოსაზრებას შორის შეინიშნება გარკვეული შემხებლობა იმ თვალსაზრისით, რომ ორივე შემთხვევაში პრინციპულად შესაძლებელია ნებელობითი ქცევა არ იყოს ობიექტური ღირებულების მქონე, საზოგადოებრივად მისაღები შედეგის მომტანი აქტივობა. ოღონდ, ჩხარტიშვილთან ამის მიზეზად თუ საფუძველად აღიარებულია ქცევის სუბიექტის ინტელექტუალური შეცდომა, სრულიად შემთხვევითი გარემოება. ბანძელადე კი მიიჩნევს, რომ ნებელობითი ქცევა შეიძლება იყოს წინასწარ განზრახული, დაგეგმილი, საზოგადოებრივად მიუღებელი ქმედება - ბოროტების ჩათვლით, რაც სრულიად შეუთავსებელია ჩხარტიშვილის შეხედულებასთან.

როგორც ვხედავთ, ნებელობითი და ზნეობრივი ქცევის მიმართების ასპექტში „ობიექტური ღირებულების“ ჩხარტიშვილისეულ ცნებაზე მსჯელობამ ნებისყოფის ფსიქოლოგიის სხვა საკითხების გარკვევადაზუსტების აუცილებლობა წარმოაჩინა. წინამდებარე ნაშრომში ჩვენ მოკლედ, გარკვეული აქცენტით და სათანადო კომენტარებით წარმოვადგინეთ დასმული საკითხი და მის კონტექსტში ყურადღება გავამახვილეთ ჩხარტიშვილის შეხედულებისათვის ძნელად მისაღებ ზოგიერთ მომენტზეც. თუმცა, ამ შემთხვევაშიც ვადასტურებთ, რომ ბევრი რამ შემდგომ შესწავლას მოითხოვს.

PSYCHOLOGY

THE CONCEPT OF "OBJECTIVE VALUE" IN THE ASPECT OF THE RELATION OF VOLITIONAL BEHAVIOR TO MORALITY

NODAR BARAMIDZE

Batumi Shota Rustaveli State University

Discussing Chkhartishvili's concept of "objective value" in relation to voluntary and moral behavior has necessitated clarification of other issues in the psychology of willpower. In the present paper, we have presented the issue briefly, with some emphasis and polite comments, and in its context we have focused on some moments that are hard to accept for Chkhartishvili's view. However, even in this case, we confirm that many things require further study.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბანძელაძე გ., ...ეთიკის საგნის შესახებ, თბილისი., 1959.
2. ბარამიძე ნ., ნებისყოფის ფსიქოლოგიის საკითხები, ბათუმი, 2019.
3. ბარამიძე ნ., ნებელობითი და ზნეობრივი ქცევის მიმართებისათვის, ჟ. საქართველოს ფსიქოლოგიის მაცნე, თბილისი, 2010.
4. ბარამიძე ნ., ფსიქოლოგიური პორტრეტები, ბათუმი, 2003.
5. ბარამიძე ნ., შორეული მოტივაციური ქცევა და სწავლა, ბათუმი, 1995.
6. ვახანია ზ., მოთხოვნილებისა და მოტივაციის ცნებები განწყობის თეორიაში“. ჟ. საქართველოს ფსიქოლოგიის მაცნე, თბილისი, 2017.
7. ზაქარიაძე ნ., სტალინი და საქართველო, თბილისი, 1997.
8. იმედაძე ი., გამოკვლევები თეორიულ ფსიქოლოგიაში, თბილისი, 2009.
9. უზნაძე დ., შრომები, ტ. III-IV, ზოგადი ფსიქოლოგია, თბილისი, 1964.
10. ფრომი ე., ავტორიტარული სინდისი, თბილისი, 1998.
11. ჩხარტიშვილი შ., აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია, თბილისი, 1974.
12. ჩხარტიშვილი შ., ნებისმიერი ქცევის მოტივის პრობლემა, თბილისი, 1958.

კვლევითი

ვასილ სუხომლინსკის კვლევითი თეორია და პრაქტიკა

ნოდარ ბასილაძე

წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

ანოტაცია: სტატიაში პირველწყაროებზე დაყრდნობით საუბარია მეოცე საუკუნის დიდი უკრაინელი პრაქტიკოსი მასწავლებლის ვასილ სუხომლინსკის პედაგოგიურ თეორიასა და პრაქტიკაზე. აღნიშნულია, რომ ვ. სუხომლინსკიმ თავისი ხანმოკლე ცხოვრების (გარდაიცვალა 51 წლის ასაკში) მანძილზე დაწერა 50 წიგნი, 1500-მდე სტატია, წერილი, მოკლე მოთხრობა და მინიატურა...

საკვანძო სიტყვები: სკოლა, პედაგოგიკა, პრაქტიკა, მოწაფე.

ვასილ ალექსანდრეს ძე სუხომლინსკი (1918-1970) იყო XX საუკუნის დიდი უკრაინელი პედაგოგი, კიროვოგრადის ოლქის სოფელ პავლიშის საშუალო სკოლის ყოფილი დირექტორი, უკრაინის რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, უკრაინის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (მეცნიერების დარგში), მრავალი ორდენისა და მედლის კავალერი. მისი სახელი კარგად არის ცნობილი არა მარტო უკრაინაში, რომლის ღირსეული წარმომადგენელიც იგი იყო, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

დაიბადა იგი 1918 წლის 28 სექტემბერს უკრაინაში, ხერსონის გუბერნიის (ამჟამად კიროვოგრადის ოლქი) სოფელ ვასილევკაში, ღარიბი უკრაინელი გლეხის ალექსანდრე სუხომლინსკის ოჯახში. ალ. სუხომლინსკისა და მის მეუღლეს ოქსანას ოთხი შვილი ჰყავდათ – სამი ვაჟი და ერთი ქალიშვილი და ოთხივემ თავიანთ მომავალ პროფესიად პედაგოგობა აირჩია.

ვ. სუხომლინსკი პატარაობისას ოცნებობდა ექიმობაზე და ვასილევკის არასრული საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე სამედიცინო ტექნიკუმში შეიტანა საბუთები, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა და სწავლა განაგრძო მუშფაკში, რომელიც ვადამდე დაამთავრა და 1934 წელს კრემენჩუგის სამასწავლებლო ინსტიტუტის უკრაინული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. იგონებდა რა ამ წლებს, ვ. სუხომლინსკი მოგვიანებით თავის ვაჟიშვილს სწერდა: “15 წლის ვიყავი, როცა მშობლიური ბუდიდან ამოვფრინდი – პედაგოგიურ ინსტიტუტში შევედი სწავლის გასაგრძელებლად. ეს იყო მძიმე, უმოსავლო 1933 წელს...”

დავიწყე სწავლა, მაგრამ, მერწმუნე, ძნელია, ძალზე ძნელი ცოდნის შეძენა, როცა კუჭი შიმშილით გიხმება” (სუხომლინსკი, 1996: 5).

მიუხედავად ამისა, ვ. სუხომლინსკიმ წარმატებით დაამთავრა პირველი კურსი, მაგრამ მეორე კურსზე სწავლის გაგრძელება ვერ შეძლო. თავის თავზე გადაჭარბებულმა მუშაობამ მას ჯანმრთელობა საგრძნობლად

წოდარ განილაქი

შეურყია და იგი იძულებული გახდა მცირე ხნით სწავლისთვის თავი მიენებებია და გამოჯანმრთელებაზე ეზრუნა. მომავალი პედაგოგი დასასვენებლად და სამკურნალოდ იალტაში მიემგზავრება.

ჯანმრთელობის გაუმჯობესების შემდეგ ვ. სუხომლინსკი 1935 წელს მუშაობას იწყებს უკრაინული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად ჯერ ზიბკოვოს შვიდწლიან, შემდეგ კი თავისივე სოფლის – ვასილევიკის შვიდწლიან სკოლაში, სადაც ადრე თავად სწავლობდა.

პედაგოგად მუშაობის პერიოდში ვასილ სუხომლინსკის ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია უმაღლესი განათლების მიღებაზე ფიქრი. 1936 წელს იგი სწავლას აგრძელებს პოლტავის სამასწავლებლო ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებაში. 1938 წელს ამთავრებს სამასწავლებლო ინსტიტუტს არასრული საშუალო სკოლის უკრაინული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის სპეციალობით, 1939 წელს კი ექსტერნის წესით – პოლტავის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ბოლო ორ კურსს, აბარებს

სახელმწიფო გამოცდებსაც და მიღებული ორი დიპლომით ბრუნდება შინ.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ვ. სუხომლინსკის ნიშნავენ ონუფრიევის რაიონული ცენტრის საშუალო სკოლის მასწავლებლად, ცოტა ხნის შემდეგ კი აწინაურებენ დირექტორის მოადგილედ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში. აქვე 1939 წელს იგი დაოჯახდა. მისი მეუღლე ვერა პოვზა ამ დროს სტუდენტი იყო, ეუფლებოდა ინგლისურ ენას. “1941 წელს ჩემმა ცოლმა, ვერა პეტრეს ასულმა, დაამთავრა კრემენჩუგის სამასწავლებლო ინსტიტუტი, – იგონებს სუხომლინსკი. – ჩვენ ვაპირებდით სკოლაში ერთად მუშაობას. ახალგაზრდები ვიყავით, მომავლის წარმტაცი იმედებით აღსავსენი, მაგრამ ჩვენი იმედები

ომმა დაამსხვრია... მაშინ არავის ეგონა, რომ ხუთი კვირის შემდეგ დნეპრის ნაპირებს ფაშისტები მოადგებოდნენ... სოფელი, სადაც თავის მშობლებთან ცხოვრობდა ჩემი ცოლი, ფაშისტებმა დაიპყრეს. იგი ორ დობილთან ერთად ავრცელებდა ჩვენი მფრინავების მიერ ჩამოყრილ ფურცლებს, მალავდა ტყვეობიდან გამოქცეულ საბჭოთა ჯარისკაცებს, იარაღს... ვერა გესტაპომ დააპატიმრა...

დილეგში ვერას ვაჟი შეეძინა. ფაშისტებმა საშინელი ბოროტმოქმედება ჩაიდინეს... ბავშვი, რომელიც რამდენიმე დღის დაბადებული იყო, ფაშისტმა ოფიცერმა დედასთან მიიყვანა და უთხრა: “თუ არ დაასახელებ ორგანიზაციის ხელმძღვანელებს, ბავშვს დავხვრეტ”. ასეც მოხდა. ვერას კი თვალები დათხარეს და ციხის ეზოში ჩამოახრჩვეს. ეს სწორედ მაშინ მოხდა, როცა ფრონტზე ვიბრძოდი, მძიმედ დაჭრილი ვიყავი”.

ფრონტზე ვასილი დიდი სამამულო ომის დაწყების პირველი დღეებიდანვე გაიწვიეს და მოსკოვის სამხედრო აკადემიაში ჩარიცხეს. 1941 წლის ივლისის დასასრულს ასეულის პოლიტიკური ხელმძღვანელი ვ. სუხომლინსკი უკვე მოწინავე ხაზზეა და სმოლენსკის მისადგომებთან იბრძვის. 1942 წლის თებერვალში რუჟევთან ახლოს სოფელ კლეპენინოსთან ბრძოლაში იგი მძიმედ დაიჭრა და ევაკუირებულ ჰოსპიტალში უღმურტეტის ქალაქ იჟევსკში გაგზავნეს, სადაც ხუთი თვე დაჰყო. გამოჯანმრთელებულ, მაგრამ მკლავდაზიანებულ პედაგოგს (ჭრილობისა და ოპერაციის შემდეგ მარცხენა ხელი 6 სანტიმეტრით დაუმოკლდა) ნიშნავენ დაბა უვის მუშათა დასახლების საშუალო სკოლის დირექტორად. ამ დროს იგი მხოლოდ 24 წლის იყო. ორი წლის შემდეგ სუხომლინსკი ახლად შერთულ მეორე ცოლთან ერთად ბრუნდება გერმანელებისგან უკვე განთავისუფლებულ

უკრაინაში და ინიშნება ონუფრიევის რაიონის განთლებების განყოფილების გამგედ, 1948 წლიდან კი – კიროვოგრადას ოლქის სოფელ პავლიშის საშუალო სკოლის დირექტორად, რომლის უცვლელი ხელმძღვანელიც იყო იგი სიცოცხლის ბოლომდე, 1970 წლამდე.

პავლიშის საშუალო სკოლის დირექტორობის პერიოდში გამოვლინდა ვ. სუხომლინსკის დიდი პედაგოგიური ნიჭი. სწორედ აქ გადაწყვიტა მან, ემოღვაწა პედაგოგიკის თეორიაში. ადრე იგი გატაცებული იყო ლიტერატურით, წერდა და აქვეყნებდა ლექსებს, მოთხრობებსა და ზღაპრებს.

პირველ პედაგოგიკურ სტატიებსა და წიგნებს ავტორისათვის დიდი წარმატებები არ მოუტანია, პირიქით, ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. უწუნებდნენ უკომფლიქტობას, “ვარდისფერი სათვალით” სინამდვილის ჭკრეტას, მაგრამ მალე ვ. სუხომლინსკის სახელი პოპულარული ხდება. 1955 წელს იგი იცავს საკანდიდატო დისერტაციას და ენიჭება პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. 1957 წელს მას ირჩევენ რსფსრ პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1968 წელს – სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. ამავე წელს ვ. სუხომლინსკის ენიჭება სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება.

უკვე საქვეყნოდ ცნობილ პედაგოგს იწვევენ ოდესის, კიროვოგრადას, პოლტავისა და სხვა ქალაქების პედაგოგიური ინსტიტუტები, სთავაზობენ კათედრას, მაგრამ იგი ამჯობინებს სოფლად დარჩენას – წერს და აქვეყნებს ჟურნალ-გაზეთებში სტატიებს, წიგნებს. იგი ავტორია 40-ზე მეტი წიგნისა და ექვსასამდე საგაზეთო და საჟურნალო სტატიისა და ამდენივე საბავშვო მოთხრობისა.

მისი წიგნებიდან ყველაზე უფრო ცნობილია: “გულს ვუძღვნი ბავშვებს”, “მოქალაქის დაბადება”, “წერილები ვაჟიშვილს”,

“საუბარი სკოლის ახალბედა დირექტორთან”, “პავლიშის საშუალო სკოლა”, “ასი რჩევა მასწავლებელს”, “როგორ აღვზარდოთ ნამდვილი ადამიანი”, “ფიქრები ადამიანზე”, “გჯეროდეთ ადამიანისა”, “მშობელთა პედაგოგიკა”, “გულში რომ სამშობლო ცოცხლობდეს”, “როგორ აღვზარდოთ მამაცი თაობა” და მრავალი სხვა.

დაუღალავმა და გადაჭარბებულმა შრომამ უდროოდ გატეხა ვ. სუხომლინსკის ჯანმრთელობა, რასაც ომისდროინდელმა ჭრილობებმაც შეუწყო ხელი. გარდაიცვალა იგი თავისი შემოქმედებითი ნიჭის გაფურჩქვნის პერიოდში – 51 წლის ასაკში, საოპერაციო მაგიდაზე, 1970 წლის 2 სექტემბერს.

გამოდიოდა რა კ. უშინსკისა და სხვა კლასიკოსი პედაგოგების შეხედულებებიდან, ვ. სუხომლინსკი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა აღმზრდელობითი მუშაობის მიზნისა და ამოცანების სწორად განსაზღვრას. დიდ პედაგოგს სკოლის, ოჯახისა და საზოგადოების უპირველეს ამოცანად მიაჩნდა პიროვნების ყოველმხრივი ჰარმონიული განვითარება, რაც, მისი აზრით, აღზრდის მთავარ მიზანს წარმოადგენს. სუხომლინსკისათვის არ არსებობს ცალკე ფიზიკური, ცალკე გონებრივი, ცალკე ზნეობრივი და ა. შ. აღზრდა. ისინი ერთმანეთს ავსებენ და განაპირობებენ. ამასთან, აღზრდის ყველა მხარე მის პედაგოგიკურ სისტემაში გატარებულია “ზნეობის პრიზმაში” – ხელს უწყობს სამშობლოსათვის თავდადებული, ჭემმარიტი მამულიშვილების ჩამოყალიბებას.

პიროვნების ჰარმონიული განვითარების პრობლემა წითელ ზოლად გასდევს ვ. სუხომლინსკის თითქმის ყველა ნაშრომს. მაგრამ იგი უფრო სრულყოფილად მის ბოლო ნაშრომში აისახა, რომელიც გათვალისწინებული იყო სადოქტორო დისერტაციისთვის და რომლის დაცვაც მან ვერ მოასწრო, ნაადრევმა სიკვდილმა არ მისცა

წოდარ განილაპი

ამის შესაძლებლობა. ეს ნაშრომია “ყოველ-მხრივ განვითარებული პიროვნების აღზრდის პრობლემები”, რომელიც რუსულ ენაზე ავტორის გარდაცვალების შემდეგ, 1979 წელს, გამოიცა კიევში,

პიროვნების ფორმირებაში ვ. სუხომლინსკი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა თვითაღზრდას. მისი აზრით, ყოველი ქვიშმარტიტი ადამიანი უნდა ზრდიდეს საკუთარ თავს, რადგან არავის ძალუძს აღზარდოს ის ადამიანი, რომელიც, არ ცდილობს საკუთარ თავში ნაკლოვანებების აღმოჩენას და მათ აღმოფხვრას. მისი აზრით, აღზრდილი შეიძლება ეწოდოს მხოლოდ იმ ადამიანს, რომელსაც შეუძლია საკუთარი თავის აღზრდა.

ვ. სუხომლინსკის შეხედულებით, თვითაღზრდა არ არსებობს თვითგანათლების, წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის გარეშე. მაგრამ, სამწუხაროდ, აღნიშნავს იგი, ჩვენი ახალგაზრდების (20-დან 35 წლამდე) უმრავლესობამ არ იცის წიგნის ფასი, არ იცის, როგორ “მოკლას” თავისუფალი დრო, რაში გამოიყენოს იგი. აქედან იწყება ლოთობა, ხულიგნობა, აზარტული თამაშობებითა და ნარკოტიკით გატაცება.

ვასილ სუხომლინსკის თავის მრავალრიცხოვან წიგნებსა და სტატიებში საფუძვლიანად აქვს დამუშავებული აღზრდის პრინციპები, როგორცაა: მტკიცე მომთხოვნელობის შეხამება აღსაზრდელის პიროვნების პატივისცემასა და ნდობასთან; აღსაზრდელისადმი პერსპექტიული მიდგომა, მისი მომავლის ღრმა რწმენა; აღზრდა დადებითის მეშვეობით, აღსაზრდელის დადებით თვისებებზე დაყრდნობით; აღზრდა კოლექტივში, კოლექტივისათვის და კოლექტივის მეშვეობით; მოსწავლეთა კოლექტივში აღზრდის შეხამება აღსაზრდელისადმი ინდივიდუალურ მიდგომასთან; აღზრდის ერთიანი, კომპლექსური ხასიათი; აღზრდის პროცესში აღმზრდელის წამყვანი როლი;

სკოლის, ოჯახისა და საზოგადოების პედაგოგიურ მოთხოვნათა ერთიანობა და სხვა, მაგრამ ჩვენ მათ აქ არ ვიხილავთ, რადგან მათი არსი საკმაოდ ცნობილია პედაგოგებისათვის.

ვ. სუხომლინსკის პედაგოგიკურ თეორიასა და პრაქტიკაში დიდი ადგილი უჭირავს აღზრდის მეთოდებს. პედაგოგი ძირითადად ყურადღებას ამახვილებს სიტყვიერ და ქცევის სტიმულირების მეთოდებზე, როგორცაა: ახსნა-განმარტება, თხრობა, საუბარი, შთაგონება, დარწმუნება, წაქეზება, შექება, წახალისება, ნდობის გამოცხადება, იძულება, გაკიცხვა, აკრძალვა, უნდობლობის გამოცხადება და სხვა. იგი მიუთითებს ასევე აღზრდის პროცესში აღმზრდელის პირადი მაგალითისა და პედაგოგიური ტაქტიკის უდიდეს მნიშვნელობაზე.

აღზრდის მეთოდთა შორის სუხომლინსკი, როგორც აღვნიშნეთ, უპირატესობას ანიჭებს სიტყვიერ მეთოდებს, რადგან, მისი აზრით, სიტყვა ადამიანებზე ზემოქმედების საუკეთესო საშუალებაა, მას ვერაფერი შეცვლის. ამასთან, გამოცდილი პედაგოგი გვაფრთხილებს, რომ მასწავლებლის განკარგულებაში მყოფი “სიტყვა არის არა მარტო ყველაზე მძლავრი, არამედ ასევე ყველაზე რთული იარაღი”, რომლის გამოყენებას გარკვეული ცოდნა-გამოცდილება სჭირდება. ამიტომ “ყოველი მასწავლებელი იმისდა მიუხედავად, თუ რომელ საგანს ასწავლის იგი, უნდა იყოს სიტყვიერების მასწავლებელი” (Сухомлинский, 1979: 107). მაგრამ სიტყვაც არის და სიტყვაც, გააჩნია ვინ და როგორ წარმოთქვამს მას. სიტყვა მხოლოდ მაშინ გამოდის აღზრდის როლში, როცა მას წარმოთქვამს ისეთი პირი, რომელსაც ამის მორალური უფლება აქვს, რომლის სიტყვაც და საქმე ერთია.

აღზრდის პროცესში, აღნიშნავს ვ. სუხომლინსკი, წარმატებით შეიძლება იქნას გამოყენებული წახალისების მეთოდი. იგი

უვითარებს აღსაზრდელებს თავმოყვარეობის გრძნობას და ისინი ცდილობენ მომავალში უკეთ მოიქცნენ, ვიდრე იქცევინან.

წახალისების მეთოდის საუკეთესო გამოხატულებად ვ. სუხომლინსკის, ა. მაკარენკოს მსგავსად, მიაჩნდა ნდობის გამოცხადება. განსაკუთრებით დიდია ნდობის გამოცხადების ეფექტი ისეთი აღსაზრდელისადმი, რომელსაც ცუდი წარსული აქვს, ადრე რაღაც დააშავა და ამით აღმზრდელთა უნდობლობა დაიმსახურა. ასეთი აღსაზრდელისადმი ნდობის გამოცხადებას უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. სწორედ ამ მეთოდით აღზარდა ანტონ მაკარენკომ ყოფილი პროფესიონალი ქურდი სიმონ კალაბალინი (“პედაგოგიური პოემის” მიხედვით, კარაბანოვი). როცა ბავშვი ხედავს, რომ აღმზრდელი ძველებურად სიყვარულითა და პატივისცემით ეპყრობა, ცდილობს გაამართლოს ნდობა და გულმოდგინედ ასრულებს მის ყოველ სიტყვასა და მოთხოვნას. აღმზრდელობით მუშაობაში, გარდა წახალისებისა, სუხომლინსკის ზოგჯერ დასაშვებად მიაჩნდა დასჯის მეთოდების გამოყენებაც, როგორცაა: იძულება, გაკიცხვა, აკრძალვა, უნდობლობის გამოცხადება და სხვა, მაგრამ იგი აქვე გვაფრთხილებს, რომ დასჯის მკაცრი ზომები დადებით შედეგს არ იძლევა. პირიქით, იგი ხშირ შემთხვევაში აბოროტებს აღსაზრდელს, იწვევს მასში უკმაყოფილებისა და პროტესტის გრძნობას, მაგრამ დაუსჯელობაც დაუშვებელია. ბავშვმა პატარაობიდანვე უნდა შეიგნოს, რომ მის მიერ ქცევის წესების დარღვევა, მოვალეობის შეუსრულებლობა და სხვა უარყოფითი საქციელი, დაუსჯელი არ დარჩება.

ვ. სუხომლინსკი შეგვახსენებს, რომ “...არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს რაიმე ერთადერთი, ყოვლისშემძლე მეთოდი”, რომელიც ერთნაირი წარმატებით გამოდგება ყველგან და ყველა ვითარებაში.

როცა ერთი მეთოდის გამოყენებით ვერ ვაღწევთ სასურველ შედეგს, უნდა მივმართოთ მეორეს, მესამეს და ა. შ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვ. სუხომლინსკი დასჯის საკითხს თავისი ცხოვრების სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვანაირად განიხილავდა. პირველ ხანებში იგი არ უარყოფდა დასჯას (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ფიზიკურ დასჯას), თავისი პედაგოგიური მოღვაწეობის ბოლო წლებში კი კატეგორიულად ილაშქრებდა მოსწავლეთა დასჯის წინააღმდეგ და იცავდა თეზისს: “აბსოლუტურად ნორმალურმა აღზრდამ არ უნდა იცოდეს, რაა დასჯა”, რადგან, მისი აზრით, უმრავლეს შემთხვევაში ბავშვთა დანაშაულობანი ხდება ბოროტი განზრახვის გარეშე. ამიტომ, მორალური თვალსაზრისით, პატიება უფრო კარგ შედეგს მოგვცემს, ვიდრე დასჯა.

მაგრამ ზემოთ აღნიშნული იმას როდი ნიშნავს, რომ ვ. სუხომლინსკი ყოველგვარი დასჯისა და ბრძანების წინააღმდეგი იყო. გამოცდილმა პედაგოგმა კარგად იცოდა, რომ აღსაზრდელზე ზემოქმედების ისეთ ფორმებზე უარის თქმა, როგორცაა: შენიშვნა, გაფრთხილება, გაკიცხვა, საყვედურის გამოცხადება, ყოფაქცევაში ნიშნის დაკლება, ჯერჯერობით შეუძლებელია, საამისოდ ჯერ კიდევ მზად არა ვართ, მაგრამ აღმზრდელობითი მუშაობა შეიძლება ისე წარმართოთ, რომ დასჯის საჭიროება დღის წესრიგიდან მოიხსნას.

მოზარდი თაობის ჰარმონიულ განვითარებაში ვ. სუხომლინსკი ძირითადად აქცენტს აკეთებს ზნეობრივ აღზრდაზე. მისთვის მთავარი იყო არა “ხუთოსნებისა” და “ოთხოსნების”, არამედ “ადამიანის” აღზრდა, ადამიანთა შორის ცხოვრების სწავლება, მათი ჭირ-ვარამის თვალეებში ამოკითხვა და დარდის გაზიარება. იგი მოითხოვდა ბავშვებში, უწინარეს ყოვლისა, კეთილი გრძნობების გაღვივებას, რადგან, მისი აზრით,

წოდარ განილაპი

“კეთილი გრძობები სინდისის ერთგული დარაჯია”, სინდისი კი კაცობის, ადამიანობის უპირველესი ნიშანია. ვ. სუხომლინსკი, როგორც წესი, სწავლებასა და აღზრდას ერთ მთლიანობაში განიხილავდა, მაგრამ სწავლებასთან შედარებით წინა პლანზე მუდამ აღზრდას აყენებდა. ყველა ექიმი, ინჟინერი, აგრონომი და პედაგოგი ვერ გახდება, მაგრამ ნამდვილ ადამიანად ყველა უნდა იქცეს, ამბობდა იგი. ადამიანს, რომელსაც განათლება აქვს მიღებული, მაგრამ არაა აღზრდილი, სუხომლინსკი განათლებულ ველურს უწოდებს; განათლებული ველური კი, მისი აზრით, ასჯერ უფრო საშიშია, ვიდრე გაუნათლებელი. ამიტომაც იყო, რომ იგი სკოლაში მიღების პირველი დღეებიდანვე ბავშვებს ასწავლიდა სიკეთეს, ჰუმანიზმს, ადამიანებისადმი სამსახურს, მათი სატკივარის გულთან მიტანას.

ბავშვმა განსაკუთრებული ყურადღება და სიყვარული უნდა გამოხატოს, უპირველეს ყოვლისა, დედის მიმართ, შემდეგ კი სხვების მიმართაც. სიკეთე უნდა ექცეს ჩვევად, ყოველდღიურ მოთხოვნილებად. ასეთი უანგარო მოთხოვნილება ზნეობრივად ამაღლებს, სრულყოფს, აკეთილშობილებს ადამიანს, რასაც სუხომლინსკი სიყვარულის, სულის შრომას უწოდებს. მისი აღზრდა-ჩამოყალიბება ხდება, უწინარეს ყოვლისა, დედისადმი ზრუნვის შედეგად. ამიტომაც იყო, რომ სუხომლინსკი თავის მოსწავლეებს სკოლაში მიღების პირველი დღეებიდანვე უნერგავდა დედისადმი სიყვარულისა და პატივისცემის გრძობას. დაწყებით კლასებში მასწავლებლები ეკითხებოდნენ ბავშვებს: “ვინ არის ყველაზე კარგი ადამიანი?” და ისმოდა ერთხმად მხიარული, შეწყობილი ხმა – “დედა”. სკოლის ვესტიბიულში ეკიდა სტენდი – “დედის გარეშე არ არსებობს არც პოეტი და არც გმირი”, რომელსაც ამშვენებდა სახელოვანი შვილების აღმზრდელი დედების სურათები, ბოლოს კი – მინაწერი:

“დედამ გაჩუქა სიცოცხლე, გადაგიშალა სამყარო, გასწავლა მშობლიური ენა. იგი ზრუნავს შენს ჯანმრთელობაზე, სურს, იყო ბედნიერი, პატიოსანი, მამაცი. გაუფრთხილდი დედას, გაუფრთხილდი მის ჯანმრთელობას, არ გაუწბილო იმედი, არ გაუმწარო სიცოცხლე. იყავი ისეთი, რომ დედა შენით ამყობდეს” (Сухомлинский, 1979: 149).

დედისადმი სიყვარული ბავშვმა უნდა გამოხატოს არა ლიტონი სიტყვებით, არამედ, უწინარეს ყოვლისა, საქმით და მხოლოდ საქმით. ეს იდეა კარგად აქვს გამოხატული სუხომლინსკის იგავში “მეშვიდე ქალიშვილი”. მისი შინაარსი ასეთია: ექვსი გოგონა შორი გზიდან დაბრუნებულ დედას უყვება იმის შესახებ, თუ როგორ მძიმედ განიცდიდნენ უმისობას. გოგონები ერთმანეთს ეჯიბრებიან ლამაზსიტყვაობაში და აზრადაც არ მოსდით, რომ დაღლილ-დაქანცულ დედას ყურადღება და დასვენება სჭირდება. “მეშვიდე არაფერი უთხრა, – ამბობს მწერალი, – თუმცა სათქმელი მასაც ბევრი ჰქონდა. მან დედას ფეხსაცმელები გახადა და ტაშტით წყალი მოუტანა ფეხების დასაბანად” (სუხომლინსკი, 2020: 8).

იმ ბავშვისგან, რომელიც არ ზრუნავს თავის მშობლებზე, ვერ ამჩნევს მათ თვალეში წყენასა და სიხარულს, ჭეშმარიტი მამულიშვილი არ დადგება. ბავშვმა სიკეთეს სიკეთით უნდა უპასუხო. მაგრამ ყოველივე ამას იგი უნდა აკეთებდეს საკუთარი შინაგანი მოთხოვნილებით, ყოველგვარი გამორჩენის, პირადი ინტერესების გარეშე, რადგან “თუ სიკეთეს მიზეზი აქვს, ის უკვე აღარ არის სიკეთე, თუ ამ სიკეთეს აქვს შედეგი – ჯილდო, ესეც აღარ არის სიკეთე. ასე რომ, სიკეთე მიზეზ-შედეგთა ჯაჭვის გარეშეა” (ტოლსტოი, 1964: 443).

იმისათვის, რომ ბავშვი სიკეთეს სჩადიოდეს საკუთარი მოთხოვნილებით და არა შექებისა და ჯილდოსათვის, უნდა დავიცვათ ზომიერება სიკეთის შეფასებაში, რათა

კეთილი გრძნობები და კეთილი საქმეები არ გვექცევს საჩვენებელ “ღონისძიებად”. “ყველაზე საშინელია ის, – წერს ვ. სუხომლინსკი, – რომ ადამიანურ საქციელს ბავშვი დამსახურებად თვლის, გმირობადაც კი მიიჩნევს. ამაში ყველაზე ხშირად დამნაშავეა სკოლა. ბავშვმა სადღაც ათკაპიკიანი იპოვა და კლასში მოიტანა. მალე ამ ნაპოვნის შესახებ მთელმა კოლექტივმა იცის” (სუხომლინსკი, 1980: 243).

მოსწავლეთა სულის გაფაქიზების, მათში ჭეშმარიტი ადამიანური გრძნობების გაღვივების მიზნით სუხომლინსკი თავის აღსაზრდელებს ახვედრებდა პარტიზანებს, რომელთა ოჯახები ცეცხლს მისცეს ფაშისტებმა, დამწუხრებულ დედებს, რომელთა შვილები გმირულად დაეცნენ ბრძოლის ველზე, მარტოდმარტო დარჩენილ მოხუცებს და ა. შ.

ვასილ სუხომლინსკის პედაგოგიკურ მემკვიდრეობაში მთავარი ადგილი უჭირავს მოსწავლეთა აღზრდას ჰუმანიზმის გრძნობით.

მოსწავლეებში ჰუმანური გრძნობების გაღვივების მიზნით პავლიშის საშუალო სკოლაში, განსაკუთრებით დაწყებით კლასებში, წარმატებით გამოიყენებოდა საინტერესო საუბრები. მასწავლებლის ნათელი, ემოციური სიტყვა სუხომლინსკის მიაჩნდა აღზრდის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად. ამასთან, დიდი პედაგოგი გვაფრთხილებს, რომ მასწავლებლის განკარგულებაში მყოფი სიტყვა უნდა იყოს შინაარსით მდიდარი, ენობრივად და ლოგიკურად გამართული, გულში ჩამწვდომი. საუბრისას უნდა მოვიშველიოთ ბავშვებისთვის ნაცნობი, სკოლის, სოფლის, ქალაქის ცხოვრებიდან აღებული კონკრეტული მაგალითები. ხელიდან არ უნდა გავუშვათ არც ერთი შემთხვევა, რომელიც შეიძლება წარმატებით იქნას გამოყენებული ბავშვებში ჰუმანური გრძნობების გამომუშავებისთვის.

შევდივარ მეორე კლასში, იგონებს ვ. სუხომლინსკი, და ვხედავ, მოსწავლე, რომელსაც ბაბუა გარდაეცვალა, წინა მერხზე ზის და თვლებში შემომცქერის. – შენ ხომ ბაბუა გარდაეცვალა, რატომ მოხვედი დღეს სკოლაში? – ვეუბნები ბავშვს. იგი კი მპასუხობს: მამამ მითხრა, რომ შენ ამისათვის გაკვეთილები არ უნდა გააცდინო.

– ოჰ, როგორ დამწყვიტა გული ამ სიტყვებმა, – განაგრძობს პედაგოგი. მამა შთააგონებს ბავშვს – დიდი ამბავი, ბაბუა გარდაიცვალა, ამისათვის გაკვეთილები რატომ უნდა გააცდინო.

ატარებდა პედაგოგი გაკვეთილს და სულ იმაზე ფიქრობდა, როგორ დაერწმუნებინა არა მარტო ის მოსწავლე, არამედ მთელი კლასი, რომ ადამიანი ამქვეყნად ყველაზე ძვირფასი არსებაა, რომ მას ყველგან და ყოველთვის დაფასება და პატივისცემა სჭირდება.

დაირეკა გაკვეთილის დამთავრების მაუწყებელი ზარი. პედაგოგი მიმართავს პატარებს:

- ბავშვებო. ადექით, ჩაიცვით, წავიდეთ!
- სად, პატივცემულო მასწავლებლო?
- კითხულობენ გაცემული აღსაზრდელები. – სამიმარზე.

ვ. სუხომლინსკი, კლასის ხელმძღვანელთან ერთად, წაუძღვა ბავშვებს წინ. მივიდნენ, თანაგრძნობა გამოუცხადეს გარდაცვლილის ახლობლებს, მიცვალებულის შვილიშვილი იქვე დატოვეს და თვითონ სკოლაში დაბრუნდნენ, გაკვეთილები განაგრძეს. არაფერი დაშავებულა იმით, რომ იმ დღეს მეორეკლასელები ცოტათი გვიან დაბრუნდნენ შინ, სამაგიეროდ მათ ისწავლეს გულისხმიერება, ადამიანის პატივისცემა და დაფასება.

გულკეთილობა, სიბრალოლი და თანაგრძნობა ბავშვმა უნდა ისწავლოს ასევე შინაური ცხოველებისადმი მზრუნველობით,

წოდარ განილაქი

ფრინველებისა და ყვავილების მოვლა-პატრონობით.

რეაგირების გარეშე არ უნდა დავტოვოთ ბავშვობის ასაკში ცოცხალი არსების მიმართ უსულგულო დამოკიდებულების არც ერთი შემთხვევა, თორემ, ზოგიერთების აზრით, ეს წვრილმანი შემდგომში უარყოფით ქცევაში გადაიზრდება და მსხვილმანად იქცევა.

ვ. სუხომლინსკიმ ყოფილ საბჭოთა კავშირში ერთ-ერთმა პირველმა აიმაღლა ხმა ბუნებისადმი, ჩვენი ფლორისა და ფაუნისადმი ბრაკონიერული დამოკიდებულების წინააღმდეგ და გაბედულად განაცხადა, რომ “ბუნებრივი ფასეულობანი ამოუწურავი და უსასრულო არ არის”, რომ საჭიროა ბუნებისადმი სათუთი და მზრუნველი დამოკიდებულება.

ადამიანებისა და ნებისმიერი ცოცხალი არსების სიყვარულთან ერთად, სუხომლინსკი თავის აღსაზრდელებს ასწავლიდა გულგრილობის, ბოროტებისა და უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლას და სამშობლოს მტრების სიძულვილს. ამის გარეშე მას ზნეობრივი აღზრდა ვერ წარმოედგინა.

ყველაზე დიდ მანკიერებად ადამიანში სუხომლინსკის მიაჩნდა გულგრილობა, რადგან იგი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ “საცა გულგრილობაა, იქ არ არის ნამდვილი პიროვნება”. “ჩემს საყვარელ მოსწავლეებად მიმაჩნია არა გამგონი და უსიტყვონი, რომლებიც მზად არიან ყველაფერს დაეთანხმონ და ყველაფერი შეასრულონ, – წერდა გამოცდილი პედაგოგი, – არამედ ჟინიანები, ნებისყოფიანები, მოუსვენრები, ზოგჯერ ოინბაზეები და ცელქები, მაგრამ ბოროტებისა და უსამართლობის წინააღმდეგ მემამოხენი, რომლებიც მზად არიან თავი გასწირონ, მაგრამ დაიცვან პრინციპები, რომლებიც მათი პიროვნებისაგან განუყოფელი გახდა” (Сухомлинский, 1980: 634).

ვ. სუხომლინსკის ჰუმანიზმი, ბავშვების უსაზღვრო სიყვარული, მოსწავლეთა

ფიზიკურ აღზრდაშიც ვლინდება. იგი სკოლაში მიღების პირველი დღეებიდანვე ზრუნავდა პატარების ჯანმრთელობაზე, რადგან ღმად იყო დარწმუნებული, რომ მოსწავლეთა აკადემიური ჩამორჩენის ძირითადი მიზეზია მათი სუსტი ჯანმრთელობა. “მე არ მეშინია და ისევ და ისევ გავიმეორებ, – წერდა იგი, – რომ ჯანმრთელობაზე ზრუნვა აღმზრდელის უმნიშვნელოვანესი ვალია... თუ ვიანგარიშებთ ჩემს საზრუნავსა და საფიქრალს სწავლების პირველ ოთხ წელიწადში, ნახევარზე მეტი ჯანმრთელობაზე მოვა” (სუხომლინსკი, 1980: 103).

მოსწავლეთა ჯანმრთელობის გაკაჟების მიზნით სუხომლინსკი დაწყებით კლასებში გაკვეთილების დიდ ნაწილს გარეთ, სუფთა ჰაერზე ატარებდა, მშობლებს კი ურჩევდა, რომ ზაფხულისა და შემოდგომის თბილ ამინდებში ბავშვები დაეწვინათ ფანჩატურში ან სპეციალურად მათთვის მოწყობილ სამილე “ოთახებში”.

ფიზიკური აღზრდა ვ. სუხომლინსკის მიაჩნდა პიროვნების ყოველმხრივი, ჰარმონიული განვითარების საფუძვლად. მისი აზრით, ადამიანი სპორტს უნდა დაეყვლოს არა მარტო შეჯიბრებებში გარკვეული წარმატებების მიღწევისათვის, არამედ, უფრო მეტად, თავისი ფიზიკური და სულიერი ძალების ჰარმონიული განვითარებისათვის.

ფიზიკურმა აღზრდამ ხელი უნდა შეუწყოს ადამიანის ჯანმრთელობის გაკაჟებას და მოამზადოს იგი შრომისა და სამშობლოს დაცვისათვის. მან უნდა განავითაროს მოზარდებში ისეთი გრძნობები, როგორცაა: ამხანაგობა, მეგობრობა, ჰუმანიზმი, პატრიოტიზმი და სხვა.

მოსწავლეთა ყოველმხრივ განვითარებაში ვ. სუხომლინსკი დიდ ადგილს უთმობს გონებრივ აღზრდას, რომლის ძირითად საშუალებად მიაჩნდა სწავლება. “სწავლების პროცესში, – წერდა იგი, – ხორციელდება გონებრივი აღზრდის მთავარი მიზანი –

გონებრივი განვითარება”, მაგრამ სწავლებაც არის და სწავლებაც. თუ იგი დაყვანილია ზეპირობამდე, მაშინ სწავლება მოსწავლეთა გონებრივი აღზრდის ნაცვლად აფერხებს მათ აზროვნებას და მძიმე ტვირთად აწევს თითოეულ მათგანს.

ცოდნის შეგნებულად და გააზრებულად შეთვისებაში ვ. სუხომლინსკი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა დაწყებით კლასებს. დიდ პედაგოგს გული წყდებოდა იმის გამო, რომ ბევრმა მასწავლებელმა კარგად იცის, როგორ გამოუტენოს ბავშვს თავი თეორიული ცოდნით, მაგრამ ყოველთვის ვერ ახერხებს, ასწავლოს მას ფიქრი, აზროვნება, გამართული, სწრაფი კითხვა, რაც უარყოფითად მოქმედებს მის არა მარტო აკადემიურ მოსწრებაზე, არამედ გონებრივ აღზრდაზეც. უფროს კლასებში მოსწავლეთა ცოდნის დონის დაცემის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ვ. სუხომლინსკის მიაჩნდა დაწყებით კლასებში “სწავლების სამომხმარებლო ხასიათი”, როცა ბავშვს უვითარებენ მხოლოდ მეხსიერებას და არ ასწავლიან აზროვნებას. 1968 წელს იგი გაზეთ “იზვესტიის” ფურცლებზე წერდა: “ჩემი ღრმა რწმენით, თანამედროვე სკოლაში სწავლების მთელ სისემას გააჩნია ფრიად სერიოზული ნაკლოვანებანი: მოსწავლე წლიდან წლამდე, ყოველდღე იმეორებს სხვის აზრებს, საკუთარს კი არ გამოთქვამს. მის წინაშე დგას ერთადერთი ამოცანა – დაიმახსოვროს და აღიდგინოს მეხსიერებაში” (Сухомлинский, 1980: 359).

სწორედ ამიტომ იყო, რომ ვ. სუხომლინსკი სასტიკად ილაშქრებდა ცალკეული წესებისა და კანონების უაზრო ზუთხვის წინააღმდეგ, სათანადო პრაქტიკული მაგალითების ანალიზის გარეშე. ზეპირობა მას მიაჩნდა “ერთ-ერთ საშინელ უბედურებად”. ის იზიარებდა ლევ ტოლსტოის ცნობილ გამოთქმას, რომ “ცოდნა მხოლოდ მაშინ არის ცოდნა, როცა იგი მოპოვებულია გონების დამაბვით და არა მეხსიერების

წყალობით”. ცოდნა მაშინ უწყობს ხელს პიროვნების გონებრივ განვითარებას, როცა იგი ადამიანის სულიერ სიმდიდრედ, მის რწმენად იქცევა. რწმენა კი შეგნების უმაღლესი საფეხურია, რომელიც თავის მხრივ მოქმედებაში ვლინდება. ვ. სუხომლინსკი, ა. დისტერვეგის მოშველიებით, ამბობს, რომ კარგმა მასწავლებელმა ჭეშმარიტება კი არ უნდა გადასცეს ბავშვებს, არამედ უნდა ასწავლოს მათ მისი აღმოჩენა. ამას იგი მაშინ შეძლებს, გვასწავლის პავლიშელი პედაგოგი, თუ გაკვეთილზე დასვამს პრობლემურ კითხვებს, აიძულებს მოსწავლეებს – დაფიქრდნენ, იმსჯელონ, იაზროვნონ, მოახდინონ შედარებები და გაერკვნენ მოვლენათა შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებში.

ამრიგად, ამა თუ იმ წესის დასწავლა, დამახსოვრება არ არის საკმარისი, არამედ საჭიროა მათი გაგება, შეგნებულად შეთვისება, შესისხლხორცება. მხოლოდ ამ შემთხვევაში გადაიქცევა ცოდნა ადამიანის ცნობიერების კუთვნილებად, მის მუდმივ თანამგზავრად, “მე”-ს ნაწილად

დაწყებითი კლასების მასწავლებელთა უპირველეს მოვალეობად სუხომლინსკის მიაჩნდა მოსწავლეთათვის სწავლის სწავლება, მათში სწავლისადმი ინტერესის, “ცოდნის წყურვილის ცეცხლის” გაღვივება. მისი ღრმა რწმენით, “ყველა ჩვენი ჩანაფიქრი, ჩვენი ძიება და გეგმა ფერფლად იქცევა, თუ მოსწავლეს არ გააჩნია სწავლის სურვილი”. ეს სურვილი კი სწავლაში წარმატებას მოსდევს – “არის წარმატება, არის სწავლის სურვილიც”. სხვა გზა გულგრილობის “კედლის” გასარღვევად არ არსებობს.

აქვე სუხომლინსკი მიგვანიშნებს იმაზეც, რომ სწავლაში წარმატების ცნება შეფარდებითია. ის, რაც ერთისთვის მიღწევად, წარმატებად ითვლება, მეორისთვის შეიძლება წარუმატებლად იქნას მიჩნეული. ზოგიერთი მოსწავლისთვის წარმატებად მხოლოდ “ხუთიანზე” სწავლა ითვლება,

წოდარ ბასილაძე

ზოგისთვის კი “სამიანიც” დიდი მიღწევაა. ამიტომ სწავლების პროცესში აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებანი.

თავის პედაგოგიკურ ნააზრევში სუხომლინსკი ყურადღებას ამახვილებს ასევე სწავლების ფსიქოლოგიურ საფუძვლებზე, როგორცაა: ყურადღება, მეხსიერება, აზროვნება, ემოციები, ნებისყოფა, ტემპერამენტი და სხვა. გამოცდილი პედაგოგის აზრით, მოსწავლის ამ თვისებების გაუთვალისწინებლად სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში წარმატების მოპოვება შეუძლებელია. ამიტომ პედაგოგი საფუძვლიანად უნდა იცნობდეს ბავშვის განვითარების ბუნებას, მის თავისებურებებს და ყოველივე ამის გათვალისწინებით წარმართავდეს სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობას სკოლაში.

ზემოთ ჩამოთვლილი ფსიქოლოგიური კატეგორიებიდან ვ. სუხომლინსკი განსაკუთრებით ყურადღებას უთმობდა მოსწავლეთა აზროვნების განვითარებას, რასაც იგი სკოლამდელი ასაკის ბავშვებში იწყებდა. ექვსწლიანი ბავშვებისათვის მან შემოიღო “სკოლა ლურჯი ცის ქვეშ”, რომელსაც იგი “სიხარულის სკოლას” უწოდებდა და პატარებთან კვირაში ორჯერ ატარებდა “აზროვნების გაკვეთილებს”, რაც, სპეციალისტების აზრით, ყველაზე ფასეულია სუხომლინსკის პედაგოგიკურ საგანძურში.

აზროვნების გაკვეთილები ფაქტობრივად იყო “მოგზაურობა ბუნებაში” – ექსკურსია ტყეში, ბაღში, საკოლმეურნეო მინდვრებში, მდინარის პირას და ა.შ., სადაც “ბუნების სიმშვენიერით მოხიბლული ბავშვები მშობლიურ ენაში ეძებდნენ “თავიანთ” სიტყვებს, რომლებიც გადმოსცემენ გარემომცველ სამყაროს სილამაზეს” (ბასილაძე, 2000: 232).

ექსკურსიის დროს ბავშვები აკვირდებოდნენ ფრინველებს, მწერებს, ყვავილებს, მცენარეებს, ფოთლებს, მათ ფერისცვალებას და აკეთებდნენ ჩანახატებს, წერდნენ პატარ-

პატარა მინიატურულ მოთხრობებს, ზღაპრებს და ა. შ. ყოველივე ეს ხელს უწყობდა მათი ლექსიკური მარაგის გამდიდრებას, აღქმის უნარის გამომუშავებას და აზროვნების განვითარებას. ასეთ “გაკვეთილებზე” მოსწავლეები პასუხობდნენ მასწავლებლის შეკითხვებზე, რომლებიც იწყებოდა სიტყვებით: “რატომ?” “რისთვის?” “საიდან იცი?” “აბა, დამიმტკიცე” და ა.შ.

ვასილ სუხომლინსკის მის მიერ შედგენილ სკოლის უკანასკნელ წლიურ სამუშაო გეგმაში ჩამოთვლილი აქვს “აზროვნების გაკვეთილების” 92 თემა. აი, ზოგიერთი მათგანი: “სულიერი და უსულო”, “უსულო და კავშირებულია სულიერთან”, “ბუნებაში ყველაფერი ცვალებადია”, “მზე სიცოცხლის წყაროა”, “ბუნების გამოღვიძება გაზაფხულზე”, “გაზაფხულის ყვავილები”, “ზაფხულის ყვავილები”, “ვარსკვლავები ცაზე” და ა. შ.

სწავლების განმავითარებელმა იდეამ, რომელზეც ახლა ბევრს ლაპარაკობენ, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ხორცმესხმა ვ. სუხომლინსკის პედაგოგიკურ თეორიასა და პრაქტიკაში პოვა.

მოსწავლეთა აზროვნების განვითარების მიზნით ვ. სუხომლინსკი სეირნობისა და დასვენების დროს ხშირად ავარჯიშებდა ბავშვებს ამოცანა-გამოცანების ამოხსნაში. ერთ-ერთი მათგანი ასეთია: “მცირერიცხოვანი სამხედრო რაზმი მიუახლოვდა მდინარეს, რომელიც უნდა გადაელახათ. ხიდი ჩატეხილი აღმოჩნდა, მდინარე კი ღრმაა. რა უნდა ელონათ? უცებ ოფიცერმა ნაპირთან ორი ბიჭუნა შენიშნა, რომლებიც ნავში თამაშობდნენ. მაგრამ ნავი ისეთი პატარა იყო, რომ მასში შეიძლებოდა ჩამჯდარიყო მხოლოდ ერთი ჯარისკაცი ან ორი ბიჭუნა, არა უმეტეს. და მაინც ყველა ჯარისკაცმა სწორედ ამ ნავით გადასცურა მდინარე. რანაირად?” (სუხომლინსკი, 1980: 149-150).

დაწყებითი კლასების მოსწავლეებს სუხომლინსკი ხშირად ავარჯიშებდა ასევე

ზღაპრებისა და პატარ-პატარა მოთხრობების წერაში. თავად მან შექმნა “ეთიკის ქრესტომათია”, რომელშიც მრავალი ზღაპარი და მინიატურული მოთხრობაა შესული. ისინი დაწერილია უბრალო, ბავშვებისათვის მისაწვდომი ენით და აშკარად გამობატული მორალური მიმართულება აქვს.

ვ. სუხომლინსკის მემორიალურ-პედაგოგიურ მუზეუმში ინახება ორმოცდაათამდე ტომი, რომლებშიც მოთავსებულია დიდი პედაგოგის მოსწავლეთა მიერ შედგენილი საუკეთესო ზღაპრები. ბევრი მათგანი ცალკე კრებულებშია შესული.

აი, როგორ ასწავლიდა სუხომლინსკი მოსწავლეებს ზღაპრების წერას: – ბავშვებო, ეს ხოჭოა,

– მიმართავს იგი ერთ-ერთი გასეირნებისას ექვსწლიან ბავშვებს, – იგი დაფრინავს. წარმოიდგინეთ, რომ ფრენის დროს ხოჭო წამოეგო ეკალზე და დაჭრილი მიწაზე დავარდა. ეს შენიშნეს სხვა ხოჭოებმა, მისმა ამხანაგებმა და დასახმარებლად გაემურნენ. მაშ, ბავშვებო, შემდეგ რა მოხდებოდა?

პატარები ფიქრობენ, მსჯელობენ და თავიანთ ნააზრევს გადმოსცემენ:

– მეგობრებმა მაშინვე შეუხვიეს ჭრილობა.

– შემდეგ მოვიდა სასწრაფო დახმარების მანქანა და იგი საავადმყოფოში წაიყვანეს.

– იქ ჭრილობა კარგად შეუხვიეს.

– გადაუსხეს სისხლი...

ამ დროს ვიღაც ამატებს:

– შემდეგ მოფრინდნენ პატარ-პატარა ხოჭოები, მისი შვილები... (ბასილაძე, 2000: 235).

ზღაპრების შედგენაზე მუშაობისას სუხომლინსკი მიზნად ისახავდა არა მარტო მოსწავლეთა აზროვნების განვითარებას, არამედ, უპირველეს ყოვლისა, მათგან ჭეშმარიტი მამულიშვილების ჩამოყალიბებას.

ვ. სუხომლინსკის აზრით, ცოდნის დონის შემოწმებისას მოსწავლეებს არასოდეს არ

უნდა დაეუსვათ ისეთი კითხვები, რომელთა მზამზარეული პასუხები სახელმძღვანელოშია. მასწავლებლის მიერ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემისას მოსწავლემ უნდა იფიქროს, იმსჯელოს, იაზროვნოს, მოახდინოს შედარებები და დაადგინოს მიზეზ-შედეგობრივი კავშირები. აი, როგორი კითხვები იქნა დასმული გაკვეთილზე, წერს ვ. სუხომლინსკი, თემის – “ბატონყმობის გადავარდნა რუსეთში” – შესწავლისას: ბავშვებო, რა მოხდებოდა რუსეთში, მეფის ხელისუფლებას გლეხობა რომ არ გაეთავისუფლებინა? ვინ იყო დაინტერესებული ბატონყმობის შენარჩუნებით და რატომ? რომელი საზოგადოებრივი ჯგუფის პოზიცია გაძლიერდა 1861 წლის რეფორმის პროცესში? როგორ გესმით ნეკრასოვის მიერ 1861 წლის რეფორმის შედარება “დიდი ჯაჭვის” გაწყვეტასთან, რომლის ერთი ბოლო მოხვდა მემამულეს, მეორე კი – გლეხს? თუ რეფორმამ არ გააუმჯობესა გლეხთა მდგომარეობა, მაშ, რატომ ვლასპარაკობთ ბატონყმობის გადავარდნის პროგრესიულ როლზე? (Сухомлинский, 1979: 266).

ანალოგიურად ხდება განვლილი მასალის გამეორება.

ასეთი განმეორების დროს, დასძენს სუხომლინსკი, მოსწავლე ყველაფერს თავიდან ბოლომდე კი არ კითხულობს, არამედ ეძიებს დასმულ კითხვებზე პასუხებს იკვლევს, ადარებს ერთმანეთს ფაქტებს. ასეთი კვლევა-ძიების შემდეგ მოსწავლეთა პასუხები მონოტონური, ერთფეროვანი და მოსაწყენი კი არ არის, არამედ ესაა წიგნით ხელში დავა, კამათი, სათანადო წყაროებით ნათქვამის დასაბუთება.

ლიტერატურის გაკვეთილებზე ვ. სუხომლინსკი მოსწავლეებს არასოდეს უკრძალავდა სახელმძღვანელოების გამოყენებას, მაგრამ, სამაგიეროდ, ისეთ კითხვებს უსვამდა, რომლებზეც პასუხის გაცემა ფიქრის, მსჯელობისა და განვლილი მასალის

წოდარ განილაპი

ცოდნის გარეშე შეუძლებელი იყო, რადგან წიგნში პირდაპირ, მზამზარეულ პასუხს ვერსად იპოვიდით.

მოსწავლეთა აზროვნების განვითარებაში ვ. სუხომლინსკი დიდ როლს ანიჭებდა ისეთი საგნების შესწავლას, როგორცაა: მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, ისტორია და სხვა. თუ სხვა საგნებში იგი ილაშქრებდა ზეპირობის წინააღმდეგ, ლიტერატურის შესწავლისას აუცილებლად მიაჩნდა ლექსებისა და ცალკეული მხატვრული ნაწარმოებების ნაწყვეტების ზეპირად დასწავლა, მოსწავლეთა ესთეტიკურ აღზრდაში ვ. სუხომლინსკი დიდ როლს ანიჭებდა ბუნებას. ბუნების სილამაზის აღქმისა და მისდამი მზრუნველი დამოკიდებულების აღზრდის მიზნით პედაგოგს ხშირად გაჰყავდა მოსწავლეები ტყეში, მინდორში, მდინარის პირას, სადაც ისინი უსმენდნენ “ბუნების მუსიკას” – ხეთა შრიალს, ჩიტების ჩივილებს, კალიების ჭრინინს, ფუტკრების ზუზუნს, ჭიანჭველების ფუსფუსს, ვარსკვლავების ციმციმს, მზის ამოსვლასა და ჩასვლას, შემდეგ კი თავიანთი შთაბეჭდილებები გადაჰქონდათ სახატავ რვეულებში ან პატარ-პატარა, მინიატურულ ზღაპრებსა და მოთხრობებში.

პავლიშელი მოსწავლეები “ბუნების მუსიკიდან” თანდათანობით გადადიოდნენ მუსიკალურ შემოქმედებაზე – სწავლობდნენ სალამურზე დაკვრას, რომლის უმთავრესი მიზანი იყო ბავშვებში უფრო მეტად ადამიანური თვისებების ჩანერგვა, მათი გაკეთილშობილება, ვიდრე მუსიკის დაუფლება.

პიროვნების ყოველმხრივი განვითარების ერთ-ერთ კომპონენტად ვ. სუხომლინსკის მიაჩნდა შრომისა და საზოგადოებრივი საკუთრებისადმი მზრუნველი დამოკიდებულების აღზრდა. ეს საკითხი მას გაშუქებული აქვს თავის მრავალ ნაშრომში, მაგრამ ამ მხრივ ყველაზე მეტად გამოირჩევა მისი მონოგრაფია “შრომისადმი კომუნისტური

დამოკიდებულების აღზრდა”, რომელიც 1959 წელს რსფსრ-ს პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიამ გამოსცა. დიდი პედაგოგის აზრით, “ყოველივე საუკეთესო, რაც კი შეიძლება იყოს ადამიანში, ვლინდება, უწინარეს ყოვლისა, შრომაში” (Сухомлинский, 1961, #3: 10).

შრომითი აღზრდა, სუხომლინსკის აზრით, უნდა დაიწყო ოჯახში თვითმომსახურებით, იმ დღიდან, როცა ბავშვი ისწავლის კოვზის ხელში დაჭერას და თეფშიდან დამოუკიდებლად საჭმლის მიღებას, მაგრამ შრომა ადვილი არ უნდა იყოს, რადგან ბავშვმა პატარაობიდანვე უნდა ისწავლოს წინააღმდეგობის დაძლევა, დაბრკოლების გადალახვა. სწორედ ამაში მდგომარეობს შრომის აღმზრდელობითი დანიშნულება, მისი გავლენა ბავშვის ზნეობრივ სრულყოფაზე, ოღონდ საჭიროა სიძნელეთა ისეთი დონის შერჩევა, რომ შრომა ბავშვისათვის მისაწვდომი იყოს და ზნეობრივი აღზრდის ფუნქციასაც ასრულებდეს.

შრომის სიყვარული მოსწავლეებს უნდა განუვითაროთ, უწინარეს ყოვლისა, სწავლების პროცესში, მაგრამ, სამწუხაროდ, აღნიშნავს სუხომლინსკი, სკოლაში ხშირად სრულიად საწინააღმდეგო მოვლენასთან გვაქვს საქმე – სიყვარულის ნაცვლად ბავშვებს ვაძულებთ შრომას, ვაჩვევთ უსაქმურობას, დაუმსახურებელი ნიშნების მიღებას, რაც მორალურად ხრწნის, ამახინჯებს მათ სულს, რომლის აღმოფხვრა შემდგომში შეუძლებელი ხდება.

ეს პრობლემა ჩვენს დღევანდელ სკოლა-საც აწუხებს, დღევანდელი სკოლის სატკივარიც არის. ამ მიმართულებით სუხომლინსკის შემდეგ ჩვენს სკოლებში თითქმის არაფერი შეცვლილა, შეიძლება ითქვას, მდგომარეობა უფრო გაუარესდა.

როცა ყოფილ საბჭოთა კავშირში პედაგოგებს შორის მიმდინარეობდა დავა იმის შესახებ, რომ აენაზღაურებინათ თუ არა

მოსწავლეთა შრომა, სუხომლინსკიმ ამაზე დადებითად უპასუხა. მისი აზრით, ბავშვებს უნდა მივცეთ შრომის საფასური, რათა მათ იცოდნენ ფულის ყადრი, საკუთარი წვლილი შეიტანონ ოჯახის ბიუჯეტში, გაახარონ მშობლები და თვითონაც გაიხარონ. მაგრამ მარტო ამით არ უნდა დავკმაყოფილდეთ. ამასთან ერთად, ბავშვისთვის აუცილებელია უფასო, უსასყიდლო, უანგარო შრომა, რომელიც ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, საზოგადოების საკეთილდღეოდ სრულდება.

ვ. სუხომლინსკი მოსწავლე ახალგაზრდობას ასწავლიდა, რომ არაა საკმარისი ამაყობდე შენი სამშობლოს ლამაზი მთებით, მისი გმირული და სახელოვანი წარსულით, მთავარია, თვითონ ზრუნავდე შენი ქვეყნის სახელის განდიდებისათვის. ჭეშმარიტი პატრიოტი ის არის, ვინც ნერგებს ახარებს, ფოლადს ადნობს, ხნავს და თესავს – ქმნის მატერიალურ და სულიერ დოვლათს. ჭაბუკებსა და ქალიშვილებს, ვინც დამოუკიდებელი ცხოვრების გზაზე გადის, სუხომლინსკი მიმართავდა: “თექვსმეტი წლისამ შენ უკვე შეგნებულად უნდა დაუსვა თავს კითხვა: რისთვის ვცხოვრობ ამქვეყნად? და ამ კითხვაზე გასცე მოქალაქის პასუხი.

თექვსმეტი წლისა, უკან რომ მოიხედავ უკვე უნდა დაინახო შენი შრომის ნაყოფი, შეაჯამო შენი ცხოვრების პირველი შედეგი”.

ვ. სუხომლინსკის მდიდარ პედაგოგიკურ მემკვიდრეობაში, აღზრდის თეორიის საკითხებთან ერთად, თვალსაჩინო ადგილი უჭირავს დიდაქტიკის საკითხებს, თუმცა ამ საკითხებსაც იგი აღზრდის თვალსაზრისით განიხილავდა, სწავლების მთელ პროცესს მოსწავლეთა ჰარმონიულ განვითარებას უკავშირებდა.

საყურადღებოა სუხომლინსკის მოსაზრებებები გაკვეთილისა და მოსწავლეთა ცოდნა-ჩვევების შემოწმება-შეფასების საკითხზე. გამოცდილი პედაგოგის აზრით, კარგი გაკვეთილი ის კი არ არის, რომელიც

ზუსტად ისე ტარდება, როგორც ეს წინასწარ იყო დაგეგმილი, არამედ ის, რომელსაც მასწავლებელი მისი ჩატარების პროცესში ქმნის. კარგმა მასწავლებელმა ხშირად წინასწარ არც კი იცის, როგორ წარიმართება მისი გაკვეთილი, მაგრამ მან სამაგიეროდ ძალზე კარგად იცის, როგორ მოიქცეს შექმნილი სიტუაციის დროს.

ამრიგად, მასწავლებელი უნდა იყოს გაკვეთილის შემოქმედი, ნოვატორი.

გაკვეთილზე, სწავლების პროცესში, საფუძველი ეყრება მასწავლებელსა და მოსწავლეთა შორის სწორი ურთიერთდამოკიდებულების ჩამოყალიბებას. ყოველმა მასწავლებელმა, დასძენს სუხომლინსკი, თავისი დამოკიდებულება მოსწავლეებისადმი უნდა ააგოს ურთიერთსიყვარულის, ნდობისა და კეთილგანწყობილების საფუძველზე. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვერ შეძლებს თავისი მიზანდასახულობის შესრულებას.

დაწყებითი კლასების მასწავლებელმა განსაკუთრებით გულისხმიერება და ყურადღება უნდა გამოიჩინოს მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება-შეფასებისას, რადგან “...ყველაზე მთავარი წახალისება და ყველაზე სასტიკი (მაგრამ არა ყოველთვის ქმედითი) სასჯელი პედაგოგიურ სფეროში ნიშანია. ეს ყველაზე ბასრი ინსტრუმენტია, რომლის გამოყენებას უდიდესი ნიჭი და კულტურა სჭირდება” (სუხომლინსკი, 1980: 173). მაგრამ, სამწუხაროდ, აღნიშნავს დიდი პედაგოგი, ბევრმა პედაგოგმა არ იცის ამ ინსტრუმენტის სწორად ხმარება, რაც იწვევს მასწავლებელსა და მოსწავლეთა შორის კომფლიქტს. ამ ინსტრუმენტის ხმარების უფლება რომ მოიპოვო, უწინარეს ყოვლისა, ბავშვი უნდა გიყვარდეს, მაგრამ ეს სიყვარული უნდა გამოხატო არა ლიტონი სიტყვებით, არამედ საქმით, ბავშვზე ფიქრით, მასზე ზრუნვით. ცოდნის შეფასებამ ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლის ზნეობრივ

წოდარ განილაქი

სრულყოფას და აღმზრდელიობითი სწავლების პრინციპის განხორციელებას. ნიშანი მხოლოდ მაშინ იქცევა აღზრდის მძლავრ საშუალებად, გვასწავლის სუბომლინსკი, როცა იგი მოსწავლეს უღვივებს სწავლის სურვილს და არ სჯის სიზარმაცისა და დაუდევრობის გამო. განსაკუთრებით აბოროტებს ბავშვს ის, რომ მასწავლებელი, რომელმაც, მისი ღრმა რწმენით, დაუმსახურებლად დაუწერა “ორიანი”, იმასაც ცდილობს, რომ ბავშვი ამ ნიშნსათვის მშობლებმაც დასაჯონ.

ვ. სუხომლინსკი ურჩევს პედაგოგებს, განსაკუთრებით დაწყებითი კლასების მასწავლებლებს, არ გამოიძახონ გაკვეთილზე საპასუხოდ ის მოსწავლეები, რომლებმაც განიცადეს რაიმე მწუხარება, ახლობლის გარდაცვალება. არ შეიძლება მათ მოვთხოვოთ გულმოდგინება და ბეჯითობა, ყოველ შემთხვევაში, მცირე ხნით მაინც, სანამ ბავშვი გონს მოვა, დამშვიდდება. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დაკარგავს მასწავლებლისადმი რწმენას, გახდება გულჩათხრობილი და საბოლოოდ ძნელად აღსაზრდელთა რიგებში აღმოჩნდება.

ვ. სუხომლინსკი კატერგორიულად ილაშქრება დაწყებით კლასებში, განსაკუთრებით პირველ კლასში, ორიანების დაწერის წინააღმდეგ. “ჩვენი პრინციპია, – წერდა იგი, – არ დავწეროთ ორიანი, მით უმეტეს, არ გამოვიჭიროთ მოსწავლე უცოდინარობაში. სწავლების მთავარი მიზანია – მივაღწიოთ იმას, რომ მოსწავლე ცდილობდეს ცოდნის შექმნას. თუ ეს არაა, თუ მთავარი სტიმული, რომელიც აიძულებს ბავშვს სწავლას, მხოლოდ ნიშანია, სკოლა უკვე აღარ არის ცოდნის ლამპარი, სწავლა გადაიქცევა ბავშვისთვის კატორღად, მასწავლებელი – ბოროტ ზედამხედველად, დღიური – სირცხვილის დაღად, მამა და დედა კი – ჯალათებად” (Сухомлинский, 1969-1970: 5).

ითვალისწინებდა რა ყოველივე ამას, ვ. სუხომლინსკი პირველკლასელებს მანამ არ

უწერდა ნიშანს, სანამ ისინი დადებით შეფასებას არ დაიმსახურებდნენ; არ ისწავლიდნენ ფიქრს, დაკვირვებას, აზროვნებას, მსჯელობას, არ გაერკვეოდნენ დავალების პირობაში და არ გამონახავდნენ მისი დამოუკიდებლად გადაწყვეტის სწორ გზას, რაც, სუხომლინსკის აზრით, ბავშვს ანიჭებს სწავლაში წარმატებით გამოწვეულ სიხარულს, ბადებს მასში საკუთარი თავის ღირსების გრძნობას.

ვ. სუხომლინსკის საფუძვლიანად აქვს დამუშავებული სწავლების პრინციპები. როგორცაა: აღმზრდელიობით სწავლება, სწავლების კავშირი ცხოვრებასთან, სწავლების თანდათანობის (სწავლებასთან შეგუების), თვალსაჩინოების, შეგნებულობისა და აქტიურობის, მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინების და სხვა პრინციპები.

ზემოთ ჩამოთვლილ პრინციპთაგან ჩვენ მხოლოდ სწავლების თანდათანობის (სწავლებასთან შეგუების) პრინციპს ვიხილავთ, რადგან ეს პრინციპი სუხომლინსკიმ შეიმუშავა, დანარჩენი პრინციპები კი პედაგოგიკის ისტორიაში დიდი ხანია ცნობილია.

მოსწავლეთა სრულყოფილი განვითარების აუცილებელ პირობად ვ. სუხომლინსკის მიაჩნდა მათი საკლასო მეცადინეობისათვის თანდათანობით შეჩვევა, სწავლებასთან შეგუება.

ბავშვმა სკოლაში შესვლის პირველი დღიდანვე უნდა იგრძნოს, რომ სწავლა რთული პროცესია და დიდ ძალასა და ენერგიას მოითხოვს, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ იგი მაშინვე მოვწყვიტოთ “ზუნების, თამაშობების, მშვენიერების, მუსიკის, ფანტაზიის, შემოქმედების საოცარ სამყაროს”, რომლითაც იგი გარემოცული იყო სკოლამდელ ასაკში. “დაე მან მოსწავლედ გახდომის შემდეგაც აკეთოს ის, – წერდა სუხომლინსკი, – რასაც გუშინ აკეთებდა”. სიახლე ბავშვის ცხოვრებაში უნდა შეიჭრას

თანდათანობით და შეაჩვიოს იგი ახალ წესებსა და “უჩვეულო ამბებს”.

ყოველივე ამას კარგად ითვალისწინებდნენ პავლიშელი პედაგოგები. მათ პირველკლასელები თანდათანობით შეჰყავდათ ახალ გარემოში. სწავლა ბევრად არ განსხვავდებოდა “სიხარულის სკოლისაგან”. სექტემბერში პატარები კლასში რჩებოდნენ არა უმეტეს 40 წუთისა დღეში, ოქტომბერში – დაახლოებით 2 საათს. ეს დრო ეთმობოდა წერასა და არითმეტიკაში ვარჯიშს, დანარჩენ 2 საათს ისინი სუფთა ჰაერზე ატარებდნენ.

საყურადღებოა ვ. სუხომლინსკის მოსაზრებები მასწავლებლის შესახებ. ი. ა. კომენსკის მსგავსად, იგი მასწავლებლის პროფესიას თვლიდა ყველაზე საპატიო, კეთილშობილურ პროფესიად, რადგან, მისი ღრმა რწმენით, პედაგოგები ქმნიან “ყველაზე რთულ, ჩვენი საზოგადოების ყველა ფასეულობათა შორის ყველაზე ძვირფასს – ადამიანს” (Сухомлинский, 1982: 6). ამასთან, მისი აზრით, “არ არის ქვეყნად უფრო მძიმე, მომქანცველი სამუშაო, ვიდრე პედაგოგის შრომა” (Сухомлинский, 1978: 208).

პედაგოგის პროფესიის სირთულეს სუხომლინსკი იმით ხსნიდა, რომ მასწავლებელი ხშირად თვალნათლივ ვერ ხედავს თავისი შრომის ნაყოფს, მაშინ როცა “მქსოველი უკვე ერთი საათის შემდეგ ხედავს თავისი ზრუნვის შედეგს, მეფოლადე რამდენიმე საათის შემდეგ ხარობს ლითონის გავარვარებული ნაკადით, მხვნელი რამდენიმე თვის შემდეგ ეძლევა ნეტარებას ხორბლის მარცვლების ხილვით, ხელის გულზე რომ გადაუშლია. მასწავლებელს კი მრავალი წლის ჯაფა სჭირდება, რომ თავისი ნამუშევარი იხილოს”... (ტარტაკოვსკი, 1982: 259).

მასწავლებელზე მსჯელობისას ვ. სუხომლინსკი, უწინარეს ყოვლისა, ყურადღებას ამახვილებს მის მორალურ სახეზე, მის

ადამიანობაზე. პედაგოგმა არასოდეს არ უნდა დაივიწყოს, გვასწავლის სუხომლინსკი, რომ იგი უნდა იყოს აღსაზრდელისათვის სამაგალითო, მისაბამი, ადამიანის საუკეთესო თვისებების მატარებელი. მისთვის დაუშვებელია ზნეობრივი ნორმებიდან ოდნავი გადახვევაც კი. ვერავითარი სიტყვა მასწავლებლისა ვერ შეუქმნის მოსწავლეებს ნათელ წარმოდგენას ქცევის კულტურაზე, როგორც მისი პირადი მაგალითი. ამიტომ მასწავლებელი ყოველთვის უნდა ცდილობდეს, რომ ბავშვისთვის წარმოადგენდეს “სულიერი სიწმინდის მაგალითს”, “ადამიანური სრულქმნილების უმაღლეს ნიმუშს”. მხოლოდ ამის შემდეგ აქვს მას უფლება, ასწავლოს და აღზარდოს ბავშვები.

მასწავლებლის ერთ-ერთ ძვირფას თვისებად ვ. სუხომლინსკის მიაჩნდა ბავშვების სიყვარული, რაც წითელ ზოლად გასდევს მის მთელ პედაგოგიურ მოღვაწეობას. “სოფლის სკოლაში ოცდაცამეტი წლის განუწყვეტელი მუშაობა ჩემთვის დიდი, შეუდარებელი ბედნიერება იყო, – წერდა იგი. – ჩემი სიცოცხლე მე მივუძღვენი ბავშვებს... კითხვაზე რა იყო უმთავრესი ჩემს ცხოვრებაში? დაუფიქრებლად ვუპასუხებ: ბავშვების სიყვარული” (სუხომლინსკი, 1980: 3). ამ სიყვარულს იგი განუხრელად ატარებდა ცხოვრებაში.

პატარებისათვის ბედნიერი ბავშვობა რომ დაებრუნებინა, ვ. სუხომლინსკი მათთან ერთად დადიოდა ექსკურსიებზე და მიირთმევდა მოლზე გაშლილ საერთო სუფრაზე შინიდან წამოღებულ საუზმესა და სადილს, რადგან მას კარგად ესმოდა, რომ “არ შეიძლება იცხოვრო მშვიდად, როცა შენს გვერდით პატარა ბავშვი იტანჯება”. ამიტომაც იყო, რომ სკოლის ყველა მოსწავლე თავის გასაჭირს სუხომლინსკის უზიარებდა.

მასწავლებლის სხვა თვისებებიდან სუხომლინსკი ყურადღებას ამახვილებს სამართლიანობაზე, პედაგოგიურ ტაქტზე,

წოდარ ბასილაძე

საგნის საფუძვლიან ცოდნაზე და სხვა. მისი აზრით, მასწავლებელმა ათჯერ, ოცჯერ მეტი უნდა იცოდეს, ვიდრე გაკვეთილის გადაცემისათვისაა საჭირო.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი თვისებები უნდა ახასიათებდეს სკოლის დირექტორსაც, როგორც მასწავლებელთა მასწავლებელს, მაგრამ, სუხოძინსკის აზრით, სკოლის დირექტორისთვის მარტო მასწავლებელთა მასწავლებლობა არაა საკმარისი. ამასთან ერთად, იგი უნდა იყოს “მოსწავლეთა რომელიმე ძირეული კოლექტივის” აღმზრდელი. “ისევე, როგორც საავადმყოფოს მთავარი ექიმი ვერ იქნება ნამდვილი მკურნალი უპაციენტებოდ, – წერს სუხოძინსკი, – სკოლის დირექტორიც ვერ იქნება აღმზრდელთა ნამდვილი ხელმძღვანელი, თუ საკუთარი აღსაზრდელები არ ეყოლება” (სუხოძინსკი, 1980: 9).

სკოლის დირექტორი კარგად უნდა იცნობდეს არა მარტო იმ მოსწავლეებს, რომლებსაც ის ასწავლის ან ხელმძღვანელობს, არამედ სკოლის ყველა მოსწავლეს. ის უნდა იყოს მათი ბრძენი მრჩეველი, ჭკუის დამრიგებელი. წიგნში “საუბარი სკოლის ახალბედა დირექტორთან” სუხოძინსკი არიგებს დამწყებ დირექტორებს: “თუ თქვენ გასურთ, იყოთ კარგი დირექტორი, ეცადეთ, უწინარეს ყოვლისა, იყოთ კარგი პედაგოგი, კარგი მასწავლებელი – დიდაქტიკოსი და კარგი აღმზრდელი არა მარტო იმ ბავშვებისა, რომლებსაც ასწავლით გაკვეთილებზე, არამედ სკოლის ყველა აღსაზრდელისა, რომლებიც საზოგადოებამ, ხალხმა, მშობლებმა მოგანდეს” (ბასილაძე, 2000: 259).

ვ. სუხოძინსკის აზრით, სკოლის დირექტორის უშუალო მოვალეობაა ასევე მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა. იგი პირადად უნდა ხელმძღვანელობდეს სწავლების მთელ პროცესს სკოლაში.

ამრიგად, “დირექტორი იგივე მასწავლებელია, მაგრამ ისეთი, რომელსაც ძალუმს, იყოს მასწავლებელთა მასწავლებელი” (Сухомлинский, 1979: 11).

პიროვნების ფორმირებაში ვ.სუხოძინსკი, სკოლასთან ერთად, უდიდეს როლს ანიჭებს ოჯახს. მამობა და დედობა მას მიაჩნდა ყოველი ჭეშმარიტი ადამიანის უპირველეს მოვალეობად, ყველაზე კეთილშობილურ მისიად. “თუ თქვენ იმაზე ოცნებობთ, რომ ამქვეყნად თქვენს შემდეგ კვალი დატოვოთ, – მიმართავს იგი მშობლებს, – სავალდებულო არ არის, იყოთ გამოჩენილი მწერალი ან მეცნიერი, კოსმოსური ხომალდის შემოქმედი ან პერიოდული სისტემის ახალი ელემენტის აღმოჩენი. თქვენ შეგიძლიათ საზოგადოებაში სახელი მოიხვეჭოთ კარგი შვილების აღზრდით...” (სუხოძინსკი, 1981: 13).

ვ. სუხოძინსკის სამართლიანი მტკიცებით, ბავშვის აღზრდაში ოჯახსა და მშობელს ვერავინ და ვერაფერი შეცვლის. ყველაფრის შეცვლა შეიძლება, მშობლისა კი არა. “ნებისმიერი მუშაკი – დარაჯიდან დაწყებული, მინისტრით დამთავრებული – შეიძლება შეიცვალოს ასეთივე ან უფრო ნიჭიერი მუშაკით, – წერს იგი, – კარგი მამის ასეთივე კარგი მამით შეცვლა კი შეუძლებელია” (ბასილაძე, 2000: 267).

ბავშვს ოჯახში, პირველ ყოვლისა, უნდა ვასწავლოთ სიკეთე, ზრუნვა და პატივისცემა, რამეთუ სხვის სატკივარს კაცი მაშინ გრძნობს, როცა იგი რაიმეს აკეთებს ადამიანთა საკეთილდღეოდ. ვ. სუხოძინსკიმ პედაგოგიკაში დაამკვიდრა მოვალეობის კატეგორია. მას სიკეთე ვერ წარმოეგინა მოვალეობის გარეშე. “მოვალეობა და კიდევ მოვალეობა – აი, ის ატმოსფერო, რომელშიც უნდა ვზრდიდეთ ადამიანის მიერ ნაშობ არსებას, – წერდა იგი, – რათა მას ღირსეულად ერქვას ადამიანის დიდი სახელი” (სუხოძინსკი, 1981: 11).

მოვალეობის სულისკვეთებით ბავშვთა აღზრდის მიანით, გვასწავლის სუხომლინსკი, უნდა დავივიწყოთ უზრუნველ ბავშვობაზე ფიქრი და მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში უნდა შევიტანოთ სიმწიფე, დაბრკოლებათა, წინააღმდეგობათა გადალახვა. მაგრამ, სამწუხაროდ, აღნიშნავს სუხომლინსკი, ზოგიერთ მშობელს მზე და მთვარე ამოსდის თავის შვილზე – ზედმეტად ეფერება, თავს ევლებს, ყველა მოთხოვნას უსრულებს და თითოსაც არ ანძრევინებს. ასეთი ბავშვისთვის უცნობია საკუთარი შრომით გამოწვეული სიხარულის განცდა, რადგან მშობლების “წყალობით” ისე ამთავრებს საშუალო სკოლას, რომ ერთხელ არ უხდება დაბრკოლების გადალახვა, წინააღმდეგობათა დამლევა. ასეთი “გრძნობამორეული” (სუხომლინსკის გამოთქმა – ნ. ბ.) სიყვარული აღსაზრდელს უქმნის შთაბეჭდილებას, რომ იგი რაღაც განსაკუთრებულია, სხვებს არა ჰგავს და ამიტომ ყველა მას უნდა ემსახურებოდეს. “ასე გაზრდილი ბავშვისათვის, – გვასწავლის სუხომლინსკი, – ცხოვრების პრინციპად იქცევა ველური დევიზი: ჩემთვის ნებადართულია ყველაფერი, არავისთან არაფერი საქმე არა მაქვს, მთავარია ჩემი სურვილი”. ასე ხდება იგი თავისი სურვილების მონა, შემდეგ კი – “სულით ხორცამდე ეგოისტი”, დესპოტი, რომელსაც არავინ და არაფერი ახსოვს, გარდა საკუთარი თავისა. ასეთ ვაი-შვილს ეჩვენება, რომ მამა და დედა იმიტომ არსებობენ, რომ მას ემსახურონ და თუ თვითონ ვინმეს წინაშე ვალშია, ვერ წარმოუდგენია. ამიტომ სუხომლინსკი ზნეობრივ აღზრდას მჭიდროდ უკავშირებდა სურვილის კულტურის აღზრდას. მისი აზრით, ბავშვმა ოჯახში უნდა ისწავლოს 3 რამ: შეიძლება, არ შეიძლება და საჭიროა.

მომავალ დედებსა და მამებს ვ. სუხომლინსკი სკოლის მერხიდანვე ამზადებდა. ამ მიზნით მან თავის სკოლაში ჯერ კიდევ 60-იან წლებში შემოიღო საგანი: “ოჯახი,

ქორწინება, სიყვარული, ბავშვები”, მაშინ როცა ასეთი საგანი ყოფილი საბჭოთა კავშირის არც ერთ რესპუბლიკაში არ ისწავლებოდა. ამ საგნის სწავლებისას სუხომლინსკი მთავარ ყურადღებას უთმობდა ქალვაჟსა და ცოლ-ქმარს შორის სწორი ურთიერთდამოკიდებულების აღზრდას.

ვ. სუხომლინსკი დიდ ყურადღებას უთმობდა სკოლისა და ოჯახის მჭიდრო კავშირ-ურთიერთობას. მთელ თავის სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობას იგი წარმართავდა მშობლებთან ერთად, უზიარებდა მათ თავის გეგმებსა და მოსაზრებებს, რადგან ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ასეთი ურთიერთშეთანხმებული მოქმედება სასარგებლოა როგორც სკოლისთვის, ისე ოჯახისთვის.

ვ. სუხომლინსკი, უწინარეს ყოვლისა, ზრუნავდა მშობელთა პედაგოგიური კულტურის ამაღლებაზე. “პედაგოგიკა ყველას მეცნიერება უნდა გახდეს – მასწავლებლებისა და მშობლებისაც” (Сухомлинский, 1979: 46), – ამბობდა იგი და ამას საქმით ამტკიცებდა. ამიტომაც იყო, რომ მან ერთ-ერთმა პირველმა ყოფილ საბჭოთა კავშირში გახსნა მშობელთა სახალხო უნივერსიტეტი, რომელსაც იგი “მშობელთა სკოლას” უწოდებდა და დედებსა და მამებს არკვევდა აღზრდის საიდუმლოებაში.

----- * * * -----

ვასილ სუხომლინსკის პედაგოგიკური იდეები ძვირფასი და ახლობელია არა მარტო უკრაინელი ხალხისთვის, რომლის ღირსეული წარმომადგენელიც იგი იყო, არამედ სხვებისთვისაც. სუხომლინსკი უყვართ მთელ მსოფლიოში. ამის ნათელი დადასტურებაა მისი წიგნები, რომლებიც ნახევარ-მილიონიანი ტირაჟით გამოდის მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ხალხთა ენებზე. არაფერს ვამბობთ ყოფილ საბჭოთა კავშირში შემავალ ქვეყნებზე.

ამ მხრივ გამონაკლისს არც ჩვენი რესპუბლიკა წარმოადგენს.

წოდარ ბასილაძე

საქართველოში ვ. სუხომლინსკის ბევრი მეგობარი ჰყავდა, მაგრამ მათ შორის ყველაზე დიდ მეგობრად იგი აკადემიკოს დავით ლორთქიფანიძეს თვლიდა. მას ასევე ახლო ურთიერთობა ჰქონდა აკადემიკოს გიორგი ჯიბლაძესთან. აი, რას წერს ეს უკანასკნელი ვ. სუხომლინსკის შესახებ: „...საკავშირო პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიაში არჩევამდე სუხომლინსკი რუსეთის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გახლდათ. ხშირად ერთად ვიყავით. ის იყო თავმდაბალი, ტკბილად მოსაუბრე, მართლაც “ჰუმანური და კეთილშობილური ადამიანი” (ბასილაძე, 2000: 286).

ვ. სუხომლინსკის მიმოწერა ჰქონდა ქართველ მეცნიერებთან. აკადემიკოს შალვა ამონაშვილს იგი სწერდა: “პატივცემულო ამხანაგო ამონაშვილო! გულითად მადლობას მოგახსენებთ იმის გამო, რომ თქვენს სტატიაში, რომელიც “კომსომოლსკაია პრავდაში” გამოქვეყნდა, კეთილად მოიხსენიეთ ჩემი შრომებიც.

გიგზავნით წიგნს, რომელშიც განვითარებულია თქვენს მიერ მოწონებული იდეები. მე ძალიან მინდა, რომ ეს წიგნი ჩემმა ქართველმა მეგობრებმა წაიკითხოთ” (ბასილაძე, 2000: 286).

ქართველი პედაგოგები ვ. სუხომლინსკის პედაგოგიკურ იდეებს პირველად გაეცნენ საკავშირო პედაგოგიური პრესის ფურცლებზე, ვ. სუხომლინსკის გარდაცვალების შემდეგ კი მისმა სტატიებმა და წიგნებმა ქართულ ენაზეც იწყო გამოსვლა. 1970 წელს ჟურნალ “სკოლა და ცხოვრებაში” (#9) გამოქვეყნდა სუხომლინსკის სტატია “ქედუბრელთა ოჯახი”, რომელმაც მკითხველთა ფართო წრის მოწონება დაიმსახურა. მას სხვა წერილებიც მოჰყვა, 1980 წელს კი გამომცემლობა “განათლებლამ” ქართველ მკითხველს მიაწოდა სუხომლინსკის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული წიგნი “გულს ვუძღვნი ბავშვებს”, რომელიც შესანიშნავად თარგმნა

უკრაინაში მოღვაწე ქართველმა პოეტმა რაულ ჩილაჩავამ, მომდევნო წელს კი ქართულ ენაზე გამოვიდა ვ. სუხომლინსკის მეორე წიგნი “შშობელთა პედაგოგიკა”, ხოლო 1982 წელს – მწერალ ბორის ტარტაკოვსკის დოკუმენტური ქრონიკა “ამბავი მასწავლებელ სუხომლინსკისა” (თარგმანი ვ. ბაიაძისა), რომლის ცალკეული თავები პერიოდულად ქვეყნდებოდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. 1996 წელს გამოვიდა ჩვენ მიერ თარგმნილი სუხომლინსკის კიდევ ერთი პოპულარული წიგნი “წერილები ვაჟიმვილს”.

ქართველ საზოგადოებას ყურადღების გარეშე არ დაუტოვებია ვ. სუხომლინსკის როგორც ზემოთ დასახელებული წიგნები, ისე მისი საიუბილეო თარიღები. გარდა ამისა, ქართულ ჟურნალ-გაზეთებში სისტემატურად ქვეყნდებოდა ვ. სუხომლინსკის პედაგოგიკური მემკვიდრეობისადმი მიძღვნილი წერილები. ამ საქმეში განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ პროფესორები: შ. ამონაშვილი, ზ. ცუცქერიძე, ი. ბიბილეიშვილი, ნ. ბასილაძე და სხვები.

1990 წელს გამოვიდა ნ. ბასილაძის წიგნი “ვ. ა. სუხომლინსკი – ჩვენი თანამედროვე”, რომელიც მიზნად ისახავდა სუხომლინსკისა და მისი პედაგოგიკური ნააზრევისადმი ინტერესის აღძვრას ქართველ პედაგოგებში. 1998 წელს ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ მკითხველს მიაწოდა მისივე მონოგრაფია “ჰუმანიზმის აღზრდის პრობლემები ვ.ა. სუხომლინსკის პედაგოგიკურ მემკვიდრეობაში” და ბროშურა “ვ.ა. სუხომლინსკი მოსწავლეთა შრომითი აღზრდის შესახებ”, ხოლო 2000 წელს ს.ს. “გამომცემლობა აჭარამ” დასტამბა ნ. ბასილაძის ვრცელი მონოგრაფია “ვ. ა. სუხომლინსკის პედაგოგიკური სისტემა და თანამედროვეობა”, რომელშიც დაწვრილებითაა გაანალიზებული დიდი პედაგოგის მოწინავე თეორიული და პრაქტიკული გამოცდილება მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის

საქმეში. გარდა ამისა, სუხომლინსკის პედაგოგიკურ მემკვიდრეობას მან მიუძღვნა 50-სამეცნიერო ნაშრომი და საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. 2019 წელს თარგმნა და გამოსცა ვ. სუხომლინსკის წიგნი «Трудные судьбы», სათაურით “ძნელად აღსაზრდელი ბავშვები”, ხოლო მიმდინარე წელს – “ეთიკის ქრესტომათია”.

გაივლის ათეული და ასეული წლები, თაობები შეცვლიან თაობებს, მაგრამ ვასილ სუხომლინსკის სახელი არასოდეს ამოიშლება ყოველი ჭეშმარიტი პედაგოგის მესხიერებიდან, რამეთუ თავისი პიროვნული

თვისებებით, მრავალმხრიობითა და ნათელი გონებით მან გაუსწრო თავის დროსა და ეპოქას, გაუსწრო მომავალსაც და დღევანდელი პედაგოგებისათვის ისეთივე შეუვალ ავტორიტეტად იქვა, როგორც თანამედროვეთათვის იყო. ამ თვალსაზრისით ვ. სუხომლინსკი ერთი ეპოქის შვილი არ არის - იგი ეკუთვნის წარსულს, აწმყოსაც და მომავალსაც - თავისებურ იდეალად და ეტალონად რჩება ნებისმიერი თაობის პედაგოგთათვის.

ასე იყო აქამდე და ასე იქნება მომავალშიც. ტრადიცია გრძელდება.

PEDAGOGY

PEDAGOGICAL THEORY AND PRACTICE OF VASILY SUKHOMLINSKY

NODAR BASILADZE

St. Tbel Abuseridze Teaching University

Vasily Alexandrovich Sukhomlinsky (1918-1970) was a great Ukrainian teacher of the twentieth century, a former principal of a secondary school in the village of Pavlish, Kirovograd region, an honored teacher of the Republic of Ukraine, a hero of socialist work, a member of the USSR Academy of Pedagogical Sciences, and a Ukrainian correspondent, the holder of numerous orders and medals. His name is well known not only in Ukraine but also abroad.

Despite his short life (Died at the age of 51 years), he wrote about 50 books, about 1,500 articles, letters, short stories, miniatures and fairy tales.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სუხომლინსკი, 1980: სუხომლინსკი ვ., გულს ვუძღვნი ბავშვებს, თბილისი.
2. სუხომლინსკი, 2020: სუხომლინსკი ვ., ეთიკის ქრესტომათია, ბათუმი.
3. სუხომლინსკი, 1996: სუხომლინსკი ვ., წერილები ვაჟიშვილს, ბათუმი.
4. ტარტაკოვსკი, 1982: ტარტაკოვსკი ბ., ამბავი მასწავლებელ სუხომლინსკისა, თბილისი.
5. ტოლსტოი, 1964: ტოლსტოი ლ., ანა კარენინა, თბზ., ტ. VIII, თბილისი.
6. Сухомлинский, 1980: Сухомлинский В.А. - Избр. произведения, т. 5, Киев.
7. Сухомлинский, 1978: Сухомлинский В.А. Как воспитать настоящего человека. Минск, «Народная асвета».
8. Сухомлинский, 1979: Сухомлинский В.А. Павлышская средняя школа. - М.,
9. Сухомлинский, 1969-1970: Сухомлинский В.А. План работы Павлышской средней школы на 10. 1969-1970 учебный год (Хранится в музее им. Сухомлинского), инвентарный #22.
11. Сухомлинский, 1982: Сухомлинский В.А. Разговор с молодым директором школы. - М.,
12. Сухомлинский, 1961: Сухомлинский В.А. Труд и нравственность. - Нач. школа, #3. М.,

მშენებლობის ინჟინერია

ИССЛЕДОВАНИЕ ЗАВИСИМОСТИ МЕЖДУ НАПРЯЖЕНИЕМ И ДЕФОРМАЦИЕЙ БЕТОНА С УЧЕТОМ ФАКТОРОВ ДЕЙСТВУЮЩИХ ЭКСПЛУАТАЦИОННЫХ УСЛОВИЯХ

ТЕМУР ТУРМАНИДЗЕ

Батумский государственный университет имени Шота Руставели

АБСТРАКТ - В работе исследована зависимость между напряжением и деформацией бетона с учетом их прочности, возраста, условия твердения и скорости нагружения. Разработана аналитическая зависимость между напряжением и деформацией бетона с учётом основных эксплуатационных факторов. На основе указанной зависимости установлено, что предельная деформация тяжелого бетона, затвердевшего в одинаковых температурно-влажностных условиях, увеличивается с повышением класса бетона. С понижением влажности среды, в которой твердеет бетон, величина предельной деформации уменьшается. Для легких бетонов не отмечено влияние влажностных условий твердения бетона на величину предельной деформации. Это объясняется тем, что прочность и предельная деформация легких бетонов определяются, в основном, прочностью и растяжимостью зерен легкого заполнителя, которые в свою очередь относительно мало зависят от влажности воздуха, среды твердения бетона.

Разработанная аналитическая зависимость дает возможность в эксплуатационных условиях определить напряжение в бетоне при заданной деформации. Указанная зависимость доведена до такой стадии, что возможно осуществление конкретных инженерных задач. На основе полученной зависимости можно решить обратную задачу - определить соответствующую деформацию при заданном напряжении.

Ключевые слова: Прочность бетона, напряжение и деформация бетона, скорость нагружения и среда твердения бетона.

Несмотря на появление новых эффективных материалов и конструкций, бетон и железобетон сохранить свое ведущее положение на долгие годы. Свойства бетона и железобетона должны соответствовать условиям эксплуатации и строительства так, чтобы полностью использовать их возможности по обеспечению надежности и долговечности конструкций и соответственно длительной прочности бетона.

При эксплуатации бетонные и железобетонные конструкции часто работают в условиях связанных деформаций. Вместе с тем различна влажность среды, возраст конструкции и скорость нагружения.

Для оценки комплексного влияния эксплуатационных условий на физико-механические характеристики бетона в работе исследована зависимость между напряжением и деформацией бетона с учетом их прочности, возраста, условия твердения и скорости нагружения. В работе рассмотренный математический модель комплексного влияния зависимости между напряжением и деформацией значительно отличаются для тяжелого и легкого бетона. В общем случае для оценки напряженно-деформированного состояния бетона в эксплуатационных условиях

необходимо располагать зависимостью $\sigma(\epsilon)$ во всем диапазоне нагрузок от $\epsilon=0$ (соответствующей $\sigma=0$) до $\epsilon=\epsilon_{lim}$ (соответствующей $\sigma=R$).

Искомая зависимость с целью обобщения выражается в безразмерных величинах в виде функции: [1,2,3]

$$\frac{\sigma}{R_0} = \left(\frac{\epsilon}{\epsilon_{lim}} \right)^c \quad (1)$$

где c - эмпирическая величина, функция основных характеристик бетона.

Прочность бетона R данного состава зависит от его возраста t , относительной влажности воздуха w , как среды твердения бетона, скорости нагружения v , МПа/с. Считая температуру среды и размеры образцов во всех случаях одинаковыми, исследована зависимость величины R от комплексного влияния остальных упомянутых факторов

$$R_0 = RF(v, t, w) \quad (2)$$

где R_0 - прочность бетона при принятых значениях $V=V_0$, $t=28$ сут., $w=w_0$.

В исследовании использовано известное положение, что функция нескольких аргументов равна произведению функций каждого аргумента [1,4,5,6]

$$F(v, t, w) = f_1(v) \cdot f_2(t) \cdot f_3(w) \quad (3)$$

исследование выполнено путем обработки собственных экспериментальных данных и опубликованных материалов других авторов для тяжелого бетона различных составов прочностью R_0 . [1,6,7,13,16]

По этим данным для подбора аппроксимирующей функции $f_1(v)$ построены рабочие графики зависимости $R(\lg v)$ для каждого состава бетона. Графики представляют собой прямые которые описываются уравнением

$$R = R_0 + (\lg v - \lg v_0) \operatorname{tg} \alpha \quad (4)$$

построив для нескольких значений $\lg(v/v_0)$ отдельные графики зависимости $\operatorname{tg} \alpha(R)$, получены прямые с различными углами наклона β , величина которого зависит от $\lg(v/v_0)$, определив на нем значение $\operatorname{tg} \beta = \operatorname{tg} \alpha / R$. Для нескольких значений $\lg(v/v_0)$, графически получена линейная зависимость в виде

$$\operatorname{tg} \beta = A_1 - a_1 \cdot \lg \frac{v}{v_0} \quad (5)$$

тогда

$$\operatorname{tg} \alpha = R(A_1 - a_1 \cdot \lg \frac{v}{v_0}) \quad (6)$$

подставив (6) в (4) имеем

$$R = \frac{R_0}{1 - (A_1 - a_1 \cdot \lg \frac{v}{v_0}) \cdot \lg \frac{v}{v_0}} \quad (7)$$

Две однофакторные функции в формуле (3) взаимосвязаны: кинетика роста прочности бетона во времени зависит от влажности среды w . На основе графического анализа массива экспериментальных данных подобрана аппроксимирующая функция двухфакторной зависимости [1,8,9 10,11,16]

$$\varphi(t, w) = R_t = R_{28} \frac{(\lg t)^{mw}}{\lg 28} \quad (8)$$

ТЕМУР ТУРМАНИДЗЕ

Значение коэффициентов определены в результате совместной обработки всего массива экспериментальных данных путем минимизации x^2 относительно параметров, входящих в формуле (7) и (8).

В результате графической обработки экспериментальных данных по методике описанной выше, подобрана следующая аппроксимирующая функция для ε_{lim} входящего в основную зависимость (1) [1,6,12,13,14,15]

$$\varepsilon_{lim} = (A_2 + a_2 R_0)[1 - (A_3 - a_3 R_0)(1 - w)^a] \quad (9)$$

На дальнейшем этапе исследования с помощью графической обработки экспериментальных данных получена аппроксимирующая функция показателя степени C в основной зависимости (1)

$$C = A_4 - a_4 \frac{\varepsilon}{\varepsilon_{lim}} \quad (10)$$

где $A_4 = A_5 + a_5 R_0$; $a_4 = A_6 - a_6 R_0$

Значение коэффициентов определены в результате совместной обработки всего массива экспериментальных данных путем минимизации x^2 относительно соответствующих параметров.

Таким образом, для легкого бетона члены основной зависимости (1) аппроксимируются функциями:

$$\begin{aligned} R_0 &= R \left[1 - (0,102 - 0,00078 \lg \frac{V}{V_0}) \lg \frac{V}{V_0} \right] \frac{\lg 28}{(\lg t)^w} \\ \varepsilon_{lim} &= (102 + 5,3 R_0) 10^{-5} \\ C &= (0,636 + 0,0039 R_0) - (-1,346 + 0,125 R_0) \frac{\varepsilon}{\varepsilon_{lim}} \end{aligned} \quad (11)$$

Для легких бетонов не отмечено влияние влажностных условий твердения бетона на величину ε_{lim} . Это объясняется тем, что прочность и предельная деформация легких бетонов определяются, в основном, прочностью и растяжимостью зерен легкого заполнителя, которые в свою очередь относительно мало зависят от влажности воздуха, среды твердения бетона.

Аналогичное исследование раньше были проведены для тяжелого бетона, где для членов основной зависимости (1) получены аппроксимирующие функции

$$\begin{aligned} R_0 &= R \left[1 - (0,098 - 0,0053 \lg \frac{V}{V_0}) \lg \frac{V}{V_0} \right] \frac{\lg 28}{(\lg t)^w} \\ \varepsilon_{lim} &= (191,174 + 3,513 R_0)[1 - (0,0023 R_0)(1 - W)^{0,392}] 10^{-5} \\ C &= (0,563 - 0,006 R_0) - (-0,494 + 0,0024 R_0) \frac{\varepsilon}{\varepsilon_{lim}} \end{aligned} \quad (12)$$

На основе указанной зависимости получено, что полные относительные деформации при испытании образцов с различными скоростями нагружения в условиях одинаковой интенсивности нагрузки отличаются одна от другой незначительно, а полные относительные деформации при одном и том же напряжении уменьшаются с увеличением скорости нагружения. Предельная деформация бетона, затвердевшего в одинаковых температурно-влажностных условиях, увеличивается с повышением класса бетона. С понижением влажности среды, в которой твердеет бетон, величина предельной деформации уменьшается. Разработанная аналитическая зависимость дает возможность в эксплуатационных условиях определить напряжение в бетоне при заданной деформации. Указанная зависимость доведена до такой стадии, что возможно осуществление конкретных инженерных задач. На основе полученной зависимости можно решить обратную задачу - определить соответствующую деформацию при заданном напряжении.

*CONSTRUCTION ENGINEERING***STUDY OF THE DEPENDENCE BETWEEN THE STRESS AND DEFORMATION OF CONCRETE, TAKING INTO ACCOUNT THE FACTORS OF THE RUNNING OPERATING CONDITIONS**

TEMUR TURMANIDZE

Batumi State University Shota Rustaveli

In the paper, the dependence between the stress and deformation of concrete is studied taking into account their strength, age, hardening condition and loading speed. An analytical relationship between stress and deformation of concrete is developed taking into account the main operational factors. On the basis of the indicated dependence, it was found that during the testing of samples with different loading rates under conditions of the same load intensity, the total relative deformations differ insignificantly from one another, while the total relative deformations with the same tension decrease with increasing loading rate. The limiting deformation of concrete, hardened in the same temperature and humidity conditions, increases with increasing class of concrete. With a decrease in the moisture content of the medium in which the concrete hardens, the value of the limiting deformation decreases. For lightweight concrete, the influence of moisture conditions of concrete hardening on the value of the ultimate deformation was not noted. This is due to the fact that the strength and ultimate deformation of lightweight concrete are determined mainly by the strength and extensibility of the grains of lightweight aggregate, which, in turn, depend relatively little on the humidity of the air and the concrete hardening environment.

The developed analytical dependence makes it possible to determine the tension in concrete for a given deformation under operating conditions. The given dependence is brought to such a stage that some specific engineering tasks can be carried out. On the basis of the obtained dependence, it is possible to solve the inverse problem - to determine the corresponding deformation at a given tension.

*მშენებლობის ინჟინერია***გეტონის კაპეზსა და დეფორმაციებს შორის დამოკიდებულების გამოკვლევა სამქსალუხატაციო პირობებში მოქმედი ფაქტორების გათვალისწინებით**

თემურ თურმანიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნაშრომში ექსპერიმენტული მონაცემების დამუშავების საფუძველზე შემოთავაზებულია მსუბუქი ბეტონის კაპეზსა და დეფორმაციებს შორის ანალიზური დამოკიდებულება სამქსალუხატაციო პირობებში მოქმედი ძირითადი ფაქტორების გათვალისწინებით. ძირითად ფაქტორებად მიღებულია ბეტონის სიმტკიცე, ასაკი, გამყარების პირობები და დატვირთვის სიჩქარე. აღნიშნული დამოკიდებულების საფუძველზე დადგენილია, რომ ერთნაირი ტემპერატურისა და ტენიანობის პირობებში გამყარებისას მძიმე ბეტონის ზღვრული დეფორმაცია იზრდება ბეტონის კლასის

გადიდებით. გარემოს ტენიანობის შემცირებით, რომელშიც მყარდება ბეტონი, ზღვრული დეფორმაციის სიდიდე მცირდება. მსუბუქი ბეტონებისათვის არ აღინიშნება გამყარების ტენიანი პირობების გავლენა ზღვრული დეფორმაციის სიდიდეზე. ეს აიხსნება იმით, რომ მსუბუქი ბეტონის სიმტკიცე და ზღვრული დეფორმაცია ძირითადად განისაზღვრება მსუბუქი შემავსებლის მარცვლების სიმტკიცითა და ჰიმვადობით, რომლებიც თავის მხრივ შედარებით ნაკლებად არიან დამოკიდებული ჰაერის ტენიანობაზე და ბეტონის გამყარების გარემოზე.

აღნიშნული გამოკვლევების მნიშვნელოვანი შედეგი არის ის, რომ ბეტონის ექსპლუატაციის დროს შესაძლებელია განვსაზღვროთ წინასწარ მოცემული დეფორმაციის შესაბამისი ძაბვა. აღნიშნული დამოკიდებულება მიყვანილია იმ სტადიამდე, რომ შესაძლებელია განხორციელდეს კონკრეტული საინჟინრო ამოცანების რეალიზაცია გამოთვლითი ტექნიკის დახმარებით. მიღებული დამოკიდებულების საფუძველზე შესაძლებელია გადაწყდეს უებრუნებული ამოცანაც - განვსაზღვროთ წინასწარ მოცემული ძაბვის შესაბამისი დეფორმაცია.

Использованная литература:

1. Турманидзе Т. О. “Комплексное влияние эксплуатационных условий на физико-механические характеристики бетона” Автореферат диссертации. Тбилиси 1996г. 35с.
2. Турманидзе Т.О. “Исследование зависимости между напряжением и деформацией бетона с учетом факторов действующих эксплуатационных условиях” //Вестник научных конференции “Актуальные вопросы образования и науки” № 1-1(29). Россия, г. Тамбов, 2018. с. 105-107.
3. Турманидзе Т. О., Дидманидзе И. Ш. Математическая модель для прогнозирования длительной прочности бетона //Международный технико-экономический журнал. Россия, Москва 2010г. – №. 1. с. 43-45.
4. Турманидзе Т.О. “Длительная прочность бетона с позиций адсорбционной теорий ползучести твердых тел” //Вестник научных конференции “Современное общество, образование и наука“. № 4-1(32). Россия, г. Тамбов 2018; с.110-114
5. Турманидзе Т. О., Путкарадзе Г. Н., Дидманидзе И. Ш. ”Математическая модель прогнозирования прочности бетона” Материалы III международной научно-практической интернет конференций СУЧАСНІ ТЕНДЕНЦІЇ РОЗВИТКУ МАТЕМАТИКИ ТА ІІ ПРИКЛАДНІ АСПЕКТИ. Украина, Донецьк 2013; с.116-118;
6. Тошин Д. С., Ровенская Е. А. “Влияние условий длительного твердения на прочность тяжелого бетона”. Академический вестник уралНИИпроект РААСН. 2020 №2(45) с. 71-75.
7. T. Turmanidze “Strength of concrete from the positions of adsorption and its computer software” Materials of the XXXI International Conference PROBLEMS OF DECISION MAKING UNDER UNCERTAINTIES (PDMU-2018) p.127-128 Lankaran-Baku, Republic of Azerbaijan 2018.
8. Т. Турманидзе, “Исследование зависимости между напряжением и деформацией бетона с учетом их прочности, возраста, условия твердения и скорости нагружения” Грузинская национальная академия наук, региональный научный центр Аджарской АР, труды №5 с. 78-85. (на груз. языке)
9. T. Turmanidze “Investigation of the relationship between tension and deformation of concrete considering the factors of operating conditions and its computer software” Materials of the VI International Scientific Conference MMOTI-2018 p. 225-228 Moldova, Chişinău, 2018;
10. T. Turmanidze . “ Long-term strength of concrete from the positions of adsorption theories of creep of solids and its computer software” Science IS THE EARTH OF EDUCATION. Abstracts of the XXVI International Scientific Conference. Ukraine, Zaporozhye 2017.
11. Т. Турманидзе, Г. Путкарадзе “Математическая модель комплексного влияния эксплуатационных условий на прочность бетона.“ 13th International conference

THEORETICAL AND APPLIED ASPECT OF PROGRAM SYSTEMS DEVELOPMENT. TAAPSD 2016. Proceeding. p. 309-301. Ukraine Kiev. 2016;

12. Т.Турманидзе, Г.Путкардзе“, Математическая модель определения прочности бетона“, Материалы XII Международной научно-практической конференций “Теоретические и прикладные аспекты построения программных систем“ Украина, Киев, 2015; с. 213-214.
13. Берг О. Я., Шербаков Е. Н., Писанко Г. Н. “Высокопрочный бетон” Стройиздат М., 1971, пер. 2012. 208с.
14. Т. Турманидзе, Г. Путкардзе “Исследование зависимости между напряжением и деформацией бетона” Материалы III международной научно-практической интернет конференций “СУЧАСНІ ТЕНДЕНЦІ РОЗВИТКУ МАТЕМАТИКИ ТА ІІ ПРИКЛАДНІ АСПЕКТИ” Украина, Донецк.2014. с. 87-88.
15. Т. Турманидзе, Г. Путкардзе, И. Дидманидзе “Исследование зависимости между напряжением и деформацией бетона с учетом факторов действующих эксплуатационных условиях и его программное обеспечение” Матеріали Міжнародної науково-практичної конференції. Запоріжжя, Украина 2013. с. 288-290.
16. Гвоздев А. А. Яшин А. Б. и др. “Прочность, структурные изменения и деформации бетона” Стройиздат М. 1978. 299с.

ისტორია

საქართველოს დამოუკიდებლობის პირველი დღესასწაულები (1919-1920 წლები)

ოთარ გოგოლიშვილი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანოტაცია: ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ საქართველოს ისტორიაში ბრწყინვალე ფურცლები ჩაწერა. ქართველმა მოღვაწეებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ მათი თავდადებული ბრძოლა 1918 წლის 26 მაისის აქტით დაგვირვინებულიყო. ქართველმა ერმა, რომელმაც მრავალი მიღწევით გაამდიდრა საკაცობრიო კულტურა და ცივილიზაცია, კვლავ მოიპოვა უფლება დამდგარიყო მსოფლიოს სუვერენულ სახელმწიფოთა გვერდით და თვითონვე განეგო თავისი სვებედი.

საკვანძო სიტყვები: ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, თავისუფლების მოედანი, დამფუძნებელი კრება, სადღესასწაულო წარმოდგენები, თავისუფლება, საზეიმო დღე.

1918 წლის 26 მაისს, გაზაფხულის ამ დიდებულ დღეს ქართველი ხალხის ცხოვრებაში უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა მოხდა - აღდგა ქართული ეროვნული სახელმწიფო, გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა, რომელიც ქვეყანას მთელი საუკუნის განმავლობაში გაკარგული ჰქონდა.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა ეროვნული მოძრაობის კანონზომიერი შედეგი იყო. წარმატებით დასრულდა ქართველი ხალხის ხანგრძლივი ბრძოლა თავისუფლებისათვის, რომელსაც გარკვეული დროიდან მეთაურობდნენ თერგდალეულთა მედროშეები: ი. ჭავჭავაძე, ა.წერეთელი, ი. გოგებაშვილი და სხვები, რომელთა ჩამოთვლა შეუძლებელია, რადგან ისინი ბევრნი არიან, ხოლო ყველანი ერთად დიდი ილია ჭავჭავაძის სახით წარმოვიდგინოთ. ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ საქართველოს ისტორიაში ბრწყინვალე ფურცლები ჩაწერა.

ქართველმა მოღვაწეებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ მათი თავდადებული ბრძოლა 1918 წლის 26 მაისის აქტით დაგვირვინებულიყო. ქართველმა ერმა, რომელმაც მრავალი მიღწევებით გაამდიდრა საკაცობრიო კულტურა და ცივილიზაცია, კვლავ მოიპოვა უფლება დამდგარიყო მსოფლიოს სუვერენულ სახელმწიფოთა გვერდით და თვითონვე განეგო თავისი სვებედი.

სამ წელიწადს იარსება დამოუკიდებლად დემოკრატიულმა საქართველომ და მხოლოდ 68 წლის შემდეგ კვლავ ეროვნულ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გზაზე დამდგარნი მივაპყრობთ მზერას 1918-1921 წლების დამოუკიდებელი საქართველოსაკენ, რამდენადაც საინტერესოა თუ როგორ იდღესასწაულეს საქართველოში ნაწილი დამოუკიდებლობა. მხოლოდ ორჯერ იზიმა ეს სანუკვარი დღე ქართველმა ხალხმა - 1919 და 1920 წლების 26 მაისს.

ბუნებრივია, რომ დღესასწაული დიდი აღმავლობით აღინიშნა თავისუფალ საქართველოში ქალაქად თუ სოფლად.

ქუთაისის გუბერნიის, ბათუმისა და სოხუმის ოლქების სახელმწიფო მოსამსახურეთა კავშირის რწმუნებულთა საბჭო ღრმად არის დარწმუნებული საქართველოს ბრწყინვალე მომავლით, სალამს უძღვნის ეროვნული საბჭოს და საქართველოს მთავრობას ამ დიდებული აქტის გამო. თანაც აღუთქვამს თავის რწმუნებულთა სახელით გაორკეცებული ენერგიით და კეთილსინდისიერად ემსახუროს ხალხს და სახელმწიფო აღმშენებლობას, ამიერიდან დამოუკიდებელ საქართველოს, სადაც ქართველთან ერთად თავისუფლად ისარგებლებს ყველა მისი ერთგული მოქალაქე - წერდა გაზ. „საქართველო“, 1918 წლის ივნისი.

საზღაპრო სანახაობას წარმოადგენდა დედაქალაქი 26 მაისს. დილის მზის სხივებით მოოჭვილ-მოკაზმული შეეგება დღესასწაულს. მთელი თბილისი ეროვნული აღმებით და ვარდ-ყვავილებით იყო მორთული. დილაადრიანად მთელი ქალაქი ფეხზე დადგა. 10 საათისათვის თავისუფლების მოედანზე თავი მოეყარათ საქართველოს ყველა კუთხის წარმომადგენლებს. აქ ნახავდით მთისა და ბარის, ამერ-იმერეთის შვილებს, აზჯარ-ჩანჩქანში ჩასხმულ თავისუფალ ხევსურებს, ჩაქურაში გამოწყობილ გურულებს, ჩაბალახიან მეგრელებს, თუშებს თუშური ქუდებით, დარბაისელ კახელებს, ამაყ ქიზიყელებს, აჭარა-შავთელ-ჯავახელებს, ლეჩხუმელებს, თბილისელ ჩოხა-ახალუხიან მოქალაქეებს. აქვე იყვნენ გაბნეულნი მომავლის იმედი და ნუგეში - მოწინავენი, ვაჟნი და ქალნი.

დამფუძნებელი კრების ქუჩის სათავეში გადაჭიმული იყო ხის კამარა, მორთული სახელმწიფო აღმებითა და გერბებით. კამარასთან თავი მოიყარეს ჰეროლდებმა, 500 სულისაგან შემდგარმა ორკესტრმა, ავტომობილებმა, რომელთა მორთვასა და მოწყობაში მონაწილეობდნენ მოქანდაკე და მხატვარი ი. ნიკოლაძე, მხატვრები ქიქოძე და

თოიძე, აქ იყო გურულების ხორო, „26 მაისის“ გუნდი, კავსადის ხორო, გაძლიერებული სიმებიანი ორკესტრები, დიდებული „შევარდენის“ 400 სულიანი გუნდი. ყოველგვარ წესრიგს იცავდნენ გ. ურატაძე, გიორგაძე, მაცაშვილი და სხვები.

ვიდრე ჯარების აღლუმი დაიწყებოდა, სამხედრო ტაძრის გალავანში საქართველოს კათალიკოსის მოსაყდრე ლეონიდემ პარაკლისი გადაიხადა და ქართველ ლაშქარს სიტყვით მიმართა მობრძანდა რესპუბლიკის მთავრობის თავჯდომარე ნოე ჟორდანიას, მოვიდნენ საქართველოში მყოფი ყველა სახელმწიფოთა მისიების წარმომადგენლები. ნოე ჟორდანიამ შემოიარა საქართველოს ლაშქრის ყველა ნაწილები და მიმართა მათ შემდეგი სიტყვებით: „მოგილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის წლის თავს და იმედი მაქვს რომ უკანასკნელი სისხლის წვეთამდე დაცავთ საქართველოს თავისუფლებას გაუმარჯოს“. გალავნის თავზე ცაში კამარა შეკრა საქართველოს ლაშქრის წარმომადგენელმა. იტალიის მისიის წარმომადგენლები ამ დროს სურათებს იღებდნენ. ნოე ჟორდანიამ შემოიარა საქართველოს ყველა კუთხის საწმომადგენლებს და ყველას მიულოცა დღესასწაული. შემდეგ შემოიარა სოლოლაკი, მიმდებარე ქუჩები, მიულოცა იქ ჩამწკრივებულ მოსწავლეებს, ორგანიზაციების წარმომადგენლებს, ხელოსნებს, ამქრებს ლაშქრის ინვალიდებს და გაემართა სტადიონისაკენ, სადაც კომპოზიტორმა ფოცხვერაშვილმა პირველმა გახსნა დღესასწაული ეროვნული ჰიმნის შესრულებით, რომელიც სამჯერ იქნა გამეორებული გაძლიერებული ორკესტრით. მისივე ლოტბარობით „26 მაისის“ გუნდმა შეასრულა სხვა ხალხური სიმღერები. გაიმართა ფერხული, ლეკური და სხვა ადათ-ჩვეულებები. დიდმელი გლეხები გამოწყობილი იყვნენ ორიგინალურ ბერიკების ტანსაცმელში, რომელსაც ისინი ყველიერში ასრულებენ. ნაშუადღევს მოედანი ,შევარდენის სავარჯიშო სანახაობებმა

დაიკავა. ამ სანახაობებს მოჰყვა ფარიკაობა, რომელსაც ხევსურულად კენჭაობა ჰქვია. ამას მოყვა ბურთაობა ინგლისელებთან ერთად, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება დატოვა მაყურებელზე. სამაგალითო წესიერება სუფევდა ყველგან.

შეზინდებისას მთელი ქალაქი გაჩირადნებული შეხვდა დღესასწაულს. ქალაქის შუაში მხატვარ ლადო გუდიაშვილის ნახატი და ყვავილგრებილით მორთული საქართველოს გერბია. ამ სანახაობას ჩრდილავდა კოცონი თოფხანის, მამადავითისა და ბოტანიკური მთებიდან, საიდანაც უშვებდნენ ათასფერადოვან რაკეტებსა და მაშხალებს.

სალამოს ყველა თეატრში დაიდგა სადღესასწაულო წარმოდგენები. შესრულდა ჰიმნები, როგორც ეროვნული, ისე უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლების, რომლებიც ამ სალამოს დაესწრნენ. ამავე დღეს სახელები შეეცვალათ ერევნის მოედანს – თავისუფლების მოედანზე, სასახლის ქუჩას – დამფუძნებელი კრების ქუჩაზე. ყველა კუთხიდან ჩამოსულ დეპუტატებს გაუმართეს სადილი. სუფრას თავმჯდომარეობდა პ. საყვარელიძე. საგულისხმო და მგრძნობიარე სიტყვები წარმოთქვეს ვლასა მგელაძემ, სამაჰმადიანო საქართველოს, თუშ-ფშავ-ხევსურეთის, ქართლ-კახეთის, იმერეთის და სხვა წარმომადგენლებმა. ტრამვაის ვაგონებზე ბრწყინავდა ქართული წარწერა. ასეთი იყო ის განცდანი, რომელიც 26 მაისს იგემეს ჩვენმა მამულიშვილებმა დამოუკიდებლობის პირველ დღესასწაულზე“. (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919:28 მაისი)

ბრწყინვალედ იდღესასწაულა 26 მაისი ბათუმის ქართველობამ. ყველას მკერდს უმშვენებდა საქართველოს მინიატურული დროშა. საზეიმო კრებას, რომელზედაც გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა, უამრავი ხალხი დაესწრო. აქ იყო როგორც მუსულმანი, ისე ქრისტიანი

ქართველები. კრება გახსნა მუსულმან ქართველთა ეროვნული საბჭოს განმათავისუფლებელი კომიტეტის თავჯდომარემ მემედ ბეგ აბაშიძემ, რომელმაც მიულოცა საზოგადოებას ეს ბრწყინვალე დღე და მოულოცა მთლიანი საქართველოს აღსადგენად. აქვე სიტყვით გამოვიდა ბათუმის ქრისტიან ქართველთა ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე გრ. ელიავა, ასევე კ. გოგოლაძე, აკაკი ფაღავა. ტაშისა და ვაშას ძახილით მიიღო კრებამ მემედ აბაშიძის მიერ წარდგენილი რეზოლუცია, რომლის შინაარსი ასეთია: „საქართველოს დამოუკიდებლობის წლისთავზე 1919 წლის 26 მაისს. ქ. ბათუმში შეკრებილი მრავალათასიანი ყრილობა მუსლიმან და ქრისტიან ქართველთა, აღფრთოვანებით ეგებება დღესასწაულს და აღიარებს, რომ ერთადერთი ჭეშმარიტი და სამართლიანი გზა ქართველი ხალხისათვის არის თავისუფალი, დამოუკიდებელი და გაერთიანებული საქართველოს ცხოვრების გზა. ხსენებული ყრილობა ფიცსა სდებს, რომ მთელი თავისი არსებით – სიტყვით თუ საქმით, სულით და გულით, ჭკუით, გონებით, ქონებით და სისხლით შეეწირა თავის სამშობლო საქართველოს დამოუკიდებლობას, გაერთიანებისა და თავისუფლების განმტკიცებას, რათა ქართველი ხალხი შევიდეს საკაცობრიო თავისუფალ, თანასწორ, ძმურ საერთაშორისო ოჯახს!“ (გაზ. „სახალხო საქმე“ 1919: 3 ივნისი, N544)

დიდებულად იდღესასწაულა დამოუკიდებლობის გამოცხადების წლისთავი სოხუმმა. მოედანზე აუარებელ ხალხს მოეყარა თავი. სამხედრო პოლკი ლამაზად ჩამწკრივებულიყო აღლუმის მოლოდინში. პარაკლისის შემდეგ ჯარს სიტყვით მიმართა პოლკოვნიკმა თუხარელმა და მთავრობის წარმომადგენელმა ის. რამიშვილმა. ხალხი სანაპიროს ქუჩისაკენ დაიძრა, სადაც სტუდენტებს საუცხოოდ მოერთოთ თადი დროშებითა და ყვავილების ხლართულით. აქვე

გამოფენილი იყო შოთა რუსთაველის ილიას, აკაკის, არჩილ ჯორჯაძის, ნ. ჟორდანას, ნ. ჩხეიძის და ი. წერეთლის სურათები. დაიჭიქა ზარბაზნებმა, აფრიალდა ეროვნული ქართული დროშა. გაიხსნა მიტინგი, რომელზედაც სიტყვით გამოვიდა ხ. ბერულავა, სამს. დადიანი, ბერძნულად ილაპარაკა ბერძნების წარმომადგენელმა. გაიმართა სეირნობა, მეჯლისი. ს. დადიანმა მოკლე სიტყვაში მოიხსენია გ. ლასხიშვილი, დეკანოზიშვილი, არჩილ ჯორჯაძე, რომელთა ოცნებას შეადგენდა საქართველოს თავისუფლება. დამით თეატრში გაიმართა სახალხო წარმოდგენა. განსაკუთრებით სასიამოვნო იყო, რომ რაზმის უფროსს პოლკ. თუხარელთან ერთად მთელი ოფიცრობა ფიცს სდებდა, რომ სიცოცხლეს შესწირავდა საქართველოს თავისუფლებას.

ნამდვილი ეროვნული დღესასწაული იყო ზუგდიდში. კარგი ამინდი, ქალაქი მორთულია დროშებით და ყვავილებით. ხალხი ჩამოდიოდა სოფლებიდან და თავს იყრიდა სასახლეში. დროშებით ჩამოიარეს ქალაქის ქუჩები, გაიმართა ცხენოსნების მარულა. ბურთაობა და ჭიდაობა. ყველა განიცდიდა რაღაც იდუმალ მხიარულებას. (გაზ. „სახალხო საქმე“ 1919: 7 ივნისი.)

დამოუკიდებლობის სადღესასწაულოდ ერთობის ქუჩაზე ხალხი შეიკრიბა გორში, ყველა შენობიდან ფრიალებდა ეროვნული დროშები, უკრავდა სამხედრო ორკესტრი. სოციალისტ-ფედერალისტების ბიურო კვლავ უცურად იყო მორთული. კედელზე ეკიდა რესპუბლიკის ღერბი. ცოცხალ ყვავილებში ჩაესვათ არჩილ ჯორჯაძის და გიორგი ლასხიშვილის სურათები. ქალაქგარეთ დიდ მინდორზე, გაიმართა ჯარების პარადი. მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა ახალაძემ. გაიმართა ცეკვა, ჭიდაობა, თამაში. გაჩირადნებულ ქალაქში გორის ციხეზე ჭაღები ანთია, უშვებენ შუმხუნებს. სხვადასხვა

გუნდები „დიდებას“ აგუგუნებენ. (გაზ. „სახალხო საქმე“. 1919: 3. ივნისი)

არავის ახსოვს ისეთი სანახაობა, როგორც იყო თელავში. კოპწია პატარძალივით კობტად მორთული დახვდა ამ დიდებულ დღეს. მთელი ქალაქი გარეთ გამოიფინა. 12 საათზე ტრიბუნაზე თავი მოიყარეს დამფუძნებელი კრების წევრებმა ს. მაჭავარიანის ხელმძღვანელობით, რომელმაც ჩამოუარა ყველას: ჯარს, მოსწავლეებს, ამქარს და ხალხს, ყველას ულოცავდა დიად დღესასწაულს, შესრულდა ეროვნული ჰიმნი. წარმოითქვა მისასალმებელი სიტყვები. მთელი ეს ზღვა ხალხი სიმდერით, ზურნით, დუდუკ-საზანდარით და სამხედრო მუსიკით გაემართა ნადიკვისაკენ სადაც გასართობ ღონისძიებებთან ერთად გაიმართა ჭიდაობა საჩუქრებით (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. 1919:8 ივნისი)

ახალციხის მაზრაში შეიქმნა 26 მაისის დღესასწაულის მომწყობი კომიტეტი. მასში გაერთიანებული იყო ახალციხეში არსებული ყველა პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელი. ამ დღეს დაკეტილი იყო ყველა სავაჭრო ორგანიზაცია, კერძო ბინებზე და საზოგადო დაწესებულებებზე ფრიალებდა ეროვნული და წითელი დროშები. ჰაეროპლანიდან ფანტავდნენ მოწოდებებს. დამფუძნებელი კრების წევრით. კიკვაძე სამაზრო კლუბში კითხულობს ლექციას „26 მაისი და მისი მნიშვნელობა“. წაკითხულ იქნა დამოუკიდებლობის აქტი. და როცა დასასრულს დაიმახა „გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს რესპუბლიკასო, ხალხმა დაიგუგუნა და მას ხმა მისცა ზარბაზნების ქუხილმაც. გენერალმა კვინიტაძემ მიიღო სამხედრო პარადი.

დამფუძნებელი კრების წევრმა ოსმან შევვი ეფენდი მიქელაძემ თათრულ-ქართული მოსალოცი სიტყვით მიმართა

შეკრებილ ხალხს (გაზ. „ერთობა“. 1919: 31 მაისი).

1919-1920 წლების დამოუკიდებლობის სლესასწაულის მომსწრე და მონაწილე აკადემიკოსი ალექსანდრე ბარამიძე ასე იხსენებს 26 მაისის საზეიმო დღეებს ხაშურში: „მახსოვს როგორ გამოეფინა მთელი მოსახლეობა ქალაქის გარეუბანში, ბორჯომ-ქვიშხეთის შარაგზის ახლოს. დილიდან შებინდებამდე უკრავდა ორკესტრი. იყო გულიანი მხიარულება, მღეროდნენ, ცეკვავდნენ, იმართებოდა ქართული ჭიდაობა. სახელდახელოდ აგებულ ფარდულებში იყიდებოდა ხილი, სასმელი, შოთის პურები, სანოვაგე. ზოგნი ცხარედ კამათობდნენ, იმართებოდა მიტინგიც. 26 მაისი იყო ქართველობის საყვარელი საზეიმო დღე. დიდი ივანე ჯავახიშვილის პატრიოტული მოწოდებით სახელოვანი სწავლული ალ. ბარამიძე 1921 წლის 25 თებერვალს თბილისის მისადგომებთან იცავდა საქართველოს დამოუკიდებლობას.

როგორ შეხვდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის დლესასწაულს სხვაგან, ქვეყნის გარეთ?

სტამბოლში, მაისის 26-ში, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს აქაურმა ქართველობამ „უმანკო ჩასახვის“ ძმობის მეთაურობით ზეიმით იდლესასწაულა საქართველოს დამოუკიდებლობის წლისთავი. ახალშენი მთავრობას უსურვებს ხანგრძლივ და ნაყოფიერ მუშაობას და მზადაა თავი შესწიროს დამოუკიდებლობის მტკიცედ დაცვას.-ასეთ ცნობას აქვეყნებდა გაზ. „სახალხო საქმე“ 1919 წლის 23 ივლისს.

საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი აზერბაიჯანში ნ. ქარცივაძე ატყობინებს საგარეო საქმეთა მინისტრს, რომ მაისის 26-ს საქართველოს დამოუკიდებლობის წლისთავზე ბაქოში საქართველოს მისიის შენობაზე ფრიალებდა ეროვნული დროშა. (გაზ. „სახალხო საქმე“, 1919:1 ივნისი N539).

„ის, რაც საუკუნოებით კეთდებოდა, მჭიდრო რკინის ხიდი, რომელიც ბარსა და მწვერვალების შუა გაიჭედა თამარის დროიდან, უცბათ პროვოკატორთა ნადმით არ უნდა იქნეს აფეთქებული, ოსებმა უნდა იცოდნენ, რომ ჩრდილოეთით ყურება მხოლოდ ცივს თანაგრძნობას მოიპოვებს მათ ისეთსავე ცივს, როგორცაა მათი დარაჯი მყინვარი, მაშინ, როდესაც ბარი, კურთხეული ქართული ყოველთვის ხელს გაუწვდის და თავის ღხენით დაატკბობს, მაყრულს დაამღერებინებს“ – ასე ეხმაურება დლესასწაულს გაზ. „საქართველო“, 1918 წ. თიბათვეს ქ. ცხინვალიდან.

„თავისუფლება ის წმინდა და ტკბილი დედის ძუძუა, რომელმაც გამოგზარდა და ჩვენ კაცად გვაქცია. თავისუფლებას ბინა აქვს თავისუფალი კაცის გულში. იგია დამაგვირგვინებელი ჩვენი ცხოვრებისა. თავისუფლება ღვთიური ნიჭია, ჭეშმარიტი მამულიშვილი მოვალეა იარაღით ხელში დაიცვას მოპოვებული თავისუფლება თუ ამას პოლიტიკური გარემოება მოითხოვს. მაშ, გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!

გაუმარჯოს თავისუფალ ქართველ ხალხს და იმერებს, რომელნიც ჩვენთან ერთად ცხოვრებენ თავისუფალ საქართველოში!“ ასეთი იყო სიტყვა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის კირიონ მეორისა, წარმოთქმული საქართველოს დამოუკიდებლობის წლისთავზე. (გაზ. „სახალხო განათლება“ 1989: 24 მაისი)

საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიესალმნენ მაჰმადიანთა სახელით ფატალი-ხანი ხოელი, ადგილობრივ პოლონელთა წარმომადგენელი, ოსების წარმომადგენელი გიორგი გაგლოევი, ქართველ მაჰმადიანთა წარმომადგენელი ჰაიდარ ბეგ აბაშიძე, გერმანიის კაიზერის რწმუნებული, ამიერკავკასიის გერმანელთა წარმომადგენელი ფრიკი. (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ .1919: 26 მაისი).

1918 წლის 26 მაისი დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილებით „დამოუკიდებლობის დღედ“ გამოცხადდა, რომელიც ყოველწლიურად უნდა აღნიშნულიყო. ჭეშმარიტად დიდი სახალხო დღესასწაული საქართველომ იხეიმა 1919 წლის და როგორც გაზეთი „ერთობა“ აღნიშნავს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 2 წლის თავის ზეიმი მთლიანად აღიბეჭდა „სინემატოგრაფისტების“ მიერ ფირზე და შეიქმნა დოკუმენტური ფილმი, რომელსაც „საქართველოს დამოუკიდებლობის 2 წლისთავი“ ეწოდა. ფილმში ასახულია 1920 წლის 26 მაისის საზეიმო ცერემონიალი, მთავრობის და დამფუძნებელი კრების საიუბილეო სხდომა, დელეგაციის ჩამოსვლა ზეიმზე დასასწრებად, მათზე დახვედრა, უცხოეთის ქვეყნების საელჩოთა წარმომადგენლების მილოცვა, სამხედრო პარადი „სობოროში“, მიტინგი თავისუფლების მოედანზე, სტუმრების საპატივცემულოდ გამართული მსუბუქი საუზმე, საზეიმო მსვლელობა ვაკის მოედანზე, სპორტსმენტა გამოსვლები, საღამოს ფეიერვერკი და სხვა ღონისძიებები, საქართველოს კინოფოტო დოკუმენტალისტთა არქივში შემონახულია 8-10 წუთიანი სიუჟეტი.

1920 წლის 26 მაისის დღესასწაულის წინ თბილისის პროფესიული კავშირების საბჭოს სეკრეტარიატის მიერ გავრცელდა მოწოდება „ყველანი ქუჩებისაკენ“, დილის 12 საათისათვის უნდა შეკრებილიყვნენ მუსიკითა და დროშებით მუშათა სასახლესთან. მოწოდება მთავრდებოდა სიტყვებით: „გაუმარჯოს საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობას!“, „გაუმარჯოს ერთა სოლიდარობას“, „გაუმარჯოს სოციალიზმს!“

26 მაისის დღესასწაულის მომწყობი კომისია მოქალაქეთა საყურადღებოდ აცხადებდა, რომ ყოველი მოქალაქე ვალდებულია ამ დღეს დაიცვას წესრიგი, წესრიგის მთავარ გამგედ დაინიშნა გრ. გიორგაძე-დამფუძნებელი კრების წევრი. სდხვადასხვა

უბნებზე წესრიგის დამცველად გადანაწილებული იყვნენ: კოწ. ანდრონიკაშვილი, შალ. აბდუშელაშვილი, აკაკი ფაღავა თავის სტუდენტებთან და თანამოქალაქეებთან ერთად, რომელთა განსაკუთრებული „მოწესეს“ ნიშანი უნდა ჰქონოდა. ზეიმის დაწყების ნიშანი თავისუფლების მოედნიდან 7-ჯერ ზარბაზნის გასროლა იყო. საღამოს ქალაქი გაჩირადდებულ-განათებული შეხვდა საყოველთაო ზეიმს. სხვადასხვა ფერადოვნების შუშხუნებითა და ფეიერვერკებით 1. (გაზ. „ერთობა“ N14, 1920: 26 მაისი).

დამოუკიდებლობის 2 წლისთავის ჩინებულად აღნიშვნას ხელს უწყობდა აგრეთვე კარგი ამინდიც. ვარდ-ყვავილებში მორთული ავტომობილები, ეტლები მოძრაობდნენ თბილისის ქუჩებში. დიდმელი გლეხები, ეტლი, ლინიკა, მათ მოსდებდნენ ცხენოსნები, გლეხებისაგან შემდგარი მომღერალთა გუნდი, 6 უღელი ხარ-კამეჩმებული გუთანნი. გუთანის დედა „ჰოროველას“ სიმღერით.

თბილისში მყოფმა უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა საზოგადოებას მიულოცეს დღესასწაული. მათ შორის დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, იტალიის, საბერძნეთის, პოლონეთის და სხვათა მილოცვებს შეუერთა დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები.

სასახლიდან მთავრობის წევრები, დამფუძნებელი კრების წევრები, პრეზიდენტი და სტუმრები სტადიონისაკენ გარმართნენ, ჰაეროპლანებიდან ცვიოდა ფერად-ფერადი ქაღალდები. „შევარდენთა“ 8000-იანმა ჯგუფებმა სპორტული ჩვენება გამართეს, კ. ფოცხვერაშვილის მეთაურობით 3-ჯერ შესრულდა ეროვნული ჰიმნი.

26 მაისს მიეცა სახალხო სახალხო დღესასწაულის შინაარსი. როგორც უწინ დიდ საეკლესიო დღესასწაულში ახლომახლო რაიონები დაფარული იყო რაიონებიდან ჩამოსული გლეხებისა და ქალაქების სუფრებით და ქეიფობდნენ საღამომდე ნამდვილად ქართულად.

დამოუკიდებლობის დღე მთელმა საქართველომ იხეიმა: აი, ზოგიერთი ინფორმაცია საქართველოს ქალაქებიდან:

მაისის 26 .ქ, ფოთიდან გაიგზავნა დეპეშა: „ქ. ფოთის საქალაქო საბჭო შეკრებილი დამოუკიდებლობის ორი წლისთავზე ფიცს დებს, რომ... დაიცვას საქართველოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება, საბჭო მხურვალე სალამს უძღვნის მთავრობას და დამფუძნებელ კრებას... საბჭოს თავმჯდომარე სამსონიძე“ (გაზ. „სახალხო განათლება“ N838 10 ივნისი 1920 წ.)

1920 წლის გაზ. „სახალხო საქმე“ N838 10 ივნისი, აქვეყნებს რიზა ხოზრევანიძის წერილს აჭარიდან: „დღევანდელ დღეს, მაისის 26-ს დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველი ერის ცხოვრებაში. ამ დღეს განთავისუფლდა საქართველო და დაარსდა დამოუკიდებელი საქართველო, ჩვენთვის, მუსულმანი ქართველებისათვის დიდად სასიხარულოა ეს დღე. ჩვენ დროებით მოწყვეტილი ვართ საქართველოს, მაგრამ იმედს არ ვკარგავთ, რომ საქართველოს მთავრობა არ დაგვტოვებს ჩვენ მტრების ხელში და ყველა ზომებს მიიღებს, რომ ჩვენც ჩვენს ძმებთან ერთად ვიდღესასწაულოთ ეროვნული ზეიმი. ამ იმედით მეც მოგილოცავთ, ჩემო ძმებო, ამ დიდ დღესასწაულს“.

თელავში, მხატვარ ვალ. სიდამონ-ერისთავის ხელმძღვანელობით სასეირნო ბარის წის მოეწყო თაღები, მორთული ეროვნული დროშებით და ელექტროფარებით. დამფუძნებელი კრების წევრმა ს. მაჭავარიანმა საზეიმო დღესასწაული გახსნა. ვაჟთა და ქალთა მომღერალმა გუნდმა ზ. ჩხიკვაძის ხელშეწყობით შეასრულა სხვადასხვა ეროვნული სიმღერები. გამოიფინა ცოცხალი სურათები, საზოგადოების ყურადღება მიიპყრო ბალეტმა, მასწავლებელ ვახვახიშვილის მიერ შესრულდა შამილის ლოცვა. („გაზ. სახალხო საქმე“, N844. 1920: 8 ივნისი)

დიდებულად ჩაიარა დამოუკიდებლობის 2 წლისთავის დღესასწაულმა ქუთაისში. მზიანი დღე. დროშებით, ნოხებით, ფოთოლ-ყვავილებით მორთული სახლები, ქალაქის ქუჩები ავსებული იყო ხალხით, ყველას აღტაცება და მზიარულება ეტყობოდა. გენერალმა ციციშვილმა მისალმების შემდეგ წაიკითხა დეპეშა, რასაც ტამისცემითა და „ვამას“ შემახილით შეხვდა მოსახლეობა. აქაც გაიმართა „შევარდენის“ ვარჯიშები, ველოსიპედისტთა და ფეხბურთელთა შეჯიბრება. სალამოს ყველა თეატრსა და კლუბებში გაიმართა წარმოდგენები. (გაზ. „სახალხო საქმე“ N.846. 1920: 8 ივნისი)

ყოველწლიურად, მოკრძალებულად, მაგრამ მომავლის იმედით გულანთებული აღნიშნავდა სანუკვარი სამშობლოს დამოუკიდებლობის დღეს 26 მაისს საქართველოს ემიგრაცია. „ერთი ქართველიც ნუ დარჩენილა ცოცხალი თუ კვლავ შეურიგდეს მონობას!“ აცხადებს ჯარისკაცი სირამე (გაზ. „თეატრი და ცხოვრება“ N6 1919 წ.)

უცხო ცის ქვეშ ცხოვრება და სამუდამო განსასვენებელი ხვდა წილად ემიგრაციაში წასულ ქართველობას, მაგრამ მათ მკერდში მუდამ ფეთქავდა საქართველოს სიყვარულით ანთებული და დაწყლულებული გული, რადგან ახსოვდათ, თუ როგორ ესროლეს ტყვიები თბილისს, როგორ გარდაიცვალა დიდი წარსული, მამინ:

თეთრი კაბები შეღებეს შავად
და აიყვანეს ავი მენავე
უცხო მხარეში მამინაცვალად.

დღესაც კი ეროვნული ჰიმნივით ჟღერს ემიგრაციაში მცხოვრები, აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართული, გაზეთ „თეთრი გიორგისა“ და „ქართლოსის“ აქტიური თანამშრომლის ეროვნული სახელმწიფოს აღდგენისა და მის ხილვას დანატრებული სიმონ ბერეჟიანის ლექსი „მგოსანი“.

„ვარ ჩემი ქვეყნის გულდამწვარი
ჭირისუფალი,
ერის ბრწყინვალე მომავალით მსურს
გავიხარო,
თუ საქართველო არ იქნება თავისუფალი,
დე, მტვრად ქცეული დამენახოს მთელი
სამყარო!“

(გაზ, „აჭარა“. 1990: 6 ივლისი)

ქართველი ხალხისათვის რევოლუციის მონაპოვარიდან არაფერი არ ყოფილა ისე მტკიცე და ძვირფასი, როგორც 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი – საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება. (გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი“, 1921: 12 მარტი).

ისეთი ძლიერი იყო 26 მაისის ინერციის ძალა, რომ 1921 წელს. ეს დღე გააუქმა საბჭოთა მთავრობამაც, თუმცა მომდევნო 1922 წელს ოცდაექვსმეათე სასტიკად აიკრძალა.

1990-იანი წლებში ქართული კინოს სახლში აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც დაინტერესდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ცხოვრების ამსახველი დოკუმენტური კინოფირებით. იმდროინდელი პრესიდან ჩანს, რომ ყველა მნიშვნელოვან მოვლენას ფირზე აღბეჭდავდნენ გერმანე გოგითის ხელმძღვანელობით. სამი-ოთხი დღის შემდეგ კი კინოთეატრებში უჩვენებდნენ. 1921 წლის თებერვალში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ სულ რამდენიმე საათში დატოვა

თბილისი, მაგრამ, როგორც ჩანს ემიგრაციაში კინოფირები არ წაუღიათ. ამფირების ეგატივები ცეკავშირის სინემატოგრაფიულ განყოფილებაში ინახებოდა, ხოლო პოზიტივები კინოთეატრებში იყო გაბნეული. 1937 წლის რეპრესიების დროს კინოსტუდიაში შენახული ფირების ნაწილი გაიწმინდა, მაგრამ სტუდიის მუშაკების მონდომებითა და ხანგრძლივი მუშაობით მოხერხდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ცხოვრების ამსახველი ფირების აღდგენა და დღეისათვის ცნობილია, რომ კინოარქივში დაცულია:

1. საქართველოს დამოუკიდებლობის დღე.
2. გვარდიის დღე.
3. მენშევიკური ჯარების შესვლა აჭარაში და ბათუმში.
4. უცხოეთის დელეგაცია და კიდევ რამდენიმე სხვა კინოფირი.

ამ მასალების მიგნების შემდეგ საქართველოს ფილმოტეკას საშუალება მიეცა აღედგინა და თანამედროვე თაობისათვის ეჩვენებინა ისტორიული სინამდვილე, რომელსაც დღეს საქართველოს ტელეეკრანებიდან პერიოდულად ვეცნობით.

როგორც არ უნდა დატრიალდეს ისტორიის ჩარხი, საქართველოში 26 მაისი დარჩება საყვარელ საზეიმო დღედ. ამ დღეს გათავისუფლდა მონობისაგან ქართველი ერი. ამ დღეს ყოველმა ქართველმა უნდა იგრძნოს ძალა ეროვნული სიამაყისა და სიამოვნებისა.

HISTORY

THE FIRST HOLIDAYS OF INDEPENDENCE OF GEORGIA (1919-1920)

OTAR GOGOLISHVILI

Batumi Shota Rustaveli State University

On May 26, 1918, on this glorious day of Spring, an event of great historical significance took place in the life of the Georgian people - the Georgian national state was restored, the independence of Georgia was declared, which the country had lost for a century.

The restoration of the independence of country was a natural result of national movement. The long struggle of Georgian people for freedom had been successfully completed, which was led by leaders of Tergdaleulebi: Ilia chavchavadze, Akaki Tsereteli, Iakob Gogebashvili and etc., it is impossible to enumerate them because they are many, and all of them together represented by Ilia Chavchavadze.

National-liberation movement wrote an excellent paper in the history of Georgia. Georgian figures did their best to crown their dedicated struggle with the act of May 26, 1918. The Georgian nation, which enriched human culture and civilization with many achievements, had again won the right to stand by the sovereign states of the world and decide its own destiny.

Independent democratic republic of Georgia has existed for three years and only after 68 years we are still on the path of national independence, looking at the independent Georgia of 1918-1921, because it is interesting how the desired independence was celebrated in Georgia. Georgian people celebrated this cherished day only twice – on May 26, 1919 and 1920.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სიორიძე მ. საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი. ბათუმი 1998 წ.
2. გაზ. „თბილისი“. 1990 წ. 25 მაისი
3. გაზ. „სამშობლო“. 1989 წ. N14. 26 მაისი.
4. გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“ N61. 1989 წ. 25 მაისი
5. გაზ. „ერი“. 1991 წ. 22 მაისი.
6. 6 გაზ. „თბილისი“. 1989 წ. 25 მაისი
7. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“. 1990 წ. 17 აგვისტო
8. გაზ. „აჭარა“ ფიქრები ემიგრანტ პოეტზე. 1990 წ. 6 ივნისი
9. გაზ. „სახალხო საქმე“ 1919 წ. N539, 839. N544
10. გაზ. „საქართველო“ 1918 წ ივნისი.
11. გაზ. „სახალხო განათლება“. 1989 წ. 24 მაისი.
12. გაზ. „ერთობა“. 1919 წ 31 მაისი.
13. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. 1919 წლის 28 მაისი.
14. გაზ. „ერთობა“. N 14. 1920 26 მაისი.
15. გაზ. „სახალხო საქმე“.. 1920 წ. N. N846 844.
16. გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი“. 1921წ. 12 მარტი.
17. გაზ. „თეატრი და ცხოვრება“. N 6. 1919 წ.

ისტორია

ანაპის ციხესიმაგრე რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობაში (XVIII ს-ს 80-იანი წწ. XIX ს-ს 20-იანი წწ.)

ხატიჯა ერთუჩი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი. ყირიმსა და კავკასიაში რუსეთის გავლენის გაზრდის პარალელურად, ოსმალეთი ახალი თავდაცვითი სტრატეგიის შემუშავებას იწყებს და ცდილობს მასში კავკასიის ხალხების ჩართვას, ოსმალურ კულტურასთან მათ დაახლოებას. აღნიშნული პოლიტიკის შესაბამისად, 1781 წელს, ქართული წარმოშობის ფერაჰ ალი ფაშა სუჯუკ-კალეს (დღ. ნოვოროსიისკი) დამცველად დაინიშნა. სწორედ მის დროს პორტამ, რეგიონში უსაფრთხოების გაძლიერებისა და აქ მცხოვრები ხალხების ნდობისა და მათთან უწყვეტი კავშირის უზრუნველყოფისთვის, ციხე-სიმაგრის აშენება დაიწყო სუჯუკ-კალედან 30 მილის დაშორებით - ანაპაში, რომელმაც დიდი მნიშვნელობა შეიძინა, როგორც ჩრდილოეთ კავკასიაში ოსმალეთისთვის ერთ-ერთმა მნიშვნელოვანმა პუნქტმა.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნულმა მოვლენებმა გაართულეს რუსების შემდგომი წინსვლა კავკასიაში, ოსმალეთმა სამხედრო-ეკონომიკური პრობლემებისა და ცალკეულ თანამდებობის პირთა თავნებობის გამო, მარცხი იწვნია რუსეთთან ომებში და XIX ს-ს 20-იანი წლების ბოლოს, სხვა სტრატეგიულ ტერიტორიებთან ერთად, საბოლოოდ დათმო მანამდე რამდენჯერმე ხელიდან ხელში გადასული ანაპის ციხე.

საკვანძო სიტყვები: ოსმალეთის იმპერია, რუსეთი, ანაპის ციხე, ფერაჰ ალი ფაშა

რუსეთის ფედერაციის კრასნოდარის მხარის შავიზღვისპირა ქალაქი ანაპა მე-13-14 საუკუნეებამდე ბერძნულ კოლონიას წარმოადგენდა და „გორგოპიად“ იწოდებოდა. შემდგომ პერიოდში ის გენუელების სავაჭრო პორტი და ციხესიმაგრე იყო. მე-15 საუკუნეში ანაპა ოსმალეთმა აიღო და მე-18 საუკუნის ბოლოს, გენუელების მიერ დანატოვარ ნანგრევებზე, ციხესიმაგრე ააგო, რითაც ამ პუნქტმა მნიშვნელოვანი როლი შეიძინა შემდგომ ისტორიულ მოვლენებში (Fedakar, 2015: 276).

კავკასიაში რუსეთის დამკვიდრების პარალელურად, ოსმალეთი ახალი თავდაცვითი სტრატეგიის შემუშავებას იწყებს და ცდილობს მასში კავკასიის ხალხების (ქართველების, ჩერქეზების, ჩეჩნების, დაღესტნელების და სხვათა) ჩართვას, ოსმალურ

კულტურასთან მათ დაახლოებას (Kuzucu, 2013: 81), სულიერი და სამართლებრივი კავშირების გაძლიერებას (Özbay, 2014: 35).

1781 წლის 25 დეკემბერს ქართული წარმოშობის ფერაჰ ალი ფაშა სოლუჯაკის/სუჯუკ-კალეს (დღ. ნოვოროსიისკი) დამცველად დაინიშნა (Yağcı, 1998: 68). მას კარგი განათლება ჰქონდა მიღებული და თავისი ნიჭის წყალობით სხვადასხვა სახელმწიფო მოხელის თანამდებობაზე მუშაობდა, რა დროსაც ხალხის პატივისცემა მოიპოვა. ის ძლიერი ნებისყოფის და ამავე დროს ფრთხილი ბუნებისა იყო (Ahmet Cevdet Paşa, 1892: 235). ფერაჰ ალი ფაშა ანატოლიისა და რუმელიის გუბერნატორის ქოჯა აბდი ფაშას გვერდით იზრდებოდა. სათათბიროს მდივან მწიგნობარის მოვალეობას ასრულებდა და თავისი უნარებით ყურადღებას

იპყრობდა. 1768-1774 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს, როდესაც რუსები შუმენამდე მივიდნენ, სწორედ მან წამოაყენა შუმენის გარშემო სანგრების გათხრის იდეა, რითაც მოხერხდა რუსების შემდგომი წინსვლის შეჩერება. ამ წარმატების გამო 1773 წელს ის ბეგლარბეგის თანამდებობაზე დაინიშნა (Yağcı, 1998: 64-65). შემდგომ ანკარის, ქოჯაელის, კაისერის, ბეიშეჰირისა და ბურსას სანჯაყების გამგებლის (მუთესარიფის) თანამდებობებზე იყო გამწესებული (Fedakar, 2015: 277).

მოვალეობის შესრულების დაწყებამდე ფერაჰ ალი ფაშამ სინოპში შეიარა, მშენებლობისა და რეკონსტრუქციისთვის საჭირო მასალები შეაგროვა და ამის შემდეგ ჩავიდა სოღუჯაკში, სადაც სამშენებლო საქმიანობას მიჰყვო ხელი. შედეგად, აქაურობა მტკიცე და ძლიერ ციხესიმაგრედ იქცა. წარმატებული სამუშაოების ჩატარების გამო მას ანკარისა და რუმელიის სანჯაყების ბეგლარბეგის წოდება მიანიჭეს. ფაშამ დიდი ყურადღება დაუთმო რეგიონის მოსახლეობას, გაიზარდა და განვითარდა სავაჭრო საქმიანობა (Özbay, 2014: 35).

ფერაჰ ალი ფაშა ცდილობდა, რომ ადგილობრივ ჩერქეზებში ისლამი გავრცელებინა (Fedakar, 2015: 277; Gökçe, 1979: 45-52). ამის ყველაზე ეფექტური გზა იქაურ ქალიშვილებზე ქორწინება და მათთან ნათესაური კავშირის დამყარება იყო. სწორედ ამ მიზნით ფერაჰ ალი ფაშამ ჩერქეზების ერთ-ერთი ეთნოგრაფიული ჯგუფის - შაფსულეების დიდგვაროვნის ჰასან ბეგის ქალიშვილზე იქორწინა (Bardakçı, 1996: 39). ფაშას ბევრმა ჯარისკაცმა მიბაძა. ამგვარად, ისლამი, რომელიც კავკასიაში იწყებდა გავრცელებას, რუსების წინააღმდეგ კავკასიელთა გამაერთიანებელ ელემენტად იქცა. ფერაჰ ალი ფაშას საქმიანობამ, მის მიერ გატარებულმა სხვადასხვა ზომებმა, თავისი შედეგი გამოიღო - ათასზე მეტი ჩერქეზი ოსმალეთის ჯარში ჩაირიცხა.

თავის მხრივ, რუსეთი ცდილობდა, რომ რეგიონში ოსმალეთის მმართველობას დაქვემდებარებული აფხაზები და ჩერქეზები თავისი მმართველობის ქვეშ მოექცია, ამიტომაც მათზე ზეწოლას ახდენდა. ისინი კი ოსმალეთს ერთგულებას უცხადებდნენ და დახმარებას ითხოვდნენ. პორტამ, რეგიონში უსაფრთხოების გაძლიერებისა და აქ მცხოვრები ხალხების ნდობისა და მათთან უწყვეტი კავშირის უზრუნველყოფისთვის სუჯუკ-კალედან 30 მილის დაშორებით - ანაპაში ციხე-სიმაგრის აშენების გადაწყვეტილება მიიღო (TCOA, H.H., №: 21/1011-C).

რუსების მიერ ყირიმის ანექსიის შემდეგ ანაპამ, ციხესიმაგრის აშენებით, დიდი მნიშვნელობა შეიძინა, როგორც ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთის წინააღმდეგ ოსმალეთისთვის ერთ-ერთმა მნიშვნელოვანმა უსაფრთხო პუნქტმა (Baddeley, 1995: 76).

მშენებლობის პროცესში მყოფ ანაპის ციხესიმაგრეში და რეგიონში, სადაც ჩერქეზები ცხოვრობდნენ, 10 ქვემეხი და სხვა საბრძოლო აღჭურვილობა გაიგზავნა. მშენებლობისთვის საჭირო მუშახელი სტამბოლიდან გემით ჩაიყვანეს. 1783-1786 წლებში ანაპაში მიმდინარე მშენებლობის დიდი ნაწილი, რომელიც ფინანსური პრობლემების გამო გარკვეული შეფერხებებით მიმდინარეობდა, წარმატებით დასრულდა. 1785 წელს გარდაიცვალა ფერაჰ ალი ფაშა. მის ნაცვლად დანიშნული მმართველი (ბიჯან-ზადე ალი ფაშა (Yağcı, 1998: 149) და აქ სამუშაოდ მოსული დამხმარე ძალა არაეფექტური აღმოჩნდა, რის გამოც სამუშაოები შუა გზაზე იქნა მიტოვებული (Gökçe, 1979: 42-72).

ოსმალეთს სურდა, რომ ომის გარეშე, მოლაპარაკებების გზით, მოეგვარებინა რუსეთთან ურთიერთობები, რომელიც 1780 წლის ბოლოდან, საქართველოსა და ყირიმთან დაკავშირებული საკითხების გამო დამაბული იყო (Özbay, 2014: 35), თუმცა ვერ

მოახერხა - 1787 წელს დაიწყო რუსეთ-ოსმალეთის ომი (**Kuzucu, 2013: 119**). კავკასიის ფრონტზე ყუბანის მხრიდან შეტევით რუსეთი მიზნად ისახავდა ანაპის დაპყრობას და შავი ზღვის სანაპიროზე დომინირებას. ამ მიმართულებით წარმატების მისაღწევად ოსმალეთს კავკასიის ხალხების დახმარება სჭირდებოდა, ამიტომ მათ რუსების წინააღმდეგ საომრად აქეზებდა და საჩუქრებს უზღავნიდა (**TCOA, Mukataaların kayıt defteri, № 10229, გვ. 382**).

ოსმალეთი იარაღისა და სურსათის მხრივ ომის საწარმოებლად მოუმზადებელი იყო. იცოდნენ რა ეს მდგომარეობა, რუსები ყოველნაირად ცდილობდნენ, რომ ხელი შეეშალათ კავკასიელი ხალხებისა და ოსმალეთის ერთიანობისთვის. ისინი ჩერქეზებს, ყაზარდოელებს და დაღესტნელებს ასე არიგებდნენ: “ოსმალეთის სახელმწიფო თქვენ ვერ დაგეხმარებათ. თქვენ დამოუკიდებელი ერები ხართ. მოდით, ერთმანეთთან მშვიდობა დავამყაროთ“ (**Ahmed Cevdet Paşa, 1892: 134**).

ოსმალეთის ჯარის მთავარსარდალმა ექრემ იუსუფ ფაშამ როგორც კი გაიგო გენერალ ტოკელის ანაპაზე თავდასხმის ამბავი, ტრაპიზონის გუბერნატორს და არმიის მეთაურად დანიშნულ ბათალი ჰუსეინ ფაშას 10 ათასი მეომრით ანაპაში გამგზავრება დაავალა (**Ahmed Cevdet Paşa, 1892: 135, Fedakar, 2015: 281**). თუმცა ბათალი ჰუსეინ ფაშა, სხვადასხვა უსაფუძვლო მიზეზთა გამო, ანაპაში არ წავიდა. ამის გამო მას სასწრაფოდ, მთელი სიმკაცრით, ანაპაში წასვლა ებრძანა. გენერალ ტოკელის მეთაურობით ანაპის ციხესიმაგრეში მისულ რუსეთის არმიას კავკასიელებისგან შექმნილი 15 ათას კაციანი არმია დაესხა თავს. რუსეთის ჯარი იძულებული შეიქმნა ყუბანისკენ დაეხია (**Kuzucu, 2013: 199**). ცოტა ხნის შემდეგ ბათალი ჰუსეინ ფაშა რამდენიმე ასეული

ჯარისკაცით, სოხუმის გავლით, ანაპაში ჩავიდა (**Gökçe, 1979: 150**).

რუსების თავდასხმისგან განადგურებული ანაპის ციხე ბათალი ჰუსეინ ფაშამ შეაკეთა. მას ყაზარდოში გადასვლა მოსთხოვეს (**Fedakar, 2015: 282**). ფაშამ ამ შემთხვევაშიც თვიდან უარი განაცხადა მოთხოვნის შესრულებაზე, შემდეგ კი, 1790 წლის 8 აგვისტოს, მუქარის ფონზე და სიკვდილით დასჯის შიშით 30000 ჯარისკაცითა და საბრძოლო მასალებით შეიარაღებული ყაზარდოსკენ დაიძრა. საკმაოდ მძიმედ და ნელა მოძრავმა ჯარმა ყაზარდომდე ვერ მიაღწია და ყუბანში დაბანაკდა. ყაზარდოში მხოლოდ ჯარის მცირე ნაწილი იქნა გაგზავნილი, რომელიც დამარცხდა და უკან გამობრუნდა (**Kocabaş, 1989: 157**). ჯარის ამ ნაწილს უკან მიჰყვებოდა და თვალყურს ადევნებდა რუსეთის არმია, რომელიც ყუბანში გადავიდა. ფაშას შეშინებულმა საჯარისო ნაწილებმა ბათალი ჰუსეინ ფაშა რუსებს გადასცეს. თვითონ კი დამლა დაიწყეს და დაიფანტნენ. ჯარის ამ ნაწილებმა დიდი მარცხის გარეშე მოახერხეს ანაპის ციხეში დაბრუნება (**Ahmed Cevdet Paşa, 1892: 145**). როგორც კი ბათალი სულეიმან ფაშას რუსებისთვის გადაცემის ამბავმა სტამბოლამდე მიაღწია, მის ნაცვლად ანაპაში დაუყოვნებლივ გამგზავრებულა ერზურუმისა და ტრაპიზონის გუბერნატორს – სარი (ჰაჯი) აბდულაჰ ფაშას ებრძანა, რომელიც ანაპის მთავარსარდალად დაინიშნა (**Fedakar, 2015: 283**), თუმცა, ანაპაში წასვლის ნაცვლად ფაშა ტრაპიზონში დარჩა. ყოველივე რუსებმა კარგად გამოიყენეს: გენერალ პავლე პოტიომკინის ნაცვლად დანიშნულმა ივან გუდოვიჩმა (**Baddeley, 1995: 79**) ისარგებლა აბდულაჰ ფაშას ანაპაში ჩაუსვლელით და 1791 წელს, 13 დღიანი ალყის შემდეგ ანაპა ხელში ჩაიგდო (**Bilge, 2005: 156**).

1787-1792 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომი იასის 13 მუხლისგან შემდგარი ხელშეკრულებით დასრულდა (**სვანიძე, 2007: 258**),

რომლის თანახმად, რუსეთმა ფოთთან და სოხუმთან ერთად, ანაპის ციხესიმაგრეც ოსმალეთს დაუბრუნა. ამის შემდეგ ტრაპიზონის გუბერნატორად და ანაპის ციხისთავად დანიშნულ ქოჯა იუსუფ ფაშას, 1792 წლის აპრილში, ციხესიმაგრის შეკეთება დაევა. რუსების მიერ საკმაოდ დაზიანებული ანაპის ციხესიმაგრე 1793-1794 წლებში სტამბოლიდან და კასტამონიდან გამოგზავნილმა მუშებმა შეაკეთეს (TCOA, H.H., №: 6339). გარდა ამისა, ციხესიმაგრის დაცვის გაძლიერების მიზნით, კასტამონის და ჯანიკის სანჯაყებიდან 100 მსროლელი და საომარი მასალა იქნა გამოგზავნილი (TCOA, H.H., №: 13098).

1807 წელს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრსა და ი. გუდოვიჩს შორის გამართულ საუბარში ლაპარაკია რუსეთის საბრძოლო ძალების საქართველოს მეზობელი ოსმალეთის იმპერიის პროვინციებში გაგზავნაზე. გამოთქმულია წუხილი შავი ზღვის სანაპიროზე, სამეგრელოს რეგიონში მდებარე ფოთისა და ანაპის ციხესიმაგრეების თურქეთის საკუთრებაში ყოფნის გამო, რაც დისკომფორტს უქმნის რუსეთს. აღნიშნულია, რომ საქართველოს უსაფრთხოების თვალსაზრისით, ეს ტერიტორიები რუსეთის საზღვრების ქვეშ უნდა იყოს მოქცეული (Aydın, 2005: 89).

1806 წელს რუსეთ-ოსმალეთს შორის დაწყებული ომი 1807 წლის 29 აპრილს კავკასიაში რუსების მიერ ანაპის ციხესიმაგრეზე თავდასხმით გაგრძელდა. ბრძოლა ორი საათის განმავლობაში მიმდინარეობდა, რის შემდეგაც ციხის დამცველებმა იქაურობა დატოვეს და გაიქცნენ. შედეგად, ციხესიმაგრე რუსების ხელში გადავიდა. თუმცა რუსები მიხვდნენ რა, რომ ვერ შეძლებდნენ ციხესიმაგრის შენარჩუნებას, 1807 წლის 6 მაისს მის აფეთქებას შეეცადნენ. წარუმატებელი მცდელობის შემდეგ რუსებმა ციხესიმაგრე დატოვეს (Baddeley, 1995: 97).

1809 წლის 15 ივნისს რუსეთის ჯარმა ადმირალ პუსტოშკინის მეთაურობით ანაპა დაიპყრო. ანაპის მცველმა ჰუსეინ ფაშამ სოლუჯაქისკენ დაიხია. ჰუსეინ ფაშას ძალისხმევით შედეგად დაღესტნელი ხანები რუსების წინააღმდეგ ბრძოლებში ჩაებნენ. მათი დახმარებით ჰუსეინ ფაშამ რუსების წინააღმდეგ გარკვეულ ფრონტებზე წარმატებას მიაღწია კიდეც, თუმცა ეს არ იყო საკმარისი. ჰუსეინ ფაშისადმი გამოგზავნილ ფირმანში პორტა ჩერქეზებსა და აფხაზებს ჰუსეინ ფაშას გვერდით დგომისა და მასთან ერთად რუსების წინააღმდეგ ბრძოლისკენ მოუწოდებდა. ამავდროულად, ოსმალეთის სახელმწიფომ ჩერქეზებსა და აფხაზებს ისეთი ნივთები და სურსათი (კარვები, მარილი და სხვა) გაუგზავნა საჩუქრად, რაც რეგიონში რთულად იპოვებოდა (TCOA, H.H., №: 42301).

რუსეთ-ოსმალეთის 1806-1812 წლების ომის შემდგომ გაფორმებულ ბუქარესტის ხელშეკრულებაში კავკასიასთან დაკავშირებული საკითხები მე-6 მუხლშია მოცემული, რომლის მიხედვითაც ოსმალეთის საზღვრები ომამდელ მდგომარეობაში უნდა დაბრუნებულიყო. ასევე, ოსმალეთს უბრუნდებოდა რუსეთის მიერ დაპყრობილი ფოთის, სოხუმისა და ანაპის ციხესიმაგრეები (Чанпаз, 2004: 98). ოსმალეთის სახელმწიფომ აღნიშნული ციხესიმაგრეების დაუყონებლივ ხელში ჩაგდება ტრაპიზონის მმართველს სულეიმან ფაშასა და ანაპის მცველს ჰუსეინ ფაშას დაავალა. რუსეთს არ სურდა რეგიონის დათმობა. ოსმალეთი და რუსეთი კვლავ ახალი ომის საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ. თუმცა, მოახერხა მხოლოდ სოხუმის შენარჩუნება, რადგან 1810 წელს აფხაზეთის მთავარი რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში შევიდა. ანაპის, ახალქალაქის, ფოთის და ქემჰალის (რედუტ-კალე) ციხესიმაგრეები კი კვლავ ოსმალეთის მფლობელობაში დარჩა (Cabağı, 1967: 46; Киняпина, 1984: 121; დუმბაძე, 1957: 226).

ქვეყნის განაპირად მდებარე ანაპის ციხესიმაგრე შავი ზღვის ჩამკეტად იყო მიჩნეული. ამიტომ მისი გაძლიერებისთვის სარემონტო სამუშაოები დაიწყო. საზღვრის-პირა ციხესიმაგრის უსაფრთხოების დაცვის გაზრდის მიზნით ჯარისკაცების რაოდენობის გაზრდა იქნა მოთხოვნილი.

კავკასიაში რუსების წინსვლისთვის წინააღმდეგობის გასაწევად ოსმალეთს კავკასიელი ტომების მხარდაჭერა ესაჭიროებოდა. 1814 წელს ჰუსეინ ფაშას ნაცვლად ანაპის მცველად დაინიშნა სეით აჰმეთ ფაშა, რომელსაც განსაკუთრებით კარგი ურთიერთობები ჰქონდა აფხაზ და ჩერქეზ წარჩინებულებთან, რომელთაც უშუალოდ შეეძლოთ თავიანთი სურვილების ფაშისთვის გადაცემა. სეით აჰმეთ ფაშა ხშირად სტუმრობდა, ესაუბრებოდა და საჩუქრებს ურიგებდა მათ, რითაც მათი ოსმალეთისადმი ერთგულების გაზრდას ცდილობდა. ფაშას ამ მანევრებმა გენერალი ერმოლოვი ძალიან შეაწუხა. „ეს მოგზაურობები მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ისეთი მოვლენების თავიდან ასაცილებლად, რომელიც შესაძლებელია სახიფათო იყოს ორი დიდი სახელმწიფოს მმართველობისთვის“ - ასეთი იყო სეით ფაშას პასუხი (Bilge, 2005: 186).

კავკასიის ხალხები სახვადასხვა გზებით ცდილობდნენ რუსების წინააღმდეგ წინსვლისთვის წინააღმდეგობის გაწევას. საარქივო მასალებში ამ საკითხთან დაკავშირებით ინახება ანაპის ციხისთავის – სეით აჰმეთ ფაშას მიერ 1819 წლის 25 აპრილით დათარიღებული მოხსენება (TCOA, H.H., №: 49325). კავკასიელი ხალხების არაკოორდინირებულმა მოქმედებებმა რუსების წინსვლა კავკასიაში მხოლოდ დროებით შეაჩერა. რუსები, ერთის მხრივ, ცდილობდნენ, რომ თავიანთ წინააღმდეგ განწყობილი ხალხის წინააღმდეგობა სამხედრო ძალით ჩაეხშოთ, მეორეს მხრივ კი დაწინაურებულ

წარჩინებულებს, რომლებიც რუსებს ემხრობოდნენ, საჩუქრებს ურიგებდნენ, რათა იმ ადამიანებზე მოეხდინათ შთაბეჭდილება, ვინც მათი მომხრე არ იყო და ისინიც თავინთ მომხრეთა რიგში ჩაეყენებინათ.

ანაპის ციხესიმაგრეში ჯარისკაცების სასურველი რაოდენობის გაგზავნა უცებ არ მომხდარა. 1824 წელს ჯარისკაცთა რაოდენობამ 1500 -ს პირველად მიაღწია (Aydin, 2005: 156-158). 1824 წელს სეით აჰმეთ ფაშა შეუფერებელი საქცილის გამო თანამდებობიდან გადააყენეს და მის ნაცვლად ჩეჩენზადე ჰასან ფაშა დაინიშნეს (Aydin, 2005: 163).

1825 წელს ანაპაში ჰაჯი ჰასან ფაშას გაეგზავნა წერილი და სამხედრო-საბრძოლო აღჭურვილობა, რომელიც უნდა გადაეცათ კავკასიელი ხალხისთვის რუსეთთან საბრძოლველად (Gökçe, 1979: 209). გარდა ამისა, ანაპის მცველმა ჰასან ფაშამ, მოსალოდნელ ომს რომ მზად დახვედროდა, ციხესიმაგრის სამხედრო-საბრძოლო თვალსაზრისით ყოველმხრივი საჭიროებებით (სურსათი, საბრძოლო მასალა) მომარაგება ითხოვა. მისი თქმით, ციხესიმაგრის დასაცავად 15000 ჯარისკაცი იყო საჭირო. იმის გათვალისწინებით, რომ შემდგომში შესაძლებელი იყო ანაპის მოსახლეობას რუსებთან შეეკრათ კავშირი და არ დახმარებოდნენ ოსმალებს, მათი ნდობა არ შეიძლებოდა (TCOA, H.H., №: 34824-F).

1828 წელს რუსეთ-ოსმალეთს შორის მორიგი ომი დაიწყო. ოსმალეთის სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკური სიტუაცია და სამხედრო-მატერიალური მდგომარეობა რუსეთთან ომისთვის სრულიად არახელსაყრელი იყო. მე-15 საუკუნიდან დაწყებული იანიჩართა არმიის დაშლის პროცესი მათი გაუქმებით დასრულდა (Danışmend, 1972: 110; სგანიძე, 2007: 279-280). მის ნაცვლად კი ახალი, რეგულარული არმიის შექმნის პროცესისთვის მზა-

დება ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული. რეგიონში მყოფი ოსმალეთის ჯარის უმრავლესობას მოხალისეები შეადგენდნენ (Bilge, 2005: 190). ანაპაში კი ამ დროს სულ 4500-დან 5000-მდე ჯარისკაცი იმყოფებოდა (Erkin, 1940: 31).

1828 წლის 6 მაისს, რუსეთის 32 გემისგან შემდგარმა ფლოტმა ადმირალ გრეიგის მეთაურობით და 4000 მეომრისგან შემდგარმა სახმელეთო ჯარმა მენშჩიკოვის ხელმძღვანელობით, კავკასიის რეგიონში სტრატეგიულად უმნიშვნელოვანეს პუნქტს - ანაპის ციხესიმაგრეს ალყა შემოარტყეს (Gökçe, 1979: 231; Ahmet Muhtar Paşa, 1928: 212). 14 მაისს რუსეთის სამხედრო - საზღვაო ძალები პოლკოვნიკ პროფსკის ხელმძღვანელობით ანაპას მიაღწა (Erkin, 1940: 31; Çakın, 1978: 150). როგორც ანაპის მცველის ოსმან ფაშას მიერ ტრაპიზონის გუბერნატორისადმი გაგზავნილ ცნობებში ვკითხულობთ, რუსეთმა მას დანებება მოსთხოვა, რაზეც უარი მიიღო. შეტაკებები ხმელეთიდან და ზღვიდან თითქმის 40 დღე გაგრძელდა. რუსებმა მოახერხეს და აფხაზი და ჩერქეზი ჯარისკაცებისთვის ფულისა და საჩუქრების შეთავაზებით მათი თავდასხმებისგან თავის დაღწევა მოახერხეს

(Aydın, 2005: 223). ოსმალებისთვის დასახმარებლად ტრაპიზონიდან ანაპაში გემით სამხედრო ძალა გაიგზავნა. გემი რუსებმა ხელთ იგდეს. მიუხედავად იმისა, რომ ოსმან ფაშას თავდაცვისთვის ძალა აღარ შესწევდა, ის 1500 - მდე მეომრით ციხესიმაგრეში ბრძოლას მაინც განაგრძობდა. რუსებმა მას ციხის ჩაბარება მოსთხოვეს, სანაცვლოდ კი დაპირდნენ, რომ როგორც სამხედრო ტყვეს, ისე მოექცეოდნენ. ოსმან ფაშა დათანხმდა ამ წინადადებას იმ პირობით, რომ რუსები იარაღს და ნივთებს არ შეეხებოდნენ. 1828 წლის 24 ივნისს (12 ივნისს (Ataç, 1953: 148), 13 ივნისს (სვანიძე, 2007: 282), 17 ივნისს (Fedakar, 2015: 288) ანაპის ციხე ოსმალებმა რუსებს ჩაბარეს (Aydın, 2005: 219; Çakın, 1978: 152).

1828-1829 წლებში მიმდინარე რუსეთ-ოსმალეთის ომი ოსმალთა მარცხით დასრულდა. მხარეებმა 1929 წლის 14 სექტემბერს ხელი მოაწერეს ანდრიანოპოლის ხელშეკრულებას (Özcan, 2014: 21), რომლის თანახმად კავკასიაში, ანაპის ჩათვლით, ფოთი, ახალციხე და ახალქალაქი რუსებს დარჩათ (Armaoğlu, 1997: 183). ოსმალეთმა აღიარა და მიიღო რუსეთის ყოფნა კავკასიაში, რაც კიდევ უფრო მტკიცე და დაცული გახდა.

HISTORY

ANAPA FORTRESS IN RUSSIAN-OTTOMAN RELATIONS (80S OF THE XVIII CENTURY-20S OF THE XIX CENTURY)

HATIJE ERTURK

Batumi Shota Rustaveli State University

After Russia's invasion of Crimea, the Ottoman Empire started to form military and political policies in the region in order to prevent Russia's spread in the Caucasus and to take back Crimea. In line with these policies, the Ottoman Empire, needing the military support of the Caucasian people, appointed Ferah Ali Pasha of Georgian origin as a guard to Anapa, one of the important castles in the North Caucasus. As a result of the devoted and diligent efforts of Ferah Ali Pasha, a successful statesman, the loyalty of the Caucasian people to the Ottoman Empire increased and the Anapa castle was strengthened militarily. Besides the activities of Ferah Ali Pasha that developed trade in the region, he had a great contribution to the spread of Islam. While these

developments in the region made it difficult for the Russians during the Ottoman-Russian wars, they delayed the advance of Russia in the Caucasus for a while. After 80s of XIX century, the stability in the region deteriorated due to the lack of self-sacrifice of the rulers in the region who succeed and the entire Caucasus, including Anapa, came under the rule of Russia at the end of the 1828-1829 Ottoman-Russian war.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. Türkiye Cumhuriyeti Osmanlı Arşivi (TCOA) H.H. №: 21/1011-C; 34824-F; 44291; 49325; 42301; 6339; 13098.
2. Ahmed Cevdet Paşa, Ahmed Cevdet Paşa, Tarih-i Cevdet, C. I-XII, İstanbul 1892.
3. Ahmet Muhtar Paşa, 1928., 1828-1829 Türkiye-Rusya Seferi ve Edirne Antlaşması, Ankara.
4. დუმბაძე მ., დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში, თბილისი, 1957.
5. სვანიძე მ., თურქეთის ისტორია (1299-2000), თბილისი. 2007.
6. Armaoğlu F., 19. Yy. Siyasi Tarihi (1789-1914), Ankara, 1997.
7. Ataç A. M., Rusya Tarihi Türkler ve Komşularıyla Münasebetleri, Gnkur. Bşk. Yay., Ankara, 1953.
8. Aydın M., Üç Büyük Gücün Çatışma Alanı Kafkaslar, İstanbul, 2005
9. Baddele John F., Rusların Kafkasya'yı İstilas ve Şeyh Şamil (Çeviren: Sedat Özden), İstanbul. 1995.
10. Bardakçı Mehmet N., Kuzey Kafkasya'nın Bağımsızlık Mücadelesinde Tasavvuf ve Tarikatların Rolü, Süleyman Demirel Üniv. Fen-Edebiyat Fakültesi Sosyal Bilimler Dergisi, Sayı 2, Isparta, 1996, s.33-52.
11. Bilge M. S., Osmanlı Devleti ve Kafkasya, İstanbul, 2005.
12. Cabağı Vassan G., Kafkas-Rus Mücadelesi, İstanbul, 1967.
13. Çakın N., Osmanlı Rus Harbi (1828-1829), Ankara, 1978.
14. Danişmend İsmail H., İzahlı Osmanlı Tarihi Kronolojisi cilt II-III, Türkiye Yayınevi, İstanbul, 1972.
15. Erkin C., 1828-1829 Türk-Rus Harbi (Kafkas Cephesi), İstanbul, 1940.
16. Fedakâr C., Anapa Kalesi, Yeni Türkiye, cilt 81, 2015, s.276- 289.
17. Gökçe C., Kafkasya ve Osmanlı İmparatorluğunun Kafkasya Siyaseti, İstanbul, 1979.
18. Hamit ve Muhsin, Türkiye Tarihi, Devlet Matbaası, İstanbul, 1930.
19. Kasap M., Osmanlı Gürcüleri, Gürcistan Dostluk Derneği Yayınları, İstanbul 2010.
20. Kocabaş S., Tarihte Türk-Rus Mücadelesi, İstanbul, 1989.
21. Kuzucu S., Kırım Hanlığı ve Osmanlı Rus Savaşları (1787-1792), Selenge Yayınları, İstanbul, 2013.
22. Özbay Rahmi D., Gürcistan Sosyo-Ekonomik Yapısı Dünya ve Türkiye ile İlişkileri, İstanbul, 2014.
23. Özcan T., Sosyal ve Ekonomik Etkileri Açısından 1828-1829 Osmanlı-Rus Savaşı, Yason Yayınevi, Ankara, 2014.
24. Yağcı Zübeyde G., Ferah Ali Paşa'nın Soğucak Muhafızlığı (1781-1785), On Dokuz Mayıs Üniversitesi Sosyal Bilimler Enstitüsü, Doktora Tezi, Samsun, 1998.
25. Yağcı Zübeyde G., Osmanlı Devleti'nin Kafkasya'daki Askeri Yatırımları, Askeri Tarih Araştırmaları Dergisi, s.3, Ankara, 2004, s.15-27
26. Киняпина Н.С., Блиев М.М., Дегоев В.В. Кавказ и Средняя Азия во внешней политике России (вторая половина XVIII -80-ые годы XIX в.), 328 с., 1984.
27. Чапраз Х., Османская империя и Россия в Западном Закавказье в первой половине XIX века (Картлия-Кахетия-Имеретия-Мегрелия-Гурия-Ахалцыхский пашалык), Диссертация на соискание ученой степени кандидата исторических наук. Санкт-Петербург, 2004.

ხელოვნების ისტორია

თ. მურვანიძისა და დ. მონავარდისაშვილის მხატვრული სტილის საფუძვლები ქართულ სცენოგრაფიაში ს. პროკოფიევის ბალეტ „რომეო და ჯულიეტას“ გაფორმების მიხედვით

მანანა კაშია

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანოტაცია: გამოკვლევაში საუბარია თ. მურვანიძისა და დ. მონავარდისაშვილის მხატვრულ სტილზე პროკოფიევის ბალეტ „რომეო და ჯულიეტას“ გაფორმების მიხედვით. გამოიკვეთა, რომ შექსპირის თემა მუსიკალურ თეატრში მრავალფეროვან სახვით გადაწყვეტილებას ეფუძნება. სტატიაში განხილულ მაგალითებში ნათლად ჩანს ორი აბსოლუტურად განსხვავებული, საინტერესო და დამაჯერებელი წაკითხვა... დამოკიდებული.

საკვანძო სიტყვები: მხატვრული სტილი, სცენოგრაფია, ბალეტი.

თეატრის ისტორიის განვითარების მთელ მანძილზე ვადევნებთ თვალს თანამედროვე თეატრალური მხატვრის ჩამოყალიბებას, მის აღმავალ როლს სპექტაკლის შექმნაში. თეატრალური მხატვრის პროფესიის დამკვიდრება მიმდინარეობდა სხვა თეატრალური პროფესიების ჩამოყალიბების პარალელურად, რაც დაკავშირებული იყო ამ ხელოვნების გენეზისის გააზრებაში თითოეული მისი წახნაგის მხატვრული სახის ანალიზის გზით.

თეატრალურ პროგრამაში გამოჩენილი რეჟისორების გვერდით საპატიო ადგილს თეატრის მხატვრის სახელი იკავებს. ხელოვნების მკვლევარების ნაშრომები ეძღვნება სცენური განვითარების სხვადასხვა პერიოდებისა და მასთან დაკავშირებული მხატვრების მოღვაწეობის ანალიზს.

თუ ჩვენ შევეცდებით წარმოვიდგინოთ თანამედროვე სცენოგრაფიის სურათი მისი სრული მოცულობით, დავინახავთ, რომ ის შედგება მრავალი ინდივიდუალური მხატვრული გადაწყვეტისაგან. თითოეული

ოსტატი მუშაობს თავისებურად და ქმნის აბსოლუტურად განსხვავებული სცენური მოქმედების მხატვრულ გაფორმებას, რაც დამოკიდებულია მუსიკალური თუ დრამატული ნაწარმოების ხასიათზე, რეჟისორულ გააზრებაზე. ეს არის სცენოგრაფიის მეთოდოლოგიური საფემველი.

ისტორიაში ბევრი სპექტაკლი შესულია სცენოგრაფის მიერ შემოთავაზებული მხატვრული გადაწყვეტის შედეგად. ხშირად თეატრალური ესკიზები ხდება ის დოკუმენტური მასალა, რომლის მიხედვით შესაძლებელია წარმოდგენა ვიქონიოთ ამა თუ იმ სპექტაკლზე, რადგან დეკორაცია თუ კოსტიუმი იშვიათად არის შემონახული. მხატვარ-სცენოგრაფების ჩანახატები და მათი „ნახატები“ არის რეჟისორული ჩანაფიქრის ერთადერთი ნიმუში.

ცნობილი ხელოვნებათმცოდნის ვ. ბერიოზკინის მიერ შემუშავებული ე.წ. სქემის მიხედვით, თეატრალური მხატვრობის ისტორიული განვითარების გზაზე ჩამოყალიბებული იქნა სპექტაკლის გაფორმების

სამი სისტემა: პირველი - სათამაშო სცენოგრაფია, რომელიც მოიცავს მსოფლიო თეატრალური ისტორიის მთელ საწყის ეტაპს (ანტიკურიდან აღორძინების ეპოქამდე) ევროპაში, აღმოსავლურ სამყაროში კი ეს ეტაპი XX საუკუნის ჩათვლით გრძელდება. მეორე - დეკორაციული, რომელიც ევროპულ თეატრში, ბაროკოდან მოყოლებული XX საუკუნის 70-იან წლებამდე გრძელდება. მესამე - ქმედითი სცენოგრაფია, ყალიბდება XX საუკუნეში და წამყვანი ხდება მსოფლიო თეატრის პრაქტიკაში. ეს უკანასკნელი აერთიანებს ორივე ზემოთ აღნიშნული სისტემის ელემენტებს. „გაფორმების ყველა ეს ტიპი ჩადებულია სცენოგრაფიის ხელოვნების გენეტიკურ კოდში“ - ამბობს ვ. ბერიოზკინი (Березкин, 2001, 21).

ცხოვრებისადმი ქართველი ადამიანის დამოკიდებულება ნაწილობრივ თეატრალურ ესთეტიკას ეფუძნება, სადაც ერთმანეთთან ურთიერთკავშირშია სამი ძირითადი ასპექტი: პერსონაჟი, მოქმედების ადგილი და გარემოს „ქმედითი ხასიათი“, რომელიც დიდ როლს თამაშობს თვით მის ყოფაში, იჭრება აზროვნებაში და ფსიქოტიკაში.

ქართული თეატრალური მხატვრობის განვითარების საუკუნოვან გზაზე დამახასიათებელი იყო კონკრეტული და აბსტრაგირებული ფორმების არსებობა, ფუტურიზმის მოძრავი დაუოკებელი რიტმი, ექსპრესიონიზმის მძაფრი ფერადოვნება, რომელიც სპექტაკლში არსებულ ემოციებს, მღელვარებას და დრამატიზმს მიესადაგებოდა. ქართველი თეატრის მხატვრების ნოვატორული სტილის შეფასებისას კრიტიკა აღნიშნავდა: „თეატრის ქართველი მხატვრების შემოქმედებაში გამორჩეული ძალით გაიჟღერა მოდერნის სტილის თვისებებმა“ (ოკლეი, 2015:1).

ეპოქალურმა ცვლილებებმა მოითხოვეს თეატრალური ქმედების მთავარ მონა-

წილეთა ფუნქციებისა და როლების ახლებური გააზრება ახალ მხატვრულ ესთეტიკურ პარადიგმაში. XX საუკუნემ თავისი რთული და მრავალფეროვანი ისტორიული მოვლენებით თავისებური გავლენა მოახდინა ქართულ ხელოვნებაზე, განსაკუთრებით თეატრზე. თეატრალურ ხელოვნებაში მიმდინარე გლობალური პროცესები სცენოგრაფიულ ძიებებშიც აისახა და უშუალოდ დაუკავშირდა სახვითი ხელოვნების დროის შესაბამის მხატვრულ ტენდენციებს. ბუნებრივია, სცენოგრაფიის სფეროში მიმდინარე სიახლეთა აპრობაცია ქართული სცენოგრაფია ახალი იდეებით გაამდიდრა, თუმცა, ეს არ მომხდარა ტრადიციულ პრინციპებზე უარის თქმის ხარჯზე.

ქართული თეატრალური მხატვრობის ერთ-ერთი წამყვანი სახვითი მიმართულება გაფორმების ფერწერული გააზრებაა. ეს გულისხმობს მონუმენტური ფერწერისათვის სახასიათო მხატვრული პრინციპების გამოყენებას სათეატრო სივრცეში და ფერის როლის მნიშვნელობის წარმოჩენას. ფერწერული სახის დეკორაციები ჩვენს სათეატრო სივრცეში, მისი განვითარების მანძილზე ფაქტობრივად ყველა ეტაპზე ვლინდება. რასაკვირველია სხვადასხვა მხატვრებთან მათი ინდივიდუალურობიდან გამომდინარე, ის სხვადასხვაგვარად მჟღავნდება: თხრობით-ილუზორული, ბსტრაგირებულ-განზოგადებული ან მეტაფორულია. შესაბამისად, ფერწერული დეკორაციები თავისი ხასიათით ძალიან მრავალგვარია.

ტრადიციულად მრავალი ქართველი სცენოგრაფი ფერწერული სახის დეკორაციების მიმდევარია.

ამ მნიშვნელოვანი ტენდენციის უდავოდ საინტერესო მაგალითს წარმოადგენს ცნობილი, გამორჩეული სცენოგრაფის; თეიმურაზ მურვანიძის შემოქმედება და დავით მონავარდისაშვილის თეატრალური მხატვ-

რობა, ისინი სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები არიან. ორივეს განსხვავებულ პერიოდში მოუწია მუშაობა ს.პროკოფიევის ბალეტ „რომეო და ჯულიეტას“ გაფორმებაზე. მუსიკალურ თეატრში შექსპირის თემას თ. მურვანიძემ 1974 წელს მიმართა, ხოლო დავით მონავარდისაშვილმა 2018 წელს. აღნიშნული ფაქტიდან გამომდინარე, საინტერესოა, თუ როგორ იხსნება ერთი და იგივე ნაწარმოები ერთნაირი სტილის მხატვრული გადაწყვეტით სხვადასხვა დროით ინტერვალში, რა არის მათ შორის საერთო და განმასხვავებელი.

უილიამ შექსპირის შემოქმედება ყოველთვის აქტუალურია ქართული სახვითი ხელოვნებისთვის. ამის დასტურია ის მდიდარი და მრავალფეროვანი ტრადიციები და ნიმუშები, რომელიც ხელოვნების ისტორიაში მოგვეპოვება. შექსპირის თემა დიდი ქართველი მხატვრებისთვის, რომელთა შორის იყვნენ – პეტრე ოცხელი, ირაკლი გამრეკელი, სოლიკო ვირსალაძე, სერგო ქობულაძე, იოსებ სუმბათაშვილი, ნიკა ყაზბეგი, ფარნაოზ ლაპიაშვილი, ირინა შტენბერგი, სამეული (ო.ქოჩაკიძე, ა.სლოვინსკი, ი. ჩიკვაძე), გოგი ალექსი-მესხიშვილი, ნიკოლოზ იგნატოვი, მირიან შველიძე და მრავალი სხვ. ყოველთვის ყურადსაღები იყო. აღნიშნულიდან მკაფიოდ იკვეთება, რომ შექსპირის დრამატურგია ქართულ თეატრში ძალზედ მიზიდველი და პოპულარული გახლავთ.

ყოველი ახალი თაობა კაცობრიობის კულტურის მონაპოვარზე იზრდება. მაგრამ, ამავე დროს, როცა საკუთარ პიროვნებას ამკვიდრებს ნიჭიერებით გამორჩეული შემოქმედი, უპირველეს ყოვლისა ეძებს საკუთარ გზას და ხშირ შემთხვევაში ხან უნებლიედ, ხან კი გამიზნულად პოლემიკას უმართავს გამორჩენილ წინამორბედს. ასეთია ხელოვნების ბუნება, მისი მუდამ თანამედროვე ხასიათის საფუძველი.

თეიმურაზ მურვანიძემ თეატრში მოღვაწეობა XX ს. 60-იანი წლების დასაწყისში

დაიწყო. ის, თავის წინამორბედთა (ს. ვირსალაძე, ფ. ლაპიაშვილი) ფერწერული მიგნებების გამგრძელებლად გვევლინება. მხატვარმა, თავიდანვე გამოავლინა ფერმწერის, კოლორისტის, პირობითი დეკორაციული ხერხებით და პლასტიკური ფორმებით მოაზროვნე მხატვრის ნიჭი.

მხატვრის დახასიათებისას პროფესორი მარიანა ოკლეი წერს: „მხატვარი იმ სცენოგრაფთა ჯგუფს მიეკუთვნება, ვისაც ძალუძს მონახოს „მთლიანი სპექტაკლის“ განმსაზღვრელი, ყველაზე მნიშვნელოვანი მხატვრული „მოცემულობა“. მისი თეატრალური აზროვნებისათვის ნიშანდობლივია სანახაობრიობის, იმპროვიზაციის და „თამაშის“ ელემენტების თანაარსებობა, თამაში მეტაფორული აზროვნება. იგი მიმართავს კონსტრუქციული ელემენტების გამოყენებას, სცენოგრაფიული დეტალების, ცალკეული ელემენტების პლასტიკური ფორმის გამოვლენას, მათ დინამიკას, მოძრაობას და ხშირ ცვალებადობას, რითაც იკვეთება მხატვრის ფანტაზიის დიდი შესაძლებლობანი. კონკრეტული მასალიდან გამომდინარე სასცენო სივრცე ხან მასშტაბური და მონუმენტურია, ხან კი გრაციოზული და მსუბუქი. მხატვრის ნამუშევრებში შერწყმულია რაციონალური საწყისი, ემოციური ძალა და გამომგონებლობა. მის მიერ სადეკორაციო სისტემის გადაწყვეტა ორგანოვანია. ერთი – კონკრეტულ - გამომსახველობითი. მეორე – უფრო აბსტრაგირებულ-ზოგადი, თუმცა, ორივე შემთხვევაში ფერწერული. ფერი განწყობის გადმოცემის ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა“ (ოკლეი 2019:3, 4).

თ. მურვანიძე მუშაობს მუსიკალური და დრამატული თეატრების სპექტაკლების გაფორმებაზე. ჩვენს შემთხვევაში ძირითად ყურადღებას გავამახვილებთ საბალეტო წარმოდგენებზე. მხატვარი მიჰყვება საბალეტო სპექტაკლის გაფორმების სპეციფიკას და ანვითარებს მის შესაძლებლობებს... ხელოვანი მუსიკასთან ერთად დიდ ყურადღებას

ანიჭებს ბალეტის ლიბრეტოს (ეს თავის-თავად ნაგულისხმევია). იმისდა მიხედვით, თუ რა სტილის ან ჟანრის მუსიკალური ნაწარმოებია, იმ გასაღებში მოიაზრება სპექტაკლის ვიზუალური მხარეც. მხატვარი, თავიდან, ვერბალურად გამოხატავს იდეას, შემდეგ, მას მხატვრული ხერხებით გადმოაქვს ეს ქაღალდზე და იქმნება ესკიზი. შესაძლოა, ესკიზი შეიცვალოს მაკეტით. ამის შემდეგ ხდება მათი გადატანა სპეციალურ მასალაზე სადეკორაციო საამქროში. ასე იბადება სპექტაკლის მხატვრული სახე.

სცენოგრაფი მიმართავს პლასტიკურ-მოცულობითი ელემენტების გამოყენებას. ეს კი სივრცეში განვითარებული სიუჟეტის პლასტიკური ინტერპირების საშუალებას აძლევს მხატვარს.

თ. მურვანიძის დეკორაციებში გამოყენებული ყველა სცენოგრაფიული ნიშანი ერთნაირად მნიშვნელოვანია, იქნება ეს უკანა სადეკორაციო ფონი, ცალკეული პანოები თუ მისი მოცულობითი ელემენტები. მაგრამ აღსანიშნავია, რომ თითოეული მათგანი ქმნის მთლიანობას და მიმართულია მუსიკალურ-დრამატურგიული, სარეჟისორო კონცეფციის სახვითი ხატის შექმნისაკენ.

თ. მურვანიძე თანამშრომლობდა თბილისის, პეტერბურგის, მოსკოვის და მსოფლიოს უდიდესი თეატრების სამხატვრო კოლექტივებთან. მას ყველგან, პირველ რიგში, როგორც მხატვარ-ფერმწერს მოიხსენიებენ. განსაკუთრებული დამოკიდებულება ფერისადმი ჯერ კიდევ სტუდენტურ წლებში გაჩნდა, რაც ფარნა ლაპიაშვილის სახელოსნოში პროფესიული განათლების მიღებით არის განპირობებული. ამის პარალელურად მიმდინარეობს პლასტიკური გამომსახველობითი ფორმის ძიება, რაც შემოქმედების დასაწყისშივე მკაფიოდ ვლინდება.

სპექტაკლის შექმნის ტრადიციული ხერხები ხელსაყრელია, როგორც რეჟისორისთვის, ასევე მხატვრის, მსახიობებისა და მაცურებლისთვის, რადგან ყოველი ახალი

ფორმა მოითხოვს ძალების დაძაბვას შექმნისა და აღქმისათვის. გაცილებით უფრო ადვილია ყოველგვარი სიახლის, მოულოდნელის უარყოფა, „არმიღება“ - რადგან იგი დაკავშირებულია აზროვნების, განზოგადობის პროცესთან, ანალიზთან და შედარებასთან, სულის აქტივიზაციასთან ძველი, ტრადიციული ფორმების გამოყენებისაგან განსხვავებით. მას, მზარმზარეულს, ადვილად იგუებს ყველა. თუმცა, დრო თავისას კარნახობს და წინა საუკუნის 60-იანი წლების პლედის მხატვრები აქტიურად ებმებიან ამ გამოწვევაში.

1983 წელს, თ. მურვანიძე თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში აფორმებს ს.პროკოფიევის ბალეტს - „რომეო და ჯულიეტა“ (ქორეოგრაფი ლეონიდ ლავროვსკი, მიხეილ ლავროვსკის რედაქციით).

სპექტაკლის გაფორმება წარმოაჩენს მურთაზ მურვანიძეს, როგორც ფერმწერსა და კოლორისტს. ერთიანი სადეკორაციო სურათი, რომელშიც მხატვარი უარს ამბობს მოქმედების ადგილის დაკონკრეტებაზე, ქმნის ეპოქის შესაბამის გარემოს. ეს არის იტალიური ხელოვნების ზოგადი ხატი. ნაწარმოებში აღწერილი მოვლენებიდან გამომდინარე ის მიმართავს რენესანსული, შემდგომში კი ბაროკული თეატრის ტრადიციულ გაფორმების სისტემას, სადაც მთავარი იყო პერსპექტივის ხაზგასმა. სცენის ორსავე მხარეს გვერდებზე, ფერწერულად გამოსახულია თაღოვანი მოტივი, რომელიც წინა ხაზიდან სიღრმისკენ მიემართება. სიღრმეში, უკანა ფონს ქმნის ფერწერული დეკორაცია, რომელზედაც არქიტექტურული ნაგებობის სილუეტია გამოსახული. ეს ფონი გადადის დიდ ფერწერულ მონუმენტური ხასიათის ფრესკულ სურათში, რომელიც ესკიზში მოხატული ჭერის შთაბეჭდილებას ტოვებს. კომპოზიცია მრავალფეროვანია. მასზე ქაოტურად განლაგებულია ცხენოსანთა ფიგურები და ცალკეულ ადამიანთა

მანანა კაშია

სახეები, გაიგივებული იმ დროის ცნობილ ადამიანთა პორტრეტებთან. აქცენტირებულია ცენტრში თეთრი ფერის რაში, რომელიც გამოიყოფა საერთო მასიდან. ფერს სიმბოლური დატვირთვა ენიჭება და სიწმინდის მატარებელია. კოლორიტული სისტემა საკმაოდ ერთიანია. დომინირებს ოქროსფერი. ასევე, გამოყენებულია ყავისფერ-მწვანე ფერები. დეკორაციების ფერადოვნებაში ხაზგასმულია XVI საუკუნის ხელოვნების სადღესასწაულო ხასიათი. კომპოზიცია დინამიურია. ფერწერული სურათებით შემკულია მარცხენა თაღედი. მარჯვენა – სადაა და უფრო გეომეტრიული მოხაზულობის. სიღრმის ხაზი მკაფიოდ ხაზგასმულია. სცენის ძირითადი ნაწილი გახსნილია საცეკვაოდ. ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ

მურვანიძე ქმნის სპექტაკლის ზოგად ხატს, იყენებს ქართული სცენოგრაფიისათვის საკმაოდ ნაცნობ მიდგომას - ფერწერული დეკორაციის მხატვრულ პრინციპებს. აქ ფერი და თვით ფერწერული სურათი არის აღსანიშნავი. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ფერწერაში კოლორიტი ემოციური გამომსახველობის მთავარი საშუალებაა, ხოლო მუსიკაში კი კოლორიტი ბგერითი გამომსახველობის ძირითადი ელემენტია. ამის საფუძველზე ხდება სპექტაკლში ამ ორი მთავარი კომპონენტის გაერთიანება ერთ მხატვრულ მთლიანობად.

თეიმურაზ მურვანიძის დეკორაცია სცენას სიღრმეში კეტავს, ხოლო მთელი „მოედანი“ ჰაეროვანი სივრცით არის მოცული, რის ეფექტსაც უშუალოდ, ფერწერული ნახატი იძლევა. გაფორმება საერთო ხასიათის, განწყობის, ემოციური ველის შემქმნელია. აქ არ ვხედავთ ნარატიულ კავშირს უშუალოდ მოქმედების დამადასტურებელ ადგილმდებარეობასთან. ეს დროის მასშტაბური სურათია. რენესანსის ეპოქა მთლიანობაში, მხატვრის მთავარი ინსპირაციის წყაროა.

სპექტაკლში ვხვდებით განზოგადებულ, მეტაფორულ მიდგომას. პრიორიტეტი ეძლევა იდეურ გადაწყვეტას. ნამუშევარი სანახაობრივად მდიდარია.

ყველაფერი მეტყველებს შემოქმედის ერუდიციაზე და მის მიერ თემის გახსნის სიმბოლურ გააზრებაზე. მხატვრის შემოქმედებაში ერთმანეთთან შერწყმულია კონცეფციური ხედვა და თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნების პირობითობის პრინციპები.

კიდევ ერთი მხატვარი, რომელსაც გვინდა შევეხოთ დათო მონავარდისაშვილია. დღეს იგი აქტიურად თანამშრომლობს თბილისის ოპერისა და ბალეტის საბალეტო დასთან და აფორმებს მათ მიერ ბოლო წლებში დადგმულ თითქმის ყველა წარმოდგენას. მის მიერ გაფორმებული ბოლო სპექტაკლია ს. პროკოფიევის „რომეო და ჯულიეტა“, რომლის პრემიერა 2018 წელს შედგა. პირველად სპექტაკლი დაიდგა 2006 წელს მიხეილ ლავროვსკის ქორეოგრაფიით. ეს გახლავთ მამის, ლეონიდ ლავროვსკის ნამუშევრის შემოკლებული ვერსია. ოპერის რეკონსტრუქციის გამო სპექტაკლის ჩვენება შეჩერდა და მოგვიანებით მოხდა მისი „რესტავრაცია“.

მონავარდისაშვილის გაფორმებას ძირითადად ახასიათებს, მოქმედების ადგილის დაწვრილებითი აღწერა. საბალეტო სპექტაკლი კლასიკური მონუმენტალიზმით ხასიათდება. მხატვარი თხრობითად, ფერწერული ხერხებით გადმოსცემს ლიბრეტოში ასახულ სამოქმედო ადგილს და სცენაზე ქმნის რეალურ ილუზორულ გარემოს. ეს ძირითადად არის ზღაპრული, თეატრალურად ეფექტური სამყარო, რომელიც ილუსტრაციული ხასიათისაა. მხატვარი დეკორაციებში იყენებს სხვადასხვა ფაქტურის მასალას. ხშირად მიმართავს აპლიკაციის ტექნიკას. თავიდან ტილოზე ქმნის ნახატს, შემდგომ მაკრატლით ჭრის აპლიკაციის

ელემენტებს. ამავრებს იმ ადგილას, რომელიც მოითხოვს მოცულობას და ამის შემდეგ ზემოდან ფერწერულად ამუშავებს. განათების მეშვეობით დეკორაცია ციმციმს იწყებს და მიიღება სამგანზომილებიანი გამოსახულების ეფექტი, სადაც არამარტო ფერწერული სურათი იწყებს „თამაშს“, არამედ ყველა მოცულობა. საბოლოოდ, მხატვარი იძლევა დეკორაციულ სიმდიდრეს და მრავალფეროვნებას. მიუხედავად გარკვეული გადატვირთვისა, მხატვარი იცავს საბალეტო წარმოდგენის მთავარ კანონს, ესაა, ცეკვისათვის განკუთვნილი თავისუფალი სცენა. ძირითად დატვირთვას ანიჭებს უკანა დეკორაციას, კულისებს, პადუგებს და ამ სასცენო ელემენტების მეშვეობით გადმოსცემს თეატრალურ ილუზიას.

დ. მონავარდისაშვილი საკმაოდ ტრადიციული მხატვარია, თუმცა, როგორც თავად ამბობს, შეუძლია გააფორმოს სპექტაკლი პრიმიტივისტულ, დადაისტურ, ავანგარდულ სტილში.

ჩვენს შემთხვევაში ბალეტ „რომეო და ჯულიეტა“-ს გაფორმება კლასიკურ მანერაშია გადაწყვეტილი და გვაგონებს გასული საუკუნის 40-იან წლებში პ. უილიამსის მიერ მოსკოვის დიდ თეატრში გაფორმებულ

ბალეტ „რომეო და ჯულიეტას“, რაც გულისხმობს მოქმედების ადგილის უტყუარად ზუსტ გადმოცემას, რომელიც ზოგ შემთხვევაში დასრულებულ ფერწერულ სურათს მოგვაგონებს. თუმცა, თავის მხრივ, ეს გარემო ლამაზი და დახვეწილია.

შექსპირის თემით დავით მონავარდისაშვილი გვევლინება ტიპიურ მხატვარ-გამფორმებლად, რომელსაც თავისი ხიბლი აქვს, რაც მხატვრის გემოვნების, ხელოვნებაში მისი პრიორიტეტების მაჩვენებელია.

როგორც გამოიკვეთა, შექსპირის თემა მუსიკალურ თეატრში მრავალფეროვან სახვით გადაწყვეტილებას ეფუძნება. ჩვენს შემთხვევაში არამარტო დროის მოთხოვნილებებმა, არამედ თვით მხატვრის ინდივიდუალურმა ხედვამ, მხატვრულმა ენამ, სტილისტიკამ და დამოკიდებულებამ განსაზღვრა ბალეტის გაფორმების ბუნება და მისი თეატრალური სახე.

ამრიგად, ჩვენს მიერ განხილული მაგალითების თანახმად, დავინახეთ მოცემულობის ორი; აბსოლუტურად განსხვავებული, საინტერესო და დამაჯერებელი ხედვა, ხოლო თუ რომელს ანიჭებს მაყურებელი პრიორიტეტს, ეს მათ საკუთრივ შეგრძნებებზეა დამოკიდებული.

HISTORY OF ART

THE BASICS OF ARTISTIC STYLE IN GEORGIAN SCENOGRAPHY BY T. MURVANIDZE AND D. MONAVARDISASHVILI ACCORDING TO S. PROKOFIEV'S BALLET "ROMEO AND JULIET"

MANANA KASHIA

Batumi Shota Rustaveli State University

The formation of a modern theater artist, his ascendant role in the performance of the play has been observed throughout the development of theater history. The names of theater artists occupy an honorable place in the theater program alongside prominent directors.

If we try to present a picture of modern scenography to its fullest extent, we will see that it consists of many individual artistic solutions. Each master works in his own way and creates a completely different scenic artistic form depending on the character of the musical or dramatic work, the directional understanding. This is the methodological cornerstone of scenography. Many of the performances entered in history as a result of the artistic solution offered by the scenographer.

Epochal changes have required a new understanding of the functions and roles of the main actors of theatrical action in the new artistic aesthetic paradigm. The twentieth century, with its complex and varied historical events, had a peculiar influence on Georgian art, especially theater. The global processes in theatrical art have also been reflected in the scenographic searches.

One of the leading areas of Georgian theatrical painting is pictorial understanding of decoration. There was not a single prominent Georgian scenographer who followed the scenery. Today this tradition continues.

Undoubtedly, an interesting example of this important trend is the work of renowned and distinguished screenwriter Teimuraz Murvanidze and theatrical painting by David Monavardisashvili. These artists are from different generations. The both of them had to work on balleting of S. Prokofiev's *Romeo and Juliet* in two different periods. T. Murvanidze addressed the Shakespearean theme in musical theater in 1974 but D. Monavardisashvili in 2018. Following this fact, it is even more interesting to see how the same work opens with the same artistic style in different time intervals. What is common and distinctive among them.

William Shakespeare's work has always been very relevant, attractive and popular for Georgian fine art. Shakespeare's theme has once attracted the attention of great Georgian artists. Among them were: Peter Otskheli, Irakli Gamrekeli, Soliko Virsaladze, Sergo Kobuladze, Ioseb Sumbatashvili, Nika Kazbegi, Parnaoz Lapiashvili, Irina Stenberg, "Trinity" (O. Kochakidze, A. Slovinsky, I. Chikvaidze), Mirian Shvelidze and many more.

Teimuraz Murvanidze started working in the theater in the early 60s of the 20th century. T. Murvanidze is a continuation of the pictorial finds of his predecessors (S. Virsaladze, P. Lapiashvili). He has displayed the talent of a painter, a colorist, a conventional decorative artist and a plastic-minded artist.

T. Murvanidze works on decorations of musical and dramatic theater productions. In our case we will focus on ballet performances. T. Murvanidze has collaborated with Tbilisi, St. Petersburg, Moscow and the world's major theaters. T. Murvanidze decorates the the ballet of S. Prokofiev - "*Romeo and Juliet*" (choreographer Leonid Lavrovsky, edited by Mikhail Lavrovsky) at Tbilisi Z. Paliashvili State Academic Theater of Opera and Ballet. The performance is presented by Teimuraz Murvanidze as a painter and colorist In 1983. The artist follows the specifics of ballet performance and develops his abilities ... Along with the music, the artist pays great attention to the ballet libretto (this is by default). Depending on what style or genre the musical is in, those keys also include the visual side of the play. Everything indicates the creator's erudition, and his symbolic understanding of the topic's opening. In his work, the conceptual vision and the conditional principles of theatrical-decorative art are combined.

Another artist we want to mention is Dato Monavardisashvili. Today he is actively collaborating with the Tbilisi Opera and Ballet theatre and is decorating almost all their performances staged in recent years. The last performance decorated by him is a S. Prokofiev's "*Romeo and Juliet*" premiered in Tbilisi staged on 2018. The first performance was staged by Mikhail Lavrovsky in 2006. This is a short version of his father Leonid Lavrovsky's work. Due to the reconstruction of the Opera House, the performance had been seized, and the "restoration" took place again. D. Monavardisashvili is quite a traditional artist, though, as he says, he can make a play in primitivist, dadaist, avant-garde stylistics. David Monavardisashvili, a typical Shakespeare-themed decorator artist with his own charm. This is an indication of the artist's taste, his artistic priority. Shakespeare's theme is, as it turns out, based on a variety of decisions in musical theater.

The examples we have discussed clearly show the two absolutely different, interesting and compelling reads, and which one gives the viewer priority, depending on their own feelings.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **Березкин, 1997** - Березкин В. И. - Искусство сценографии мирового театра. От истоков до середины XX века. Москва.
2. **Березкин, 2001** - Березкин В. И. - Искусство сценографии мирового театра. Вторая половина XX века.
3. **ოკლეი, 2019** - ოკლეი მ. ლ. - თეიმურაზ მურვანიძე. თბილისი, 2019
4. **ოკლეი, 2015** - ოკლეი მ. ლ. - ქართული სცენოგრაფიის ისტორიისათვის. ARS GEORGIA. (გიორგი ჩუბინაშვილის სახე ქართული ხელოვნებისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ცენტრი). ელექტრონული ჟურნალი სერია B. ახალი და თანამედროვე ხელოვნება. 2015

ლიტერატურა

პოსტმოდერნისტული თუ მეტამოდერნისტული კოეზია?

(როინ აბუსელიძის კრებულის - „მიწის კომპის მსხვერპლი“ - მიხედვით)

შორენა მანაჩაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანოტაცია: 2001 წელს პოსტმოდერნისტული ეპოქა დასრულდა და დაიწყო პოსტპოსტმოდერნისტული ხანა, რომელსაც ზოგი მეცნიერი ფსევდომოდერნიზმს, ზოგი - დიგიმოდერნიზმს, ზოგიც - მეტამოდერნიზმს უწოდებს. ეს ახალი მიმდინარეობა ხელოვნებაში აერთიანებს განათლებულ გულუბრყვილობას, პრაგმატულ იდეალიზმსა და ზომიერ ფანატიზმს. ის მერყეობს ირონიასა და გულწრფელობას, კონსტრუქციასა და დეკონსტრუქციას, აპათიასა და გატაცებას შორის. სწორედ ასეთ პრაგმატულ რომანტიზმსა და, ზოგ შემთხვევაში, სანტიმენტალიზმსაც ვხედავთ როინ აბუსელიძის ლექსებში. მასში ორი რადიკალურად განსხვავებული სამყარო დახატული: ქალაქისა და სოფლის. სოფლის იდილია შორეულ წარსულში დარჩა, მაშინ, როცა ქალაქი დღევანდელია, ზოგჯერ აუტანელი, ძრწოლის მომგვრელი რეალობაა. ქალაქი კლავს ლირიკას, კლავს ინდივიდს, კლავს ღმერთს. პოეტს კი არცერთი არ ემეტება სასიკვდილოდ, ამიტომაც საანალიზო კრებულში დიდი ადგილი უჭირავს ღმერთის ძიების თემას. აქვე საინტერესოა დახატული ორ ღმერთს, ორ სამყაროს შორის დარჩენილი პიროვნების შინაგანი გაორება და კონფლიქტი.

როინ აბუსელიძის ლექსები ნათლად გვიჩვენებენ, რომ ახალმა მიმდინარეობამ, ფაქტობრივად, მართლაც მოხსნა პოსტმოდერნისტული აკრძალვა ტექსტის სიღრმეს, სერიოზულობასა და ტრაგიზმზე, დაძლია პოსტმოდერნისტული საყოველთაო ირონია და ამკვიდრებს ახალ რომანტიზმს, რომლის გამოსახატავად ზოგი მეცნიერი იყენებს ტერმინს - ტრანსსანტიმენტალიზმი.

საკვანძო სიტყვები: პოსტპოსტმოდერნიზმი, დიგიმოდერნიზმი, მეტამოდერნიზმი, ტრანსსანტიმენტალიზმი.

„პოსტმოდერნიზმი, როგორც თანამედროვე კულტურული პროდუქტი, მკვდარია.“

ალან კირბი

როინ აბუსელიძის ლექსების ბოლო - 2020 წლის კრებულის - ანოტაცია გვამცნობს, რომ მასში პოსტმოდერნისტული ლექსებია შესული, ამიტომ მათი კითხვისას ხან „ავტორის ნიღაბს“ ვეძებდი, ხან - სიმულაკრებს, ხან - ინტერტექსტს და რა დაღვეს პოსტმოდერნისტულ ტექსტში მსგავს მეტ-ნაკლებად ცნობილ ხერხებს. მაგრამ რა ვუყოთ იმ საყოველთაოდ აღიარებულ ფაქტს, რომ პოსტმოდერნისტული ეპოქა (მათ შორის - ლიტერატურაშიც!) დასრულდა 2001 წელს და

დაიწყო პოსტპოსტმოდერნისტული ხანა. მართალია, ამ ეპოქისთვის ჯერ შესაფერისი, საყოველთაოდ მიღებული ტერმინი არ არსებობს, მაგრამ სხვადასხვა მკვლევარი უკვე გვთავაზობს თავის ვერსიას: ფსევდომოდერნიზმი, დიგიმოდერნიზმი (კირბი, 2012:), მეტამოდერნიზმი (ვერმიულენი და აკერუ, 2011:). უფრო მეტი, ინგლისელი მხატვარი ლიუკ ტერნერი აქვეყნებს „მეტამოდერნისტის მანიფესტს“. მისი აზრით, მეტამოდერნიზმი აღადგენს ან უბრუნდება

საყოველთაო კლასიკურ პრინციპებსა და უნივერსალურ ჭეშმარიტებებს, თუმცა არ „უბრუნდება მოდერნიზმის გულუბრყვილო იდეოლოგიურ პოზიციებს“ (ტერნერი, 2011:). ის მერყეობს მოდერნიზმსა და პოსტ-მოდერნიზმს შორის. ეს ახალი მიმდინარეობა ხელოვნებაში აერთიანებს განათლებულ გულუბრყვილობას, პრაგმატულ იდეალიზმსა და ზომიერ ფანატიზმს. ის მერყეობს ირონიასა და გულწრფელობას, კონსტრუქციასა და დეკონსტრუქციას, აპათიასა და გატაცებას შორის, მოკლედ, ნამდვილი დაპირისპირებულთა, შეუთავსებელ მოვლენათა ერთიანობაა.

სწორედ ასეთ პრაგმატულ რომანტიზმსა და, ზოგ შემთხვევაში სანტიმენტალიზმსაც ვხედავთ როინ აბუსელიძის ლექსებში. მასში ორი რადიკალურად განსხვავებული სამყაროა დახატული: ქალაქისა და სოფლის. პირველს მეტი ტკივილი, ეჭვი და შფოთვა ეტყობა, მეორეს - მეტი ნოსტალგია, სევდა და სინაზე ამშვენებს. სოფლის იდილია შორეულ წარსულში დარჩა, მაშინ, როცა ქალაქი დღევანდლობაა, ზოგჯერ აუტანელი, ძრწოლის მომგვრელი რეალობაა. ქალაქი, სადაც „მანქანები ქუჩებს ასდით ოხშივარით“ (აბუსელიძე, 2020:55) *[შემდგომში ციტატებს მოვიყვანთ ამ გამოცემიდან, მივუთითებთ მხოლოდ გვერდებს]* „დაუკითხავად, უსაფუძვლოდ“ კლავს ლირიკას, კლავს ინდივიდს, კლავს ღმერთს. საინტერესოა, რომ თუ პოსტმოდერნისტულ მწერლობაში ღმერთის სიკვდილი აქსიომატური ჭეშმარიტება იყო, დღეს აქტუალურია ღმერთის ძიების მოტივი, რადგან ადამიანს აღარ სურს მარტო, ეულად ყოფნა, აღარ სურს მარადიულობის წინაშე შიშით შეპყრობილი დუმილის დასარღვევად მხოლოდღა რადიოს შიშინს უსმენდეს. ამიტომაცაა, რომ როინ აბუსელიძის ლექსების ლირიკული გმირი თავისთავში დაეძებს დაკარგულ „სხვა მე-ს“, რომელსაც, შესაძლოა, სწორედ მისი

ღვთაებრივი ნაწილი გაჰყვა. ამ ნაწილის გარეშე კი ადამიანი პოეტად, შემოქმედად, გნებავთ, „უფლის მეტოქედ“ (კ.გამსახურდია) ვერ შედგება:

„მაგრამ ვერა და ვერ ვლაგდები
თიხაში, სადაც ჩაეტია ნაზარეველი.“
(„გაუგზავნელი წერილები“, 6).

ეს მოტივი არაერთხელ მეორდება როინ აბუსელიძის ლექსებში და გვიჩვენებს, როგორ მოსწყურდა თანამედროვე შემოქმედს ცასთან კავშირი:

„და ხვდები პოეტიც, რომ უფლის ტაქტი ხარ,
უბრალოდ, ქრისტეში ვერაფრით დალაგდი.
უბრალოდ, იესო ვერაფრით დალაგდა,
ამ ცოდვანაგროვებ შენსა და შენ შორის.“
(„ტიამაუტი“, 33).

ნამდვილი შემოქმედი ღვთაებრიობასთან წილნაყარია - ამ აზრსაც ამოიკითხავთ როინ აბუსელიძის ლექსებში, ამიტომაც ახსოვს ჭაბუკი ღმერთი:

„მახსოვს, უფალო, ზედმიწევნით მე შენი სიყრმე,
დედამიწა რომ გეზრდებოდა მკერდის არეში.“
(„ათი მცნება“, 35).

უფლისგან მიღებული ათი მცნების დამცველია შემოქმედი, თუმცა ღმერთთან ერთად იკარგება ლოცვის ნამდვილი სიტყვები, მარადიული ბიბლიური ჭეშმარიტებები ფსევდოლირებულებებით, სინამდვილე წარმოსახვითი სამყაროთი იცვლება და აღარაფერი რჩება შიშით შეპყრობილ-დათრგუნული მარტოსული ადამიანის გარდა, რომელმაც ჯებირს გადაღმა დატოვა ქრისტე. მასზე ფიქრის საშუალებას კი არა და არ იძლევა ამოების ფუსფუს-ხმაურში, ცოდვებსა და ნიღაბფარებულ, ურწმუნო ადამიანებში ჩაფლული ჩონჩხიანი ქალაქის ყოველდღიურობა. მის ქუჩებში დღეს ღმერთიც რომ დადიოდეს, არავინ დაიჯერებს:

„ვიცი რთულია დაიჯერო
კაცის ღმერთობა,
მაგრამ ჩვენ ღმერთის კაცობასაც
არ ვიჯერებდით.“
(„გაუგზავნელი წერილები“, 6).

შორენა მასაჩაპი

ადამიანებსა და სამყაროს ახალი ადამ და ევა თულა გადაარჩინენ, რომელთაც სამოთხიდან გამოაპარეს ღვთისშვილი:

„შენ კი იქნები ჩემს ნეკნებთან წამოწოლილი და მეორე შვილს შობის დილით იმშობიარებ.“

(„ხარკი“, 11).

რა თემაზეც არ უნდა წერდეს პოეტი, ყველა გზას ღმერთამდე მიჰყავს. ბიბლიურ-მითოსური დრო კი წრეზე ბრუნავს: არაფერი არ იკარგება, ყველაფერი მეორდება, ამიტომ „მოხდება წარღვანაც, საუკუნის უამინდობა“ („ხარკი“, 11) და ისევ დაადგებიან მძიმე ცხოვრების გზას სამოთხიდან განდევნილი მარადიული მგზავრები - ადამ და ევა, ისევ კბილებით დაიცავენ უფლისგან ბოძებულ ათ მცნებას, თუმცა „მანც ათი მცნება მარღვევს შიგნიდან“ („ათი მცნება“, 36), რადგან „ღმერთშია შველა და ღმერთშია ხაფანგი“ („ტაიმალტი“, 33). ეს ამბივალენტური დამოკიდებულება: სასოება და ეჭვი, რწმენა და ყოყმანი გასდევს და განსაზღვრავს თავიდან ბოლომდე ლირიკულ გმირის მსოფლხედვასა და განცდებს.

ყველა ნამდვილ შემოქმედში უფალია, რომელიც ქართული პოეზიის ღმერთის - გალაკტიონის - მსგავსად მიელტვის „შორეული ცის სილაჟვარდეს“; მის სულშიც ისადგურებს თოვლის სისოვლე, მაგრამ ყველასთვის დგება დღე, როცა მას თავისივე პოეზიის სარკეში ჩახედვის ეშინია, რადგან იქ დამსხვრეული ოცნებებისა და იმედგარეულების გარდა აღარაფერი დარჩენილა, რამეთუ „პოეზიაც აღარ დარჩა ნაღდი“ და „ლექსებიც გარემოსფერ ნიღბებს ირგებენ“ („ქობის და სარკის იგავი“, 17).

ამიტომაც ასე ტრაგიკულია განცდა ღმერთის დაკარგვისა, ამიტომაც ვარსკვლავებიან ღამეს ბიბლიური მოგვივით მუდამ მის გამოჩენას ელოდება პოეტი, მაგრამ „რა ხანია, ჩვენს ზეცაზე ქრისტე არა ჩანს“ („სხვა რა მოგიყვებ?“, 19).

როგორც ზემოთაც ვთქვით, ნებისმიერ თემას პოეტი უფლის სახეზამდე მიჰყავს, რადგან ის „ფრესკასავით მკერდზე აქვს ამოკაწრული“ („შენთან გასაგზავნი წერილი“, 50). ასეა, როცა სიყვარულზე საუბრობს, ღმერთი ხომ ერთდროულად სიყვარულიცაა და მისი კანონმდებელიც: „შენ დაჰზადე მიჯნურობა, შენ აწესებ მისსა წესსა“ (რუსთაველი, 2015:241) - დიდი წინაპრის ამ სიტყვების გამოძახილიც ისმის როინ აბუსელიძის ლექსებში; ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ პოეტის „სულ ახალი, სულ ცინცხალი, სულ პირველი“ ლექსიც პირველი სიყვარულის შემდეგ „მოხდა“ („პირველი ლექსის მოტივი“, 30). ყველა დროის სიყვარულს იტევს პოეტის გრძნობა სათაყვანებელი ქალისადმი. ის ჯერ კიდევ ნოეს კიდობნიდან მოკიდებული სატრფოს თვალებს იყენებს სარკედ, იმათში უცქერს მზის ჩასვლას, მის თვალებში ლოცულობს, მასთან ერთად წერს განუმეორებელი სიყვარულის ისტორიას, რომელიც ერთდროულად მარადიულიც არის და წარმავალიც, თუმცა მისი კვალი წარუშლელია და სულს ისე აჩნია, „ფოთლისფერ მინდორს რომ ატყვია ნაკოცონარი...“ („ორი ავტორის ერთი წიგნია სიყვარული“, 82).

პოეტისათვის სატრფო ქალღვთაებაა, ვინც ტაძრიდან საგალობლის ხმად გამოჰყვება, ვინც მარადიულად ავსებს მის არსებას: „საკმარისია, თვალი მოგკრა და შემიყვარდე, წვიმიან ღამით ელვის შუქზე როცა ენთები...“

(„შენთან გასაგზავნი წერილი“, 50)

რთულია ქალღვთაებასთან განშორება, რთულია მარტოობის სწავლა, რთულია იმის შეგრძნება, რომ „სიყვარულის ქარი ჩადგა“ და ლექსებიც „მონატრების წვიმის“ ამარა რჩება („ჩვენი სინდრომი“, 75), ეს განსაკუთრებულ ტკივილს აყენებს ადამიანს:

„დაშრა ოფლი და ცრემლები,
შეწყდა სიყვარული და ლოცვა,

გადაიღო წვიმამ და თოვლმა და ჩადგა ქარიშხალი.“

(„დღეს მე ასე ვწერ...“, 66).

ღმერთის სიკვდილის მძაფრი განცდაცა და მისი გამუდმებული ძიებაც საყოველთაო მოტივია უახლესი საუკუნეების ლიტერატურაში, მაგრამ ორ ღმერთს შორის არჩევანის წინაშე მდგომი ადამიანის სულიერი მდგომარეობის, მისი გაორებისა და შინაგანი ჭიდილის ჩვენება უკვე ამ პრობლემას სხვა, კიდევ უფრო ტრაგიკულ, ჭრილში წარმოგვიდგენს. როინ აბუსელიძე გულწრფელად, ტაქტიანად, ყოველგვარი ზედმეტი პათეტიკის გარეშე გვიხატავს ორ სამყაროს შორის დარჩენილი ადამიანის შფოთვას, განცდებს. ლექსში „ფარული ვედრება“ დეტალებით, ნიუანსებით მიგვანიშნებს უმთავრესზე, გვაგრძნობინებს ადამიანის სულის უმცირეს მოძრაობას. ლექსი მშვენიერი პოეტური ჩანახატით იწყება:

„დილა იყო,

მზე თვალბში ამოვიდა,

გარეთ ძმები აფხიზლებდნენ ცხენებს,

ნენე იდგა იქვე, როგორც ქრისტიანი

და სხვის ღმერთზე ლოცულობდა ნენე...“ (22)

რამდენი სინათლე (ნენეს თვალბში ამოსული მზე) და რამდენი სიბნელე (სხვისი ღმერთია) ერთდროულად ამ სტრიქონებში, როგორ სიხარულს (მოსწრებული ვაჟები) და ტკივილს (უცხო ღმერთზე იძულებით ლოცვა) იტყვენ ისინი. კიდევ უფრო ძნელია, ჩვევად ქცეულ რწმენაზე თქვა უარი, ან შვილებს არ გადაეღობო წინაპრების ფესვებისკენ მიმავალ გზაზე, იმ გზაზე, რომლის გავლას თავადაც ისურვებდი, ასე მოხუცი, ძვალ-რბილში გამჯდარი რწმენით სავსე რომ არ იყო, ოჯახის უფროსის მოვალეობა რომ არ გაიძულებდეს, დაიცვა შენი სიტყვა. მამის პიროვნებაში მიმდინარე ამ ბრძოლას პოეტი ზუსტი ფსიქოლოგიური შტრიხებით გადმოგვცემს, გვიჩვენებს იმ კაცის მდგომარეობას, რომელსაც, რაოდენ პარადოქსულიც

არ უნდა იყოს, შვილის მორჩილებას, მისი აშკარა ამბოხი ურჩევნია:

„შემდეგ სექვზე დაისვენა

და ტკივილიც შეერია ხმაში,

- სიკვდილამდე ერთხელ მაინც გამაგონე,

მოსანათლად გაგვეპარა ბავშვი!..“ (23)

როინ აბუსელიძის კრებულში შესული ლექსები ნათლად გვიჩვენებენ, რომ ახალმა მიმდინარეობამ, ფაქტობრივად, მართლაც მოხსნა პოსტმოდერნისტული აკრძალვა ტექსტის სიღრმეს, სერიოზულობასა და ტრაგიზმზე, დაძლია პოსტმოდერნისტული საყოველთაო ირონია და ამკვიდრებს ახალ რომანტიზმს, რომლის გამოსახატავად ზოგი მეცნიერი იყენებს ტერმინს - ტრანსსენტიმენტალიზმი. ვფიქრობთ, სწორედ ეს ტერმინი შეეფერება როინ აბუსელიძის ლექსებს: „ამ ქალაქში“, „მიწის პოეტის მსხვერპლი“, „წამოსვლა“...

„პოეტები მხოლოდ ქალაქზე რითმებით მოლაპარაკენი როდი არიანო“ (ლეონიძე, 1980:27) - გიორგი ლეონიძის ამ სიტყვებს გაგვახსენებს როინ აბუსელიძის კრებულში შესული ერთ-ერთი ლექსი „მიწის პოეტის მსხვერპლი“. მასში მამის პორტრეტია დახატული, მამის, რომელიც ყველაზე დიდი პოეტი იყო მიწისა. ის გრძნობდა თავისი ოფლითა და ცრემლით მორწყული მიწის ტკივილს, მის სურვილებს, მან არა მარტო იცოდა მიწის ფასი, უყვარდა და ეალერსებოდა მას: „მზისგან დაკოჟრილ, დამწვარ მიწას ზურგს უვარცხნიდა“ (40) და მიწაც მაღლიერებით პასუხობდა: მუდამ ყვაოდა ბალი, მზის შუქზე ბრწყინავდა ეზო:

„ყოველ გაზაფხულს ის თესდა ლოცვებს,

ყვავილებს, სიმინდს, ხორბალს და ხეხილს...

მიწის პოეტი იყო მამაჩემი,

პოეტი - გლეხი.“ (39)

როინ აბუსელიძე მიგნებული, ზუსტი და ორიგინალური შედარებებით, ეპითეტებით, მეტაფორებით ხატავს შემოქმედი გლეხის მომხიბლავ, სრულიად განსაკუთრებულ

შორენა მახაჩაძე

სახეს, რომლის „ბელტივით დამსკდარი ხელეზიდან ამოდიოდა შემოდგომა“ (40).

მაგრამ ჭეშმარიტი ხელოვნება „გულის სისხლს მოითხოვს საფასად. თუ მთელი ჯანი არ შეალიე ამ სასტიკ ბომონს, ისე არაფერი გამოგივა ხელიდან“ (გამსახურდია, 1966:236). ვერც პოეტმა-გლეხმა შეძლო ეს და „როცა თეთრი ხომალდით მამისთვის ბოლო თოვლი მოვიდა“, მან „სიკვდილს თოვლში ველარ შეასწრო“ („მამა და თოვლი“, 12), მსხვერპლად შეეწირა მიწას:

„მაგრამ მიწამაც აღიარა, ალბათ, პოეტად, - ჩვენთან, ეზოში, მსხლის ხემ მოისხა.“ (41)

როინ აბუსელიძის ლექსების კრებული იწყება თავისუფალი ლექსით - „გაუგზავნილი წერილებით (მე, შენ, ღმერთი)“ (5-9), რომელშიც ქალაქს შეხიზნული პოეტის აღსარებას ვისმენთ და მთავრდება სულისშემძვრელი ლექსით, „წამოსვლა“ (89-90), საიდანაც ვგებულობთ, როგორ აღმოჩნდა ლირიკული გმირი სოფლის იდილიიდან მტვრიან-ხმაურთან ქალაქში. ეს ორი ლექსი კომპოზიციურად კრავს და ერთ მთლიან სახეს აძლევს კრებულს.

თავისუფალი ლექსით შესრულებულ ოთხ ჩანახატში დიდი ოჯახის ტრაგიკული ისტორიაა გადმოცემული: პატარა ქოხში მყუდროება და მხიარულება სუფევდა, რასაც ერთად ყოფნის ბედნიერება ქმნიდა. ომმა ეს იდილია დაარღვია:

„პატარა ქოხი გვქონდა, ღელესთან ახლო და ხის ლაფარო იფერთხავდა ქარით შემოსილ ფოთოლს, გამთენიისას მარტო მიუწყებოდით ნახირს, მე და ნენე და გულზე - სამი ვაჟკაცის ფოტო...“

ოჯახი დარდს და ტკივილს ვერ გავექეცი ვერსად, ეზოში დაგვრჩა მხოლოდ ერთი პატარა ტაბლა (ბზობა იყო) და მახსოვს, მამის საყვარელ ხესთან სისხამზე, როგორ ვთხრიდი მამაჩემისვე საფლავს.“

(„წამოსვლა“, 90).

უაღრესად ძუნწი მხატვრული სამუშაოებით, თითქოს ჩვეულებრივ, გრძნობების გამოვლენის გარეშე, საკმაოდ მდორე რიტმით მოგვითხრობს ლექსის ლირიკული გმირი ოჯახის ამბავს, მაგრამ ამ გარეგნულად მშვიდ თხრობაში ყელში ბურთად გაჩრილი ცრემლების ემოციას დაგუბებული, თითოეული სტრიქონი ტრაგიზმითაა დამუხტული, სწორედ ამით ახდენს ვერლიბრით შესრულებული ეს ლექსი მკითხველზე განსაკუთრებულ ზემოქმედებას. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ როინ აბუსელიძე თანაბრად კარგად ფლობს როგორც რითმიანი (კლასიკური) ლექსის, ისე - ურითმო (თეთრი ლექსის) წერის ტექნიკას და ორივე შინაგანი ექსპრესიით, განსაკუთრებული გრძნობიერებით, აზრის სიღრმითა და მაღალმხატვრულობით გამოირჩევა, მოკლედ, ორივე ტიპის ლექსებში არის ის მოუხელთებელი რამ, რაც სტრიქონებად დაყოფილ ტექსტს ნამდვილ პოეზიად აქცევს.

ერთ-ერთი ასეთი გამორჩეული ლექსია „ამ ქალაქში“ (57-58). ესაა ლექსი ქალაქზე, „სადაც ზღვა შორიდან აღარ ჩანს“, ქალაქზე, „რომელიც ცათამბჯენებში ჩაიძირა“, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მასთანაა უხილავი ძაფებით დაკავშირებული ლექსის ლირიკული გმირის ბავშვობა, მამა, პირველი სიყვარული, რომელიც „უნივერსიტეტის ფანჯრიდან გადახტა და გაძვრა ცისარტყელას ქვეშ“... უმთავრესი კი ისაა, რომ ეს ქალაქი აწერინებს პოეტს ასეთ გულშიჩამწვდომ ლექსებს:

„ამ ქალაქში ჩაიძირა ჩემი ბავშვობის მეგობარი, ის ჩაიძირა ყველა იმ ბედნიერ წუთთან და სიცილის ზარებთან ერთად, რომელსაც თოვლში ცხელი შოთის პურივით მინაწილებდა. მისი სული თოლიებმა აკენკეს, წვეთწვეთობით მიუტანეს ზღვას და ზღვა გახდა უფრო თბილი.“

როგორც ვხედავთ, როინ აბუსელიძის კრებულში - „მიწის პოეტის მსხვერპლი“ -

შესული ლექსები გამოირჩევა გულწრფელობით, წარსულისადმი ნოსტალგიური დამოკიდებულებითა და მომავლისაკენ ხედვით. მასში დროის სამი პლასტი ერთ მთლიანობადაა წარმოდგენილი და, რაც მთავარია, თითოეული მათგანი განუმეორებელი და მნიშვნელოვანია. სიყვარული, მეგობრობა, მშობლებთან ურთიერთობა, ღმერთი და, რაც მთავარია, ადამიანი აღარაა ირონიისა და ნიჰილიზმის საგანი. სწორედ ამიტომ ბათუმელი პოეტის ლექსების ეს კრებული უკვე ახალი ლიტერატურული მიმდინარეობის ერთ-ერთ პირველ მერცხლად შეიძლება ჩაითვალოს. თუმცა ნიჭიერი, თვითმყოფადი პოეტი და ჭეშმარიტი პოეზია ვერასოდეს მოექცევა რომელიმე ლიტერატურული მიმდინარეობის ჩარჩოებში, პირიქით, ის ნებისმიერ საზღვრებს არღვევს და ქმნის ინდივიდუალობის ბეჭედდასმულ

ხელოვნებას. ასეა როინ აბუსელიძის პოეტურ სამყაროშიც.

თუმცა სიახლეები უკვე ჩანს ჰორიზონტზე, გარკვეული კონტურებიც გამოიხატა, მომავალი გვიჩვენებს, საით წავა ქართული პოეზია, როგორ, რა საშუალებებით შეძლებს რეალურ და ვირტუალურ სინამდვილეს შორის გამჭრალი საზღვრების აღდგენას, დაკარგული ღირებულებების დაბრუნებას, „ირონიასა და გულწრფელობას, გულუბრყვილობასა და ინფორმირებულობას, რელატივიზმსა და ჭეშმარიტებას, ოპტიმიზმსა და ეჭვებს შორის“ (ტერნერი, 2011:) დარღვეული ბალანსის აღდგენას. ჩვენ შევეცადეთ, ერთი პოეტური კრებულის ანალიზით შეძლებისდაგვარად გვეჩვენებინა, რომ ეს პროცესი უკვე დაწყებულია და პირველი ყურადსაღები ნაბიჯებიც გადაიდგა.

LITERATURE

POSTMODERN OR METAMODERN POETRY?

(ON THE BASIS OF ROIN ABUSELIDZE'S COLLECTION OF POEMS "THE VICTIM OF THE LAND POET")

SHORENA MAKHACHADZE

Batumi Shota Rustaveli State University

In 2001, postmodern era came to an end and post-postmodern era began. Some scientists call it pseudomodernism, others - digimodernism or metamodernism. This new trend in art combines naivety, pragmatic idealism and moderate fanaticism. It ranges between irony and sincerity, construction and deconstruction, apathy and passion.

Such pragmatic romanticism and, in some cases, sentimentalism is seen in Roïn Abuselidze's poems. It depicts two radically different worlds: urban and rural. The idyll of the countryside has remained in the distant past, while the city is the present, sometimes an unbearable, life-threatening reality. The city kills lyrics, kills the individual, kills God.

The theme of the search for God occupies a large place in the collection of poems. It is also interesting to note that the poet draws a picture of a man who is lost between two gods, between two worlds. There is inner duplication and conflict of the person left between the two worlds.

The poems in Roin Abuselidze's collection of poems make it clear that the new trend has lifted the postmodernist ban on the depth, seriousness and tragedy of the text, overcoming the postmodernist universal irony and instilling a new romanticism, or as some scholars call it “trans sentimentalism.”

The poems included in the collection are characterized by sincerity, interest in the past, nostalgic attitude and vision for the future. Three layers of time are represented as one whole in the collection of poems. Love, friendship, relationship with parents, faith in God and, most importantly, man in general are no longer the subject of irony and nihilism. That is why Roin Abuselidze's collection of poems can already be considered as one of the “first swallows” of the new literary trend.

გამოყენებული ლიტერატურა:

- აბუსელიძე, 2020: აბუსელიძე როინ, „მიწის პოეტის მსხვერპლი“, გამ. „კალმოსანი“, თბ.
- გამსახურდია, 1966: გამსახურდია კონსტანტინე, „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“, გამ. „ხელოვნება“, თბ.
- კირბი, 2012: კირბი ალან, პოსტმოდერნიზმის სიკვდილი და შემდეგ, 10.02.2012, იხ. <http://a-library.org/alan-kirby-postmodernizmis-sikvdili/#sthash.vyn6V2jb.dpbsy>
- ლეონიძე, 1980: ლეონიძე გიორგი, „ნატვრის ხე“, გამ. „მერანი“, თბ.
- რუსთაველი, 2015: რუსთაველი შოთა, „ვეფხისტყაოსანი“, თბ.
- ტერნერი, 2011: ტერნერი ლიუკი, მეტამოდერნისტი//მანიფესტი, იხ. <http://www.metamodernism.org/>
- Turner, 2011: Turner Luke, METAMODERNIST // MANIFESTO, იხ. <http://www.metamodernism.org/>

ლიტერატურა

არსენ ბულმაისიმის ბიოგრაფია

ლიანა ჯოიკი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანოტაცია: სტატიაში განხილულია არსენ ბულმაისიმის ბიოგრაფია, პირველ რიგში საუბარია, როგორც საზოგადო და სასულიერო მოღვაწის შესახებ, რომელიც მოღვაწეობდა XIII საუკუნის პირველ ნახევარში და მისი ინტერესების ძირითად სფეროს ჰიმნოგრაფია წარმოადგენდა. რუსუდან დედოფლის მეფობის დროს, იყო ქართლის კათალიკოსი, ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი, დიპლომატი... არსენ ბულმაისიმის შემოქმედებასა და მოღვაწეობას მარალ შეფასებას აძლევენ ანტონ კათალიკოსი, ტრიფილე ჩერქეზიშვილი, იოანე ბატონიშვილი.

საკვანძო სიტყვები: კათალიკოსი, მწიგნობართუხუცესი, ქართლის სამეფო.

არსენ ბულმაისიმის იყო რუსუდან დედოფლის თანამედროვე ცნობილი ისტორიული პიროვნება, საეკლესიო და საზოგადო მოღვაწე, მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი და კათალიკოსი, ჰიმნოგრაფი და მწერალი. ჩვენამდე მოღწეული ცნობებიდან ირკვევა, რომ მისი საზოგადოებრივი და ლიტერატურული მოღვაწეობა დაკავშირებულია გამოჩენილ ერისთავთ-ერისთავებთან, - ვარდან, ტბელ და აბურერ აბუსერისძეებთან.

არსენის შემოქმედებითი მემკვიდრეობის უმთავრესი ნაწილი დაცულია ტბელ აბუსერისძის ხელნაწერში (A-85, 1933 წ), სადაც წამოდგენილია ხელთუქმნელი ხატისადმი მიძღვნილი მისი ორი საგალობელი – დაწერილი აბუსერ და ვარდან აბუსერისძეების თხოვნით, ეპისტოლე აბუსერ აბუსერისძისადმი და იამბიკური სვინაქსარი.

ანტონ კათალიკოსი თავის „წყობილსიტყვაობაში“ ხოტბას ასხამს არსენ ბულმაისიმის შემოქმედებას და მოღვაწეობას, რომელსაც სწორედ აღნიშნულ ხელნაწერში გასცნობია. ამას რამდენიმე გარემოება ადასტურებს:

„მჭერმეტყველი, მუსიკოსი, მშვენიერი მოშიარე, მხატვრული სიტყვის ოსტატი, ბრძენი და დამფასებელი.

ბულმაისიმის ძე არსენი მწყემსთ-მთავარი

ბრძენ ღვთისმეტყველი, წმიდა ფილოსოფოსი,

მაღალ მჭევრ-მეთქვი, საღმრთო პიტიკოსი

ლამაზ მუსიკი, მეშადრ შვენიერი,

ღირს არს ჯსენებად, სხვათა მამათა თანა.

შენ მეტაფრასნი, მამაო, აშიარენ

ოთხ თთუეთა შინა; ჰგალობ რად შუენიერად,

პეტრიწის სტიხთა აუკეთესენ, ბრძენო.

საწად არს ჩემდა შენთა ფრასისთა სმენა.

გაქებ თან-მსაყდრე, მძნობი ქების სურვილით.

არსენი, სურვილს ვარდანის, აბუსერის

სრულ-მყოფი, ჰგალობს ქრისტეს ხატისა მიმართ,

ნივთისად კეცის, ვერ-სათქმოდ დაბეჭდულის,
მაღალ-ფარას-რიტორ სძნობს ღმრთის-მეტყუელურად-რე.

მგზავნი გელათით აბუსერ მთავრისადმი (ანტონ ბაგრატიონი, 1980: 253-254).

სრულიად ცხადია, რომ სამივე ხაზგასმულ ისტორიულ-ლიტერატურულ ფაქტს (1. იამბიკური სვინაქსარი; 2. ხელთუქმნელი ხატის საგალობელთ ციკლი, დაწერილი აბუსერისა და ვარდანის თხოვნით; 3. არსენის ეპისტოლე აბუსერ აბუსერისძისადმი) ანტონ კათალიკოსი A-85 ხელნაწერიდან იცნობს.

მაღალ შეფასებას აძლევს არსენს მცხეთის ჯვრის მონასტრის არქიმანდრიტი, ერეკლე მეორის სტამბის მთარგმნელ-რედაქტორი, XVIII საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწე ტრიფილე ჩერქეზიშვილი, რომელმაც იამბიკოთი დაწერილი წინასიტყვაობა დაურთო „ათორმეტა თვეათა პროლოლიას“. ამ იამბიკონში ტრიფილე ამბობს: „ხუთი თვის წმინდანთა ხსენება დაწერა იოანე ფილოსოფოსმა ჭიმჭიმელად წოდებულმა „ამათ გარდა, არა სადა იყო სხუაო“, ამიტომ „მსურველთა“ სთხოვეს არსენისა მამამთავარსა, ძესა ბულმასისსაჲ“, რომ მას შეევსო დანარჩენი თვეების წმინდანების ხსენება:

„უწმინდესმან მან კაცმან, გონება ვჰრცელმან,
ოთხ-თოუწნი ჰლექსნა, ასტიხნა ორფეოსებრ,
ჴებერვალსა-მარტი ესთა, აპრილ-მასი,
სხუა ვერღა ჰსცალდა დროთა შეხდომათაგან,
ინება, ჳელჳყო, აღავსნა ნაშტებულნი“ (ხელნაწერთა აღწერილობა, 1949: 132)

მესამე ცნობა არსენის შესახებ გვხვდება იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“, რომელიც, არსებითად, ანტონ კათალიკოსის „წყობილსიტყვაობას“ ემყარება. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ პირველწყაროს (A-85 ხელნაწერს) იოანე ბატონიშვილი არ იცნობს, მეტიც, ის ზოგჯერ ამახინჯებს ანტონის ცნობებს: „ესე ნეტარი არსენ კათალიკოზი **ბულამის-ძე**, ქართველი, იყო მონაზონობით სრული და ღვთისმეტყველ-ფილოსოფოსიო, ამან შეაწყო მეტაფრასნი შაირად შვენიერსა ენასა ზედა, და სხვანიცა სწავლანი, და პორი მღვთისა, ანუ ღვთეების ხატის საგალობელნი, შვენიერ ენასა ზედა რიტორულეზ დათხზულნი, რომელიც წარველინა გელათით ვარდანის აბსერის მთავრისა, და მშვენიერ თხზულებითა ათნო მას. და სხვანიც მრავალნი სწავლანი მოფინა ამერ-იმერთა-მიმართ“ (ბატონიშვილი, 1948: 165-166).

XIX-XX საუკუნეებში არაერთი მკვლევარი დაინტერესდა არსენის საკათალიკო მოღვაწეობითა და ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობით. ამ საკითხებს ეძღვნება თ. ჟორდანიას, პ. კარბელაშვილის, ზ. ჭიჭინაძის, ს. კაკაბაძის, ვ. კეკელიძის, ნ. ბერძენიშვილის, გ. მიქაძის, ნ. სულავას, მ. რაფავას, ი. მაკარაძის კვლევები.

მკვლევართაგან არსენის ცხოვრება და მოღვაწეობით პირველად ისტორიკოსი თ. ჟორდანიას დაინტერესდა. მისი მოსაზრებით, არსენ ბულმასიმისძე ქართლის ეკლესიას მესაჭეობდა 1218-1227 წლებში (ჟორდანიას, 1897: 94-97), ამის შემდეგ კათალიკოსობიდან გადამდგარა და დაახლოებით 1240 წლამდის ის მონაზვნად („უბრალო ბერად“) არის შიო მღვიმის ლავრაში (ჟორდანიას, 1897: 53), სადაც არსენს დაუწერია საგალობლები (ჟორდანიას, 1892: 79-81). მკვლევარს, შეცდომით, არსენ ბულმასიმისძე ჰგონია აბუსერის და ვარდანის ძმა (ჟორდანიას, 1892: 81).

თ. ჟორდანიას ვარუდობს, რომ არსენი გარდაიცვალა 1245-1255 წლებში (ჟორდანიას, 1897: 55). ასეთი თარიღის მისაღებად მკვლევრის მსჯელობა შემდეგია: მისი აზრით **ვაჰანის** მონასტრის ცნობილი ტიპიკონი დადებულია ივანე სარგის ძე მხარგმელის მიერ, 1227 წლამდე (მისი აზრით

ივანე ამ წელს გარდაიცვალა). ამ ტიპიკონში მოხსენებულია კათალიკოსი გიორგი, რომელიც თ. ჟორდანიას მიერვე ნაპოვნი ზატიკის ცნობის მიხედვით არსენის შემდგომი კათალიკოსობა 1218-1227 წლის ახლო დროს მოდის. 1227 წელს კი, თუ ცოტა უფრო ადრეც არა, უკვე გიორგი კათალიკოსობს (ბერძენიშვილი, 1940: 398).

პოლიევქტოს კარბელაშვილი თ. ჟორდანიას გამოკვლევაზე დაყრდნობით გვაწვდის ცნობებს არსენზე: „არსენი 1213-1234 წწ. ბულმაისიძისძე, ძმა აბუსერისა და ვარდანიასა... უკანასკნელ დროს არსენმა თავი დაანება კათალიკოსობასა და შიო-მღვიმის უდაბნოში დამკვიდრდა სამოღვაწეოდ“ (კარბელაშვილი, 1898: 75). მეორე ნაშრომში პ. კარბელაშვილი ქართველ მაგლობელთა რიცხვში ასახელებს, ასევე აღნიშნავს მისი მოღვაწეობის თარიღს: „არსენი კათალიკოსი ბულმაისიძისძე 1220-1261 წწ. (კარბელაშვილი, 1900: 73-74).

ზ. ჭიჭინაძის გადმოცემით, არსენს დაუწერია ორი თხზულება - „კრება“ და „ბრწყინვალე კვირა“ (ჭიჭინაძე, 1887: 1-2). მაგრამ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სხვა შრომებში მკვლევარი აღნიშნულ თხზულებებს სხვა ავტორებს მიაწერს: „კრებას“ - მიხეილ კათალიკოსს (ჭიჭინაძე, 1887: 24-15), „ბრწყინვალე კვირას“ - აბრაამ ეპისკოპოსს (ჭიჭინაძე, 1887: 24-15).

არსენის ლიტერატურული მოღვაწეობით დაინტერესებულა ცნობილი მწიგნობარი ნიკო დადიანი, რომელსაც მისთვის სათანადო ადგილი დაუთმია სისტემატური კურსის სახით წაკითხულ ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიაში (ცაიშვილი, 1948: 53). როგორც გ. მიქაძე აღნიშნავს, აღნიშნული ლექციის შინაარსი უცნობია (მიქაძე, 1963: 116).

ისტორიკოსი ს. კაკაბაძე თავის გამოკვლევაში „XIII საუკუნის პირველ ნახევრის კათალიკოზები“ წერდა: „არსენი IV, რომელიც 1224 წელს საქართველოს ეკლესიას განაგებდა, ბულმაისიძისძე - ცნობილი ქართველი მწერალია... ბულმაისიძისძე 1233 წელს კათალიკოსად ყოფილა“. ასევე გახლდათ მწიგნობართ-უხუცესი“. მკვლევარის თქმით, „ისიც შესაძლებელია, რომ არსენ ბულმაისიძისძე მწიგნობართ-უხუცესად კათალიკოსად დადგინებამდის ყოფილიყო“ (კაკაბაძე, 1913: 4). 1236 წლის ახლო ხანებში „არსენ IV ბულმაისიძისძეს კათალიკოსობისათვის თავი დანებებული ჰქონია და შიო-მღვიმეში უბრალო მწირად ცხოვრობდა“ (კაკაბაძე, 1913: 5). მკვლევრის აზრით, არსენი ცოცხალია 1249 წლის ჩათვლით (კაკაბაძე, 1913: 7-8).

არსენ ჭყონდიდელის **სიგელის** აღმოჩენის შემდეგ ს. კაკაბაძემ ზემოთმოყვანილი დებულებები მნიშვნელოვნად შეცვალა.

აზრის გასამყარებლად საჭიროდ ვთლით, რომ **ეს სიგელი სრულად წარმოგიდგინოთ**: „ქ. სახელითა ღმრთისადათა, მამისა, ძისა და წმიდისა სულისადა და მეოხებითა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისადათა, შეწევნითა და თანამოქმედებითა წმიდათა და ღუაწმრავალთა **ჭყონდიდისა** მარტულითადათა და წმიდისა მთავარმოწამისა უბისისადათა და ყოველთა წმიდათადათა, რომელნი საუკუნითგან სათნო-ეყვნეს უფალსა ჩუენსა იესო ქრისტესა.

ესე დაწერილი მე, **უღირსმან არსენი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესმან** დაგიწერე ჩემსა ჭყონდიდისა ქონებასა შიგა შენ, **აბულახტარის ძესა მგელასა** და შვილთა შენთა და ფერიზს:

მას ჟამსა, ოდეს ღმერთმან და ვიკადრო-გამზრდელმა ჩემმა მეფეთ მეფემა რუსუდან ბათოისსა გამგზავნეს სამსახურად, შენ მაშინ თანა მევე და დიდი მოიჭირვე და ჭირნი ჰნახენ.

ერთგულად მსახურებისათვის მეჰაჯე **ლუერკისა** მოცემასა. და მოგეც **ლუერკი** სოფელი, გარეთ უშესავლოდ, მისითა საჯდომითა და მიწა-წყლითა, მთითა, ბარითა, ტყითა, ველითა, წყლითა, წისქულითა, და ყოვლითა სამართლიანითა ზღვრითა მისითა. გქონდეს შენ მ გ ე ლ ა ს ა ა ბ უ ლ ა ხ ტ ა რ ი ს ძ ე ს ა, შვილთა შენთა ფერიზს და ყოველთა შვილთა და მომავალთა შენთა, ერთგულად მსახურებასა შინა ჩუენსა და შემდგომად ჩუენსა ჭ ყ ო ნ დ ი დ ი ს ა ს ა ყ დ

ლიანა ზოიკი

რ ი ს ა მპყრობელთასა, მკუიდრად, სამამულოდ, თავისუფლად, შეუალად და შეუცვალეზლად. ყოვლისა შესავლისა და გამოსავლისაგან.

არა შეგცვალოს არცა შემდგომთა ჩემთა ჭ ყ ო ნ დ ი დ ი ს ა პატრონთაგან.

და ვინცა რადსაცა მიზეზისამოღებითა შეგვიცვალოს, შე-მცა-ცვალეზულ არს სჯულისაგან ქრისტიანეთადასა, ჰრისხავს-მცა მამად, ძე და წმიდად სული, და იგიმცა წმიდანი და ლუაწლ-მრავალნი მარტულინი ჭ ყ ო ნ დ ი დ ი ს ა ნ ი. და წმიდად მთავარ-მოწამე უ ბ ი ს ი ს ა ე მტანჯველთა მათთა პატიჟსა მისგან აძევს. და ნუმცა რად დამტკიცნების მისგან ქმნილი!

სეფისა ზარდახანისა მწიგნობარისა თ ე ვ დ ო რ ე ჩ ო რ ა ყ ი ს ძ ი ს ა ჯელითა დამიწერია.

დამტკიცებები:

[1] ქ. ესე, ვითა ზემოით დამიწერია, მე, უღირსსა არსენი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესსა ჩემითაცა ჯელითა დამიმტკიცებია.

ვინცა შეუცვალოს, იყავნ კრულ, წყეულ და შეუზუნებულ ღმრთისა და ყოელთა წმიდათა მისთაგან!

[2] ქ. მე, რუსუდან მეფესა დამინიშნავს.

[3] ქ. ჩემ, დავით მეფისაგანცა მტკიცეა.

[3] ქ. კირიელისონ! ესე, ვითა ქრისტეს სწორსა არსენი ჭყონდიდელ მთავარეპისკოპოსსა და მწიგნობართუხუცესსა შეუწყალებია მგელად და შვილნი მისნი და ღ უ ე რ კ ი სოფელი სამამულოდ უბოძებია, მოწმე, დამამტკიცებელი ვარ, მეცა გლახაკი, ქრისტეს მიერ ქართლისა კათალიკოზი არსენი. ვინ შეცვალად ჯელ-ყოს, წყეულ და შეზუნებულმცა არს. და მტკიცე-მყოფელნი ყოველნი აკურთხენს ღმერთმან და წმიდამან დედაქალაქმან.

[5] ქ. დაწერილისა ამისა მეცა დამამტკიცებელი ვარ უღირსი ბასილი ჭყონდიდელი, მწიგნობართუხუცესი და პროტოჟერტიმოსი, მტკიცეყოს ღმერთმან და შემცვალეზელთა ამისთა შერისხვითა მისცეს სასჯელი!

[6] ქ.ესე, ვითა არსენი ჭყონდიდელისა მგელად და შვილნი მისნი შეუწყალებიან და ღ უ ე რ კ ი სოფელი სამამულოს უბოძებია, მეცა, დიდისა მონასტრისა წინამძღუარი ნიკოლაოზ

მოწამე ვარ და დამამტკიცებელი. და ვინცა შეუცვალოს ღმრთისა დაისაბამოსა პირთამცა კრულია.

IV კეფი [7] ქ. ესე დაწერილი მე, ა ვ ა გ ა თ ა ბ ა გ ს ა და მიმტკიცებია.

[8] ქ. მე, შ ა ჰ ა ნ შ ა მანდატურთ-უხუცესსა დამიმტკიცებია ესე დაწერილი.

[9] ქ. ღმრთისა სწორთაგან საუფლოდთა ჯელითა დამტკიცებულისა მწიგნობართ-უხუ-ცესისაგან ბოძებულისა მ გ ე ლ ა ე ს ა და მისთა შვილთათუის სიმტკიცისა მოწმე ვარ ი შ ხ ნ ე ლ ყ ო ფ ი ლ ი და აწ საწოლისა და საჭურჭლისა მწიგნობარი ა ნ ტ ო ნ ი. მტკიცეყოს ღმერთმან. შემცვალეზელნი შეცვალნეს ღმერთმან ყოვლისა კეთილისაგან!

[10] ქ. ამის ღმრთისა სწორთა ბრძანებისადა მოწამე ვარ მე, მიწად მამურჩად მეჭურჭლეთ-უხუცესი (კორპუსი, 1984: 120).

დამოწმებული სიგელისა და A-85 ხელნაწერის მონაცემებზე დაყრდნობით, ს. კაკაბაძე დაასკვნის: „1224-1233 წწ. გარკვევით ცნობილია ქართლის კათალიკოსი არსენ ბულმაისიმისძე... შესაძლებელია მივიღოთ, რომ არსენ ბულმაისიმისძის შემდეგ საკათალიკოსო ტახტზე დამჯდარა მწ.-უხუცესი არსენი ჭყონდიდელი, არსენს ჭყონდიდელყოფილს შესდგომია კვლავ ახალი არსენი (თუ ის იგივე არსენი ბულმაისიმისძე არ არის, დროებით, შესაძლებელია, ტახტიდან გადამდგარი) ამის და მიხედვით აზულხოტრიძეთა ჩვენი სიგელის დამამტკიცებელი არსენი კათალიკოსი უნდა იყოს ვგულისხმობთ არსენ ბულმაისიმისძეს, რომელიც ამგვარად

ცოცხალი ყოფილა 1242-1245 წლების ახლო ხანებში. ჩვენი სიგელის მიმცემი არსენი ჭყონ-დიდელი და მწ. უხუცესი კათალიკოსად შემდეგ, როგორ ჩანს თანამდებობაზე ცოტა ხანს დარჩენილა და მწირად შიო-მღვიმეში წასულა, საკათალიკოსო ტახტზე სხვა არსენი მოსულა. არსენი მწიგნობართუხეცეს ყოფილი და შიო მღვიმის მწირი მოსწრებია ამ არსენის სიკვდილს და მისი მოადგილის მიქაელ კათალიკოსის მოსაყრდებობასაც“ (კაკაბაძე, 1913, 4).

ს. კაკაბაძის მიერ შედგენილი XIII საუკუნის პირველ ნახევრის საქართველოს კათალიკოსების სია ამგვარად გამოიყურება:

იოანე თამარის დროს მე-XIII საუკუნის დასაწყისში;

ეპიფანე – ჩანს 1218 წელს (ანისის ქართული წარწერით);

არსენი და გიორგი – (1218-1224 წწ. (შიომღვიმის „ზატიკის“ ცნობით);

არსენ ბულმაისიმისძე ჩანს 1224 წ. და 1233 წ. (შიომღვიმის „ზატიკისა“ და უნ. სიძვ. საც. A 85 ხელნაწერის ცნობებით).

არსენ ჭყონდიდელ კუზი. შიომღვიმეში შემონახონებული. ცოცხალია 1242-1245 წწ. (ქართლის ევის გრიგოლ სურამელის სიგელის მიხედვით და 1249 წ. გვარამასძეთა სიგელით).

არსენ ბულმაისიმისძე (აბულახტარისძეთა და გრიგოლ სურამელის სიგელების მიხედვით) 1240, 1242-45 წწ. ახლო ხანებში.

მექელ –1249 წელს (გვარამასძეთა სიგელით).

ნიკოლოზი –1250 წლიდან (მსახურთუხუცესი გრიგოლ სურამელის სიგელით).

კ. კეკელიძე არსენ ბულმაისიმისძის საკითხში სარგის კაკაბაძის დასახელებულ გამოკვლევას ემყარება (კეკელიძე. 1956, 343).

აკად. ნ. ბერძენიშვილმა დაწვრილებით განიხილა წინა პერიოდის მკვლევართა შეხედულებანი არსენის მოღვაწეობის შესახებ და პირველმა აღნიშნა, რომ A-85 ხელნაწერში იხსენიება ბულმაისიმისძედ და არა ბულმაისისძედ ან ბულმაისიძედ (ბერძენიშვილი, 1940: 409).

გარდა ამისა, ნ. ბერძენიშვილი ს. კაკაბაძის კვლევის შესახებ და აღნიშნავს, რომ სიის ავტორი ერთ პირად აღიარებს A-85 ხელნაწერით ცნობილ არსენი კათალიკოსს ბულმაისიმისძეს (ჟორდანიას, 1897: 107-108) და შიო მღვიმის „ზატიკით“ ცნობილ არსენის (ჟორდანიას, 1892: 80-81).

ბერძენიშვილი ფიქრობს, რომ კაკაბაძე ცდება, რადგან არ არის ცხადი, რომ არსენ ბულმაისიმისძე „1224 წ. საქართველოს ეკლესიას განაგებდა“ (კაკაბაძე, 1913: 4). შიომღვიმის „ზატიკში“ მოთავსებული ქართლის კათალიკოსთა სია, რომელიც, ს. კაკაბაძის აზრით, 1224 წელს უნდა იყოს შედგენილი, უკანასკნელ კათალიკოსად გიორგის ასახელებს, არსენის შემდგომს, ხოლო რაც შეეხება მეორე არსენის მოხსენიებას, ის აშიაზეა მიწერილი ამ ზატიკის გადამწერის მიერ 1270 წელს (ჟორდანიას, 1897: 79) და საფიქრებელია, რომ სწორედ მისი ჩანართი ცნობა იყოს (რომ ეს მინაწერი დედანში ყოფილიყო, გადამწერი მას აშიაზე კი არ დატოვებდა, არამედ ტექსტშივე მოათავსებდა). ამიტომ ამ მინაწერის მიჩნევა 1224 წელს შესრულებულად, მკვლევრის აზრით, შეცდომაა. გარდა ამისა, ეს მინაწერი საუკუნო მოსახსენებელს წარმოადგენს (ჟორდანიას, 1892: 81) და დაწერილია იმ დროს, როცა მასში მოხსენებული არსენი უკვე გარდაცვლილია. ამიტომ თუნდაც ს. კაკაბაძის თანახმად დაგვეშვა, რომ ეს მინაწერი 1224 წელს არის შესრულებული, მაშინაც კი შეუძლებელი იქნებოდა ამ მინაწერში მოხსენიებული არსენისა და არსენ ბულმაისიმისძის ერთ პირად მიჩნევა, რადგან ერთი მათგანი უკვე ცხრა წელია საუკუნო მოსახსენებელს საჭიროებს იმ დროს, როცა მეორე ჯერ კიდევ ჯანსაღადაა და მხოლოდ მრავალჯამეულობა შეშვენის (ს. კაკაბაძის აზრით, ის 1245 წელსაც კი ქართლის კათალიკოსია) (ბერძენიშვილი, 1940: 400).

ნ. ბერძენიშვილის საბოლოო დასკვნის მიხედვით, ს. კაკაბაძის დებულება „1224 წ. და 1233, წელს გარკვევით ცნობილია ქართლის კათალიკოსი არსენი ბულმაისიმისძე საეკლესიო მწერალი“ – დაუსაბუთებელია, სახელთა იგივეობის გარდა საერთო არაფერია ამ ორ არსენს შორის (ბერძენიშვილი, 1940: 401).

როგორც აღვნიშნეთ, ს. კაკაბაძის აზრი არსენ ჭყონდიდელის შესახებ შემდეგია: არსენი მწიგნობართ-უხუცესია 1242-1245 წწ. (დაახლოებით). შემდეგ ის შიომღვიმის მწირია კათალიკოს მწიგნობართუხუცეს ყოფილი. ცოცხალია ის 1249 წელს. არსენ ბულმაისიმისძის კათალიკოსობა, მკვლევრის მიხედვით, დაახლოებით 1245-1247 წლებს შორის უნდა მოდიოდეს, რადგან ამის შემდეგ სხვა არსენი კათალიკოსობდა, 1249 წელს კი საკათალიკოსო ტახტი მიქაელს ეპყრა.

ს. კაკაბაძის სქემის პირველი დებულება აბულახტარისძეთა სიგელის დათარიღებას ემყარება. ნ. ბერძენიშვილი ფიქრობს, რომ დათარიღება – 1242-1245 წლები – შესწორებას მოითხოვს, რადგან 1245 წელს რუსუდანი გარდაიცვალა. ის კარგა ხანია „ტკბილისა შვილისა თვისისა ნაღვლითა და ტკივილითა მწართა ილეოდა დასნეულებული“. მისი ძე მეფე დავითი ნარინი უკვე რამდენიმე წლის წინ ყარაყორუმს იყო წარგზავნილი. ცხადია, ამ წლებში სიგელის გაცემა, რომელსაც მეფენი რუსუდანი და დავითი ამტკიცებენ, ვერ მოხდებოდა. საფიქრებელი არაა, რომ დავით ნარინი 1242-1243 წელზე უფრო გვიან წასულიყოს, რადგან ყარაყორუმს წარგზავნამდე ბათო ყაენმა „ნარინ დავით მეფე ორი წლისა ჟამთა თვის თანა იპყრა“ და მხოლოდ ამის შემდეგ წარავლინა „ჩინმაჩინს და ყარაყორუმს“. 1245 წელს ის უკვე ყარაყორუმში იმყოფებოდა. უნდა ვიფიქროთ, რომ საქართველოდან ის 1242 წლის ბოლოს ან 1243 წლის დასაწყისში გაემგზავრა. ჭყონდიდელის ელჩობა კი ბათო ყაენტან ამაზე უფრო ადრე უნდა მომხდარიყო. 1238-1239 წლებში რუსუდანი ჯერ კიდევ არ ემორჩილებოდა მონღოლებს. ამ დროს ჯერ კიდევ მათ განდევნას ცდილობდა, რასაც მოწმობს მისი წერილი რომის პაპის გრიგოლ IX-ის მიმართ. 1240 წელს პაპის უარყოფითი პასუხი მოდის. დახმარების და შველის იმედი არსაიდან ჩანს (თამარაშვილი, 1902: 14-17) და რუსუდანიც ბედს ემორჩილება. მკვლევარის აზრით, ამ დროს უნდა წასულიყვნენ ელჩები მისდა „სამსახურად“ ბათო ყაენტან. სიგელი დაწერილია არსენ მწიგნობართ-უხუცესის ელჩობიდან დაბრუნების შემდგომ. ამიტომ უფრო მართებულია, სიგელის დათარიღება 1241-1242 წლებით“ (ბერძენიშვილი, 1940, 403).


მიუხედავად იმისა, ნ. ბერძენიშვილს ეჭვი ეპარება ს. კაკაბაძისეულ დათარიღებაში, თუ ვიმსჯელებთ სიგელის და A-85 ხელნაწერის მიხედვით, არსენ ბულმაისიმისძე 1233 წელს კათალიკოსია და აქტიურად არის ჩართული, როგორც საეკლესიო ცხოვრებაში ასევე შემოქმედებით საქმიანობაშიც.

A-85 ხელნაწერის მიხედვით, 1233 წლისათვის ის კათალიკოსია, ხოლო კათალიკოსობა, იმდროინდელი საეკლესიო კანონების მიხედვით, შეიძლება მხოლოდ 35 წლის ასაკიდან. გ. მიქაძემ ეჭვქვეშ დააყენა ნ. ბერძენიშვილის თვალსაზრისი იმის თაობაზე, რომ არსენი იყო არა ქართლის, არამედ აფხაზეთის კათალიკოსი. ასევე ყურადღება მიაქცია ხელნაწერთა მონაცემებს და დაასაბუთა, რომ არსენი ამ დროს ქართლის (ე. ი. საქართველოს) კათალიკოსია.

საგალობელთა კომენტარებიდან გამომდინარე, მათი შექმნისას არსენ ბულმაისიმისძე ყოფილა საქართველოს (A-85 ხელნაწერის მონაცემებით, ქართლის) კათალიკოსი. ხელნაწერი 1233 წლითაა დათარიღებული, ე. ი. არსენი ამ დროს საქართველოს კათალიკოსია. აქვე ხაზგასმით უნდა აღვნიშნოს, რომ არსენი უძველეს ხელნაწერებში, სადაც მისი თხზულებებია შემონახული, იხსენიება ბულმაისიმისძედ. მისი მოხსენიება ბულმაისიმისძედ ან ბულმაიმედ გვიანდელი, XVII-

XVIII საუკუნეების ტრადიციაა. ეს ფაქტი პირველმა ნ. ბერძენიშვილმა აღნიშნა (ბერძენიშვილი, 1940, 409)

ხელნაწერის A 85-ის ცნობების მიხედვით, „ესე უფალო დადადყავი ითქუა არსენის მიერ კათალიკოზისა“ (284r). მსგავსი შინარსის ცნობა დაცულია ხელნაწერის მეორე ადგილას: „თვთძლისპირნი ზესთ გამოთქუმისა კელთუქმნელისა ხატისანი, ესეცა არსენისგანვე თქმულნი კათალიკოზისა“ (284r).




დამოწმებული კომენტარი ეკუთვნის ტბელ აბუსერისძეს – A-85 ხელნაწერის რედაქტორ-შემდგენელს – შესრულებულია კალიგრაფ ბასილის მიერ და ჩართულია ტექსტში. ამიტომ არავითარ ეჭვს არ იწვევს და არსენ ბულმაისიმისძის კათალიკოსობა 1233 წელს სადავო არ არის.

A-85 ხელნაწერში არსენი ორჯერ იხსენიება ქართლის კათალიკოსად. თუმცა ეს არ აღმოჩნდა საკმარისი, ცნობებმა ვერ მოიპოვა საყოველთაო აღიარება და ამ მეტად მნიშვნელოვანი საკითხის გარშემო დღესაც აზრთა სხვადასხვაობა იჩენს თავს.

A-85 ხელნაწერის რედაქტორი ტბელ აბუსერისძე, რომელიც არსენის თანამედროვე და თანამოდვეაწეა, იამბიკური სვინაქსარის წარდგინება-სათაურში წერს: „ესე იამბიკონნი ხუთთა თუეთა მეტნი არ იყუნეს ენასა ზედა ქართულსა და ოთხთა თუეთანი არსენი ბულმაისიმისძემან თქუა ქართლისა კათალიკოზმან ჩემითა შეხუეწითა“ (224r).

აქვე მოგვყავს აღნიშნული კომენტარის ხელნაწერის ფოტო:




ნ. ბერძენიშვილი ასკვნის, რომ ეს ცნობა აშიაზეა მინაწერი. ის შესრულებულია სინგურით. ხელი ჰგავს ტექსტის ხელს. იგივეობა არ ითქმის. მაგრამ თავი და თავი, მკვლევრის აზრით, აქ ისაა, რომ მთელი ეს მინაწერი რაღაცა ანაფხეკის ადგილზეა მოთავსებული. ამიტომაც ამ მინაწერის ცნობა საეჭვოა მიუხედავად მისი დამაჯერებელი შინარსისა და პირველ ყოვლისა საეჭვოა მისი 1233 წლისადმი მიკუთვნება“ (ბერძენიშვილი, 1940, 401).

სინამდვილეში, არავითარი საფუძველი არ არსებობს, ეჭვი შევიტანოთ დამოწმებული ცნობის ავთენტურობაში. ბოლოდროინდელმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ A-85 ხელნაწერი,

ლიანა ზოიკი

მართალია არ არის გადაწერილი ტბელ აბუსერისძის მიერ, მაგრამ იგი თავიდან ბოლომდე აკონტროლებს კალიგრაფის საქმიანობას და ხშირად შეაქვს ხელნაწერში ცვლილებები. თვით ეს კომენტარიც სქოლიოში ტბელ აბუსერისძეს შეუტანია (აბუსერისძე, 1998: 319). გამომდინარე აქედან, A-85 ხელნაწერში ძველი მინაწერის გაუქმება (გადაფხეკა) და მის ადგილზე ახლის შეტანა ტბელ აბუსერისძის მითითების გარეშე არ ხდებოდა (არც ის არის გამორიცხული, რომ ტბელ აბუსერისძეს თავად ჩაეწერა ხელნაწერში მოკლე კომენტარი), რაც უფრო მეტ დამაჯერებლობას სძენს ხელნაწერის მინაწერებსა და კომენტარებში დაცულ ცნობებს.

მეორე ცნობა თვით ტექსტშია მოთავსებული და იკითხება: „უფალო ღაღატყავი ხატისა უხილავისაჲ ამავე გალბითა თქუმული არსენი ბულმაისიმისძისაგან ქართლისა კათალიკოზისა“ (278v).




ეს ცნობა უდავოდ ტექსტის ხელითაა ნაწერი, მაგრამ, ნ. ბერძენიშვილის დაკვირვებით, გამოთქმა „ქართლისა კათალიკოზისა“-ს ნაწილი: „ქართლისა კთკ“ ანაფხეკვია დაწერილი. ხელი ამ გამოთქმის ნაწილისა საერთოდ ჰგავს მთელი ცნობის ხელს, მაგრამ კიდევ უფრო ჰგავს პირველი ცნობის ხელს, რომ ეს გამოთქმა შემდეგ არის ჩაწერილი ეს იქიდანაც ცხადია, რომ ჩამწერი იძულებული გამხდარა ასო „ქ“-ანი ხაზს ქვედა ასოდ ექცია (მაშინ როცა სხვაგან ამ ხელნაწერში ეს ასო სიტყვის დასაწყისში სამხაზოვანია) და ეს იმიტომ, რომ ადგილის სიმცირის გამო და ჩასაწერის მთლიანად მოთავსების მიზნით ეს ბგერა ზემო სტრიქონის ერთი ხაზს ქვედა ასოს („გ“-ანის) ქვეშ დაუწერია. ამავე მიზეზით აიხსნება ის მოვლენაც, რომ სიტყვა „ქართლისა“-ს ბგერები უფრო წვრილია, ვიდრე ცნობის დანარჩენი სიტყვებისა, უფრო წვრილია ისინი აგრეთვე „კთკ“ ბგერებზედაც. ჩანს, ჩამწერს ადგილის სიმცირის შიშით ერთობ წვრილი ასოებით დაუწყია და როცა საკამაო ადგილი მორჩენია „ქართლისას“-ს დაწერის შემდეგ, „კთკ“ ასოებიც გაუმსხვილებია. ნ. ბერძენიშვილის აზრით, ერთი რამ (ორივე მოყვანილ ცნობათა დაკავშირებით) ცხადია – არსენ ბულმაისიმისძის „ქართლის კათალიკოსობა“ 1233 წელს არ ეკუთვნის.

სინამდვილეში, უფალო ღაღატყავის წარდგინება-სათაურე ტბელ აბუსერისძისეულია და მასში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს.

ამავე ხელნაწერის 293v გვერდზე არსენი კათალიკოსად იხსენიება, თანაც არა აშიაზე ან ანაფხეკვზე, არამედ ტექსტში და ტექსტისავე ხელით:

„თუესა აგვსტოსა: ივ: თაყუანის-ცემაჲ ცხოველს მყოფელისა და საუფლომსა ხატისა ჳელით უქმნელისაჲ, ოდეს მიყვანებულ იქმნა ედესაით კონსტანტინეპოვლედ, ხოლო მეორედ ვინაითგან მოემადლა ნათესავსაცა ჩუენსა... ანტონი მარტყოფელისა მიერ და დღესა ფერისცვალებისასა ვემთხუჭვით კეცსა ზედა გარდამოტიფრულისა ტილომსა მიერ: ამისთვს ეს უფალო ღაღატყავი ითქუა არსენის კათალიკოზისა ესე რომელი ამას ზემოდთ წერილ არს“.

აქ მოხსენებული არსენი კათალიკოზიც, ცხადია, იგივე არსენი ბულმაისიმისძეა.



ნ. ბერძენიშვილმა, როგორც დავინახეთ, სრულიად უსაფუძვლოდ გამოუცხადა უნდობლობა A-85 ხელნაწერის წინა ორ კომენტარს და ეჭვქვეშ დააყენა არსენის კათალიკოსობა ქართლში (საქართველოში). მეტიც, მკვლევარი უფრო შორს წავიდა, უარი ვეღარ თქვა არსენის კათალიკოსობაზე, მაგრამ იგი არა ქართლის, არამედ აფხაზეთის კათალიკოსად გამოაცხადა: „დაშვება იმისა, რომ, თითქოს „ქართლსა კთვზისა“ ადგილას აფხეკამდის სხვა რაიმე პატივი (არა კ-ზობა) ეწერა, დაუშვებელი ხდება. მამ „კათალიკოზისა“ უნდა წერებულებო. რამ აიძულა ჩამრთველი საგანგებოდ ამოეშალა „ქართლისა“ ჩაემატებინა? ხომ არ ეწერა იქ „ქართლისა“-ს მაგივრად „აფხაზეთა“ ან „იმერეთა“ (ბერძენიშვილი, 1940, 402).

გ. მიქაძე მიიჩნევს, რომ სქოლიოში წარმოდგენილი მინაწერის „ხელი ჰგავს ტექსტის ხელს“, მაგრამ მაინც „იგივეობა არ ითქმის“. მკვლევარი არ ეთანხმება ბერძენიშვილს და აღნიშნავს: „მართალია მინაწერის ხელი განსხვავდება ტექსტის ხელისგან, თუმცა მათი დამწერი ერთი კალიგრაფიული სკოლის წარმომადგენლები უნდა იყვნენ. სწორია ისიც, რომ აღნიშნული მინაწერი ანაფხეკის ადგილზეა მოთავსებული. მაგრამ ეს კიდევ არ გვადლევს იმის უფლებას, რომ „მიუხედავად მისი დამაჯერებელი შინაარსისა“, ცნობა საეჭვოდ ვცნოთ. მინაწერის ცნობა არსენის ქართლის კათალიკოსობის შესახებ აშკარად საეჭვო იქნებოდა მაშინ, თუ ანაფხეკზე ეწერებოდა მთლიანად ცნობა კი არა, არამედ მხოლოდ გამოთქმა „ქართლის კათალიკოზმან“. რადგან ასეთ შემთხვევაში მიქაძის აზრით, საქმე გვექნებოდა სიყალბის მქნელობასთან. საინტერესო ის არის, რომ მინაწერი მთლიანად დაწერილია ანაფხეკზე. ეჭვგარეშეა, რომ გამოთქმა „ქართლის კათალიკოზმან“ დაწერილია ამ მინაწერთან ერთად. ესე იგი ძველი ნაწერი ამოუფხეკიათ არა იმიტომ, რომ აქ პირველად „ქართლისას“ მაგივრად სხვა სიტყვა ეწერა და მისი მოსპობა სურდა ამის ჩამდენს (მაშინ ამ ცნობის დამწერი ამოფხეკდა მხოლოდ ერთ სიტყვას, რომლის მაგივრადაც „ქართლისა“ უნდა ჩაეწერა), არამედ სულ სხვა, ჩვენთვის უცნობი გარემოების გამო (მიქაძე, 1963: 119-120).

როგორც ზემოთ აღნიშნა, მინაწერის ხელი განსხვავდება ტექსტის ხელნაწერისგან. ტექსტი და მინაწერი სხვადასხვა პირის მიერაა შესრულებული. ტექსტი გადაწერილი უნდა იყოს უცნობი გადაწერის მიერ, რომელსაც შეცდომა მოსვლია გადაწერის პროცესში. რის შემდგომ

ტბელ აბუსელიძეს ამოუფხვია შეცდომიანი ტექსტი და თვითონ შეუსრულებია ჩვენთვის საინტერესო მინაწერი. ამგვარად, ცნობას გვაწვდის ტბელ აბუსერიძე, რომელიც ცხადად და გასაგებად ამბობს: ოთხი თვის იამბიკოები არსენი „ქართლისა კათალიკოზმან ჩემითა შეხუჭითა“ თქვაო. ძნელი დასაჯერებელია, რომ ტბელ აბუსერიძემ, რომელსაც ძალიან ახლო ურთიერთობა ჰქონდა არსენ ბულმაისიმისძესთან, არ სცოდნოდა არსენ ბულმაისიმისძე ქართლის კათალიკოსი იყო თუ აფხაზეთის (ან იმერეთის).

აქედან გამომდინარე, ნ. ბერძენიშვილის მოსაზრება, რომ საეკვია მინაწერის 1233 წლით დათარიღება და აქედან გამომდინარე, ნდობას არ იმსახურებს – უსაფუძვლოა. ამას ადასტურებს ტბელ აბუსერიძის სიტყვები – „ჩემითა შეხუჭითა თქმული“. ეს მინაწერი შემდეგი დროისაა რომ იყოს, მაინც უცვლელი სახით იქნება ამოწერილი დედნიდან, როგორც ეს საერთოდ მიღებული იყო მაშინდელ პრაქტიკაში. მოკლედ, რომ ვთქვათ, ამ მინაწერის მიხედვით, 1233 წელს არსენი ქართლის კათალიკოსია და ოთხი თვის იამბიკურ სვინაქსარს წერს ტბელ აბუსერიძის თხოვნით.

გარდა ზემოთქმულისა, რუსუდან დედოფლის დროს არსენ ბულმაისიმისძის კათალიკოსობაზე მიუთითებს შემდეგი გარემოებები:

1. XII-XIII საუკუნეებში საქართველოს კათალიკოსები იხსენიებიან „ქართლის კათალიკოსებად“. მაგალითად, ბასილი ეზოსმოდვარი წერს: „ხოლო წინამძღვართა კრებისათა ნიკოლას და ანტონი... არა ინებეს შორის მათსა ყოფად მაშინდელი იგი ქართლისა კათალიკოსი, რამეთუ წინაუკმო იწყო წესთაგან ეკლესიისთა“. საუბარია გიორგი მესამისა და თამარის თანამედროვე საქართველოს კათალიკოს მიქაელზე. „მოკუდა ქართლის კათალიკოსი“ და ა. შ. (სულავა, 2003: 315).

2. XIII საუკუნის ერთ-ერთ ხელნაწერში არსენის თხზულებას – „გალობანი წმიდისა მოციქულისა ნინოისნი“ ქარაგმით მიწერილი აქვს ავტორის ტიტული „ქ. კ~ ზი“ (4r), რაც „ქართლის კათალიკოსს“ ნიშნავს.

3. არსენის საგალობლებიდან ჩანს, რომ იგი „ქართლის სამეფოსა მოქალაქეა“.

4. არსენის საგალობლებში, ისე მწვავედ არის განცდილი მონღოლ-ხვარაზმელთა შემოსევა, რომ, ცხადზე ცხადია, მათი დამწერი უშუალო მოწმეა თვითმხილველია აღნიშნული ამბისა.

არსენ ბულმაისიმისძის დაბადება-გარდაცვალების შესახებ ზუსტი ცნობები არ გვაგვს, მაგრამ მაინც ხერხდება მისი მოღვაწეობის დროის გარკვევა.

როგორც ჩანს, წარმოშობით არსენ ბულმაისიმისძე მაღალი წრიდან ყოფილა, რადგან საეკლესიო იერარქიის უმაღლესი თანამდებობისთვის მიუღწევია. გამომდინარე აქედან, მას სათანადო სწავლა-განათლება მიუღია, რაც ნათლად ჩანს მისი ნაწერებიდან, კერძოდ, ფილოსოფიური შინაარსის ეპისტოლეიდან, რომელიც მას გელათიდან გაუგზავნია აბუსერ აბუსერიძისათვის, იამბიკური სვინაქსარიდან და ა. შ.

XIII საუკუნის პირველ ნახევარში ქართველი ხალხის მშვიდი ცხოვრება და ქართული კულტურის აღორძინება მოულოდნელად შეწყდა თათარ-მონღოლების და ხვარაზმელების შემოსევების გამო. საქართველოში მონღოლები პირველად ხვარაზმელებთან ბრძოლამ მოიყვანა. უგზო-უკვლოდ გაქცეულ მიჰამედ ხვარაზმშაჰს ჩინგის-ხანმა მრავალრიცხოვანი ჯარი დაადევნა. 1220 წელს ეს ჯარი საქართველოს საზღვრებსაც მოადგა, დაარბია ქვეყანა და პირი უკუიქცია. რამდენიმე წლის შემდეგ, 1225 წელს, საქართველოს შემოესია ხვარაზმელთა სულტანის ჯალალედინის მარბიელი ჯარი, რომელიც მთელ აღმოსავლეთ საქართველოს წურბელებივით მოედო. ჯალალ-ედინის ხუთწლიანი თარეშით აოხრებული საქართველო ჯერ კიდევ წელში არ იყო გამართული, რომ 1235 წელს თათარ-მონღოლთა ურდოები ხელახლა

მოველინა საქართველოს საზღვრებს. მტერი მთელი ძალით წინ მოიწევდა და აოხრებდა ქვეყანას. მრავალჯერ დაიპყრო საქართველოს ციხეები, ქალაქები, დაბეები და სტრატეგიული პუნქტები. 1240 წელს კი უკვე მტერს ეპყრა საქართველოს მთელი აღმოსავლეთი ნაწილი. დაპყრობას ყოველთვის თან სდევდა მოსახლეობის აუტანელი შევიწროება და კულტურული კერების საშინელი განადგურება.

ასეთ ურთულეს ჟამს იწერებოდა არსენ ბულმაისიმისძის საგალობლები, რათა ხალხში განემტკიცებინა რწმენა და მტრის ძლევის იმედი.

ჩვენი აზრით არსენ ბულმაისიმისძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ქრონოლოგიას შემდეგია. არსენი ცხოვრობდა დაახლოებით 1185-1250 წლებში, ხოლო საქართველოს კათალიკოსი და ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი იყო 1224-1247 წლებში. ხვარაზმელთა შემოსევის დროს არსენი სამეფო კართან ერთად დასავლეთ საქართველოში გადავიდა და 1226-1233 წლები დაჰყო გელათის სავანეში. ამ დროს მისი სვინგელოსის (მრჩველისა და თანაშემწის) მოვალეობას ასრულებდა სამეფო კარის ეპისკოპოსი საბა. დაახლოებით 1230 წელს დავით VII (რუსუდანის ძე, შემდგომში დავით ნარინი) აკურთხა ქუთაისში რუსუდან დედოფლის თანამოსაყდრედ და “სრულყო... წესი კურთხევისა”. გელათში ყოფნის დროს არსენს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ხიხათა (აჭარის) ერისთავთ-ერისთავების სახელოვან წარმომადგენლებთან - აბუსერ, ვარდან და ტბელ აბუსერიძეებთან, რასაც მოწმობს ხელნაწერი A-85 (1233 წ.). ამ ხელნაწერში ტბელ აბუსერისძეს შეუტანია არსენ ბულმაისიმისძის 4 ტექსტი: 1. „უფალო დადადყავსა ხატისა უხილავისა და სხუანი მეოთხის გუერდისნი გალობანი“ (დაწერილი ვარდან აბუსერისძის თხოვნით); 2. „თვთძლისპირნი გალობანი ჳელთუქმნელისა ხატისანი მეორის გუერდისნი“ (დაწერილი აბუსერ აბუსერისძის თხოვნით); 3. „ეპისტოლე აბუსერ აბუსერიძისადმი“. 4. „თებერვალ-მაისის იამბიკური სვინაქსარი“ - იოანე პეტრიწის თხზულების გაგრძელება, რომელიც არსენს დაუწერია ტბელ აბუსერისძის თხოვნით. 1233 წლიდან არსენი ისევ მცხეთაშია. რუსუდან დედოფლის თხოვნით, 1240 წელს ის, დავით VII-ის მეფედ დამტკიცების მიზნით, ქართველ დიდებულებთან ერთად ელჩად იმყოფებოდა ყარაყორუმში ბათო ყაენთან, რასაც გვაუწყებს მისი „დაწერილი“ მგელა აბულახტარისძისადმი: „მას ჟამსა, ოდეს ღმერთმან და ვიკადრო - გამზრდელმან ჩემმა მეფეთ-მეფემა რუსუდან ბათოისსა გამგზავნეს სამსახურად, შენ მაშინ თანა მევე და დიდი მოიჭირვე და ჳირნი ჳნახენ“. 1247 წელს გუიუქ-ყაენმა ორივე დავითი (VII - რუსუდანის ძე და VIII - გიორგის ძე) დაამტკიცა საქართველოს სამეფო ტახტზე. კათალიკოსის საყდარზე ამ პერიოდიდან არსენ ბულმაისიმისძეს შედარებით ნეიტრალური კანდიდატი სცვლის, თავად მწიგნობართუხუცეს-ყოფილი კი შიო-მღვიმის მონასტერში მიდის, რის შესახებაც ცნობას გვაწვდის „დაწერილი გრიგოლ სურამელისა მღვიმისადმი“. შიო-მღვიმეში მწირობის დროს არსენმა დაწერა წმ. შიო მღვიმელის სვინაქსარული ცხოვრება და “გალობანი წმიდისა შიო მღვიმელისანი”, რომლის აკროსტიქიც შეიცავს ბიბლიოგრაფიულ ცნობას: “არსენი ქართლისა კათალიკოსი შიოს უგალობ”.

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ არსენ ბულმაისიმისძის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მწირი ინფორმაცია გვაქვს, ხელნაწერებზე დაყრდნობით თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ არსენი გახლდათ XIII საუკუნის უდიდესი ჰიმნოგრაფი, რომლის საგალობლები ფილოსოფიურ-თეოლოგიურ აზროვნების მაღალ დონეს განეკუთვნება. რომელმაც შემოქმედებითი სახით გადმოგვცა თავისი ინტელექტუალური, სულიერი, მორალური, ეროვნული თვითშეგნება ქართული ერის განსაკუთრებულობის, მისი გამორჩეულობის დასაბუთებით. მისი საგალობლები ცხადყოფს ავტორის მწერლურსა და მჭერმეტყველურ ნიჭს, რომლებსაც ახასიათებთ აღზევებული, ერისა და რწმენის განმადიდებელი სტილი.

*LITERATURE***ARSEN BULMAISIMISDZE BIOGRAPHY**

DIANA ZOIDZE

Batumi Shota Rustaveli State University

Arsen Bulmaisimisdze was a modern-day famous hystorical figure of Queen Rusudan. He was Ecclesiastical and public figure, Royal chancellor/vizier-Chkondideli and Catholicos-Patriarch of Georgia, hymnographic and writer. From the sources we heve received, it is clear that his public and literary activities are connected with prominent Eristavt-Eristavs Vardan, Tbel and Abuser Abuserisdze, whose hymns belong to a high level of philosophical-theological thought. Who creatively conveyed to us his intellectual, spiritual, moral, national self-consciousness by substantiating the peculiarity of the Georgian nation and its distinctiveness. His hymns demonstrates the author's writing and eloquent talent which are characterized by ascending, priceworthy style of nation and faith.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბუსერისძე 1998: აბუსერისძე ტბელი, თხოულეზანი გამოსაცემად მოამზადეს მ. ქავთარიამ, რ. ჩაგუნავამ და ნ. გოგუაძემ. ბათუმი, 1998.
2. აბულაძე 1958: აბულაძე ი., ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, XXIV, თბ., 1958.
3. ბაგრატიონი 1980: ბაგრატიონი ა., წყობილსიტყვაობა, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა. გამომცემლობა „მეცნიერება“ თბ., 1980.
4. ბატონიშვილი 1936: ბატონიშვილი ი., კალმასობა, თბ., „სახელგამი“ 1936.
5. ბატონიშვილი 1948: ბატონიშვილი ი., კალმასობა, გამოსაცემად მოამზადეს კ. კეკელიძემ და ალ. ბარამიძემ. II, თბ., 1948.
6. ბერაძე 1943: ბერაძე პ., ქართული იამბიკოს შესახებ, „საქართველოს სსრ. მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“. IV, 1943.
7. ბერძენიშვილი 1940: ბერძენიშვილი ნ., სავაზირო ფეოდალურ საქართველოსი (ჭყონდიდელ-მწიგნობართ-უხუცესი) ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის V-VI, Tb., 1940.
8. ბრეგაძე 1973: ბრეგაძე თ., ქართული ხელნაწერთა აღწერილობა, (A კოლექციისა) I, თბ., 1973.
9. მიქაძე 1963: მიქაძე გ., ლიტერატურული მიეზანი, XV, თბ., 1963.
10. ჟორდანია 1897: ჟორდანია თ., ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, II, 1897.
11. კარბელაშვილი 1898: კარბელაშვილი პ., ქართული საერო და სასულიერო კილოები, თბ., 1898.
12. კარბელაშვილი 1900: კარბელაშვილი პ., იერარქია საქართველოს ეკლესიისა. კათალიკოსნი და მღვდელ-მთავარნი, თბ., 1900.
13. კაკაბაძე 1963: კაკაბაძე ს., XIII საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს კათალიკოსები, თბ., 1963.

14. **კეკელიძე 1960:** კეკელიძე კ., ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, თბ., 1960.
15. **კეკელიძე 1956:** კეკელიძე კ., ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, თბ., 1956.
16. **კორპუსი, 1984:** შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა. „მეცნიერება“ თბ., 1984.
17. **სირაძე 1992:** სირაძე რ., ქრისტიანული კულტურა და ქართული მწერლობა, I, თბ., 1992.
18. **სილაგაძე 1997:** სილაგაძე ა., ძველი ქართული ლექსი და ქართული პოეზიის უძველესი საფეხურის პრობლემა., თბ., 1997.
19. **სულავა 2006:** სულავა ნ., ქართული ჰიმნოგრაფია, ტრადიცია და პოეტიკა, თბ., „ზეკარი“ 2006.
20. **სულავა 2000:** სულავა ნ., პოლიტიკური იდეოლოგია XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია, სამეცნიერო კონფერენცია – „ქრისტიანობა, წარსული, აწმყო, მომავალი“, მოხსენებათა მოკლე შინაარსი, თბ., 2000.
21. **ჩხიკვაძე 1996:** ჩხიკვაძე ნ., „ავგაროზის ეპისტოლის შესახებ“ ჟურნ. „გზა სამეფო“, N1, 1996.
22. **ჩიკვაძე 2010:** რელიგიის ისტორიის საკითხები, I, თბ., 2010.
23. **ცაიშვილი 1948:** ცაიშვილი ს., ნიკო დადიანი, თბ., 1948.
24. **ჭელიძე 1997:** ჭელიძე ე., საქართველოს მართმადიდებლური ეკლესიის ისტორია, „საქართველოს საპატრიარქო“, N1, 1997.
25. **ჭიჭინაძე 1887:** ჭიჭინაძე ზ., ქართული მწერლობა XIII-XVI საუკუნეების, თბ., 1887.
26. **ჯაფარიძე 1998:** ჯაფარიძე ა., საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, „საქართველოს საპატრიარქო“, II, თბ., 1998.
27. **ჯავახიშვილი 1984:** ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, VII, 1984.

ენათმეცნიერება

ბგერის დაკარგვისა და განვითარების უმთხვევები ტაოურში

გამია ფალავა, გაია ბარაშიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანოტაცია: სტატიაში სავლელე ექსპედიციების გზით მოპოვებულ მასალაზე დაყრდნობით განხილულია ბგერის დაკარგვისა და ბგერის ჩართვის შემთხვევები ტაოურ დიალექტში. აღნიშნულია, რომ ფონეტიკურ დონეზე ტაოური ბგერ საერთოს ამჟღავნებს სხვა სამხრულ (აჭარული, კლარჯული, შავშური) კილოებთან, თუმცა იკვეთება ინდივიდუალური მახასიათებლებიც.

საკვანძო სიტყვები: დიალექტი, ბგერის დაკარგვა, ბგერის ჩართვა, სამხრული კილოები.

ტაოური მკვეთრად გამოკვეთილი ქვესისტემაა ქართული ენისა. იგი ისტორიული ტაოს მკვიდრთა მეტყველებაა. ტაოური ერთ დროს ვრცელ ქართულ ქვეყანაში იყო გავრცელებული, ჩვენამდე მისი „ნამსხვრევებილა“ მოღწეულა ოდენ. ტაოს დიდი ნაწილი მეტურქულეა, ტაოური ქართული გადარჩენილა ერთ მცირე ხეობაში გაშენებულ რამდენიმე სოფელში და ბინათში, ტაოსა და კლარჯეთის მესაზღვრე სოფელში. მოგზაურთა თუ მკვლევართა ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ საუკუნის წინ ქართულად საუბრობდნენ (მოხუცები მაინც) ოთხთა ეკლესიაში, იშხანში, ფანასკერტში, უტავში, პარხალში... იქნებ სხვაგანაც. მიუხედავად ტაოურ დიალექტზე მოსაუბრეთა რიცხვის სიმცირისა, მიუხედავად იმისა, რომ მექართულე ტაოს მკვიდრნი ორენოვანია და მათი ქართული განიცდის თურქული ენის ძლიერ ზეწოლას, შესაძლებელი ხდება ტაოურის ლინგვისტური პორტრეტის აღდგენა.

სტატიაში ვსაუბრობთ ტაოურის ფონეტიკური თავისებურებების ორ შემთხვევაზე, - ბგერის გაჩენისა და დაკარგვის შემთხვევებზე ტაოურში.

1. ბგერის დაკარგვა. ბგერის დაკარგვა ერთ-ერთი გავრცელებული მოვლენაა დიალექტებში, მათ შორის ტაოურშიც. იკარგება როგორც თანხმოვანი, ისე ხმოვანი ბგერა.

ა. იკარგება მ. ტაოურში ხშირად იკარგება სიტყვის თავკიდურა მ:

ქორუგი დიდია, ძიმე (ხევეკი), შდრ. მძიმე; დინარე ყოფილა (დუგური), შდრ. მდინარე; შაღლამ ვჭამთა, ჟავე ვუჯებით (იეთი), შდრ. მჟავე; ზე ამოვა, ზე ჩავა (ქუაბაგი), შდრ. მზე; ქალი... სუქანი'და იყოს... (ელიასხევი), შდრ. მსუქანი; ძაღე ყველი ან შავი ყველი ქვია (ფიშნარხევი), შდრ. მძაღე; ... შიერები იყვენ (ქუაბაგი), შდრ. მშიერები; [ტყეში]... გელი არი (ქუაბაგი), მგელი; ახლა ჩემი არი, ჰამა ი ჭახეა (ბინათი), შდრ. მჭახე; ბოლქვამე გვარი აქ ბევრია, ჭედლიშვილი, ზალუმოდლი (ბინათი), შდრ. მჭედლიშვილი; ეს სხალია, ჰო! სხალი და! (ცუცეკარი), შდრ. მსხალი; ვიცით თუარე, ზე, ზითუალიც ვიცით (ელიასხევი), შდრ. მითუარე, მზე, მზისთუალი; ზემ გედემარა (ელიასხევი), შდრ. მზემ; იმ თას ბოწმინდა ქვია (ელიასხევი), შდრ. მთას; [ფესტილი]... ქლიავიდან ცოტა ჟავეა (ელიასხევი), შდრ. მჟავე; ჩუენი ჩად წარეა (ელიასხევი), მწარეა; ახლა თავრობა მოვდა (ელიასხევი), შდრ. მთავრობა; ერთხელ თის წვერზე ცოტა

გათოვლებულა (ელიასხევი), შდრ. მთის; თაზე შენი დეკეული,/მაგან რან'და მეფეველოს (შოშ.2018:126), შდრ. მთაზე...

სიტყვის თავში მ იკარგება მხოლოდ თანხმოვნისწინა პოზიციაში, ხმოვნის წინ მ'ს დაკარგვის შემთხვევა არ დაგვიდასტურებია.

შედარებით მცირეა მ'ს სიტყვის ფუძიდან დაკარგვის შემთხვევები. იკარგება სხვადასხვა პოზიციაში მდგარი მ:

V-V:

ზომილე (ქუაბაგის უბანი), შდრ. **ზომომილე**; ეს მისი **დააბრუნებელი** და... (ხევეკი), შდრ. **დამაბრუნებელი**.

V-C:

გუდმოდმა **უზევი** ვუძახივარ (ხევეკი), შდრ. **უმზევი**.

C-C:

მასკვა მუსლიმანი **შექნილა** (ქისქიმი), შდრ. **შექმნილა**.

აღნიშნავთ, რომ მ'ს დაკარგვა სხვა სამხრული კილოებისთვისაცაა დამახასიათებელი (იხ. ნიჟარაძე, 1957; კლარჯეთი, 2016:532; შავშეთი, 2011; ფაღვა, 2003:227-232).

ბ. იკარგება რ. სონანტი რ' იკარგებოდა ძველსა და საშუალო ქართულში, იკარგება დიალექტებში, ასევე კოლხურსა და სვანურში. ივ. ქავთარაძის აზრით, „რ'ს დაკარგვის მოვლენები შინაგან კავშირშია თვით ამ ბგერის ბუნებასთან. ისტორიულად იგი არ იყო მყარი ფონემა ქართველურ ენებში. რ ხშირად განიცდიდა პალატალიზაციას და იკარგებოდა როგორც ხმოვნებს შორის, ისე თანხმოვნებთანაც“ (ქავთარაძე, 1964:134; შდრ. ქალდანი, 1963:209; იმნაიშვილი, 1974:202; შარაძენიძე, 1963:229). აღნიშნავთ, რომ სამწერლობო ქართულისათვის რ'ს დაკარგვის კანონზომიერებებს ანალოგი მოეპოვება სამხრულ მეტყველებაში (იხ. ცინცაძე, ფაღვა, 1998:12 და შემდეგ; ფაღვა, 2002(1):189-199), ბუნებრივია, ტაოურ დიალექტშიც.

ტაოურში რ იკარგება სხვადასხვა პოზიციაში:

V-V:

ჩვენებურა **ხვა'ათობდეს...** (ქონობანი), შდრ. **ხვარათობდეს**; ჩვენებურა **ხვა'ათობ** და იმბარზე გიმძირვარ (ქონობანი); ზოგნი გურჯიჯა აღარ **ხვა'ათობენ...** (ბალხიბარი); აბანჯი არ პარიკობენ... ქართული **ეპაძვე** სიფთა (ელიასხევი), შდრ. **ეპარიკეუეპაიკეუეპაძვე...**

ზოგჯერ რ' შენარჩუნებულია:

დავდგნეთ ერთი **ვიპარიკოთ** (ელიასხევი)...

სხვა მაგალითები:

აქაუობა უცვიან იმათა (ჭელიანკარი), შდრ. **აქაუობა**; ვერ **დეგეპაძვებით** (იეთი), შდრ. **დეგეპარიკებით**<*დეგელაპარიკებით<*დაგელაპარაკებით...

ინტერვოკალურ პოზიციაში რ'ს დაკარგვის შემდეგ ხმოვნისმომდევნოდ დარჩენილი ი სუსტდება და გვადლევს **მ'ს**: ეპარიკე>*ეპაიკეუეპაძვე.

C-C: იკარგება თანხმოვანთშორის მდგარი რ:

...ზოგლი მუსლიმანი **დამჩალან** ბათუმზე. რაც არი, იქ **დამჩალან** მუსლიმანი (ელიასხევი), შდრ. **დამჩალა**; ბახჩიბია ამ თერეფში, **ვწყავთ** (ელიასხევი), შდრ. **ვწყავთ**; იქი დაშინდა მეთიმი **დაფი** (ბინათი), შდრ. **დაფრი**; ...ონდასონრა **გაპტყელო**ნა (ქონობანი), შდრ. **გაპტყელო**ნა; ჭალებთ, ყანებთ **ვწყავთა** (გოდლეკარი); ყანას ვწყავთა (იეთი)...

ჩანს, C-C პოზიციაში რ'ს დაკარგვა კომპლექსის გამარტივებისაკენ მიდრეკილებითაა გამოწვეული. თანხმოვანთკომპლექსიდან რ უკვალოდ იკარგება.

მაგია ფალავა, მაია ბარამიძე

V-C:

ეს კედელი, კარი ძირიდან - **ზღუბლი**... (წითლეკარი), შდრ. **ზღურბლი**; ეთი მუსაფირი ბებერი ყოფილა იქა... (ქისქიმი), შდრ. **ერთი; გადაცლილი** ბერები კი იღვაწებდეს... (ელიასხევი), შდრ. **გარდაცვლილი**; „ნაკადი“ ვებნევით, **საწყავის** ჩამოსაგდებათ რომ იქნება (ელიასხევი), შდრ. **სარწყავის**...

#-C: იკარგება სიტყვის თავში თანხმოვნის წინ მდგარი **რ**:

ე ჩემი ორი **ძალი** არიან (ბასლეკარი), შდრ. **რძალი**; ამისი ბგანო ჩემი **ზალია** (ბინათი), შდრ. **რძალი**; **თველზე** ჩუმოვდოდეს აქა (ქონობანი), შდრ. **რთველზე**; **ძიდან** ვიჯებით ყველ (ბოწმინდა), **რძიდან**; ...ყოლი რამ აქ **ჩება** (სადგიყანა), შდრ. **რჩება**...

რ' დაკარგული უნდა იყოს გეოგრაფიულ სახელში **მასისი** (მწვერვალი კაჩკარის//პონტოს მთებზე), რომლის ამოსავალი ფორმა უნდა იყოს **მარსისი**, რომელსაც ადასტურებს გ. ყაზბეგი (**ყაზბეგი, 1995:139**), თუმცა მიუთითებს: „კოხი უწოდებს **ვარსამბერს**, რას ნიშნავს, არავინ იცის“.

#-V: ასკერები **ომ** ჩომოსულან, ას წელწადზე ბეურია (ელიასხევი), შდრ. **რომ**.

აღნიშნავთ, რომ ხმოვნისწინა პოზიციაში **რ**'ს დაკარგვის შემთხვევები ტაოურში შედარებით მცირეა. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ **რ'** იკარგება **ო**'სა და **უ**'ს წინ (იხ. **ფალავა, 2002:193; 2003:221**). **V-#:** **რ'** იკარგება ხმოვნის მომდევნო პოზიციაში:

ა' იციან იმათ და ვაჩოვ... (ქონობანი), შდრ. **არ**; **ა'** ვართა,... ახლა **ა'** ვართა (ქონობანი); ძველათ, **ჰო?** **ა'** ვიცი (ელიასხევი); **ა'** ვახმობთ [ცერცეს] (ხევეკი) ისინი ჩუენ **ა'** ვიცით (ქუაბაგი); მე სიმღერა **ვე'** ვიტყვი (ხევეკი), შდრ. **ვერ**; **ვე'** მივხთი (ხევეკი); **აღა'** მახსოვს, **აღა'**, მააწყდება ბითაო (ხევეკი), შდრ. **აღარ**...

ხმოვნისწინა და ინტერვოკალურ პოზიციაში **რ**'ს დაკარგვა იწვევს წინამავალი ხმოვნის დაგრძელებას. ასეა ეს აჭარულში, შავშურში, კლარჯულში, ასეა - ტაოურშიც.

C-V: ... ამა ონაგორა ფეხ აწევ, **დაბუნდება** (ხევეკი), შდრ. **დაბრუნდება**.

აღნიშნავთ, რომ თანხმოვნისმომდევნო პოზიციაში **რ**'ს დაკარგვის შემთხვევები ტაოურში იშვიათია.

რ'ს დაკარგვა ტაოურში ანალოგს პოულობს აჭარულში, შავშურსა და კლარჯულში, სხვა დიალექტებსა და სამწერლობო ქართულშიც. **რ'** იკარგება კოლხურსა და სვანურშიც. შეიძლება ითქვას, სხვადასხვა პოზიციაში **რ**'ს დაკარგვა საერთოქართველური მოვლენაა.

გ. იკარგება ლ'. ტაოურში იკარგება სხვადასხვა პოზიციაში მდგარი **ლ'**, კერძოდ:

C-C:

თოვში გავაკეთებდით გზასა (ხევეკი), შდრ. **თოვლში**; ძველ **სახში** ექსი ძმადა (სადგიყანა), შდრ. **სახლში**; **სახში** ქართული ვპარიკობთ (ბასლეკარი)...

C-V:

ერთხელ თის წვერზე ცოტა **გათოვებულა** (ელიასხევი), შდრ. **გათოვლებულა**.

V-C:

იმას უთქვია ქი: **სუყველა** ერმენები გადაჰყაროთ თურქეთში (ელიასხევი), შდრ. **სულყველა**; ... გაგონილი გექნებია **ბექი**, მესელა (ქონობანი), შდრ. **ბელქი**...

V-V:

ქობაები „გნო“ ამბობენ (ხევეკი), შდრ. **ქობალები**; ლებუო **კაკაები** (ქონობანი), შდრ. **კაკალები**; მარტო **კაკამ** და ლებუო იქნება (ქონობანი), შდრ. **კაკალი**.

ლ'ს დაკარგვის შემთხვევები დასტურდება ქართულ კილოებსა (კლარჯეთი, 2016:535; ფაღავა, 2003:225 და შემდეგ) და საშუალო ქართულის ძეგლებში (ქავთარაძე, 1964:123-126). სპეციალურ ლიტერატურაში ლ'ს დაკარგვა მისი პალატარული ბუნებითაა ახსნილი (იხ. ქავთარაძე, 1964:123; Кишшидзе, 1914:5; ჩიქობავა, 1936:142).

დ. იკარგება ნ'. ტაოურში სხვადასხვა ბგერათკომპლექსში ნ' იკარგება უკვალოდ, კერძოდ: V-#:

არ ვიცი, რა იქნა მასკა (იეთი), შდრ. მასკან; ... აქა ნავლიხა ყურანი ქერიმის კითხვა იგონებენ (ელიასხევი), შდრ. ნავლიხან; მიხდება, ამა უკნისკე ვერ უთქვია (ელიასხევი), შდრ. უკნისკენ; უყრიან [ერმენები] გარესკე (ელიასხევი), შდრ. გარესკენ; ბებერმა მობრუნდა აქეთისკე (ფუტკ. 175), შდრ. აქეთისკენ...

შევიშნავთ, რომ კე(<კენ) თანდებული დასტურდება ქართული ენის ბევრ ქვესისტემაში, კერძოდ: კლარჯულში, შავშურში, მოხეურში, ფშაურში, თუშურში, კახურში, რაჭულში, იმერულში, ლეჩხუმურში, გურულში (იხ. ფაღავა, 2011:246-247), იქნებ სხვა კილოებშიც. აღვნიშნავთ, რომ კე(ნ) დიალექტებიდან შესულია სამწერლობო ქართულშიც: მათ ლაშქართაკე (ვტყ.959,1); ქვეშეთკე (112,3)... სულ 23 შემთხვევა დასტურდება პოემაში ნარ'მოკვეცილი კენ თანდებულის ხმარებისა (იხ. სიმფონია, 1956:16). კე[ნ] დასტურდება საშუალო ქართულის სხვა ძეგლებშიც. მიჩნეულია, რომ კე' ყველა შემთხვევაში „წარმოშობითაც და გავრცელებითაც დიალექტურია“ (ქავთარაძე, 1964:133). ბარემ აღვნიშნავთ, რომ ნ'ს დაკარგვა სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში მეორეულ მოვლენადაა მიჩნეული (იხ. ჩიქობავა, 1936:72; 1942:104 და შემდეგ).

V-V: შეე შვილია? (ელიასხევი), შდრ. შენი; ახლა-ახლა ბევრი აყიდიებენ (ქონობანი), შდრ. აყიდინებენ<აყიდვინებენ...

V-C: ათერთმეტი თანე იქნება მაიც (ფუტკ. 1171), შდრ. მაინც.

ჩვენი მასალების მიხედვით ტაოურში ნ' იკარგება ხმოვნის მომდევნო პოზიციაში (V-#), სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში, ინტერვოკალურ (V-V) პოზიციაში და ხმოვანსა და თანხმოვანს (V-C) შორის. ნ'ს დაკარგვის შემთხვევები ხშირია ქართული სამწერლობო ენის ძეგლებსა (ძიძიშვილი, 1960:106; ქავთარაძე, 1964:128 და შემდეგ) და დიალექტებშიც (იხ.ჯორბენაძე, 1998: 521).

ე. იკარგება ვ. ტაოურში, ზოგადად ქართულ ენაში, იკარგება ვ თანხმოვანი. სუსტი არტიკულაცია და ნაკლები მჟღერობა მიაჩნია ვ'ს დაკარგვის ერთ-ერთ მიზეზად ივ. ქავთარაძეს (იხ. ქავთარაძე, 1964:114). იკარგება როგორც ფუძისეული, ისე აფიქსისეული ვ.

ტაოურში იკარგება სხვადასხვა პოზიციაში მდგომი ვ:

V-V:

მიხდება, ამა უკნისკე ვერ უთქვია (ელიასხევი), შდრ. მიხდება; არ კლენ და იმისთინ იზდება (ელიასხევი), შდრ. კვლენ; ბერი მოკდა, ჩავდევი მიწაში (ჭილათი); ბაბაჲ ადრე მოკდა (ბინათი), შდრ. მოკვდა; ძველ სახში ექსი ძმაჲ (სადგიყანა), შდრ. ექესი; ჩვენი დათლა ძველია, გურჯი (გოდლეკარი), შდრ. დათვლა; გამოცლილია სიტყვები... (ელიასხევი), შდრ. გამოცვლილია...

აღვნიშნავთ, რომ ექსი, მოკდა, დათლა, გამოცლა... გვხვდება აჭარულში, სხვა სამხრულ კილოებშიც: ექსი წლის ვიყავი, ნენეჲ მოკტა... (ხელვაჩაური); დაჟდა, დეძყო ფარის თლა... (ხინაძირი); ქერემეთის გამოცლა მინდა, მარა ჟეშტი ვერ ვნახე... (ორთაბათუმი)...

V-V:

ბევრთ იპოეს ალთუნი (ელიასხევი), შდრ. იპოვეს; ქვეით მეტი ხალხი არ ყოფილა... (ელიასხევი), შდრ. ქვევით; ძველათ აქ მამის დედიები როგორ ჩამოიდენ, არ ვიცი (ელიასხევი),

მაგია ფალავა, მანია ბარამიძე

შდრ. ჩამოვიდენ; მოადლოდი, ერთხელ მოადლოდი, სამ თუე დავდგებოდი (ელიასხევი), შდრ. მოვიდოდი; დიდი ჯემ... (ელიასხევი), შდრ. ჯევი; ამ სოფში ვიყად გამოთხოლოდი (ცუცეკარი), შდრ. ვიყავი, გამოთხოვილი; ჯერ ბაღნები ვიყადთ (ხევეკი); აგი? - ცხად (ელიასხევი), შდრ. ცხავი; ხაძწ გააკეთებ... (ხევეკი), შდრ. ხავიწ[ს]; რატო მაფურა ყიდაო (ხევეკი), შდრ. ყიდავო; მე ჩამოელ ბათუმში (ხევეკი), შდრ. ჩამოველ; ტიკით მევეყანეთ [დედოფალი] (იეთი), შდრ. მევეყანეთ; უტად ერმენი ყოფილა (ბასლეკარი), შდრ. უტავი; ... ქილიად არი, შად ყურმენი არი აქ (ქონობანი), შდრ. ქილიავი, შავი; თულში დებენ თადანი ლაჰანა (ქონობანი), შდრ. თავიანი; დამაძწყდა, არ ვიცი (წითლეკარი), შდრ. დამავიწყდა; სისხლი თუ ამოა, დამკლეს (წითლეკარი), შდრ. ამოვა; სახრად ატამი (ბალხიბარი), შდრ. სახრავი; ცქვიტა წახვალ, მეწეა, წელა წახვალ, არ მეწეა... (ბალხიბარი), შდრ. მეწევი; ყვადლი ქონდა... (ქუაბაგი), შდრ. ყვავილი; ყური მიყად მე (ქუაბაგი), შდრ. მიყავი; ხაძწ გაგხრაკაო (ქუაბაგი), შდრ. გაგხრაკავო; სამაარი მევტანო... (წითლეკარი), შდრ. სამავარი; მისი თად მას ჩუმუკიდა (ხევეკი), შდრ. თავი; ჰაიდან მიპოე შენ? (ხევეკი), შდრ. მიპოე; ად სატყეპად კაცია... (ხევეკი), შდრ. სატყეპავი...

ვ' დაკარგულია ტოპონიმებშიც: კრავკარი//კრავეკარი, ხეთავი//ხევითავი, ველითად (ხევეკი), შდრ. ველითავი, ლიტრეა (მცირე სოფელი ელიასხევიში), შდრ. ლიტრევი, წითლეკარი//წითლეკარი...

V-V პოზიციაში ვ'ს დაკარგვა სისტემურია ტაოურში, შეიძლება ერთ-ერთი გამოკვეთილი დიალექტური თავისებურებაცაა. ვიტყვით, რომ ინტერვოკალურ პოზიციაში ვ'ს დაკარგვა უცხო არაა სხვა სამხრული კილოებისთვისაც (იხ. ფალავა, 2003:235), არც სამწერლობო ქართულისათვის: ქვითა დაქვანით იგინი Gpb. ლევიტელთა, 20,17. შდრ. დაქვანით...

#-V: იკარგება პირველი სუბიექტური პირის პრეფიქსი ვ' ხმოვნის წინ:

იმათ უმზირვარ, ისინი სხვაფერ თვლიან... (ელიასხევი), შდრ. ვუმზირვარ; ჩემ ძალ უქსოვ (ქუაბაგი), ვუქსოვ; მე უთხარ ქი... (ქონობანი, შდრ. ვუთხარ; დათვი წყარო უძახდით [ჩვენ]... (ბასლეკარი), შდრ. ვუძახდით...

ტაოურში #-V პოზიციაში ვ იკარგება ო და უ (უმეტესად) ხმოვნების წინ.

C-V:

ფიდი წვერი გედეყარე... (შიომ. 2018:155), შდრ. შვიდი>*ფვიდი>ფიდი.

შენიშნავთ: ტაოურში დაშვებულია შ:ფ მონაცვლეობა: შორვა>ფორვა, შვაგი>ფავი>ფად...

მამად დედად პეტრად ბავში ყოფილა (ელიასხევი), შდრ. ბავში; ...ერთი კაცისთინ ერთი გოგო დაპირებიან... (სადგიყანა), შდრ. კაცისთინ; დათო, მე სახლსა მყავან ღენჭებო (ხევეკი), შდრ. დათვო; ...ახლა-ახლა ბევრი აყიდიებენ (ქონობანი), შდრ. აყიდვიებენ<აყიდვინებენ...

#-C: მე არ ხვარათობ (ქონობანი), შდრ. ვხვარათობ; ჩვენ არ ხვარათობ შენს უკან (ქონობანი), შდრ. ვხვარათობთ...

V-C: ამით გოდორი მოიქსონება (ელიასხევი), შდრ. მოიქსონება.

ვ'ს დაკარგვის ტაოურის მსგავსი შემთხვევები დასტურდება სხვა სამხრულ კილოებშიც მეტ-ნაკლები ინტენსივობით. ინტერვოკალურ პოზიციაში ვ'ს სისტემური დაკარგვა ტაოურს გამოარჩევს სხვა სამხრული კილოებისაგან.

ვ. იკარგება ს. ს'ს დაკარგვა უპირატესად წინაენისმიერ სამეულებთან გავრცელებული მოვლენაა ქართული ენის დიალექტებში, დამახასიათებელია იგი ტაოურისთვისაც:

აქ წორი კაცები არ არიან (დუგური), შდრ. სწორი; ...ეს არი წორი დათლა (ელიასხევი); ქართული არ უწავლია [ნენეს] (ბინათი), შდრ. უსწავლია; მე ანამ მაწავლა გურჯიჯა (ბოწმინდა),

შდრ. მასწავლა; ცოტ-ცოტა დევწავლე (ელიასხევი), შდრ. დევსწავლე; ..ისეც არ ვიცი... წორია, მართალი (ელიასხევი), შდრ. სწორია...

შდრ. „ჩვენებურები“: აწავლის, წორე, მოვეწარი... (ფუტკარაძე, 1995:24), აჭარული: დეიწავლა, გააწრო... ივ. ქავთარაძე აღნიშნულ ფონეტიკურ მოვლენას საერთოქართველურად მიიჩნევს (ქავთარაძე, 1964:140). ტაოურში იკარგება ნათესაობითი ბრუნვისნიშნისეული თანხმოვანი, ასევე მიცემითი ბრუნვის ნიშანი:

აქ ერთი სომხი ბიჭი ყოფილა (ელიასხევი), შდრ. სომხის ბიჭი; ჩაი თესლი ამეცტანე... (ელიასხევი), შდრ. ჩაის თესლი; აქედან ქობაძ'ნა გეხვიდეთ (ჭილათი), შდრ. ქობაძს;

მიდან ვიჯებით ყველ... (ბოწმინდა), შდრ. ვიჯებით ყველს; ნაწველ ვასხამთ მაქინაში (ბოწმინდა), შდრ. ნაწველს ვასხამთ; ლობიო დავლექვავ (ბოწმინდა), შდრ. ლობიოს; ძროხებ ვინახავთ, ბოსტან ვთესავთ... (ელიასხევი), შდრ. ბოსტანს, ძროხებს; ... მე იმა'ნა მივცე ბევრი ფული (ელიასხევი), შდრ. იმას'ნა...

იკარგება ნაცვალსახელისეული ს (ის>ი):

ედა წევდა ი კაცი... (ელიასხევი), შდრ. ის; სომხი ბიჭს ი გოგო უთხოვნია კი... (ელიასხევი)... იკარგება სუბიექტის მესამე პირის ნიშანი ს:

რა არი ეს დაეაშიკება? (ელიასხევი), შდრ. არის...

ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს აჭარულში, შავშურსა და კლარჯულში (იხ. ფაღავა, 2003:236-241).

ზ. სხვა შემთხვევები. ტაოურში იკარგება სხვა თანხმოვნებიც:

იკარგება დ:

იმხნა ნეკერი ვდგემნით (ბალხიბარი), შდრ. იმხნად<იმხანად; ქეციქით (წითლეკვარი), შდრ. ქედსიქით; სა დგებით? (ხევეკი), შდრ. სად? ისე მოდთ, მეგემშევათ (ბინათი), შდრ. მოდით; [დათვს] სალამი'ნა ვუთხრა (ცუცეკარი), შდრ. სალამი'ნდა ვუთხრა; გურჯიჯა ერთი უქუმეთი'ნა შეიქნეს (ელიასხევი), შდრ. უქუმეთი'ნდა შეიქნეს; მოდი აქა ჩემ გვერცა (ელიასხევი)...

ტაოურში გვერდიგვერდ გვხვდება უნდა'ს ნდა და ნა' ვარიანტები:

მაღლა'ნდა წეუდე, დათვი'ნდა შემეყაროს, მოგვლა'ნდა... (ელიასხევი)...

იკარგება ტ:

საცთელპა (ტბა მასისზე), შდრ. საცთელტბა; კარის დაკილვა, ჰო? (ცუცეკარი), შდრ. დაკილტვა...

იკარგება შ:

ღამეღ ჩომოსულან ჩვენ სახლსა ორი ჯარი (ქისქიმი); შდრ. ღამეში; აქოვრობაღ ბოვრი ყურძენია... (ბალხიბარი), შდრ. აქოვრობაში...

იკარგება გ:

იქა ქობაღ ქი გურჯი ყოფილა (ქისქიმი), შდრ. ქობაგი; ... ზოხან ცოტა გათოვდება... (ჭილათი), შდრ. ზოგხან; მაღ? ყრალი მოლი! (ფიშნარხევი), შდრ. მაგი; ... კიდენა გიიზვირონ საქონელიო (ფუტკ. 172), შდრ. გიგიძვირონ...

არაბუნებრივად გვეჩვენება ფორმა გიიზვირონ, თუმცა ინტერვოკალურ პოზიციაში გ'ს დაკარგვა დასაშვებია სამხრულ მეტყველებაში.

იკარგება ღ:

გამელ წინაღ//გაღმელთ წინაღ (იეთი); დილაზე მოდდენ, საამოზე წაველით (ბალხიბარი), შდრ. საღამოზე...

იკარგება თ:

მამია ფალავა, მანია ბარამიძე

შენ გალმი, მე გამოლმი/გულმა რა'ნდა მემსვენოს? (შიომ. 2018:126), შდრ. გალმით, გამოლმით.
იკარგება ხ:

ზღაფული - დევსაკარა, იქა არიან (ბასლევარი), შდრ. **ზღაფხული**<ზაფხული; შენ ვინცამ გაშინა,/მეც იმან შეგვაშინა (ჭედლიანკარი), შდრ. **ვინცხამ**.

იკარგება ჰ:

იმ მეელეს ყაზახებს უძახებენ (ელიასხევი), შდრ. **მეჰელე**; **ამედალა** ვაშლი არი... (ქონობანი), შდრ. **აჰმედალა**; ედა, ჩემი **უსენაი** ავჯობს (ცუცეკარი), შდრ. **ჰუსეინაი**...

ინტერვოკალურ და ხმოვნისმომდევნო პოზიციასში ჰ'ს დაკარგვა გავრცელებული მოვლენაა დიალექტებში.

იშვიათად ჰ' შენარჩუნებულია ხმოვნის წინ: მე **ჰექია** არ ვიცი (ცუცეკარი)...

თ. იკარგება ბგერათკომპლექსი. ტაოურში იკარგება ბგერათკომპლექსიც:

იკარგება ავ':

დედე ფუტკარ **ინახდა**, ზროხებ **ინახდა** (სადგიყანა), შდრ. **ინახავდა**; ესენი ჩემი **ნათესები** არიან ყოლანი... (იეთი), შდრ. **ნათესავები**...

იკარგება და':

ქალ ვეტყვით, **დეკაცსაც** ვეტყვით (იეთი), შდრ. **დედაკაცი**; იქ **დეკაცი** ყოფილა (იეთი)...

იკარგება ლა':

სუყველა თურქა **პარიკობენ** (ელიასხევი), შდრ. **ლაპარიკობენ**<ლაპარაკობენ; მოდი, **ვიპარიკოთ**... (ელიასხევი), შდრ. **ვილაპარიკოთ**; სახში ქართული **ვპარიკობთ** (ბასლევარი), შდრ. **ვლაპარიკობთ**...

ზოგჯერ ამოსავალი ფორმაც ჩანს:

აქ ქართული არ **ლაპარიკობენ** (ელიასხევი)...

იკარგება ვს':

ბურსაში **მიგვაქ** (ქონობანი), შდრ. **მიგვაქვს**...

ანალოგიური ფორმები დასტურდება სხვა სამხრულ კილოებშიც.

იკარგება ებ':

დიდი კაცები **შეწუხულან** ქი (ქუაბაგი), შდრ. **შეწუხებულან**; ჩვენი **დაბადული** ენა ქართულია (იეთი), შდრ. **დაბადებული**...

იკარგება ის':

პაპაშებ ვევი... (ბალხიზარი), შდრ. **პაპაშების** ვევი...

იკარგება ვე':

ყოლ წელ მოდიან (ელიასხევი), შდრ. **ყოველ**...

იკარგება ოვ':

მე **იქრობა** არ ვიცი, არ ვიცი **იქრობა** (ბინათი), შდრ. მასკან **იქოვრობაში** მივალთ (ბინათი)...

იკარგება რე':

პირველზე ახორია, ... თავში **დეფანი** (ფიშნარხევი), შდრ. **დერეფანი**...

სიტყვაში მარცვლის დაკარგვის შემთხვევები შედარებით მცირეა, რაც დასტურია, რომ მოვლენას არა აქვს სისტემური ხასიათი, იგი სპორადულად გვხვდება. აღვნიშნავთ იმასაც, რომ დიალექტში დაკარგულა ბრუნვის ნიშანი, ზოგჯერ ზმნის თემატური ნიშანი, რაც გრამატიკულ სტრუქტურაში იწვევს ცვლილებას... ყოველ შემთხვევაში მოვლენის საფუძველი ფონეტიკურია.

ი. ხმოვნის დაკარგვა. ტაოურში თანხმოვანთა დაკარგვის გვერდით დასტურდება ხმოვნის დაკარგვის შემთხვევებიც. ზოგიერთს პარალელი ეძებნება სამწერლობო ქართულსა და დიალექტებშიც:

იკარგება ა.

აგრები ქონდენ... (ქუაბაგი), შდრ. **აგარები.** კილდიათი **აგრისკე** მივდოდით (ქუაბაგი)...
აგარა ჩვეულებრივ არ იკუმშება.

ბაღნები იპრიან (ქუაბაგი), შდრ. **იპარიან;** კუპრეთი იქ არის, კილდე **უფრის** (ხევეცი), შდრ. **უფარის;** [ქობავრი] ... ნიჩბის ტარს **მეაპრის** (ხევეცი), შდრ. **მეაპრის <*მეაპარის <მოაპარის;** ჭანკუტარამა თქვა **იპრისო** მუხტარი... (ხევეცი)...

ა დაკარგული ჩანს ტოპონიმში **ვარმეთი** (არმუთი), შდრ. **ვარამეთი.**

ა's დაკარგვის ანალოგიური ნიმუშები ჩანს სხვა სამხრულ კილოებშიც:

შავშური: მომგონდა ჟუჟუნა/დამბნელდა თვალი (ქედქედი. ბსკიფს, 46,21), შდრ. მომაგონდა...

კლარჯული: ხვალა ბუღები'ნა დაგჭედოთ (მურღული), შდრ. **დავაჭედოთ...**

აჭარული: განაგრძობენ გზას **ქარვანის** ერთათ (ბსკიფ ს,7.55), შდრ. **ქარავანის...**

იკარგება ე:

ნახვარი აქ ჩამოსულან (ბინათი), შდრ. **ნახევარი;** [ქალმა] წინდები'ნა **გიმირცხას** (ელიასხევი), შდრ. **გიმირცხას<*გიმირცხოს<გიმირცხოს<გამირცხოს;** ... მილეთის **სახლი** - ბასლეთები (ბასლეთარი), შდრ. **სახელი; სარცხი** ტბავი (ხევეცი), შდრ. **სარცხი[ს]** ტბავი; ...კვირაში ერთ დღეს **სარცხელი** დრო ყოფილა (ხევეცი), შდრ. **სარცხელი;** მასკვა ჩამოსულან **ასკრები** (ქისქიმი), შდრ. **ასკრები...**

შდრ.

აჭარული: ჯოხიც რომ ვერა ვიშოვე/ხელში **ავსწი** ჩალის ხიკვი (ბსკიფს 40,8), შდრ. **ავსწი;** მივედი და მივაყურე, ჩემი **ლევრის** სიცილია (ბსკიფს 67,110), შდრ. **ლევრის...**

კლარჯული: პურის მარცვალი გარცხა მინდა... (მც 1998:323), შდრ. **გარეცხვა...**

შავშური: საფიქროს აქ ყდა ... (ბსკიფს 45,5), შდრ. **საფიქროს...**

ეს დაკარგვის შემთხვევები იძებნება საშუალო ქართულის ძეგლებშიც:

ვიცნობთ... ეთრად და ელვად... ოქროპირსა (ტბელი, 5.30), შდრ. **ეთერად;** ზოგსა გადაჰკრის მათრახი ქვე **მკრდამდის** გასაპობელად (ვტყ. 95), შდრ. **მკერდამდის...**

იკარგება ი:

მთავრობა **მოვდა...** (ელიასხევი), შდრ. **მოვიდა;** ერთი რამ **გვეგონე** აი (ელიასხევი), შდრ. **გვეგონე<გავიგონე;** ასკრები ომ ჩომოსულან, ას **წელწადზე** ბეურია (ელიასხევი), **წელიწადზე;** ამოსავლელი ხარ, **ამეარე** (ელიასხევი), შდრ. **ამეარე<*ამეარე<ამოიარე;** ...თავდადმით **ჩეარ** - უკანუბანი... (ქონობანი), შდრ. **ჩაიარ>ჩეიარ>ჩეარ...**

შდრ.

აჭარული: დაზრუქვილი გამოვდოდა (მაწყვალთა), შდრ. **გამოვიდოდა;** ...ასე კარ იყო წინწინ (ნიჟ. 1961:76), შდრ. **კი არ...**

კლარჯული: დემესიზმა გომა ვინცხა **მიძახს** (მც1998:318), შდრ. **მიძახის...**

იკარგება ო:

ზემვანი არი სოფელი (ქონობანი), შდრ. **ზემოვანი;** იქ **ზემვანი** არი (ჭედლიანკარი); ნუ ტირი, ნენე მუა, მუძუს **გაწვებს** (ელიასხევი), შდრ. **გაწოვებს;**

ო დაკარგული ჩანს ტოპონიმში **წალიკვანი** (სათიბი ელიასხევიში), შდრ. **წალიკოვანი.**

შდრ.

მაგია ფალავა, მანია ბარამიძე

აჭარული: ... ხემწიფეს უთხრა, ყური ათხვე ჩემ ხალხსო (ბსკიფს 24,2), შდრ. ათხოვე...

შავშური: ჩამველ ქალაქში... (ბსკიფს 66,29), შდრ. ჩამოველ...

იკარგება უ:

მასკვან არტანი... (ბასლეკარი), შდრ. მას უკან; მე დევსაკრული ვარ, იგი ფიშნარკველია (ბასლეკარი), შდრ. ფიშნარკვეური...

შდრ.

აჭარული: ბაღანას ებნევა სკოლაში არ წეხვიდეო (ორთაბ.), შდრ. ეუბნება>*ეუბნევა>ებნევა.

შავშური: მასკან იქ გავჩერდით პაწახან (ბსკიფს 66,28), შდრ. მას უკან...

კლარჯული: ჰეძვიდი ჰაჲ, შუქრი'ნა ქნა (მურღული), შდრ. შუქური...

მოყვანილი საილუსტრაციო მასალიდან ირკვევა, რომ ტაოურში სხვადასხვა პოზიციაში იკარგება ყველა ხმოვანი, ოღონდ განსხვავებული ინტენსივობით. ხმოვნის დაკარგვაში რაიმე კანონზომიერების დადგენა ვერ ხერხდება, ერთგვარ გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს, რომ უმეტესად იკარგება ვ'ს მეზობლობაში მდგარი ო.

2. ბგერის ჩართვა. ტაოურში ბგერის ჩართვის შემთხვევები ბევრი არ არის. თანხმოვანთაგან უპირატესად ჩაერთვის სონორები.

ვითარდება ნ:

ბიჰს ტარადი უწევნია (დუგური), შდრ. უუწევია<აუწევია; ...ემეჲ მქონდა, კარტი და დიმიტევნია ჰაცხა (ქუაბაგი), შდრ. დიმიტევია<დამიტევია; მე არ გიმიგნია ეს (ხევეკი), შდრ. გიმიგია<გამიგია; ჩვენ ასე დავრჩნეთ ბერ-ბებერი (მოსლიეთი), შდრ. დავრჩეთ; დავდგნეთ ერთი, ვიპარიკოთ (ელიასხევი), შდრ. დავდგეთ; აქუნურები გითხრა... (გოდლეკარი), შდრ. აქაური>*აქანური>აქუნური (რეგრესული, დისტანციური ასიმილაციით)...

ვითარდება რ:

[ქოხის] მესამე ყათი - სათივრე (იეთი), შდრ. სათივე; აჰა, იქრობაშიც ვაშლები არია... (ქუაბაგი), შდრ. იქობაში...

აღვნიშნავთ, რომ ტაოურში დასტურდება ფორმები აქობაში, იქობაში, არ ჩანს ისინი სხვა სამხრულ კილოებში.

ვითარდება მ:

... ყოფილა ერთი გოგო და ერთი ბიჭი შემყვარებული (ქუაბაგი), შდრ. შეყვარებული; ახლა ყველამფერ იღებენ (ელიასხევი), შდრ. ყველაფერ[ს]; იქ ყოლამფერი მოვა (ელიასხევი), შდრ. ყოლაფერი<ყველაფერი...

მ'ს ჩართვის შემთხვევები დასტურდება სამწერლობო ქართულის ძეგლებში: უმფრო და უმფრო დიდება ემატება (რუსუდ. 11,13), შდრ. უფრო... გვხვდება - დიალექტებშიც (იხ. კლარჯეთი, 2016:538; შავშეთი, 2011:232; ნიქარაძე, 1975:115; ფალავა, 2003:254-257).

ვითარდება ვ:

ერთი გოგო საცვაგი იქნებოდა (სადგიყანა), შდრ. საცავი; ძეწნარი (ადგილი ელიასხევიში), შდრ. ძეწნარი.

აღვნიშნავთ, რომ ტაოურში გვხვდება ძეწნი, ძეწნი ფორმები.

ქომო თერეფში გედევაროთ (ელიასხევი), შდრ. გედევაროთ<*გადევიაროთ<გადავიაროთ.

-ავ განვითარებულია ფორმაში გავხსნავთ: ცომს გავხსნავთ (სადგიყანა), შდრ. გავხსნით...

ვ'ს განვითარების შემთხვევები დასტურდება სხვა სამხრულ კილოებშიც (ფალავა, 2003:252 და შემდეგ; კლარჯეთი, 2016:537-538; შავშეთი, 2011: 232), ასევე ქართულ სამწერლობო ენასა და მონათესავე კოლხურსა და სვანურში (იხ. ქავთარაძე, 1964: 168-169).

თანხმობის ჩართვის სხვა შემთხვევებია:

ვითარდება კ:

ძეწნიდამ გოდორ ქსოვენ (იეთი), შდრ. **ძეწნი//ძეწნა**; ეს **ძეწნია**, **ძეწნი!** (ცუცეკარი)...

ვითარდება თ:

[აღრიბასანი] ვერ დიგინახია, **ბნელთია** (ბასლეკარი), შდრ. **ბნელი**; შენ სახელი რა **გთქვია?** (ქუაბაგი), შდრ. **გქვია**...

ქობულეთურში დასტურდება: **მთქვია** (მე), **გთქვია** (შენ), **სთქვია** (მას).

ვითარდება ფ:

ახლა **ფშვიდი** თანე კაცი არი... (ელიასხევი), შდრ. **შვიდი**; ... ერთი ათი თანე იქნება თუ **ფშვიდი** [ცხვარი] (ელიასხევი)...

ვითარდება ღ: ღ განვითარებულია სიტყვებში **ზღაფხული** (<ზაფხული), **ზღამთარი** (<ზამთარი):

ზღაფხული, თველი, **ზღამთარი**, ქაჩაღ (//ქარჩაღ) (ფიშნარხევი); ...**ზღაფხულში** არ წევდოდეს სამუშაველა... (ელიასხევი); ... აქა მოვა **ზღაფხულ** (ელიასხევი).

აღნიშნავთ, რომ მხოლოდ ტაოურში იხმარება **ზღაფხული** (ფორმა არ იცის სხვა სამხრულმა კილოებმა), **ზღამთარში ღ' ზღაფხულის** ანალოგიით ჩანს განვითარებული.

სიტყვაში ღ'ს განვითარება იშვიათია ქართულში. იშვიათ ნიმუშთა შორის შეიძლება დავასახელოთ **ზიზ** (მაზიზებს//ეზიზება), **ზეზ** (ზეზვა), რომელმაც ახალ ქართულში მოგვცა **ზიზღ** (ეზიზდება) ფორმა. აჭარულში გავრცელებულია **მეზიზება**, **გეზიზება**, **ეზიზება**; ხსენი საჭმელათ **მეზიზება** (სურმაგა, 1976:7) და იგი მიჩნეულია ღ'დაკარგულ ფორმად. ილ. აბულაძე **ზეზ**, **ზიზ** ფუძეს ადასტურებს ძველ ქართულში (იხ. აბულაძე, 1946:261). ჩანს, აჭარულს დაუცავს (ასევე კლარჯულსაც - ავტ.) ეს იშვიათი ხმარების ფუძე, რომელშიც ღ' ჩართულად უნდა ვივარაუდოთ" (ცინცაძე, ფაღავა, 1998:22).

ტაოურში დასტურდება ხმოვნის ჩართვის ნიმუშებიც:

ძველათ ნეკერ **დაგვაფიდი** (ელიასხევი), შდრ. **დაგვაფიდი//დაგვაფავიდი**; [ქალმა] ზარმელი'ნა **ქენოს** (ელიასხევი), შდრ. **ქნას>ქენას>ქენოს**; ხალხი არი, რაჰათ ვერ **იქამ** (ჭილათი), შდრ. **იქმ**; **მურუდა**, მრუდე და... (ქუაბაგი).

ხმოვნის ჩართვის სხვა შემთხვევებია:

აქ ერთი **კილდე** ყოფილა, ფინთი **კილდე**, გასაჭრელი (ელიასხევი); ყურმნიდამ თქუენ შარაფ აკეთავთ, ჩუენ **ტკიბილ** ფაფას (ელიასხევი); ძროხის სახელები გინდა? **შეველა**... (ბოწმინდა), შდრ. **შეველა**; [ეს] **კილდიათი**, გაღმაც - **კილდიათი** (ქუაბაგი); **ხემელ** ვაყრით ჩუენ (ქუაბაგი), შდრ. **ხმელი**; **ფიქვილ** ვიქმოდით... (ფიშნარხევი), შდრ. **ფქვილ**[ი]; ე - **გიზა** (ქონობანი), შდრ. გზა; ... თულში **კიბილი** უნდა, მე ა' მაქ... (ქონობანი); **კილდიათი** (ადგილი წითლეკვარში); ...ენ დიდი **ბიზე** გოდორი, კალოდან **ბიზე** ჩაყრი... (წითლეკვარი), შდრ. **ბზე**; ... **ხამიდან** უშენებიან კაცები... (ბალხიბარი), შდრ. **ხამდან** (ხელახლა); აქედან გედარ, ჩეხვალ **გიზაზე** (ბალხიბარი); ჯარები გათავდა, ...**ხობოები** არიან (ქუაბაგი), შდრ. **ხბოები**; ერთი **ხობო** დარჩა, ისაც დაკლეს (სადგიყანა); კევის **საკრეფლად** მიდიოდეს (ელიასხევი), შდრ. **საკრეფლად-საკრეფად**.

გვაქვს შემთხვევები, როცა ჩვეულებრივ კუმშვადი ფუძეები ტაოურში შეუკუმშავი გვხვდება: თქუენში ცივი **წყალები** არი? (ქონობანი); შენ **ქმარის** უკან დაგაბეროს (იეთი); ბერები მიდიან, **ახალებმა** არ იციან (ელიასხევი)...

შევნიშნავთ, რომ შეუკუმშავი ფორმები ტაოურში, ისევე როგორც კლარჯულში, შავშურსა და აჭარულში, ბევრი არ არის, არც ხმოვანგანვითარებული ფორმებია მრავლად.

შოთა ნიჟარაძე, ეხება რა რედუქციის საკითხს აჭარულში, ყურადღებას მიაქცევს ვ. თოფურას დაკვირვებას, რომ „ცოცხალ კილოებში რედუქცია უფრო ცხოველია აღმოსავლურ ჯგუფში, ხოლო დასავლურში უფრო მეტად არის შესუსტებული“ (თოფურია, 1946:88), და აღნიშნავს, რომ აჭარულში „რედუქციის პროცესი ჯერჯერობით არაა დასრულებული“ (ნიჟარაძე, 1975:111), რომ „ზემოაჭარულში ხმოვანთა რედუქცია ქმედითია, ხოლო ქვემოაჭარულსა და ქობულეთურ კილოკავებში კი - შესუსტებული“ (ნიჟარაძე, 1975:113). რედუქცია სუსტი ჩანს ტაოურშიც (შავშურსა და კლარჯულშიც), სადაც დასტურდება ურედუქციო ფორმები: **ქმარის, ახალეზი, წყალეზი...**

შ. ნიჟარაძე აჭარულში დადასტურებულ სრულხმოვნობის შემთხვევებს სამ ჯგუფად ჰყოფს: პირველ ჯგუფში აერთიანებს **კიბილი, კილდე, ხობო...** რომელთაც ქართველურ ენებში სრულხმოვნის ფორმები შეესატყვისება, მეორეში - **აშიქარე, ფილავე...** რომელთა ფუძეებში ხმოვანთა არსებობა (sic) თურქულ-სპარსულ ენათა (საიდანაც ნასესხებია ეს სიტყვები) გავლენას უნდა მიეწეროს, მესამე ჯგუფში კი გაერთიანდება **წიგინი, ხეჭეპო...** რომლებშიც **ი, ე** ხმოვნები თანხმოვანთგასაყარია (იხ. ნიჟარაძე, 1975:114). მოყვანილი დაკვირვება შეიძლება გავრცელდეს სხვა სამხრულ კილოებზეც - შავშურზე, კლარჯულსა და ტაოურზეც, თუმცა შეიძლება კიდევ ერთი დაშვებაც: სამხრულ კილოებში გამოვლენილი სრულხმოვნობის შემთხვევები ხომ არ მივიჩნიოთ ქართველურ ენათა უძველესი ვითარების გადმონაშთად...

ბოლოს ვიტყვი, რომ ბგერის დაკარგვისა და გაჩენის შემთხვევებით ტაოური გვერდში უდგას სხვა სამხრულ კილოებს, - აჭარულს, შავშურსა და კლარჯულს, თუმცა ზოგჯერ თავისებურებებსაც ამჟღავნებს, რაც დიალექტის შინაგანი განვითარების ტენდენციებით აიხსნება.

LINGUISTICS

CASES OF OWEL LOSS AND EVOLVE IN TAO

MAMIA PAGHAVA, MAIA BARAMIDZE

Batumi Shota Rustaveli State University

Taoian language is a distinct dialect of the Georgian language. It is the speech of the inhabitants of the historic Tao. Once in Georgia Taoian language was widespread. Its debris has reached Before us. Most of Taoian is Turkish. Tao Georgian is survived in several villages and flats cultivated in one small gorge, in the border village of Tao and Klarjeti. It turns out that Georgian was spoken a century ago in Otkhta Church, In Ishkhan, Panaskert, Utav, Parkhali... Maybe somewhere else. Despite the small number of speakers of the Tao dialect, Although the inhabitants of Georgian Tao are bilingual And their Georgian is under strong pressure from the Turkish language, It is possible to reconstruct the linguistic portrait of Taoian language.

The article discusses two cases of Taoian phonetic features, - On the occurrence and loss of sound in Taoian, That reason it stands next to other southern dialects, - Adjarian, Shavshetian and Klarjetian, However, sometimes it also has its peculiarities, Which is explained by the internal development trends of the dialect.

გამოყენებული ლიტერატურა და შემოკლებანი:

- აბულაძე, 1946** - ილია აბულაძე, ქართულ-სომხური ლექსიკური შეხვედრანი, ზეზვა. დაბეჭდილია:
ილია აბულაძე, შრომები, II, თბილისი.
- ბსკიფს** - ბსუ ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფონდები, საქმე.
- ვტყ.**- ვეფხისტყაოსანი.
- თოფურია, 1946** - ვარლამ თოფურია, რედუქციისათვის ქართველურ ენებში. იკე, 1, 1946.
- იმნაიშვილი, 1974** - გრიგოლ იმნაიშვილი, ქართული დიალექტი, თბილისი.
- კლარჯეთი, 2016** - მამია ფაღავა, მერი ცინცაძე, მაია ბარამიძე, მალხაზ ჩოხარაძე, თინა შიოშვილი, შოთა მამულაძე, რამაზ ხალვაში, ნუგზარ მგელაძე, ზაზა შაშიკაძე, ჯემალ კარალიძე, კლარჯეთი, თბილისი.
- მც 1998** - მერი ცინცაძე, აჭარული ტექსტები (ჩაწერილი 1951 წელს კირნათსა და მარადიდში), ქესს, VIII, თბილისი.
- ნიჟარაძე, 1957** - შოთა ნიჟარაძე, ზემოაჭარულის თავისებურებანი, ბათუმი.
- ნიჟარაძე, 1975** - შოთა ნიჟარაძე, აჭარული დიალექტი, ბათუმი.
- სიმფონია, 1956** - ვეფხისტყაოსნის სიმფონია, შედგენილი აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით, მისივე წინასიტყვაობითა და გამოკვლევით, თბილისი.
- სურმავა, 1976** - ნარგიზა სურმავა, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკიდან, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, I, თბილისი.
- ტბელი** - აბუსერისძე ტბელი, ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატთანე. 1233 წლის ტექსტი. თბილისი. 1941
- ფაღავა, 2002** - მამია ფაღავა, უმლაუტი სამხრულ კილოებში. ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრი კრებული, II, ბათუმი.
- ფაღავა, 2002(1)** - მამია ფაღავა, რ'ს დაკარგვა სამხრულ კილოებში. ბსუ მემედ აბაშიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, კრებული, III, ბათუმი.
- ფაღავა, 2003** - მამია ფაღავა, სამხრული კილოების ფონემატური სტრუქტურა, დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად (ხელნაწერი), ბათუმი.
- ფაღავა, 2011** - მამია ფაღავა, თანდებული შავშურში, ლინგვისტური ქართველოლოგიისა და აფხაზოლოგიის პრობლემები, ტ. III, თბილისი.
- ფუტკ.**- შუშანა ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, წიგნი პირველი, ბათუმი, 1993.
- ფუტკარაძე, 1995** - შუშანა ფუტკარაძე, ქართული ენის სამხრულ-დასავლური დიალექტების თავისებურებანი ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და მუჰაჯირი ქართველების მეტყველების მიხედვით. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის მაცნე, თბილისი.
- ქავთარაძე, 1964** - ივანე ქავთარაძე, ქართული ენის ისტორიისათვის (XII-XVIII სს), ნაწილი I, თბილისი.
- ქალდანი, 1963** - მაქსიმე ქალდანი, სვანური ენის ბალსქვემოური კილოს თავისებურებანი, იკე, ტ. IX-X, თბილისი.
- ყაზბეგი, 1995** - გიორგი ყაზბეგი, სამი თვე თურქეთის საქართველოში, თბილისი.
- შავშეთი, 2011: 232-** მამია ფაღავა, თინა შიოშვილი, შოთა მამულაძე, მერი ცინცაძე, მალხაზ ჩოხარაძე, ზაზა შაშიკაძე, ნუგზარ ცეცხლაძე, თამაზ ფუტკარაძე, მაია ბარამიძე, ჯემალ კარალიძე, ვარდო ჩოხარაძე, შავშეთი, თბილისი.
- შარაძენიძე, 1963** - თინათინ შარაძენიძე, სვანური ენის ცხუმარული კილოკავის ძირითადი თავისებურებანი, იკე, ტ. IX-X, თბილისი.

მამია ფაღავა, მამია ბარამიძე

შიომ.2018 - თინა შიომვილი, ტაოური ხალხური პოეზია, ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრი, კრებული, XIII, თბილისი.

ჩიქობავა, 1936 - არნოლდ ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, თბილისი.

ცინცაძე, ფაღავა, 1998 - მერი ცინცაძე, მამია ფაღავა, სამხრული დიალექტები და ქართული სამწერლობო ენა (V-XVIII სს), ბათუმი.

ძიძიშვილი, 1960 - მერი ძიძიშვილი, ფონეტიკური პროცესები ძველ ქართულში, თბილისი.

ჯორბენაძე, 1989 - ჯორბენაძე ბესარიონ, ქართული დიალექტოლოგია I, თბილისი.

ჯორბენაძე, 1998 - ბესარიონ ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, II, თბილისი.

Кипшидзе, 1914 - И. Кипшидзе, Грамматика Мингрелского (Иверского) Языка, СПб.

ენათმეცნიერება

სახელეუბნი მარადიდულ კლარჯულში

ნათელა ფარტინაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანოტაცია: მარადიდული კლარჯული, სხვა დიალექტთა მსგავსად, სამწერლობო ენისაგან გარკვეულ სახესხვაობებს გვიჩვენებს, რომელთაც ვხვდებით ენობრივი იერარქიის სხვადასხვა საფეხურზე. სახელთა ბრუნებასთან დაკავშირებით ხმოვანფუძიან სახელებთან გამოიკვეთა თავისებურებები ბრუნვის ნიშნებში, თანხმოვანფუძიანებში კისახელის ფუძეში.

სახელთაგან ყველაზე მეტ თავისებურებას ავლენს ნაცვალსახელი. პირისა და ჩვენებით ნაცვალსახელებად გვხვდება: ი < ის'; ე < ეს' სხვადასხვა ბრუნვის ფორმით. ასევე გვხვდება ად < ეს//აგი ნაცვალსახელები. მესამე პირის ნაცვალსახელებად მრავლობით რიცხვში გვევლინება: ესნები, ისნები, იმნები, ამნები, მაგნები სხვადასხვა ბრუნვაში...

თავისებურებას ავლენს აგრეთვე ბრუნებისას განსაზღვრებითი და განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელებიც.

საკვანძო სიტყვები: სახელები, ბრუნვა, ფუძე, კუმშვა, კვეცა.

მარადიდული კლარჯული, სხვა დიალექტთა მსგავსად, სამწერლობო ენისაგან გარკვეულ სახესხვაობებს გვიჩვენებს, რომელთაც ვხვდებით ენობრივი იერარქიის სხვადასხვა საფეხურზე. ამჯერად წარმოვადგენთ სახელებთან დაკავშირებულ თავისებურებებს.

რიგი თავისებურებები ვლინდება **არსებით სახელთა** ბრუნების დროს: ხმოვანფუძიანი სახელები, როგორც საკუთარი, ისე საზოგადო, **სახელობით ბრუნვაში** დაირთავენ ნიშანს - **დ < ი:**

თამარად გაგონილი გაქვან; **თამარად** მეტი ზენგინი ყოფილა (ზემო მარადიდი); ტააბი დაკტენ, **ალიოშად** იყო, მოკტა, **ზექიედ** იყო, ისიც მომიკტა, ახლა **ხატიჯედ** ერთი, ესენი ვიცნოფ; სამი **ძმა** ყავდა (გოზლუქი); მარა ჩემი **და** სმიდა; შენი **ბიძა** ვინაა-მეთქი? (ულიბეი); ასე **ხედ** დარჩება (შერიფიე)...

მოთხრობით ბრუნვაში ხმოვანფუძიან სახელებს (როგორც საკუთარს, ისე საზოგადოს) ძირითადად მოუდით -**მა** სუფიქსი:

თაგვამა ვერ გამოჭრასო (ხება); **თავრობამა** გუუგნა (ნურუ ოსმანიე); **თავრობამა** გააწუხა (შერიფიე); მასკან გადატიალდა **საქმემა** (ბალაბანსირთი); **ფაბრიკამა** დუმანები გამუშუვა (ერდემლი); **ცამა** გურგულავსო, გარეთ არ გევალოთ (ადაფაზარი); **დედემა** გააკეთებდა, გაყიდვიდა; ბენდში დიდი ქვა ეგლო მეგემ, ვინმემა ვერ გადააგლო, **ნენემა** ილაპარაკებდა, **ბაბამა** გადააგლო...; **თხამა** შევდა და ფიდანი გადაკნიტა და ადრე იყო და მერე **ჩაიმა** შეცვალა (ზემო მარადიდი); თამაზის **გოგომა** ცეკვაზე მოვდოდა აქა (ეშმე ახმედიე); იმ **გოგომა** წიმყვანა და მაწავლა... (ადლიე); **შუქრიმა** ნარდზე მომიგო (ქვემო მარადიდი); **ნიკოლამა** გააკეთა ბორჩხას გზა, ხოფას გზა...

იშვიათია -**მ** ნიშნიანი მოთხრობითის ფორმა:

ნათელა ფარტანაძე

ჩემ ნენემ ბევრი იცოდა [ლოცვა]... (ქვემო მარადიდი).

მიცემით ბრუნვაში თანხმობანფუძიან არსებით სახელებს ზმნებთან ხმარებისას ხშირად ეკარგებათ -ს ბრუნვის ნიშანი:

ჯენჯირზე **ხორც** დაკიდებდენ (ბერძნევი); ამსოჲ **კაცებ** დევკავებდით, **ასკერ** ჩაბარებდით ბალაბანსირთი); ბაირამზე ბევრი ხორცია, ხორცი **საჭმელებ** გავაკეთავთ: **ხორც** გადავხრაკავთ (ქვედა მარადიდი); წურვილი – **ფხალ** მოვხარჩავთ, გავწურავთ, **კაკალ**, **პილბილ**, **ქინძ** გუდუურევთ (ხება); ჰემ მან სვა, ჰემ **სალდათებ** ასვა (გულსიბი); სალდათები **ერთმანებ** უყურვენ (გულდიბი); **ღარჰ** დუუმახ; **ქათმებ** სიმინდი დუუყრით; **ჩიტებ** გუუხარდებიან, მოვლენ...

ეს მოვლენა საკმაოდ გავრცელებულია ზემოიმერულში, იშვიათია ქვემოიმერულში. ხშირია კახურსა და განსაკუთრებით, ქიზიყურში (მოწენიძე, 1973: 20). ხმოვანფუძიანებში კი ჩნდება **ა**:

ლეროჲ ჩვენც ვაკეთავთ (ხინჭკანა); **დილაჲ** გააკეთავდი შუადიხან შეჭამდი (ზემო მარადიდი)...

ჩვეულებრივია **ნათესაობითი ბრუნვის** ნიშნისეული -ს'ს დაკარგვაც:

მი ფაფა გააკეთეფ (ქვემო მარადიდი); **თიხი ქოთანები** იყო; **სიმინდი ღერ** ჩალა ვიტყვით; ამ სოფელში ერთი **ღვინო დალევა** პრობლემა არაა (ნუსრეთიე)...

შეიძლება ორივე ბრუნვის (მიც., ნათ.) ფორმით გადმოცემულ სახელში ერთდროულად დაიკარგოს ბრუნვის ნიშნისეული -ს: ბაირამზე ბევრი ხორცია, **ხორცი საჭმელებ** გავაკეთავთ (ქვემო მარადიდი)...

ნათესაობითში ა-ზე დაბოლოებული გეოგრაფიული სახელები ზოგჯერ უკვეცელია და ამიტომაც ბრუნვის ნიშნად მხოლოდ თანხმობანი ელემენტი დარჩება:

ნიკოლამა გააკეთა **ბორჩხას** გზა, **ხოფას** გზა... (ზემო მარადიდი); ჩემი დედეს სოფელი დიდი **აჭარას**, შაქირ ადას სოფელიო, იტყოდენ (ჩიცეჭენინარი)..., თუმცა უკვეცელი სახელები ნათესაობითი ბრუნვის ნიშანს ზოგჯერ სრულადაც დაირთავენ: ახლა ჩემი **გოგოს** გიმიპარებენო და მან მისი ხელით მიმცა (დენიქოჲ); **სირსვილას** [ლოცვა] ჩემი ნენემა იცოდა, მე არ ვიცი... (ქვემო მარადიდი).

ასევე უნდა ითქვას ისიც, რომ კუმშვადი სახელები უმეტესად უკუმშველია ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში:

ეს **სოფელის** პროფესორია (ზემო მარადიდი); **თიაქარის** ლოცვა, ალიქარის ლოცვა, შაკიკის, ყველაფრის ლოცვა; **დამწვარის** ლოცვას ვკითხულობ... (ქვემო მარადიდი)... **ჩაფაათ** თხრიდენ; ვუმახით, რომ ლამაზი მოდი, დემაჲ **წყალითო** (გოზლუქი); აქ ძველათ ალთუნის **ფინჯანით** ყავეს სმიდენ; აქ ძველათ ალთუნის **ფინჯანით** ყავეს სმიდენ (ხება); ხუთი **ქვაათ** ვითამაშებდით; **ლაფერათ** ღიორო აწევდენ... (ზემო მარადიდი).

მარადიდელთა მეტყველებაში გვხვდება აგრეთვე გავრცობილი ფორმა ნათესაობითში:

ერთი დიდმანიძე **ხუსეინასი** გოგო იყო; **სირსვილასი** ლოცვა ვიცოდი (ქვემო მარადიდი); ჩემი **დედასი** მხარე არიან (ზემო მარადიდი)...

წოდებითში საკუთარი სახელები დაირთავენ ბრუნვის ნიშანს:

კიდევ კაჲ, **ზექერიაჲ**, გოგო არ კყავს (მურადიე)...

კირნათის მეტყველებაში კი თანხმობანფუძიანი ადამიანის საკუთარი სახელის ფუძეს ერთვის -ა' და იქვეა ხმოვანფუძიანად. ასეთი სახელები წოდებითში ორგვარად არის წარმოდგენილი ვ'(<ო) ნიშნითა და თანხმობნიანი ფუძით: ზივერაჲ, ზივერ!...; ჰაჯერაჲ, ჰაჯერ!... (კლარჯ., 2016: 545).

თავისებურებებით ხასიათდება კუმშვადი და კვეცადი (ა-სა და ე-ზე დაბოლოებული) არსებითი სახელების **ებ**-იანი მრავლობითის ფორმები. კერძოდ, კუმშვად სახელებს -ებ ნიშანი სრულ, შეუკუმშავ ფუძეზე დაერთვის:

ყურძენების არეში იზდება და გახარდება. ამ ჩიჩელს სარმაშული ქვია; ქათმები მყავდენ, **ცხვარები** მყავდენ... (ეშმე ახმედიე); თიხი **ქოთანები** იყო (ბერძნევი); ზოგიერთი არიან იმფერი დედამთილები რომ (რ)მალები ჭამენ (ბალაბანსირთი); **წამალები** დალევენ და გეფვლის; **წყალები** ზომო ყანიებიდან მოდის, სახელი არ აქ, **წყალები** მეტი კადა (ნუსრეთიე); ბიძამ დაჰა ბევრი **ამბვები** იციან (ადლიე)... ასევე ა-ზე დაბოლოებულ სახელებსაც -ებ ნიშანი უკვეცელ ფუძეზე დაერთვის: იმნებმა ბოში ლაპარიკობენ, ჩვენ **ჭიქაები** მივარტყათო (ულიბეი); ძველი ინსნები ჩემზე დიდი **უსტაები** ყოფილან წინ (ნუსრეთიე); მეტი უყვარს **მანქანაები** (ქვემო მარადიდი); **დოლმაები** გავაკეთეთ დიდვანი თაშთიებით (ბალაბანსირთი)...

ზოგჯერ აე >ეე> იე კომპლექსს:

წყალები ზომო **ყანიებიდან** მოდის (ქვემო მარადიდი)... და ასევე ე-ზე დაბოლოებულ სახელებში ეე' კომპლექსის დისიმილაციით მიღებულია იე': ჩეარა ი **დღიები** (ულიბეი)...

ა და ე ხმოვნებით დაბოლოებული სახელების -ებ'იანი მრავლობითის აღნიშნული თავისებურებები სამხრული მეტყველების სხვა დიალექტებშიც დასტურდება:

ცხვარები, სხალები, აკვანები, გზაები, ქვიები, თხიები, ბახჩიები, ხოჯიები... (ჩვენებ., 271-298). ასევე ქართლურშიც. ბ. ჯორბენაძე აღნიშნავს, რომ „-იებ გაიზარება ერთიან ფორმანტად და დაერთვის თანხმოვანზე ფუძედაბოლოებულ ერთმარცვლიან კუმშვად სახელებსაც“ (ჯორბენაძე, 1989:294).

როგორც ვხედავთ, შეუკუმშავი და შეკუმშული ფუძეები მრავლადაა მარადიდულში და ზოგადად სამხრულ მეტყველებში. გვხვდება პარალელური ფორმებიც. როგორც შ. ნიჟარაძე აღნიშნავს, „რედუქციის პროცესი ჯერჯერობით არაა დასრულებული“ (ნიჟარაძე, 1975:111). საენათმეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ „ცოცხალ კილოებში რედუქცია უფრო ცხოველია აღმოსავლურ ჯგუფში, ხოლო დასავლურში უფრო მეტად არის შესუსტებული“ (შანიძე, 1973: 317).

რიცხვით სახელებთან დაკავშირებით ქვემო მარადიდში რაიმე თავისებურება არ შეიმჩნევა, რაც შეეხება ზემო მარადიდს, ძირითადად თურქულ რიცხვით სახელებს იყენებენ ან ქართულს - ერთიდან ათამდე და ოცის კომბინაციებს:

ბემ ალთი აუზ ხანე ყოფილა (შერეფიე); **ონ იქი** გათავდა, იმის უკან - არა; **კირქ ბემ** გაათავებდი, ემექლი იყავი, ახლა გამედცვალა - რაცხამდონი მალე შეხვალ, იმდონი (ბალაბანი); **ალთიმ ბემ** სენე იმუშაო; თხილი შარშან **ონ იქი** ლირა იყო, ახლა **სექიზ** ლირაზე ჩამოვდა (ბალაბანსირთი); მე **ირმი იქითანე** ერთხელა ვიყავთ (გულდიბი); **დოქსან უჩზე** წესულან აქიდან (ბალაბანსირთი); ზოორ ძველია, **ბემ აუზ** იძახიან, **იქი აუზ ალთი** სენე მამაშენსაც ეცოდინებოდა (ადლიე)...

ხებიდან აქ გამევეთხვე, **ონ ალთი წლის, ათი და ექსი წლის** (ბერძნევი); რეჯებოლლი **ოთხი ოცი** (80) წლისაა; მე ვიყავ **ათი და ხუთი და ერთი** (თექვსმეტი); **ათი და ერთი** თვე დავჩი ნიშანლი (ხება); მე ბორჩხას ვარ ზათი და აქ ასე ერთი საქმე რომ მექნება, მაშინ მოვალ, მევსაქმავ ერთი **ხუთი დღე**, მერე წევალ ბორჩხას (ზემო მარადიდი); **მიორე** არ მეფყვანა, ნიშანლია ჯერ, **მიორე** დანიშნული მყავს, ზამთარში მეფყვანო'ნდა იმტე (ულიბეი); **მიორე** მეტი კადა; ამა **ოცი, ათი, ხუთი** (35) წელიწადი ვიცოცხლეთ; სოდადი - კოჯამან, **იეთიმ ბემ - სამოცი ათი და, ერთი ოცი** - **ირმი, ერთსხვა ოცი** - **კირქ** (ეშმე ახმედიე); ორი თვისას მალოციებენ; **ერ** თვეზე დადიან, ვინც

ნათელა ფარტანაძე

ავციანებს, არ ყოფნის; ზამთარში ელლი ხანე არიან, ახლა **აუზ** ხანე გავლილი არიან; მოზობელმა **თუთხმეტი** კვადრატი სახლი მიცა საჩუქრათ (უღიბეი); მაჰმუდიე **ოზდაჩედიმეტი** სახლი იყო, სამასი კაცი იქნებოდა; გაყიდეს მიწები, **დოქსან უჩ'ის** საჩუქარი, წევდენ (მაჰმუდიე); პირველათ **ცხრა და ნოლი** (90) წელში ვიყავი საქართველოში (ნუსრეთიე); კაცი მომიკდა **ხუთი და ექსი** წელწადია, **ირმი ალთი** არა **ოცი და ექსი** (ბერძნევი); იქიდან კაცები წამოვდოდენ, **ოცი-ოცდაექსი**; სამ თვეში **სამ-სამჯელ**, ცხრა გამოდის და (ერდემლი)...

სახელთაგან ყველაზე მეტ თავისებურებას ავლენს **ნაცვალსახელი**. პირისა და ჩვენებით ნაცვალსახელებად გვხვდება: **ი < ის**; **ე < ეს** სხვადასხვა ბრუნვის ფორმით. მაგალითად:

ი ჩემი თეაზეა (შერეფიე); **ე** რიზელია, ლაზი სხვა ჯინსია (ჩუბუქლუ ბალა); **ე** ჩემი შილია, **ე** ჩემი დიდი აბლაა (ხინწკანა)... **ის** - მესამე პირის ნაცვალსახელი მიცემითში გვხვდება სახელობითის და მიცემითის ფუძით ან **-ი** დართული ფორმით: **ისი** ყველა ოჯალში ვერ ნახეფ... (ნუსრეთიე); **ამა** ჩვენ ხალხმა ვუყურავდით, ახლა თავრობამა უყურავს (ბალაბანსირთი); **ამა** დილაა ჩადთან ვჭამთ... (ხინწკანა); **იმა** არ ედყვანვენ ქი ვინმემ (ეშმე ახმედიე); **იმა** ჩავაყრით, იმის უკან ღერღილი დავაყრით (ხება)...

ჩვენებითი:

ჩემარა **ი** დღეები (ბერძნევი); მე **ი** ფიქრი ჰა მაქ (ქვემო მარადიდი); არ ჩამოვდა **ი** კაცი (ახცაგოჯა); **ე** ომი რომ დაწყობილა, ჩვენი ორი ბიძა, ოთხი ძმადან, სამი ბათუმში დუუკავიან (ნუსრეთიე)...

ქართული ენის დასავლური კილოების მსგავსად მარადიდელთა მეტყველებაში დასტურდება **ამ < ეს**//**აგი** ნაცვალსახელები:

ამ რაფერი ხოჯააო (მაჰმუდიე); **ამ** ტყეები დუუნახიან (შერეფიე); **ამ** სახლი მე გავაკეთე (ქვემო მარადიდი); ზერზერეზე **ამ** სახლი იყო, არ წეაქცა (დენიქო)...

მესამე პირის ნაცვალსახელებად მრავლობით რიცხვში გვაქვს **ესნები, ისნები, იმნები, ამნები, მაგნები** სხვადასხვა ბრუნვაში:

ჩემი ბაბას ოთხი ძმა ყოფილან **ესნები** (უღიბეი); უწინ მიგიტანდენ **ისნები** და ზედას შეიკერავდი (შერეფიე); **იმნები** ყუძარი თამაშობენ (ბალაბანსირთი); **იმნებმა** ბოში ლაპარიკობენ, ჩვენ ჭიქაები მივარტყათო (ახმედიე); ქომოდან რომ მოვდოდენ, **იმნებიდან** დეეწავლე; მე **იმნებს** ჩად გუუკეთავ (გულდიბი); ამან არ იცის **ამნები**, მისი ნათესავები; **ამნებს** არ ახსოვან (ქვემო მარადიდი); დუგუნებზე **მაგნები** ისამებდენ; ჰა'ნა ასეფროთ **მაგნები**? (ხება)...

ხშირია კუთვნილებით ნაცვალსახელთა ორმაგად გამოყენების შემთხვევები:

ახლა **იმის მამამისმა** ძალიან დიდი პატივი მეცენ (ჩიციქვინარი); **ამის დედემისმა** აწევდა ნავი (ახჩაგოჯა)...

სამხრული კილოების მსგავსად მარადიდულშიც ხშირია უკუქცევითი ნაცვალსახელი **თავი** საზღვრულის როლში, რომლის მსაზღვრელად სამივე პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელი გვხვდება, თუმცა შინაარსობრივად ყველა გამოხატავს პირს:

ჩემი სოფელში ჩემი **თავი** არ შიმიშვენ ასკერმა (ბალაბანსირთი); არ ვიცი, ჩემი **თავი** ნიშნენ (მურადიე); ჩემი **თავი** არ დაავიწყდა სააკაშვილს, აგინი რას საქმობენ? (ადაფაზარი); შენი **თავი** მოლალა; შენი **თავი** გამუაგზანეს აქა! (უღიბეი); მისი **თავი** დაახჩო (ერდემლი)...

კითხვით ნაცვალსახელთაგან აღსანიშნავია **ვინ** და **რა**. **ვინ** გვხვდება მრავლობითის ფორმითაც: **ესენი ვინები** იძახი; **სხვა ვინები** არიან?...

რა მრავლობითში ძირითადად შეკვეცილი, ან ასიმილირებული ფორმით დასტურდება: **ამან რები** იცის, **რები**... (ნუსრეთიე); ჰელე, გედეკითხე **რები** იქნა?... (ქვემო მარადიდი)...

სამაგიეროდ, ნათესაობითი ინარჩუნებს ფუძისეულ ხმოვანს და გვხვდება უკვეცელი ფორმით: ყანაში **რადს** ხებერი იქნებოდა, ვიღალებით (ულიბეი); **რადს** კად იყო, ვინცხამა გამოიგონა, ოჯახი დეიქა მისი (ქვემო მარადიდი)...

მიცემითი კი, ბრუნვის ნიშნის გარეშე დასტურდება: ამხანაგი რომ მიძახიან, **რა** ჭამ? (ნურუ ოსმანიე); **რა** ჭამთ თქვენ? (ხინჭკანა)...

რა ნაცვალსახელი მარადიდულში გვხვდება ორმაგი მრავლობითის ფორმითაც: ახლა **რადნები** იკითხვენ? (ეშმე ახმედიე)...

კითხვითი **რა** ნაცვალსახელი, როგორც ცნობილია, მრავალფუნქციურია, ის სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარება და ამ მხრივ არც მარადიდული მეტყველებაა გამონაკლისი. მაგალითად: **რა** (=როგორი): ლამაზი ინსნები, **რა** (=როგორი) კად ინსნები; ე **რა** (=როგორი) ლამაზი სახელებია; ბაბოდ - არა, **რა** (=როგორი) ჩეთინია!... (ხინჭკანა); მე **რათ** (=რად, რატომ) მიყურავთ! (ბერძნევი)...

კითხვითი ნაცვალსახელი -რამდენი' ძირითადად გვხვდება რამითი' ფორმით: **რამითი** ღამე ისაქმენ არ ვიცი...

განსაზღვრებითი ნაცვალსახელი - ყველა სახელობითში გვხვდება დ დართული სახით:

ახლა **ყველა** ჯაზი გახდა (ნურუ ოსმანიე)... მოთხრობითში კი - **მა** ბრუნვისნიშნისანი ფორმით: ახლა **ყველამა**, თურქეთში კაცმა იძახს (მურადიე)... ძირითადად კი მას აქვს **მთელი** ნაცვალსახელის მნიშვნელობა: **თელი** იქ იყო; ნურუ ოსმანიე **თელი** მარადიდლი არიან (ნურუ ოსმანიე); **თელი** ჭანები არიან ისნები (მურადიე)...

ნაცვალსახელი **სხვა** ყოველთვის სრული ფუძით იხმარება და სახელობითშიც გაფორმებულია ბრუნვის ნიშნით (დ < ი):

მეტი წმინდა არ ვიცი, **სხვად** რა გითხრა..., რომელსაც სრული ფუძე შენარჩუნებული აქვს ყველა ბრუნვასა და რიცხვში: **სხვადს** ახლა ვეფერს გეტყვი (ქვემო მარადიდი); აქა გედემერიენ **სხვაები** (ერდემლი); ჩვენი სახლებში **სხვანები** დუჟდუმლიან (ადაფაზარი)...

განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელებისთვის დამახასიათებელია ნაწილაკ-შეზრდილი წარმოება: **ვინ-ცა-ლა**, **რა-ცა-ლა** > **ვინცხა**, **რაცხა**:

ვინცხა კაცმა მოვდა; იქ, ბათუმში მყავან **ვინცხაები** (ჩიცექფინარი); ჰემ ნაკითხი იყო, დიდი **რაცხა** იყო ი გოგო, უკითხია (გულდიბი); **რაცხა** იყო, ჰამა დამაბიწყდა ახლა (ქვემო მარადიდი)...

განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები გამოიყენება უარყოფითი - **არავინ** და **ვერავინ** ნაცვალსახელების ნაცვლად:

ზამთარში **ვინმე არაა** (მაჰმუდიე); წაბლი **ვინმემ** არ უყურავს (გულდიბი); **ვინმემა** ქართული გვარი ვერ დედრქვავს (ბალაბანსირთი); **ვინმემ** არ ილაპარაკებენ; ახლა სახში **ვინმე** არ მყავან (ქვემო მარადიდი); სოფელში ახლა სულ პენსიონერია, სხვა **ვინმე არაა**, ახალგაზდა **ვინმე არ დარჩა** აქ (ბერძნევი); გურჯული **რამემა** ვერ დააწავლის (ერდემლი)... **რამე** შეიძლება აგრეთვე **არაფერის** მნიშვნელობითაც შეგვხვდეს: შენ ჭკვა არ ქონებია, შენ **რამ არ** გინდა დაწერა, შენ გიგითავებია სიცოცხლე **რამ არ** მამლევენ რომ! (ნურუ ოსმანიე); **რამ** მასკან ჯეზა არ მიმივდეს?; ახლა ბოსტანში ჰიჩ **რამ არაა** (ხება); ნენე-ბაბამა შენ გონჯი **რამ** ხომ არ გეტყვის (ულიბეი); მე **რამ** არ შიმიძლია; ხაზირი ვჭამ, მეტი **რამ არა** (ქვემო მარადიდი)...

ხშირია ორმაგი უარყოფის შემთხვევებიც: **არავინ არ** მოსულან (ქვემო მარადიდი); აქ **არვინ არ** იცის მასე (ზემო მარადიდი)...

ამრიგად, სახელთა ბრუნებასთან დაკავშირებით გამოვლინდა შემდეგი თავისებურებები: ხმოვანფუძიან სახელებთან ძირითადად ბრუნვის ნიშნებში, თანხმოვანფუძიანებში კი სახელის

ნათელა ფარტენაძე

ფუძემი. ხმოვანფუძიანი არსებითი სახელები სახელობითში დაირთავენ *ა - ს*: ალიოშა^ა, ხე^ა, ბიძა^ა... მოთხრობითში ძირითადად მოუდით *-მა* სუფიქსი: თავგამა^ა, საქმე^ა, თხამა^ა... თანხმოვანფუძიანებში შეკუმშული ფუძის ნაცვლად ხშირია სრული, შეუკუმშავი ფუძე როგორც მხოლოდობითში, ისე მრავლობითში: სოფელის, ფინჯანით, თიაქარის...; ყურძენების... გავრცობილი ფორმა გვხვდება ნათესაობითში: ხუსეინასი; სირსვილასი, დედასი...

სახელთაგან ყველაზე მეტ თავისებურებას ავლენს ნაცვალსახელი. პირისა და ჩვენებით ნაცვალსახელებად გვხვდება: *ი < ის'*; *ე < ეს'* სხვადასხვა ბრუნვის ფორმით. ასევე გვხვდება *აჲ < ეს/აგი* ნაცვალსახელები. მესამე პირის ნაცვალსახელებად მრავლობით რიცხვში გვევლინება: *ესნები, ისნები, იმნები, ამნები, მაგნები* სხვადასხვა ბრუნვაში.

კითხვითი *ვინ'* ნაცვალსახელი გვხვდება *ებ-*იანი მრავლობითის ფორმითაც: *ვინები... რა' კი* - მრავლობითში ძირითადად შეკვეცილი ფორმით ან ასიმილირებული სახით დასტურდება: *რები; რეები...* სამაგიეროდ, ნათესაობითში ინარჩუნებს ფუძისეულ ხმოვანს და გვხვდება უკვეცილი ფორმით: *რაჲს...*, მიცემითში კი, ბრუნვის ნიშნის გარეშე დასტურდება: *რა ჭამ?... რა'* ნაცვალსახელი მარადიდულში გვხვდება ორმაგი მრავლობითის ფორმითაც: *რა^ანები...*

თავისებურებას ავლენს აგრეთვე ბრუნებისას განსაზღვრებითი და განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელებიც.

LINGUISTICS

SOME PARTS OF SPEECH IN THE MARADIDI KLARJULI

NATELA PHARTENADZE

Batumi Shota Rustaveli State University

The Maradidi Klarjuli, like other dialects, slightly differs from the written language that we encounter at different levels of the linguistic hierarchy. As for the conjugation of nouns, the peculiarities have been revealed in the case endings of nouns with a final vowel in the root, and in the root of nouns with a final consonant in the root. Nouns with a final vowel in the root in the nominative case take the ending *ა*: ალიოშა^ა, ხე^ა, ბიძა^ა...

The suffix *-მა* is mainly added in the narrative case: თავგამა^ა, საქმე^ა, თხამა^ა...

Instead of a compressed stem, nouns with a final consonant in the root often have a complete uncompressed stem in both the singular and plural: სოფელის, ფინჯანით, თიაქარის...; ყურძენების... the common form is found in the genitive case: ხუსეინასი გოგო იყო; სირსვილასი ლოცვა ვიცოდი ჩემი დედასი მხარე არიან...

Among all the parts of speech, the pronoun has the most peculiarities. There are personal and demonstrative pronouns *ი < ის'*; *ე < ეს'* in different cases. The common is *აჲ < ეს/აგი* (this) as well. The third person pronouns are found in the plural: *ესნები, ისნები, იმნები, ამნები, მაგნები* in different cases.

The interrogative pronoun *ვინ'* (who) also occurs in the plural form *ებ-*: *ესენი ვინები იძახი; სხვა ვინები არიან?...* The form *რა'* (what) in the plural is mainly found in truncated or assimilated form: *რები; რეები...* while, in the genitive case it retains the root vowel and occurs in an untruncated form *რაჲს...*, in the dative case, it occurs without a case ending: *რა ჭამ?...* The pronoun *რა'* also occurs in the double plural form: *რა^ანები...* Defining and non-defining pronouns have their own peculiarities as well.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **კლარჯ.** – მ. ფაღავა, მ. ცინცაძე, მ. ბარამიძე, მ. ჩოხარაძე, თ. შიომშვილი, შ. მამულაძე, რ. ხალვაში, ნ. მგელაძე, ზ. შაშიკაძე, ჯ. კარალიძე, კლარჯეთი, თბილისი, 2016.
2. **შავშ., 2011:** - მ. ფაღავა, თ. შიომშვილი, შ. მამულაძე, მ. ცინცაძე, მ. ჩოხარაძე, ზ. შაშიკაძე, ნუგზარ ცეცხლაძე, თ. ფუტკარაძე, მ. ბარამიძე, ჯ. კარალიძე, ვ. ჩოხარაძე, **შავშეთი**, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ინსტიტუტი, მონოგრაფია, თბილისი.
3. **ნიჟარაძე, 1975:** - ნიჟარაძე შოთა, ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა, ბათუმი, 1975.
4. **ფუტკარაძე, 1993:** - ფუტკარაძე შუშანა, ჩვენებურების ქართული, წიგნი პირველი, ბათუმი, 1993.
5. **შანიძე, 1973:** - ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, თბილისი.
6. **ძოწენიძე, 1973:** - ძოწენიძე ქეთევან, ზემოიმერული კილოკავი, თბილისი.
7. **ჯორბენაძე, 1989:** - ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი.

ენათმეცნიერება

ხატოვანი გამოთქმები და ფრაზეოლოგიური შესიტყვებები ფაზარის ჰამიდიუს ქართულში

რუსულან სალინაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მაია კიკვაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანოტაცია: ნაშრომში განხილულია ფაზარის ჰამიდიუს ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლების უფროსი თაობის მეტყველებაში დღემდე შემორჩენილი ხატოვანი გამოთქმები და ფრაზეოლოგიური შესიტყვებები, რომლებიც ყველაზე ნაკლებად განიცდის თურქული ენის გავლენებს და რომლებშიც ყველაზე მეტადაადაცული წინაპართა ენა. საკვლევი მასალა ახალია, ზოგიერთი კი უცხოა ქართული სალექსიკონო სივრცისთვის.

საკვანძო სიტყვები: მუჰაჯირები, დიალექტი, გამოთქმა, შესიტყვება, ვარიანტები.

ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლები მჭიდროდ არიან დასახლებული თურქეთში, შავი ზღვის სანაპიროზე, ფაცა-ორდუს რაიონებში. მათი მეტყველება ძირითადად შესწავლილია ქართველი მკვლევრების (შ. ფუტკარაძე, მ. ცინცაძე, მ. ფაღვა, მ. ბარამიძე, მ. ხახუტაიშვილი...) მიერ. ქობულეთიდან გადასახლებულთაგან მხოლოდ რამდენიმე ოჯახი ცხოვრობს რიზეს რეგიონში, კერძოდ, ფაზარის რაიონის სოფელ ჰამიდიეში. მათი მეტყველება კი დღემდე შეუსწავლელია. 2015 წლიდან ჩვენ საშუალება მოგვეცა, ჩაგვეწერა ჰამიდიელ ქართველთა მეტყველების ნიმუშები. ისინი ქობულეთურ კილოკავზე საუბრობენ. ჰამიდიე ზოგიერთი მათგანისთვის მუდმივი საცხოვრისია, ზოგიერთები კი თურქეთის დიდ ქალაქებში (სტამბოლში, ანკარაში, ბურსაში...) სახლობენ და მხოლოდ ზაფხულობით სტუმრობენ სოფელს. უფროსი თაობა დღემდე სათუთად ინახავს წინაპართა ენას, ქართულ ტრადიციებს, კულტურას, რაც ნაკლებად ჩანს, ან თითქმის დაკარგულია საშუალო და უმცროს თაობაში.

საზღვრისპირა, თანაც შავი ზღვის სანაპიროდან მთისკენ შეფენილი, ერთ დროს მხოლოდ ქართული სოფელი დღეს შერეულია. იქ ძირითადად ისმის თურქული ენა, ნაწილობრივ – ქანური და გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე – ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლების (კონცელიძეების, ხარაზების, მჟავანაძეების, მემარნეების, ჯაშების, კაკალაძეების...) ქართული.

ქობულეთელებს ეამაყებათ თავიანთი წარმომავლობა: „მე ძველი ქობულეთელი ვარ – იქიდან მოსული. ორიგინალი ქართველები, ნამდული ქართველები, აქ, ჰამიდიეში არიან“ (ახმედ მემარნე-ერდოღანი, 67 წლის).

უფროსი თაობის ჰამიდიელთა მეტყველება მდიდარია ხატოვანი გამოთქმებითა და ფრაზეოლოგიური შესიტყვებებით, რომელთაგან ზოგიერთი უცხოა ქართული სალექსიკონო

რუსულან სალინაძე, მაია კიკვაძე

სივრცისთვის. ეს მასალა ლექსიკური ფონდის ის ნაწილია, რომელიც, საზოგადოდ, ყველაზე მეტად არის დაცული უცხოენოვანი გავლენისაგან და რომელშიც ყველაზე მეტად არის შენახული ენა. ამგვარი სიტყვა-თქმების გათვალისწინების გარეშე, ფაქტობრივად, შეუძლებელია ფაზარის ჰამიდიელთა ქართულის შესწავლა.

ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლების გამოთქმებსა და შესიტყვებებში განივთებულია წინაპართა ენა და ცნობიერება, დღემდე არის შემონახული უძველესი წეს-ჩვეულებები, ტრადიციები, რომლებითაც ასე ამაყოფენ ისინი.

მუჰაჯირთა შთამომავლების სიტყვა და ფრაზა ზედმიწევნით მოქნილი და ექსპრესიულია. ასეთებად მივიჩნით ფრაზეოლოგიური შესიტყვებები:

დათლილი კაცები: „აქ კაი გვარები იყდენ: მჟავანაძეები, მემარნეები, ფასიოლლები, გვარელოლლები. კაი კაი კაცები, დათლილი კაცები“; „მამა კაი კაცი იყო, ქალაქის კაცი იყო. ქერესტე იყო (< თურქ. keresteci = მრეწველი, ხე-ტყის გამყიდველი, თურქ. Kereste = ხე-ტყე, ყავარი – ჩლაიძე, 2001: 822)... ახლა სადაა მასეთი დათლილი კაცები“; „თბილისში არის ჩემი დეიდაშვილი... მისი ბაღანა საელჩოში მუშაობს, იქა დათლილი კაცია“ (ჰამიეთ ფასიოლლუ, 83 წ.). მიქმელი იქვე აზუსტებს: „დათლილი კაცი ანუ დასაფასებელი კაცი“ (= თურქ. ünli adam – ცნობილი კაცი, ჩლაიძე, 2001). შდრ. დაფასებული კაცი.

მოყალიბებული სახლები (= მოწესრიგებული, გამართული სახლები – ავტ.): „კაი, კაი მოყალიბებული სახლები ქონდათ“ (ჰ. ფასიოლლუ). საინტერესოა, რომ ჰამიდიეს ქართულში მოყალიბება (არაბ. Kalip = მოდელი, ფორმა, ყალიბი, კალაპოტი, ნიმუში, შაბლონი, თარგი. Kalip almak = დაყალიბება, ჩამოსხმა – ჩლაიძე, 2001) დადასტურდა არა მარტო უსულო საგნის აღმნიშვნელ სახელთან, როგორც მიმღეობა, არამედ ადამიანთან მიმართებითაც ზმნური ფორმით შესიტყვებაში **ბაღანა მოყალიბა:** „დინარა ისტანბულში იყო, ბაღანა მოყალიბა, უნივერსიტეტში კითხულობს“ (ჰ. ფასიოლლუ); „ჩემი გოგო კაია, ისტანბულშია, ოქულშია, დინარა იყო იქა, გოგო მოყალიბა. იატაქი, ოდა, სუ ყველამფერი ოქულმა მისცა, კაია“ (ა. მემარნე). მოცემულ ფრაზებში **ბაღანას / გოგოს მოყალიბება** ნიშნავს მისთვის საცხოვრებელი ადგილის მოწესრიგებას, ხელის შეწყობას, დახმარებას. შდრ. თანამედროვე სასაუბრო ქართულში გავრცელებული გამოთქმა **ჩამოყალიბებული ადამიანი**.

აღსანიშნავია, რომ აჭარულსა და გურულში დასტურდება საანალიზო ლექსიკური ერთეულის – **მოყალიბებული** – ფონეტიკურად სახეცვლილი სემანტიკური ვარიანტები: **მიკალიბება** – მილაგება, მიწყობა, დალაგება (ოთახის...), წესრიგში მოყვანა, თავ-თავისი ადგილის მიჩენა, მილაგ-მოლაგება (შდრ. შარაშ. მიკალიბება) და მიმღეობური **მიკალიბებული** (ნიჟარაძე, 1971); აგრეთვე, **მო-** ზმნისწინიანი **მიკალიბება**, რომელსაც აქვს ორი მნიშვნელობა: 1. „**მიკალიფება** ძვ. დაგვა ადგილისა, ნაგვის გაწმენდა, მოლამაზება“ (საბა); 2. წასასვლელად მომზადება, მგზავრობისას წასაღები ბარგის წესრიგში მოყვანა, ჩალაგება, ჩაწყობა (ნიჟარაძე, 1971).

ხატის მტეხელი: „ხატის მტეხელი ბავშვი... ცელქ ბავშვზე იტყვიან“ (ჰ. ფასიოლლუ). როგორც გამოთქმიდან ჩანს, ჰამიდიელებში მწირად, მაგრამ მაინცაა შემორჩენილი ქრისტიანული სიმბოლიკა. აქ გვახსენდება თ. სახოკიას „ქართულ კილო-თქმათა ლექსიკონში“ დადასტურებული შესიტყვება **ხატის გიჟი** – დამთხვეული, დამნაშავე: „თქვენ ყველანი ხატის გიჟები ხართ!“ (ა. ცაგარელი) (სახოკია თ., 1979: 903).

ხატოვან გამოთქმებსა და ფრაზეოლოგიურ შესიტყვებებში ჩანს ქართველ მუჰაჯირთა წარსული და თანამედროვეობა, ყოფა და კულტურა. ჰამიდიელთა მეტყველებაში გვხვდება როგორც ქართულში საყოველთაოდ ცნობილი და დამკვიდრებული, ისე, ჩვენი აზრით, მათ

რუსულან სალინაჰი, მაია კიკვაძე

მიერ შექმნილი სიტუაციური ფრაზები და გამოთქმები, რომლებშიც გამოხატულია სხვადასხვა სემანტიკა. კერძოდ:

1. დაკარგვა-დავიწყება:

ტვინის გაფრინა: „ჰამიეთი დაბერდა და ტვინი გაფრინდა“ (გურჯი მეხმედი); „ტვინი გაფრინდა“ (ჰ. ფასიოლლუ). ქართულში ლექსემა ტვინი, პირდაპირი მნიშვნელობის გარდა, გვხვდება გადატანითი, აგრეთვე, ფიგურალური მნიშვნელობით სხვადასხვა ზნასთან შესიტყვებაში. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით: **ტვინი** – 2. გადატ. აზროვნების უნარი, – ჭკუა, გონება... ფიგურ. ◊ ტვინი [ა]ემღვრევა – ტვინი, გონება [ა]ერევა. ◊ ტვინი აერევა, ტვინი აქვს არეული, ტვინს აურევს (<http://www.ena.ge/explanatory-online>). ქართული ენის სხვა დიალექტებშიც გვხვდება მსგავსი სემანტიკის ფრაზები (მასალებს დავიმოწმებთ ქართული დიალექტური კორპუსის მონაცემთა მიხედვით):

„ამერია თავში ტვინი, სასიკვდილოდ მივიწურე“ (ქდვ, რივნისთაური, ღები, შ. ძიძიგური, ქართული დიალექტოლოგიის მასალები, 1930, კორპ. გამოც. ავტორი ნ. სურმავა: <http://www.corpora.co/#/corpus>);

„(ღვდელთავარი გაბრიელი) დასუსტა, მოიღალა მისი ტვინი, აღარ იყო ნორმალურათ“ (ქდვ, ზემოიძერ., ბაჯითი, ქ. ძოწენიძე, ზემოიძერული კილოკავი, კორპ. გამოც. ავტორები: მ. ბერიძე, რ. ლანდია: <http://www.corpora.co/#/corpus>)...

„ააარ მაგონდება, ტვინი არ მაქ“ (ქდვ, შავშურ-იძერხ., უსტამისი, მ. ცინცაძე, მ. ფაღვა, თ. შიოშვილი, შავშეთი, 2010, კორპ. გამოც. ავტორი ნ. სურმავა: <http://www.corpora.co/#/corpus>)...

„თავში ტვინი დამელია, შევიყვარე მე ბებერი“ (ქდვ, ქვემოგურ., კოკათი (ლანჩხ.) – მ. ძიძიგული, გურული ტექსტები, 1961, კორპ. გამოც. ავტორი მ. ბერიძე: <http://www.corpora.co/#/corpus>) ...

ჰამიდიელ ქართველთა მეტყველებაში დადასტურებული გამოთქმა „ტვინი გაფრინდა“ – არ შეგვხვედრია არც სხვა დიალექტებში, არც ლექსიკონებში.

ქართულის დაკარგვა / სიტყვის დაკარგვა: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, სიტყვა დაკარგვის ერთ-ერთი მნიშვნელობაა – სადღაც გაქრობა (რაიმე მიზეზით დავარდნა, დარჩენა, მოპარვა, დავიწყება)...

დაკარგვა-დავიწყება ჰამიდიელ მუჰაჯირთა მყარ გამოთქმებში სხვადასხვა სემანტიკით გადმოიცემა. იგი, ერთი მხრივ, ტვინს უკავშირდება (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ), მეორე მხრივ კი – ენას, სიტყვას: „დედის დედი აქ მევდა, ჩვენც აქ დევბადეთ. თურქულ სკოლაში ვისწავლე, მარა ქართული არ დავკარქე, ქითაფები გვქონდა“; „ალა-ალაჰ, სა დემეკარგა ეს სიტყვა“ (ჰ. ფასიოლლუ). უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართულის არდაკარგვა უფრო ზოგადი, საყოველთაოდ გავრცელებული, გამოთქმაა, სიტყვის დაკარგვა კი – კონკრეტული, სიტუაციური ფრაზა.

გამოთქმა სიტყვის დაკარგვა არ დაიმბნა სხვა დიალექტებში. იგი არ შეგვხვდა არც ლექსიკონებში.

2. ენის ცოდნის ხარისხი:

მეტყველებას, როგორც აქტიურ, დინამიკურ ქმედებას, ლინგვისტური, ფსიქოლინგვისტური და სოციოკულტურული საფუძვლები აქვს. აქედან გამომდინარე, მეტყველების, ლაპარაკის აღმნიშვნელი გამოთქმები ქართულსა და ქართული ენის სამხრულ დიალექტებში მეტად მრავალფეროვანია. მათში ჩანს მეტყველების განსხვავებული ფორმები: გაურკვეველი ლაპარაკი, ჩქარი, გაუთავებელი, მიკიბულ-მოკიბული, უწყესრიგო, არეული ლაპარაკი და სხვა.

ჰამიდიელთა მეტყველებაში დადასტურდა ფრაზოლოგიური შესიტყვება **გურჯიჯე ლეჭავს**: „მეჰმედი **გურჯიჯე ლეჭავს**“ (თურქ. Gürcüğe = ქართული ენა – ჩლაიძე, 2001: 562) (3. ფასიოლლუ). გამოთქმა **გურჯიჯე ლეჭავს** ანუ **ქართულს ლეჭავს** ნიშნავს ქართულის არასაკმარისად ცოდნას, გაურკვეველ ლაპარაკს. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, **ლეჭავს** ზმნის ერთ-ერთი (2. გადატ.) მნიშვნელობაა – უგემურად, უნდილად ლაპარაკობს (კითხულობს), ერთსა და იმავე აზრს, სათქმელს დიდხანს უტრიალებს (<http://www.ena.ge/explanatory-online>).

შესიტყვებას **გურჯიჯე ლეჭავს** კონკრეტული მიზეზი განაპირობებს: მეჰმედ ფასიოლლუ (კონცელიძე) ქობულეთელ მუჰაჯირთა ჰამიდიელი შთამომავალია, რომლის მეტყველებასაც საგრძნობლად ატყვია თურქული ენის გავლენა. მოცემულ გამოთქმასთან დაკავშირებით საინტერესოა ილია ჭავჭავაძის სიტყვები: „მისი საუბარი ერთი რაღაც უგემურად **კევის ლეჭავა**“. როგორც თ. სახოკია განმარტავს, „**კევის ლეჭავა** უგემურად, გაურკვეველად, გაუბედავად ლაპარაკია. კევის, სალსაღის, ლეჭავა იმიტომ ასოცირდება უნდომ ლაპარაკთან, რომ როცა ადამიანი ლეჭავს და ამავდროულად ლაპარაკობს ნელა, გაუბედავად, ზღაზღა გამოდის“ (სახოკია, 1979: 324).

3. საცხოვრისის აგება-აღდგენა-მოწესრიგება:

აქაურობის გაკეთილშობილება: „ჰამიდიეში ქართველები მოსულები არიან. **გაკეთილშობილეს აქაურობა**, არხები გეყვანეს, ტყეები გაკაფეს“ (3. ფასიოლლუ). კეთილშობილება ადამიანის თვისებაა და დღეს ამ სიტყვისაგან ნაწარმოები ზმნაც სწორედ ადამიანის მიმართ გამოიყენება, სახალხო გამოთქმაში კი ზმნა **გაკეთილშობილეს** გვხვდება ადგილის გალამაზების, მოწესრიგების მნიშვნელობით და არა ადამიანის თვისების გამოსახატავად. აღსანიშნავია, რომ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვითაც, ამ სიტყვის ერთ-ერთი მნიშვნელობა (2) – სინატიფე, სიფაქიზე, დახვეწილობა – მიემართება უსულო საგანს: „ჩვენი ხალხის მიერ შექმნილი განსაცვიფრებელი არქიტექტურული ძეგლები, რომლებიც გამოირჩევიან ფორმების **კეთილშობილებითა** და ორნამენტის სიმდიდრით, ქვისგან არის აგებული“ („კომ.“). ან კიდევ: **გაკეთილშობილება** ფიგურალური თქმაა წინადადებაში: „იგრძნობ... ბუნების მოულოდნელ **გაკეთილშობილებას**“ (გ. ასათ.)

ძველ ქართულში **კეთილის** ერთ-ერთი მნიშვნელობა იყო **კარგი, მშვენიერი** (ძველი ქართულის ენის შეერთებული ლექსიკონი: <http://www.nplg.gov.ge/saskolo/index.php?a=list&d=44&t=dict&w1=%E1%83%99&w2=%E1%83%94>). სწორედ ეს მნიშვნელობა შემოუნახავთ ჰამიდიელებს გამოთქმაში **გაკეთილშობილეს აქაურობა** (= კარგი გახადეს, გაამშვენიერეს აქაურობა).

ქართული ენის ზოგიერთი დიალექტის მიხედვით, **კეთილშობილი და კეთილი** სინონიმებია და ორივე ნიშნავს კარგს: „ცხოვრობდნენ იმი შემდეგ **კეთილშობილათ**“ (ქდკ, შიგნიკახური, მატანი – გრ. იმნაიშვ., 1949: არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნ. ინსტ. არქ., კორპ. გამოც. ავტორები: ლ. ბაკურაძე, რ. ლანდია: <http://www.corpora.co/#/corpus>); „დამშვიდდა ბიჭი თითონ და ცხოვრობდა **კეთილშობილათ**“ (იქვე). შდრ.: „მემრე იმ ბიჭმა დედაც მიიყვანა გვერდზე თავითან და ცხოვრობდნენ ერთათ **კეთილათ**“ (იქვე: <http://www.corpora.co/#/corpus>).

სახლების გასწორება – ჰამიდიელთა განმარტებით, ამ გამოთქმაში იგულისხმება ერთ დროს დანგრეული და მიტოვებული სახლების აღდგენა, ხელახლა აშენება: „ქართველებმა **სახლები გაასწორეს** და აქ დაჟდენ (დასახლდნენ – ავტ.)“ (3. ფასიოლლუ).

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით სალიტერატურო ენასა და დიალექტებში ლექსიკური ერთეული **გასწორება** სემანტიკურად საკმაოდ მრავალფეროვანია:

გვხვდება როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი და ფიგურალური მნიშვნელობებით: 1. სწორად ქცევა, სწორი სახის მიცემა... 2. სწორად დაწყობა, დალაგება; გამლა (ლოგინისა). ლოგინის გასწორება... 3. გადატ.მცდარი აზრის (სიტყვის...) სწორით შეცვლა, შეცდომის გამოსწორება. შეცდომების გასწორება... 4. გადატ. გაუმჯობესება, რაიმე ნაკლისაგან განთავისუფლება, გამოსწორება. ხასიათის გასწორება. – ხელის გასწორება... ◇ **ანგარიშის გასწორება** გადახდა (ვალისა, დანახარჯისა...), ანაზღაურება. || სამაგიეროს გადახდა...◇ **თვალის გასწორება** პირდაპირ თვალეში შეხედვა (ვინმესთვის), მზერის მიპყრობა... ◇ **ომის (ბრძოლის) გასწორება**... ◇ **მიწასთან გასწორება** მოსპობა, მტვრად ქცევა, დანგრევა; განადგურება... || მეტისმეტად შერცხვენა, დამცირება... მიწასთან გასწორება... ◇ **დღედაღამის (დღეღამის) გასწორება** ბუნობა, დღეღამისწობა... || თავაუღებლივ მუშაობა, გამუდმებული შრომა, ჯაფა... ◇ **მხარის გასწორება** გატოლება, გათანასწორება (შრომაში, სწავლაში) (<http://www.ena.ge/explanatory-online>).

როგორც ვხედავთ, ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში არ არის მითითებული ჩვენთვის საინტერესო გამოთქმის **სახლები გაასწორეს** მნიშვნელობა. იგი არ დადასტურდა არც ქართული ენის დიალექტებში. სამაგიეროდ, მისი სრულიად საპირისპირო მნიშვნელობა ჩანს წყევლის ფორმულაში: „**სახლიმც გაასწორებიათ!** ოჯახში უმცროს-უფროსობა, ერთმანეთის მორჩილება, პატივისცემა და გაგონება მოგსპობოდეთ“ (სახოკია, 1979: 564). ან კიდევ: **მიწასთან გასწორება**, რაც ნიშნავს დანგრევას, განადგურებას (<http://www.ena.ge/explanatory-online>).

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში სიტყვაფორმა **სწორი** არის: 1. საითკენმე პირდაპირ, გაუმრუდებლად, მიხვევ-მოხვევის გარეშე მიმართული, – პირდაპირი (საპირისპ. მრუდე)... 2. გლუვი, უხორკლო, სრიალა (ზედაპირი); ვაკე (ადგილი). 3. სინამდვილის შესაბამისი, – მართალი, ნამდვილი, ჭეშმარიტი. 4. თანასწორი, თანატოლი, თანაბარი. 5. დასახელებული დღის სახელწოდების მქონე დღე მომდევნო (ან წარსულ) კვირაში. ამათგან ჰამიდიელთა მეტყველებაში დადასტურდა **სწორ** ძირის შემცველი ლექსემის მე-4 და მე-5 მნიშვნელობები:

„ქართველები და ჭანები **გასწორდენ**...“ – მოცემულ კონტექსტში **გასწორება** ნიშნავს გატოლება-გათანაბრებას;

„გემი სტამბულში **ერთი სწორი** (= ერთი კვირა – ავტ.) მიდიოდა“ – სწორი / კვირა;

სახლის მორთვა (= სახლის გა(მო)წყობა, ავეჯით შევსება – ავტ.): „ეს სახლი მე და ჩემმა ქმარმა ავაშენეთ, მე **მოვ(რ)თე**, ყველაფერი ისტამბულიდან მოვზიდე“ (3. ფასიოლლუ). ქართულში **მორთვა** მიემართება როგორც სულიერ, ისე უსულო საგნებს. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით: **მორთვა** – მორთვა-მოკაზმვა; მოწყობა. ოთახის მორთვა – კაბების მორთვა – ტრიბუნის მორთვა || გამოწყობა. პატარძლის მორთვა... ნაძვის ხის მორთვა...

შესიტყვება **სახლის მორთვა** სემანტიკურად თითქოს უტოლდება **ოთახის მორთვას**, მაგრამ უფრო ფართო მნიშვნელობის მქონეა და სხვაგან თითქმის არ გვხვდება.

4. **საცხოვრისის მოშლა-განადგურება:**

...**წაქცევა / წახდენა** (= კარმიდამოს განადგურება, გაჩანაგება, დაღუპვა – ავტ.): „მე არ ვყოფილიყავ, **აქოურობა წეიქცეოდა**... არ მინდა **წახთეს აქოურობა**“ (3. ფასიოლლუ). მოცემულ ზმნურ ფორმათა იგივე სინონიმური და ფიგურალური მნიშვნელობები მითითებულია ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც: 1) **აქცევს** – 2. ძირს დასცემს... ◇ ოჯახს აქცევს, ოჯახს ანგრევს, ღუპავს, ანადგურებს; 2) **წახდენა** – 1. უვარგისად გახდომა, გაფუჭება || დაზიანება: ჩაშლა საქმისა. 2. განადგურება; დაღუპვა.

აღსანიშნავია, რომ ჰამიდიდან უმეტესად თურქეთის დიდ ქალაქებში საცხოვრებლად გადასული ქობულეთელი მუჰაჯირთა შთამომავლები ადრე გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე დროს სოფელში ატარებენ, რასაც ოჯახის ფუძის შენარჩუნებისთვის ზრუნვითაც ხსნიან. „აქოურობის წაქცევა-წახდენა“ განსაკუთრებით უფროს თაობას აწუხებს...

5. გარდაცვალება: გადატანითი მნიშვნელობით **წაქცევა / წახდენა**, აგრეთვე, **გათავება** ნიშნავს გარდაცვალებას. ფრაზაში „სახლის დირელი წეიქცა“ (თურქ. Direk = ბოძი, სვეტი, ძელი, ანძა – ჩლაიძე, 2001: 351) იგულისხმება ოჯახის (სახლის) უფროსის გარდაცვალება (შდრ. „ვაი, რა ბოძი წაიქცა...“ – დ. გურამ.), ხოლო ფრაზეოლოგიური შესიტყვებები **თავი გეითავა / თავი წეიხთინა** ნიშნავს ზოგადად ადამიანის გარდაცვალებას: „მისი თავი მან გეითავა, თავი წეიხთინა“; „თავი გეითავა, რათ უნდა მაი ქონება“ (ჰ. ფასიოლლუ).

6. ტრადიციები, ადათ-წესები:

ფეხის დათლა (= მფერხავის აღიარება, მისი ფერხობის სარწმუნოდ მიჩნევა, ჩათვლა – ავტ.): „ახალ წელზე ფერხვა ვიცოდით. მფერხავი მევლოდა. იმის **ფეხი დეითლებოდა**“ (ჯემალ მეთინი). მ. ხახუტაიშვილის ქობულეთური კილოკავის მასალების მიხედვით: „**დათლა** – რიდი, კრძალვა, მიჩნევა: „ჰემ ეშინოდეს, ჰემ **დასთლიდეს** ქართველებს; ბუი რუმ იყვირებდა, იმას კარქა არ **დასთლიდენ**“ (ხახუტაიშვილი, 2014: 22); მიჩნევის, აღიარების მნიშვნელობით არის გამოყენებული **დეითლებოდა** ზმნა ჩვენებურების ქართულშიც: „ნენეს ტადათ **დეითლებოდა** (= ითვლებოდა – ავტ.), ჩემ ნენეს ნენეს ემიაშვილი იყო“ (ქდკ, ბორჩხა, ნ. სურმავა, ნიგალური (ლივანური) ტექსტები, 2011-2014, კორპ. გამოც. ავტორი ნ. სურმავა: <http://www.corpora.co/#/corpus>); „იმერხევ და ჩუენსას უდავიან სამძლუარზე, მიწებზე, თეებზე. ჩუენსას ხერხი უხმარია. ფოსტალში ჩუუყრია ერთ ხოჯა კაცსა – ვისი სიტყუაც **დეითლებოდა**, დეიჯერებოდა – მაჭიხელის, მინდიეთის მიწა, ასულა ფაფართზე და დუუფიცებია: ჩემ მიწაზე ვდგავარო, ღმერთმა დეინახოსო. ხოჯის ფიცი დუუჯერებია ხალხსა და ნახევარი ფაფართის მიწა მინდიეთისა გამხდარა. ისე მინდიეთისა არ ყოფილა. იმერხევლები დუუტყვილებიან ამფრათ“ (ქდკ, ზედამაჭახლ., მინდიეთი, შ. ფუტკარაძე, ჩვენებ. ქართ., 1989, კორპ. გამოც. ავტორი ნ. სურმავა: <http://www.corpora.co/#/corpus>). რაც შეეხება ფრაზეოლოგიურ შესიტყვებას **ფეხის დათლა**, რომელშიც ასახულია ახალი წლის შემოსვლასთან დაკავშირებული ჰამიდი-ელთა რწმენა და ტრადიციები, სხვაგან არ დადასტურდა, მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი ტრადიციები (ფერხობა – მეფერხეობა – მეკვლეობა – მაკვრიელობა...) დღესაც არის შემორჩენილი საქართველოს კუთხეებში;

7. გულისწყვეტა, მორიდება:

ხათრის დარჩენა: „ყაურმა მიაჭამე, მემრე **ხათ(რ)ი დავრჩება**“ (ჰ. ფასიოლლუ). **ხათრის დარჩენა** მოცემულ კონტექსტში გულისწყვეტას აღნიშნავს. იმავე რესპოდენტის მეტყველებაში ლექსემა **ხათრის** შემცველი **შე-** ზმნისწინიანი ზმნა **შეგეხათროს** (შდრ. თან. ქართ. არ მოგეხათროს!) შეგვხვდა განსხვავებული, მორიდების მნიშვნელობითაც: „ჭამე, არ **შეგეხათროს!**“ (იქვე). ამავე სემანტიკისაა ქართულში ცნობილი გამოთქმა **მისი ხათრი აქვს / ეხათრება**.

8. გაბრაზება:

კუჭით სკდომა: „რა ვქნა, გადამრიეს ამ იარიჯებმა (თურქ. Yarıcı = 1. შეშისმჭრელი, გამპობი, 2. მონახევრე, მოიჯარე, სანახევროდ, საზიაროდ მომუშავე – ჩლაიძე, 2001), დავრჩი ამ ბეჩებში. თუ ბეჩი ხარ, კაია. **კუჭით ვსკდები** (= ვბრაზდები – ავტ.)“ (ჰ. ფასიოლლუ). ამავე მნიშვნელობისაა **კუჭი მისწრობს:** „ზოგჯერ **კუჭი მისწრობს**“ (იქვე). შდრ. „კუჭი მოუვა“ (გურ. გაბრაზება)... საინტერესოა ქართული ენის სამხრული კილოების მონაცემებიც: **გაკუჭება / გაკუჭიანება / გაკუჭვა:**

გაკუჭიანდა – გაბრაზდა, განაწყენდა (ქდკ, ტაო, შ. ფუტკარაძე, ჩვენებ. ქართ., 1989, კორპ. გამოც. ავტორი ნ. სურმავა: <http://www.corpora.co/#/corpus>); **კუჭის გამოსვლა** (= გაბრაზება, გაწყრომა – ავტ.): „**კუჭი გამუჟდა, გაკუჭდა** ერთ დედეკაცაო“ (იქვე); **ვკუჭობ / ვკუჭოფ** (= ვბრაზობ): „**მე ვკუჭოფ** ძალიან“; „**თურქის ქალები კუჭობენ**“ (ქობულეთ., ხახუტაიშვილი, 2014: 18)...

გამოთქმები **კუჭით ვსკდები** და **კუჭი მისწრობს**, ვფიქრობთ, საკუთრივ ჰამიდიელთა მეტყველების თავისებურებად უნდა ჩაითვალოს. ქართულ ფრაზეოლოგიზმებში ლექსიკურ ერთეულებად ხშირად გვხვდება **გული, სული, კუჭი: გული მოსდის** – ბრაზდება; **გული მოსდის** – შეუძლოდ არის, ლოდინისაგან იღლება; **სული მიმდის / სული მისწრობს** (მეჩქარება); **გული უხმება** – დარდისგან; **კუჭი უხმება** შიმშილისაგან – ღარიბია. **მისწრობს** ზმნური ფორმა ერთდროულად უკავშირდება: 1. კუჭს (**კუჭი მისწრობს**) და 2. სულს (**სული მისწრობს**), მაგრამ განსხვავებული სემანტიკით: პირველ შემთხვევაში **გაბრაზებას** აღნიშნავს, მეორე შემთხვევაში – **სიჩქარეს**.

9. დასვენება, მოსულიერება, უზრუნველად ყოფნა:

სულის მოთქმა: „ისტამბულში დიდი სიცხე იყო. მემრე სუადამ თქვა: წევდეთ, **სული მოვითვათო** და აქ ჩამევედით“ (ჰ. ფასიოღლუ). ამ კონკრეტულ შემთხვევაში ფრაზეოლოგიზმი სიტუაციურია, ნიშნავს დასვენებას, მოსულიერებას;

შეფერილად ყოფნა (= უზრუნველად ყოფნა, განებივრება, გათამამება – ავტ.): „ახლანდელეებმა **შეფერილად არიან**, ფულით კითხულობენ“ (ჰ. ფასიოღლუ). მსგავსი სემანტიკის გამოთქმები უცხო არ არის სხვა კუთხეების თურქეთელ ქართველთა მეტყველებისთვისაც: „**უშვილო შვილი რომ არი, შეფერიებულია**, დაგნებული ლაპარიკოფს“ (ქდკ, ზედამაჭახლ., ინეგოლი, ჩვენებ. ქართ., შ. ფუტკარაძე, 1989, კორპ. გამოც. ავტორი ნ. სურმავა); „**ნუ შიგიფერიან** ახალეებსა, იკადრეთ მიწაზე საქმე!“ (ჩვენებ. ქართ., შ. ფუტკარაძე: <http://www.corpora.co/#/dictionaries>).

ჰამიდიეს ქართულში შედარებით ნაკლებად, მაგრამ მაინც დასტურდება თურქულის გავლენით მიღებული ფრაზები. ერთ-ერთი ასეთია **ქუსურა ბაქმაზე არ დიმიხედოთ** (= შემხედოთ – ავტ.). იგი თურქულში გავრცელებული მოზოდიშების გამოძახატველი გამოთქმის **Kusura bakmamak** = პატიება (< თურქ. Kusur = ნაკლი, დეფექტი – ჩლაიძე, 2001: 893) კალკირებული ვარიანტია და ნიშნავს: არ დამძრახოთ, ნაკლი, ხინჯი არ დამინახოთ, მაპატიეთ! თუ რამე შემეშალა, ყურადღებას ნუ მიაქცევთ! ეს გამოთქმა გავრცელებულია ჩვენებურების ქართულშიც: „**მიერე აქარელმა უთხრა: „ცხენი გაცდა, ვერ შეგატყობიე და ყუსურზე არ დიმიხედოო“** (ზედა მაჭახლ., ეფრატი, ფუტკარაძე, 1993: 624); „**ყუსურზე არ დიმიხედოო**“ (კლარჯ. – ფაღავა, ცინცაძე, ბარამიძე, 2014: 179).

რიზეს რეგიონის ფაზარის ჰამიდიეს ქართულში დადასტურებული მასალის შედარება ქართული ენის სხვა კილოების მონაცემებთან იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლებს ჯერ კიდევ აქვთ შემონახული უძველესი საერთოქართული სამყაროსთვის დამახასიათებელი ენობრივი ფორმები და გამოთქმები. ვფიქრობთ, ეს მასალა უნდა აისახოს ქართულ სალექსიკონო სივრცეში.

*LINGUISTICS*FIGURATIVE EXPRESSIONS AND PHRASEOLOGICAL COMBINATIONS
IN FAZAR HAMIDIAN GEORGIAN

RUSUDAN SAGHINADZE

Akaki Tsereteli State University

MAIA KIKVADZE

Batumi Shota Rustaveli State University

Several families of Kobuleti Muhajir descendants live in the village of Hamidiye in the Rize region of Turkey, in particular in the Fazar district. Their speech is still unexplored. They speak Kobuleti dialect. Hamidiye is a permanent residence for some of them, while others live in the big cities of Turkey (Istanbul, Ankara, Bursa ...) and visit the village only in summer.

The report analyzes the figurative expressions and phraseological combinations that are still preserved in the speech of the older generations which are most protected from foreign influences and in which the Georgian language is most preserved. The presented material is new and it is unknown to the Georgian lexis.

გამოყენებული ლიტერატურა:

ნიჟარაძე, 1971 - ნიჟარაძე შ., ქართული ენის აჭარული დიალექტი (ლექსიკა), გამომც. „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი.

სახოკია, 1979 - სახოკია თ., ხატოვან კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., გამომც. „მერანი“, თბ.,
ფაღავა, ცინცაძე, ბარამიძე, 2014 - ფაღავა მ., ცინცაძე მ., ბარამიძე მ., კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველება (მასალები): ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართველოლოგიის ცენტრი, კრებული, IX, ბათუმი.

ფუტკარაძე, 1993 - ფუტკარაძე შ., ჩვენებურების ქართული, I, აჭარის ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა, ბათუმი.

ჩლაიძე, 2001 - ჩლაიძე ლ., თურქულ-ქართული ლექსიკონი, Türkçe-Gürcüce Sözlük, გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, სტამბოლი.

ხახუტაიშვილი, 2014 - ხახუტაიშვილი მ., სალექსიკონო მასალა ქობულეთური კილოკავისთვის. ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართველოლოგიის ცენტრი, კრებული, IX, ბათუმი.

<http://www.ena.ge/explanatory-online>

<http://www.nplg.gov.ge/saskolo/index.php?a=list&d=44&t=dict&w1=%E1%83%99&w2=%E1%83%94>

<http://www.corpora.co/#/corpus>

<http://www.corpora.co/#/dictionaries>

ენათმეცნიერება

იდიომა და ფრაზეოლოგიის გაშიჯვისათვის

ანა ახალაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანოტაცია. იდიომის ფრაზეოლოგიის მიმართების გარკვევა ერთ-ერთი პრობლემური საკითხია თანამედროვე ლინგვისტიკაში. ფრაზეოლოგიისა და იდიომატიკის თეორიული გააზრება დაიწყო გასულსაუკუნის 50-იან წლებში. დღეისათვის მეცნიერები სხვადასხვაგვარად განმარტავენ მათ მთავარ კატეგორიებს, არაერთმნიშვნელოვნად იყენებენ მასთან დაკავშირებულ ტერმინებს.

ენათმეცნიერები ფრაზეოლოგიის ახასიათებს როგორც სტრუქტურული მდგრადობის, ემოციური შეფერილობის, ლექსიკურ-სინტაქსურ-სემანტიკური სტაბილურობის მქონეს და ა.შ. იდიომა ფრაზეოლოგიური ერთეულია, მაგრამ ყველა ფრაზეოლოგიის არ არის იდიომა, რადგან პირველის მნიშვნელობა გაცილებით ფართოა. მათი საერთოა: სემანტიკური დაუშლელიობა, შესიტყვების ფორმა, მუდმივი ლექსიკური შემადგენლობა, მეტაფორულობა და სხვა. განსხვავება კი იმაშია, რომ იდიომაში მთელი გამოთქმის მეტაფორიზება ხდება, ფრაზეოლოგიის კი მხოლოდ ნაწილის, თანაც იდიომა უფრო მეტადაა ეთნიკური ნიშნის მატარებელი და მისი ანალოგი სხვა ენებში ძნელად თუ იძებნება.

საკვანძო სიტყვები: იდიომა, ფრაზეოლოგიის, შესიტყვება, მეტაფორა.

დღეისათვის ლინგვისტიკაში ერთ-ერთ პრობლემურ საკითხს იდიომის ფრაზეოლოგიის მიმართების გარკვევა წარმოადგენს. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით გამოცემულ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში სიტყვა „ფრაზეოლოგიის“ საერთოდ არ გვხვდება. მისი მნიშვნელობით კი მითითებულია „ფრაზეოლოგია“, როგორც: 1. მტკიცედ ჩამოყალიბებული გამონათქვამი, ამა თუ იმ ენის დამახასიათებელი თავისებური სიტყვათა შეერთებანი, სიტყვათსაქცევი; 2. ენათმეცნიერების დარგი, რომელიც სწავლობს ასეთ გამოთქმებს; 3. რომელიმე მწერლის ლიტერატურული მიმდინარეობის ან გარკვეული პერიოდის საზოგადოებრივი ჯგუფის დამახასიათებელი სიტყვიერი ხერხები; 4. ლამაზი, მაღალფარდოვანი ფრაზები და გამოთქმები, რომლითაც ცდილობენ აზრის სიღარიბე მიჩქმალონ [ქეგელი, 1962:165].

როგორც ჩანს ტერმინი „ფრაზეოლოგიის“ დამკვიდრდა მოგვიანებით, „ფრაზეოლოგიის“ ზემოთ მითითებულ მეორე მნიშვნელობასთან პარალელიზმის თავიდან აცილების მიზნით, ალბათ, რუსულის გავლენით. ბენებრივია, ამის შემდეგ კიდევ უფრო გამრავალფეროვნდა მისი მნიშვნელობის დაზუსტება-დახვეწისკენ მიმართული შეფასებები, რამაც გამოიწვია ის, რომ დღეისათვის მეცნიერები სხვადასხვაგვარად განმარტავენ მის მთავარ კატეგორიებს, არაერთმნიშვნელოვნად იყენებენ მასთან დაკავშირებულ ტერმინებს.

მკვლევარ ნ. ზაალიშვილის დაკვირვებით, „ქართული ფრაზეოლოგიისა და იდიომატიკის თეორიული გააზრება დაიწყო გასული საუკუნის 50-იან წლებში, სავარაუდოდ, რუსული ფრაზეოლოგიის ზეგავლენით, თუმცა, დამოუკიდებელი ლექსიკოგრაფიული ბაზა ამ დროისათვის რუსულისაგან დამოუკიდებლად უკვე არსებობდა. ამიტომაც ქართულ

ენათმეცნიერებაში დამკვიდრდა და ერთმანეთს გაემიჯნა ორი ტერმინი „ფრაზეოლოგია“ და „იდიომატიკა“ [**ზაალიშვილი, 2018:34**].

ენათმეცნიერებაში მიღებული მოსაზრების თანახმად, ფრაზეოლოგიზმი ეწოდება ნებისმიერ ლექსიკურ ერთეულს, რომელსაც ახასიათებს სტრუქტურული მდგრადობა, მონოლითური ტრანსფორმირებული მნიშვნელობა და ექსპრესიულ-ემოციური შეფერილობა. ფრაზეოლოგიზმები წარმოადგენს ამა თუ იმ ენაში მტკიცედ ჩამოყალიბებულ გამონათქვამებს, ამ ენისათვის დამახასიათებელ თავისებურ შესიტყვებებს, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში მკვიდრდებოდა ენის მარაგში. მათს წარმოშობას განაპირობებს ამ ენაზე მოსაუბრე ხალხის ისტორია, ფსიქოლოგია, ტრადიციები და კულტურული რეალიები, საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური ცხოვრება, ასევე სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობები.

აკად. თ. გამყრელიძის აზრით, მყარი შესიტყვებების, ანუ ფრაზეოლოგიზმებისათვის ნიშანდობლივია სტრუქტურული, ლექსიკური, სემანტიკური, აგრეთვე გამოყენების სტაბილურობა. ფრაზეოლოგიურ შესიტყვებებში სემანტიკურად გარდაქმნილია მხოლოდ ერთი ლექსემა, კომპონენტებს შენარჩუნებული აქვს სემანტიკური დამოუკიდებლობა, ნომინაცია (სახელდება) ანალიზურია [**გამყრელიძე, 2008:374-376**].

ფრაზეოლოგიის, როგორც ცალკე დისციპლინის, წარმოშობა დაკავშირებულია შვეიცარიელი ენათმეცნიერის კ. ბალის სახელთან, რომელმაც პირველმა ენათმეცნიერების ისტორიაში დაასაბუთა ენაში მყარ სიტყვათა წყობის სპეციალური და სისტემატური შესწავლის აუცილებლობა. ფრაზეოლოგიზმების არსებით თვისებად მას უშუალოდ სემანტიკური თვისებები მიაჩნდა. მან ჯერ კიდევ 1900-იან წლებში მოგვცა ფრაზეოლოგიზმის პირველი კლასიფიკაცია, გამოყო რა სიტყვათა კომბინაციის ოთხი ჯგუფი:

1. თავისუფალი ნაერთები, რომლებიც მოიცავს არამდგრად, თავისუფლად დაშლად ერთეულებს;

2. ჩვეულებრივი ფრაზები, რომლებიც აერთიანებს ისეთ სიტყვებს, რომელთათვისაც დამახასიათებელია შედარებით თავისუფალი კავშირები;

3. ფრაზეოლოგიური რიგი, რომელშიც სიტყვათა ისეთი ჯგუფი იგულისხმება, რომელიც ორი და მეტი კონცეპტის ნაერთს წარმოადგენს;

4. ფრაზეოლოგიური ერთობა, რომელშიც წარმოდგენილია ისეთი ტიპის სიტყვათა კომბინაცია, რომლის შემადგენელი კომპონენტები კარგავს საკუთარ მნიშვნელობას და გამოხატავს მხოლოდ ერთ კონცეპტს [**Кунин, 1996:5; ძაგნიძე, 2014:10**].

მოგვიანებით, ბალიმ დასაშვებად ცნო მხოლოდ ორი რიგის გამოყოფა: თავისუფალი ნაერთები და ფრაზეოლოგიური ერთობები [**Кунин, 1996:6**].

კ. ბალის კონცეფცია განაერცო და საკუთარი, სემანტიკურ პრინციპზე აგებული კონცეფცია შემოგვთავაზა რუსმა ენათმეცნიერმა ვ. ვინოგრადოვმა. მან ფრაზეოლოგიზმები სამად დაყო:

1. ფრაზეოლოგიური შენაზარდი ანუ იდიომი - სიტყვათა აბსოლუტურად არამოტივირებული ერთიანობა, რომელშიც მთელის მნიშვნელობა არ უკავშირდება შემადგენელი კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამს;

2. ფრაზეოლოგიური ერთობა - მოტივირებული ერთეულები ერთიანი მთლიანი მნიშვნელობით, რომელიც აღმოცენდება ლექსიკური კომპონენტების მნიშვნელობათა შერწყმით.

3. ფრაზეოლოგიური შესიტყვება - მოტივირებულ სიტყვათა ისეთი ერთიანობა, რომელშიც თითოეული კომპონენტი ხასიათდება სპეციფიკური ლექსიკური ვალენტობით, რაც სიტყვათა

ჯგუფს გარკვეული ტიპის სტაბილურობას მატებს. ერთეულის კომპონენტთა ლექსიკურ ვალენტობაში იგულისხმება ის, რომ თითოეული გამოირჩევა საკუთრივ თავისი სემანტიკური მნიშვნელობით, რომელშიც ერთი აბსოლუტურად პირდაპირი მნიშვნელობით გამოიყენება, ხოლო მეორე – გადატანითი მნიშვნელობით [Куних, 1996:12; ძაგნიძე, 2014:11-13].

ა. თაყაიშვილისთვის ფრაზეოლოგიური შენაზარდებსა და ფრაზეოლოგიურ ერთობებს შორის განსხვავება არ იმეზნება. „სამართლიანია მოთხოვნა, გაერთიანდეს მყარი შესიტყვების ეს ორი ტიპი და მათ იდიომი ეწოდოს“ [თაყაიშვილი 1965: 10-17]. მკვლევარი აღნიშნავს, რომ მთლიანობაში საქმე გვაქვს არა სხვადასხვა მოვლენასთან, არამედ ერთი და იმავე მოვლენის სხვადასხვა საფეხურთან.

უკვე წარმოდგენილიდანაც ჩანს, რომ იდიომი არის გარკვეული თავისებურების მქონე ფრაზეოლოგიური ერთეული. ამ თავისებურებას უსვამს ხაზს ა. სმირნიცი. მისთვის ფრაზეოლოგიური ერთეული ესაა სტილისტურად ნეიტრალური შესიტყვება, რომელმაც დაკარგა ან მას არ გააჩნია მეტაფორულობა. იდიომები კი დაფუძნებულია გადატანით მნიშვნელობაზე, მეტაფორაზე, რომელიც ნათლად აქვს გაცნობიერებული მთქმელს [Куних, 1996:12].

ბ. ამოსოვა ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ორ ტიპს გამოყოფს: ფრაზემა და იდიომი. ფრაზემა, ჩვეულებისამებრ, ორი წევრისაგან (ბინარული) შემდგარი სიტყვათა ჯგუფია, რომელთაგან ერთი კომპონენტი ხასიათდება სპეციფიკური მნიშვნელობით. მისი გააზრება დამოკიდებულია მოცემული ერთეულის მეორე კომპონენტზე. იდიომი ფრაზემისაგან იმით განსხვავდება, რომ მისი მნიშვნელობა გამომდინარეობს შემადგენელი სიტყვების არა ცალ-ცალკე, არამედ მათი მთლიანი იდიომატური აღქმით - იგი სემანტიკურად, გრამატიკულად განუყოფელ ერთეულს წარმოადგენს [Куних, 1996:13-14; ძაგნიძე, 2014:16-17].

აკუნინის განმარტებით, ფრაზეოლოგიზმი არის გართულებული სემანტიკის მქონე სიტყვათა მყარი შეთანხმება, რომელიც არ იწარმოება ცვლადი შესიტყვებების სტრუქტურულ-სემანტიკური მოდელების მსგავსად. ფრაზეოლოგიზმი - ესაა ენის საგანძური. მასში აისახება ხალხის ისტორია, მისი კულტურისა და ყოფის თავისებურება. მათ ხშირად აქვთ მკაფიოდ ეროვნული ხასიათი [Куних, 1996:4]. მისი შეფასებით, ფრაზეოლოგიური ერთეულები, მნიშვნელობის სირთულის ხარისხის მიხედვით შეიძლება დაიყოს სამ ნაწილად: იდეომატიკა, იდეოფრაზეომატიკა და ფრაზეომატიკა. იდეომატიკის ჯგუფში შემავალი იდეომები, კუნინის განმარტებით, ესაა სრულად ან ნაწილობრივ გადააზრებული მნიშვნელობის მქონე ლექსემების მყარი შეხამება, რომელშიც დიდი დოზითაა წარმოდგენილი ექსპრესიულ-ემოციური კომპონენტი [Куних, 1972:8].

რა თქმა უნდა, ფრაზეოლოგიზმის განმარტება ამით არ ამოიწურება. ბევრი ენათმეცნიერი მას ახასიათებს როგორც სტრუქტურული მდგრადობის, ემოციური შეფერილობის, ლექსიკურ-სინტაქსურ-სემანტიკური სტაბილურობის მქონეს და ა.შ. შეიქმნა ბევრი თეორია, კლასიფიკაცია სხვადასხვა ნიშნის მიხედვით [თაბუაშვილი, 2016:15:28], მაგრამ ახლა ჩვენთვის მნიშვნელოვანია იმ განსხვავების პოვნა, რომელიც ავლებს მეტ-ნაკლებად მკვეთრ ხაზს ფრაზეოლოგიზმსა და იდიომს შორის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ერთი რამ ნათელია, იდიომი არის ფრაზეოლოგიური ერთეული და ამ გაგებით, ეს სიტყვები სინონიმურია, მაგრამ ყველა ფრაზეოლოგიზმი არ არის იდიომი, რადგან ფრაზეოლოგიზმის მნიშვნელობა გაცილებით ფართოა და მოიცავს სხვა ტიპის შესიტყვებებსაც, ანდაზა-აფორიზმებს და ა.შ. თუმცა, მაინც რთულია მათ შორის მკვეთრი საზღვრის გავლება, რადგან სიმყარე და გარკვეული იდიომატურობა ამ უკანასკნელსაც

ახასიათებს. შეიძლება ითქვას, რომ იდიომა ესაა ფრაზეოლოგიზმი ვიწრო მნიშვნელობით. საინტერესოა, რომ ზოგი მეცნიერი იდიომის კატეგორიაში ათავსებს ანდაზებსაც, რაკი მათი მნიშვნელობა სიტყვასიტყვით არ გაიგება [თაბუაშვილი, 2016:20; Черихина, 2011: 320]. მკვლევარ ნ. ცეცხლადის მიხედვით, არც მთლად ასეა საქმე, რადგან ტერმინი „იდიომა“ ხან მოიცავს ფრაზეოლოგიას, ხან კი პირიქით – ფრაზეოლოგია – იდიომს [ცეცხლაძე, 2018:6].

ენათმეცნიერებაში გამოთქმული მოსაზრებების შეჯერების საფუძველზე შეიძლება გამოვკვეთოთ ფრაზეოლოგიზმებისა და იდიომების მსგავსება-განმასხვავებელი ნიშნები. მათი საერთო, უპირველეს ყოვლისა, არის სემანტიკური დაუშლელი. იდიომიცა და ფრაზეოლოგიური შესიტყვებაც ქმნიან ერთ გაგებას და სიტყვის ეკვივალენტებია. ორივე მათგანს შეიძლება ჰქონდეს შესიტყვების ფორმა. ფრაზეოლოგიური შესიტყვებაც სინტაქსურად ერთი წევრის ფუნქციას ასრულებს. ორივეს აქვს მუდმივი ლექსიკური შემადგენლობა, ისინი მზა ფორმით არსებობენ ენაში, თუმცა გავრცობა შეუძლებელი არაა. საზიარო ნიშანია ასევე მეტაფორულობა, რაც ექსპრესიულობის აუცილებელი პირობაა.

გარდა საერთო ნიშნებისა, გამოიყოფა განმასხვავებელი ნიუანსებიც: იდიომისგან განსხვავებით, ფრაზეოლოგიური შესიტყვების საერთო მნიშვნელობა ნაწილობრივ გამომდინარეობს მათი საყრდენი სიტყვისგან, რომელიც აუცილებლად აბსტრაქტული სახელია. ასეთი შესიტყვების მხოლოდ ერთი კომპონენტი ექვემდებარება მეტაფორიზაციას, იდიომაში კი მთელი გამოთქმა მეტაფორული. მაგალითად, ავილოთ გამოთქმა *სიჩუმე ჩამოვარდა*. აქ მარტო *ჩამოვარდას* აქვს გადატანითი მნიშვნელობა (დადგა, დამყარდა), იდიომაში კი მთელი გამოთქმის მეტაფორიზაციაა. მაგ: *ყბაში ჩაუვარდა, თვალი მოატყუა...* [ცეცხლაძე, 2018:13].

გარდა აღნიშნულისა, ვფიქრობთ, იდიომებისათვის ნიშანდობლივია შესიტყვების განსაკუთრებულობა, რაც გულისხმობს იმას, რომ მისი ზუსტი ანალოგი სხვა ენებში არ იძებნება. ანუ, იდიომა ეთნიკური ნიშნის მატარებელიცაა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ქართულისგან განსხვავებით, თურქულში, ძალიან ხშირ შემთხვევაში, ფრაზეოლოგიზმი და იდიომა გამოიხატება ერთი სიტყვით – *deyim*, თანაც ეს ტერმინი გამოიყენება ცალკეულ სიტყვის (არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, ზმნა...) მიმართაც, რომელთა გარეგნული ფორმა ახალი შინაარსის მატარებელია. შესაბამისად, ფრაზეოლოგიზმების კლასიფიკაცია იმ სახით, როგორც დასავლურ და ქართულ ლინგვისტიკაშია, პრაქტიკულად არ არსებობს. ამიტომაც, თურქულ იდიომებსაც მხოლოდ ჩვენეული კრიტერიუმების საფუძველზე განვიხილავთ.

თეორიულმა წიაღსვლებმა შორს რომ არ წავიყვანოს, მოვიყვანთ მაგალითებს ქართული და თურქული ლექსიკური ფონდიდან და გავავლებთ შესაბამის პარალელებს ინგლისურსა და რუსულ ანალოგებთან.

➤ *ვირზე/ჯორზე შეჯდომა* - ერთი შეხედვით უბრალო შესიტყვებაა, რომლის პირდაპირი, სიტყვასიტყვითი გაგება და ნებისმიერ ენაზე თარგმნა არანაირ სირთულეს წარმოადგენს. მას იდიომატურ გამონათქვამად აქცევს გარკვეულ კონტექსტში მისი გადატანითი, მეტაფორული მნიშვნელობა – გაკერპება, გაჯიუტება. ეს ფრაზეოლოგიზმი ნებისმიერი ზრდასრული ქართველის ლექსიკური მარაგის ნაწილია და, შეიძლება ითქვას, ქართული ფენომენია, რომლის პირდაპირი ანალოგიც ჩვენთვის ხელმისაწვდომ უცხოურ ენებზე არ იძებნება.

➤ *თავი ქუდში აქვს* – აქვს მხოლოდ გადატანითი მნიშვნელობა, რაც გულისხმობს საიმედო მდგომარეობაში, არხეინად ყოფნას. ამ აზრის გამომხატველი ამერიკული იდიომა არის

The devil is dead (ეშმაკი მკვდარია), რუსული – *Дело в шляпе* (საქმე ქუდშია), თურქული – *Çantada keklik* (კაკაბი ჩანთაშია) [<http://idioms.tsu.ge>]. პირდაპირი ანალოგი ამ ენების იდიომატურ ფონდში არ იძებნება.

ანალოგიური ტიპის იდიომებია:

- *რძე არ შეშრობია პირზე* – ძალიან ახალგაზრდა, გამოუცდელი.
- *ნემსის ყუნწში ძვრება* – ყოველ ღონეს ხმარობს, არაფერს ერიდება (მიზნის მისაღწევად).
- *კუდის კუდზე გადაბმა* – ერთმანეთთან შეკავშირება, ერთმანეთის მხარის დაჭერა (უმთავრესად ცუდ საქმეში).

- *მამა აბრამის ბატკანი* – ვითომც უმწიკვლო, უცოდველი, მართალი ადამიანი.
- *კუდით ქვა ასროლინა* – შავი დრე აყარა, სასტიკად დაამარცხა.
- *ბეწვის ხიდზე გაგლა* – საფრთხის, განსაცდელის გამოვლა და სხვა მრავალი.
- *წითელ კვერცხს უგორებს* – ელოლიავება, ცდილობს ასიამოვნოს, ყველაფერში უთმობს, მისი გულის მოგებას ცდილობს.

- *ცხვირიდან ძმარი ადინა* – გაამწარა, შავი დღე აყარა, სცემა.
 - *ფარ-ხმალის დაყრა* – დამორჩილება, დანებება, წინააღმდეგობის შეწყვეტა.
- რაც შეეხება თურქულ იდიომებს, ბუნებრივია, ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული ამ ტიპის ფრაზეოლოგიზმები იქაც მრავლადაა. მაგალითად:

- *Fırın süpürgesi* (პირდ. ღუმელის ცოცხი) – იტყმება სუსტი, მაღალი ტანის ადამიანზე.
- *Gök demir, yer bakar* (პირდ. ცა რკინა, მიწა სპილენძი) – გამოიყენება გამოუვალი მდგომარეობის აღსანიშნავად.

- *Sarı Yahudi* (პირდ.: ყვითელი ებრაელი) – ფულისმოყვარე ადამიანი.
- *Ak sakaldan yok sakala gelmek* (ჰადარა წვერიდან უწვერულობამდე მისვლა) – ძალიან დაბერება.

- *Baltayı taşa vurmak* (პირდ.: ცულის ქვაზე დარტყმა) – სათქმელის პირდაპირ, ღიად და მოურიდებლად თქმა.

- *Düz duvara tırmanmak* (პირდ.: სწორ კედელზე ცოცვა) – მოუსვენრობა, ძალიან ცელქობა.
- *Ekmek elden su gölden* (პირდ.: ხელიდან პური, ტბიდან წყალი) – გამოიყენება სხვის ხარჯზე ცხოვრების მნიშვნელობით.

- *Havadan sudan* (პირდ.: ჰაერიდან და წყლიდან) – გამოიყენება უსარგებლო და უშინაარსო საუბრის აღწერისას.

- *Çiğerimin köşesi* (ჩემი ღვიძლის კუთხე-კუნჭული) – იტყვიან ძალიან ძვირფას ადამიანზე.

- *Şeytan tüyü* (ეშმაკის ბუმბული) – გამონათქვამი შეურაცხმყოფლად ჟღერს, მაგრამ სინამდვილეში ნიშნავს კომპლიმენტს. გამოიყენება იმ ადამიანის მიმართ, რომელსაც მისტიკური, ეშმაკური შარმი აქვს...

არის ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც ანალოგიური ფორმითა და მეტაფორული გაგებით გვხვდება სხვადასხვა ენაში, რაც მათ ნასესხობაზე უნდა მიანიშნებდეს. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, ძნელია იმის გარკვევა, თუ რომელი ქვეყნისა და ხალხის წიაღში აღმოცენდა ისინი თავდაპირველად, ამიტომ, მათ შეიძლება გარდამავალი იდიომები ვუწოდოთ. არც იმის გამორიცხვა შეიძლება, რომ ერთმანეთის მსგავსი იდიომები სხვადასხვა ენაში დამოუკიდებლად აღმოცენდა. მაგალითად:

- *ხაფანგის დაგება* – საფრთხის, განსაცდელის შექმნა, ხრიკების მოწყობა..

ინგლ.: *To set a trap for somebody.*

თურქ.: *Kapan kurmak.*

რუს.: *Поставить ловушку.*

- *ქარიშხალი ჭიქა წყალში* – ხმაური, აურზაური არაფრის გამო.

ინგლ.: *A Storm in a tea-cup.*

თურქ.: *Fırtına bir bardakta .*

რუს.: *Буря в стакане воды.*

- *ერთი გასროლით ორი კურდღლის მოკვლა* – ანუ, რამდენიმე საქმის ერთად გაკეთება.

ინგლ.: *To kill two birds with one stone.*

თურქ.: *Bir vuruşla iki tavşanı öldürmek.*

რუს.: *Одним выстрелом убить двух зайцев.*

- *ცეცხლთან თამაში* – თავისი თავისთვის სახიფათო მოქმედება; თავის ხიფათში ჩაგდება.

ინგლ.: *To play with fire.*

თურქ.: *Ateşle oynamak.*

რუს.: *Играть с огнем.*

ამრიგად, ჩვენი დაკვირვებით, იდიომს ფრაზეოლოგიის სისტემაში აქვს თავისი განსაკუთრებული და გამოკვეთილი ადგილი, ხასიათდება სტრუქტურული სიმყარით, აზრის მეტაფორულობით, შესიტყვების მთლიანი მნიშვნელობის ფონზე ერთეულის მნიშვნელობის სრული დაკარგვით (რასაც, ზოგიერთ შემთხვევაში, განაპირობებს კონტექსტი), სიტყვათა ჩანაცვლებისა და პირდაპირი თარგმნის შეუძლებლობით, რაც გულისხმობს მხოლოდ ეროვნულ ნიადაგზე მის აღმოცენებას, ასევე, გარკვეული ემოციური შეფერილობით, მაგრამ არა მოწოდება-შეგონების დონემდე, როგორც ეს ანდაზა-აფორიზმებშია. შესაბამისად, ჩვენთვის ნამდვილი იდიომი არის ეროვნულ საფუძველზე აღმოცენებული, მყარი, მეტაფორული გაგების ფრაზეოლოგიური ერთეული, რომელიც არც ანდაზა-აფორიზმია და არც ისეთი ხატოვანი თუ ფიგურალური გამონათქვამი, რომლის ანალოგიც სხვა ენებში იძებნება.

LINGUISTICS

FOR THE SEPARATION OF IDIOMS AND PHRASEOLOGIES

ANA AKHALADZE

Batumi Shota Rustaveli State University

One of the problematic issues in linguistics today is to clarify the relation of idiom to phraseology. According to the accepted opinion, phraseology is called any lexical unit, which is characterized by structural stability, monolithic transformed meaning and expressive-emotional content. It can be said, that idiom is a phraseology with a narrow meaning, characterized by its structural solidity, metaphorical thought, complete loss of the meaning of the unit against the background of the full meaning of the word (which, in some cases, is caused by context), its inability to replace words and direct translation, which implies its emergence only on national grounds.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გამყრელიძე თ., კიკნაძე ზ., შადური ი., შენგელაია ნ., თეორიული ენათმეცნიერების კურსი, მეორე გამოცემა, თბ. 2008.
2. ზაალიშვილი ნ., ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმები სხვადასხვა სისტემის ენებში (ქართული, რუსული და ესპანური ენების მასალის მიხედვით), სადისერტაციო ნაშრომი, თბ. 2018.
3. თაბუაშვილი ლ., ფრანგული და ქართული გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმების ტიპოლოგიური შედარება-შეპირისპირება, სადისერტაციო ნაშრომი, თბ. 2016.
4. თაყაიშვილი ა. ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები, თბ. 1961.
5. ონიანი ალ., ქართული იდიომები, თბ. 1966.
6. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. IV, თბ. 1955; ტ. VII, თბ. 1962.
7. ქართული ენის იდიომებისა და ანდაზების ფონდების მონაცემთა ბაზა, <http://idioms.tsu.ge>.
8. ცეცხლაძე ნ., ფრაზეოლოგიზმთა კვლევის ასპექტები, გამომცემლობა „ივერიონი“, თბ. 2018.
9. ძაგნიძე ქ., თანამედროვე ინგლისური ენის საქმიანი მოლაპარაკების ფრაზეოლოგიური ფონდის თემატური სეგმენტაცია, სადისერტაციო ნაშრომი, ქუთ. 2014.
10. Кунин А.В., Фразеологии современного английского языка, М. 1972.
11. Кунин А.В., Курс фразеологии современного английского языка, М.1996.
12. Чернобай С. Е., Определение идиомы в современной фразеологии, Ученые записки Таврического национального университета им. В. И. Вернадского, Серия „Филология. Социальные коммуникации“, Том 24 (63), № 3, 2011.
Deyimler Sözlüğü, www.dilbilgisi.net

ენათმეცნიერება

საგნების, ცნებებისა და სიტყვების ურთიერთმიმართების პრობლემა ფრ.ბეკონის ფილოსოფიაში

ლევან სალვაში, ლია გორბაქი

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანოტაცია: საგნების, ცნებებისა და სიტყვების ურთიერთმიმართების პრობლემისათვის იდეების, საგნებისა და სახელების ურთიერთმიმართების პრობლემა გადასაწყვეტად საჭიროებს ფუნდამენტურ ცოდნას აზროვნების, ადამიანის, ენისა და სამყაროს შესახებ. ნაშრომში გაანალიზებულია მიზეზები, რომლებმაც განსაზღვრეს სამყაროს მოაზრების პროცესში სახელებისთვის მეორეული როლის მიკუთვნება. პრობლემის უკეთ წარმოსაჩენად იგი განხილულია მეთოდოლოგიურად დაპირისპირებული - ანტიკური და აღორძინების ხანის - კონცეფციათა პოზიციებიდან. ავტორებისათვის მნიშვნელოვანი იყო დაედგინათ, რამ განაპირობა ანტიკურ ფილოსოფოსთა ეჭვი ენის შესაძლებლობის მიმართ და, მეორე მხრივ, სახელების ფაქტორი ფრ.ბეკონის მცდელობაში ჩაენაცვლებინა არისტოტელესეულ „ორგანონს“ თავისი „ახალი ორგანონი“.

საკვანძო სიტყვები: მეტაფიზიკა, ბუნება, გონება, იდოლები, სახელები, ცნებები.

უ. ოკამის ლოგიკური თეორიის ზოგად-მეთოდოლოგიური მნიშვნელობა მდგომარეობდა იმის ჩვენებაში, რომ პრედიკაციის დროს ლოგიკური წესების გამოყენება ხდება რეალურ ფაქტებთან მიმართებაში. ოკამის ნომინალიზმი უარყოფდა სქოლასტიკოსთა განყენებული მსჯელობის პრაქტიკას და მოგვიანებით გაჩენილი აღორძინების ეპოქის სხვა იდეებთან ერთად მოითხოვდა რეფორმას ფილოსოფიურ (მეცნიერულ) აზროვნებაში. მე-17 საუკუნეში ყველაზე სრულად რეფორმის იდეას ხორცი შეესხა ინგლისელი ფილოსოფოსის ფრენსის ბეკონის „მეცნიერებათა დიდ აღდგენაში“. ნაშრომის ავტორმა ღირებულად გამოაცხადა მხოლოდ ცდისეული მეცნიერება. ამ პრინციპის თანახმად, შემეცნება მხოლოდ იმ შემთხვევაში აღწევს მიზანს, თუ მას მოჰყვება აღმოჩენები და გამოგონებები პრაქტიკულ ცხოვრებაში. მეცნიერების მეთოდოლოგიური პარადიგმის გამოცვლა სხვასთან ერთად საჭიროებდა

მიმართებათა გადააზრებას სახელებს, ცნებებსა და საგნებს შორის.

ყოველგვარი რეფორმა იწყება არსებულის მიუღებლობით. ფრ. ბეკონის კრიტიკა ეხებოდა დამკვიდრებული ფილოსოფიის საფუძველს-მეტაფიზიკას. „სიბრძნე, რომელიც ჩვენ გადმოვიღეთ ბერძნებისგან... არ არის მომწიფებული ახლის გასაჩენად“ (Бэкон, 1971:64). მართალია, „ფორმა-იდეთა“ სახით პლატონმა სწორად მიაგნო მეცნიერების ჭეშმარიტ ობიექტს: „ადამიანის გონება სულ ცდილობს გამოვიდეს ყოყმანის მდგომარეობიდან და იპოვოს რაიმე უძრავი და მყარი, რაზედაც იგი შეიძლება დაეყრდნოს თავის ხეტიალსა და ძიებაში“ (Бэкон, 1971:319). ისე, როგორც ასო-ნიშანთა შეხამებითა და გადასმით მიიღება სიტყვათა უსასრულო რაოდენობა, მარტივი „ფორმების“ შეკავშირება წარმოქმნის ყველა სუბსტანციას (Бэкон, 1971:238). მაგრამ პლატონი „ფორმა-იდებს“ განიხილავდა მატერიისგან

ლევან ხალვაში, ლია გორგაძე

ცალკე, რამაც მოაქცია მისი ფილოსოფია თეოლოგიურ სპეკულაციებში და საბოლოოდ დააცილა ჭეშმარიტებას. გონებისათვის დასაყრდენს წარმოადგენს სილოგიზმიც, რომელიც აღწერა არისტოტელემ, მაგრამ ამ უკანასკნელმა უარყო სხვათა შეხედულებები და ისე, „როგორც ალექსანდრემ (იგულისხმება მაკედონელი-ავტორები) დაიპყრო ყველა ხალხი, არისტოტელემ სძლია ყველა სწავლებას და შექმნა მეცნიერებაში ერთგვარი მონარქია“ (Бэкоин, 1971:219). ფრ. ბეკონის შეფასებით, ერთი ფილოსოფოსის გაბატონების პირობებში ჭეშმარიტების პოვნა არის შეუძლებელი. პლატონმა და არისტოტელემ ფიზიკური აღწერეს ღვთაებრივით, ფიზიკაში ისინი ადგენდნენ საბოლოო ღვთაებრივ მიზეზებს, მაშინ როდესაც ბუნების კანონები უნდა ავხსნათ მიზეზებით, რომლებიც მიეკუთვნება თავად ბუნებას. ფრ. ბეკონის თანახმად, მეცნიერებათა რეფორმის პრობლემა არ მდგომარეობდა მხოლოდ ანტიკური მეტაფიზიკის დამღევაში. სამყაროს შემეცნებაში ადამიანს ხელს უშლის თავად გონება, რომელიც საგანთა ბუნებას დაურთავს საკუთარ ბუნებას და ცუდი სარკივით გამრუდებით ასახავს ყველაფერს (Бэкоин, 1972:19). გონება დაბინდულია ყოველდღიური ცხოვრების მიდრეკილებებით, ყალბი შეხედულებებითა და ცრუ ამბებით, ათასგვარი ფანტაზიით. ამასთან ერთად, პირველადი ცნებები წარმოქნილი არიან შესაბამის საგანთა არაზუსტი განყენების შედეგად, რის გამოც აზროვნება, რომელსაც ჩვენ ვიყენებთ შემეცნებისთვის, მოკლებულია საფუძველს. ამგვარ მდგომარეობაში მყოფ გონებას, ფრ. ბეკონის აზრით, ვეღარ დაეხმარება ლოგიკა, რადგან სილოგიზმი შედგება წინადადებებისგან, ეს უკანასკნელნი-სიტყვებისაგან, ხოლო სიტყვები გამოხატავენ ცუდად შედგენილ ცნებებს (Бэкоин, 1971:74). ამრიგად, ფრ. ბეკონის

მეცნიერებათა რეფორმა საჭიროებდა ყველაზე ძნელს- აზროვნების გარდაქმნას. გონება უნდა გაწმენდილიყო ჭეშმარიტების შესამეცნებლად. ინდუქციური პრინციპით აზროვნების შედეგად საგანთა ბუნება უნდა გამიჯნულიყო საკუთრივ გონებისეულისგან. გონების ბუნების შესწავლას ინგლისელმა ფილოსოფოსმა უძღვნა ნაშრომის მეორე ნაწილი საგულისხმო სათაურით „ახალი ორგანონი“. ძველ ბერძენ ფილოსოფოსებში ადამიანური გონება იწვევდა კრძალვასა და აღტაცებას. „ნაოსნობას იდუმალების წყლებში“ უწოდებდა ფილოსოფიურ მსჯელობას სოკრატე (იხ.პლატონი, 1966:88). ეს მეტაფორა კარგად მიანიშნებს გონების აღმოჩენით შესაძლებლობაზე. „ტიმოსში“ პლატონი გვიხსნის გონების შესაძლებლობის უსაზღვროებას: „გონებების სავანე კი შეუძლებელია სხვა რამე იყოს, გარდა სულისა“ (პლატონი, 1994:290). არისტოტელემ ჩამოაყალიბა მოძღვრება სწორი აზროვნების შესახებ (ლოგიკა), რომელსაც განიხილავდა „ორგანონად“ - აუცილებელ ფუძემდებლურ საშუალებად მეცნიერების ყველა დარგისთვის. ფრ. ბეკონი აღტაცებულია ბუნებით, რომლის ადეკვატურ შესწავლას მიიჩნევს ფილოსოფიის (მეცნიერების) მთავარ მიზნად. პრობლემა, რომელიც ხელს უშლის აღნიშნული მიზნის მიღწევას, ფრ. ბეკონის შეფასებით, მდგომარეობს გონებაში, უფრო ზუსტად, გონების უმართავ ბუნებაში (Бэкоин, 1972:13). ამრიგად, „ახალი ორგანონი“ არ წარმოადგენდა არისტოტელესეული „ორგანონის“ გაგრძელებას, არამედ უნდა ჩანაცვლებოდა მას.

ფაქტორებს, რომლებიც ახდენენ ზემოქმედებას აღქმასა და აზროვნებაზე, ფრ. ბეკონმა უწოდა „იდოლები“. „ახალ ორგანონში“ განხილულია იდოლების ოთხი სახე: 1. „გვარეობითი იდოლები“ განპირობებული არიან ადამიანთა ზოგადი ბუნებით,

მაგალითად, ყველა ადამიანი უფრო აღიქვამს თავისთვის დადებითსა და საჭიროს, ვიდრე პირიქით; ადამიანის გონება ერთგვაროვანია, ამიტომ ბუნებაშიც იგი ყველგან ხედავს ურთიერთმიმართებით, პარალელურ და ურთიერთდამოკიდებულ მოვლენებს. ფრ. ბეკონი დარწმუნებულია, რომ „ყველა აღქმა, გრძნობა, აზროვნება ეფუძნება ადამიანის ანალოგიებს და არა სამყაროს ანალოგიებს“ (Бэкон, 1972:19). 2. „გამოქვამულის იდოლები“ მეტაფორაა, რომელიც გულისხმობს იმას, რომ ყველა ადამიანი სამყაროს აღიქვამს ინდივიდუალური მოცემულობიდან (საკუთარი გამოქვამულიდან). განმარტებულის უფრო მეტი თვალსაჩინოებისათვის ავტორს მოჰყავს ჰერაკლიტეს შემდეგი აზრი: „ადამიანები ეძებენ ცოდნას საკუთარ მცირე სამყაროებში და არა დიდ ანუ საერთო სამყაროში“ (Бэкон, 1972:19). მოყვანილის უმნიშვნელო პერიფრაზი, ალბათ, უფრო გასაგებს გახდის „გამოქვამულის იდოლების“ შინაარსს: ადამიანები იმყოფებიან თავიანთ მცირე სამყაროებში და არა საერთო დიდ სამყაროში. 3. „მოედნის იდოლები“ სიტყვებია, რომლებიც ჯადოსნურად ძალადობენ გონებაზე, რევენ მას და ამით წარმოქმნიან უაზრო კამათს ადამიანთა შორის. ამათა მცდელობა თავი დავაღწიოთ სიტყვათა ძალმომრეობას. სიტყვები, რომლებიც ცნებათა მეშვეობით განასხვავებენ საგნებს, ყალიბდებიან მდაბიური ხალხის მეტყველებაში მოლაპარაკეთა მდუმარე შეთანხმების შედეგად. როდესაც მეცნიერს სურს უფრო ღრმად შეისწავლოს საგნები, იგი მიმართავს სიტყვათა განმარტებას, მაგრამ ყოველი განმარტება შედეგადად ისევ ჩვეულებრივი სიტყვებისგან არამეცნიერული (არაზუსტი) სიტყვები წარმოქმნიან არამეცნიერულ განმარტებებს (Бэкон, 1971:325). 4. ავტორი ცალკე გამოყოფს იდოლებს, რომლებიც გადმოსახლდებიან ადამიანთა სულში სხვადასხვა

ფილოსოფიური დოგმატიებიდან, მცდარი მეცნიერული აქსიომებიდან. მათ იგი უწოდებს „თეატრის იდოლებს“, რადგან მიიჩნევს, რომ ყოველი ფილოსოფიური სისტემა წარმოადგენს გათამაშებულ კომედიას, რომელსაც გადავყავართ გამოგონებულ სამყაროში (Бэкон, 1972:20).

სიტყვების „დადანაშაულება“ ფილოსოფიაში ცნობილი იყო ფრ. ბეკონამდე. „კრატილში“ სოკრატე გვამცნობს სიტყვის დანიშნულებას: „ყოველი სიტყვა უნდა გვიხსნიდეს საგნის ბუნებას“ (Платон, 1968: 432), მაგრამ სხვაგან იგი აგრძელებს: „პირველყოფილი სახელები დიდი ხანია უკვე ჩამარხული არიან ჩამატებული და მოკლებული ბგერების ქვეშ“ (Платон, 1968:456). პლატონის თანახმად, სიტყვების არასწორი გამოყენების გამო ვერ გამოიხატებიან სწორად იდეები, რომლებიც შეიცავენ საგანთა ბუნებას. ამრიგად, ბმულობაში „იდეები-საგნების სახელები“ „სუსტი რგოლი“ სახელებია. პლატონის ფილოსოფიაში სახელი გამოხატავს მარადიულ იდეას, რომელიც წარმოადგენს საგნის არსს, ხოლო „არსი თავისთავში მარტივი და ერთსახოვანია“ (პლატონი, 1966:46). სოკრატე ცდილობს გადაწყვიტოს პრობლემა ეტიმოლოგიური ანალიზით, რადგან დარწმუნებულია, რომ თავიდან სიტყვას ჰქონდა სწორი მნიშვნელობა მარადიული იდეის სახით. ფრ. ბეკონთან სიტყვათა არაზუსტი გამოყენებით ცნებები თავიდანვე არიან „მანკიერი და ბუნდოვანი“ (Бэкон, 1972:62), რის გამოც ისინი ვერ წარმოაჩენენ სათანადო სისრულითა და სიზუსტით ობიექტს (საგანი, თვისება, მიმართება, მოქმედება, მდგომარეობა), მაგალითად: „სიტყვა „სინოტივე“ ბუნდოვნად აღნიშნავს რამდენიმე მოქმედებას, რომელთა გაერთიანება შეუძლებელია. ის აღნიშნავს იმას, რაც ადვილად ვრცელდება სხვა სხეულის ირგვლივ; იმასაც, რასაც თავისთავად არ აქვს მდგრადობა; იმასაც, რაც მოძრაობს ყველა მიმართულებით; იმასაც,

ლევან ხალვაში, ლია გორგაძე

რაც ადვილად გროვდება და ერთიანდება; იმასაც რაც ადვილად იწყებს მოძრაობას და მიედინება. იმასაც, რაც ადვილად ეკვრის სხვა სხეულებს და ანესტიანებს მათ; იმასაც, რაც ადვილად იქცევა თხევადად ან დნება, თუ მანამდე იყო მყარი. თუ ჩვენ ავიღებთ ამ სიტყვის ერთ განმარტებას, გამოვა რომ ცეცხლი ნესტიანია, ხოლო სხვა განმარტებით, ნოტიოა მიწა. გასაგებია, რომ ეს ცნება მოუფიქრებლად არის განყენებული მხოლოდ წყლისა და სხვა სითხეებისაგან ყოველგვარი შემოწმების გარეშე“ (Бәкөн, 1972:27). მოყვანილი პასაჟი კარგად გვაჩვენებს იმას, რომ სიტყვის სემანტიკური (კონცეპტუალური) საზღვრები სინამდვილეში მოძრავია. პარადოქსი მდგომარეობს იმაში, რომ ფრ. ბეკონს დაუშვებლად მიაჩნია აღმოჩენილი ფაქტი, რითაც იგი უთქმელად აღიარებს სწორი ცნებების არსებობას. ამგვარი იდეალური ცნებები -ეიდოსები- პლატონმა დაუშვა მარადიულ ზეცაში. ფრ. ბეკონისთვის ბუნების შემეცნებაში მეტაფიზიკა მიუღებელია, მეცნიერებათა გადარჩენას იგი გადაწყვეტს შეგრძნებათა დახმარებით, მით უმეტეს, რომ ჯერ კიდევ ნაშრომში „სულის შესახებ“ არისტოტელე მიუთითებდა: „შეგრძნება ყოველთვის ჭეშმარიტია“ (Аристотель, 1976:431) განსხვავებით აზრისაგან, რომელიც შეიძლება იყოს ჭეშმარიტი ან მცდარი. მიუხედავად ამისა, არისტოტელეს ვერ წარმოედგინა მეცნიერული ძიება აზროვნების მონაწილეობის გარეშე. საწინააღმდეგო მიმართულებით ნაბიჯს ფრ. ბეკონს გადაადგმევინებს შემეცნების პროცესის ფსიქოლოგიური ანალიზი: „შეგრძნება, რომელიც ინტელექტის კარია, ჩნდება ერთეული საგნის ზემოქმედებით. გრძნობის ორგანოთა მეშვეობით აღქმული ერთეული საგნების სახეები და შთაბეჭდილებები ფეხს იკიდებენ მეხსიერებაში. ამასთან, თავდაპირველად ისინი აღიბეჭდებიან მასში თითქოს იმ ხელუხლებელი სახით, რომლითაც ვლინდებიან გრძნობიერ აღქმას და

მხოლოდ ამის შემდეგ ადამიანური სული გადაამუშავებს მათ. ხოლო შემდეგ ან კვლავ წარმოქმნის მათ თავისებურ თამაშში ან აწესრიგებს შეკავშირებითა და გაყოფით“ (Бәкөн, 1971:157). ფრ. ბეკონი არ ენდობა იდოლებით „დაპყრობილი“ და არასწორი ცნებების მქონე აზროვნებას, მისი პროექტის მიხედვით, მეცნიერება უნდა ეფუძნებოდეს შეგრძნებებს: „ჩვენ განვიხილავთ გრძნობას საკუთრივ მის ფარგლებში და უკუვაგდებთ გონების იმ მუშაობას, რომელიც მოჰყვება გრძნობას (Бәкөн, 1972:18). ამ გადაწყვეტილებით ინგლისელმა ფილოსოფოსმა უარი თქვა აზროვნების ლოგიკურ წესებზეც: „უნდა უკუვაგდოთ სილოგიზმი, როგორც მუშაობაში უნაყოფო და პრაქტიკისგან შორს მდგარი“ (Бәкөн, 1971:74). დასახულის განხორციელების შემთხვევაში გონება შეგრძნების მიღებისას არ აიჭრება იმთავითვე მაღლა უზოგადესი აქსიომებისკენ, არამედ დაიწყებს აქსიომების გამოყვანას უკვე შეგრძნებებისგან ნელ-ნელა, თანმიმდევრულად მაღლა ასვლით, სანამ არ გამოიყვანს ყველაზე ზოგად აქსიომებს. ამ მეორე გზას ფრ. ბეკონმა უწოდა ინდუქციური. კრიტიკოსთა შეფასებით, ფრ. ბეკონმა ვერ შექმნა ახალი მეცნიერული მეთოდი (ბაქრაძე, 1969: 75). მეცნიერებათა რეფორმა გონების აპრიორული თვისებების („იდოლების“) დაძლევასთან ერთად საჭიროებდა სიტყვების, ცნებებისა და საგნების ურთიერთმიმართებების სხვაგვარ გააზრებას. ფრ. ბეკონმა თავად გვაჩვენა იმის მაგალითი, თუ როგორ შეუძლია მეცნიერს შესასწავლი ობიექტის უფრო ღრმა ხედვით გააფართოვოს სიტყვის („სინოტივე“) სემანტიკური საზღვრები. რაც უფრო განსწავლულია ადამიანი, მით უფრო მეტია სემანტიკური მოცულობა სიტყვებისა, რომლებსაც იგი ფლობს, შესაბამისად უფრო სრული არის საგანთა ხედვაც. ამასთან, მეცნიერული ძიების ხარისხს განსზღვრავს არა ეროვნული ენა, არამედ მის საფუძველზე

დარგის სწავლულთა მიერ ჩამოყალიბებული მეტაენა. სხვა სიტყვებისგან განსხვავებით, ტერმინები, რომლებიც შეადგენენ მეტაენას, შეიცავენ ყველაზე სრულ, მაგრამ არა აბსოლუტურ სემანტიკურ ინფორმაციას შესასწავლი ობიექტის შესახებ. ლათინური terminus ნიშნავს საზღვარს (ნებიერიძე, 1991:234). ტერმინთა საზღვრები იცვლება არა რეფორმით, არამედ მეცნიერული შემოქმედების შედეგად, რადგან ეს უკანასკნელი ერთდროულად არის ენობრივი შემოქმედებაც. სიტყვის ერთადერთი სწორი მნიშვნელობის კონცეფცია უკავშირდება პლატონის ფილოსოფიას, რომელშიც სახელები გამოხატავენ ცალმხრივად განსაზღვრულ მარადიულ იდეებს (ეიდოსებს). პლატონთან იცვლება სიტყვის ბერითი მხარე და არა გამოსახატავი იდეა. „კრატилში“ უცნობი კანონმდებლები ბგერობრივად ამსგავსებენ სახელს საგანს, რომელიც წარმოადგენს

მარადიული იდეის რეალიზაციის შედეგს ფიზიკურ სამყაროში. ამიტომ პლატონთან შემეცნების მთავარ ღირებულებას წარმოადგენს იდეა, რომლის გარეშე შეუძლებელი არის საგნის, როგორც შესწავლა, ისე არსებობაც. ფრ. ბეკონთან არისტოტელეს ზეგავლენით ცნებების, საგნებისა და სიტყვების ურთიერთმიმართებაში ამოსავალია საგნები, რომელთა განყენების სხვადასხვა ხარისხით შესრულებულ შედეგს წარმოადგენენ ცნებები. ასეთ შემთხვევაში საგნის არსებობა არ მოითხოვს ცნებას. ფრ. ბეკონი მოგვიწოდებს: „დაე, ადამიანებმა უბრძანონ თავს დროებით უარი თქვან თავიანთ ცნებებზე და შეეჩვიონ თვით საგნებს“ (Бэкон, 1972:18). „ახალი ორგანონის“ ავტორი დარწმუნებულია, რომ ცნებათა მოშლის შემთხვევაში შესაძლებელია საგნების, სიტყვებისა და თვით ადამიანების არსებობა.

LINGUISTICS

THE PROBLEM OF THE RELATIONSHIP OF OBJECTS, CONCEPTS AND WORDS IN FR. BACON'S PHILOSOPHY

LEVAN KHALVASHI, LIA GORGADZE

Batumi Shota Rustaveli State University

The shift of scientific interest to the natural world was one of the notable events of the Renaissance. The English philosopher Fr. Bacon aims to establish a new scientific method. Reform science along with overcoming the a priori qualities of the mind ("idols") required the development of an attitude towards language. This article is dedicated to this aspect of Bacon's philosophical work.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბაქრაძე კ., 1969- ახალი ფილოსოფიის ისტორია, თსუ, თბ.
2. ნებიერიძე გ., 1991 - ენათმეცნიერების შესავალი, განათლება, თბ.
3. პლატონი, 1966 - ფედონი, ნაკადული, თბ.
4. პლატონი, 1994 - ტიმეოსი, „ირმისა“, თბ.
5. Аристотель., 1976 – Соч.в 4т., т.1, Мысль, М.
6. Бэкон Фр., 1971 – Соч. в 2т., т1, Мысль, М.
7. Бэкон Фр., 1972 - Соч. в 2т., т.2, Мысль, М.
8. Платон., 1968 - Соч. в 3т., т.1, Мысль, М.

ენათმეცნიერება

დასურული ინტერნეტჯგუფების ენის ზოგიერთი თავისებურების შესახებ

თალიკო ღავითაძე, თეიმურ ავალიანი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი: წინამდებარე ნაშრომის ავტორები გამოთქვამენ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ რიტუალურ არგოს, სოციოლექტის ამ ერთ-ერთ ნაირსახეობას, უნდა მიეკუთვნოს ინტერნეტსივრცეში ბოლო დროს გავრცელებულ ე.წ. „სასიკვდილო ინტერნეტთამაშებში“ ჩართულთა გასაიდუმლოებული სოციალური ჯგუფების მეტყველება. ავტორები ამის მთავარ არგუმენტად მიიჩნევენ იმას, რომ:

1. ეს არის არა უბრალოდ დახურული, არამედ მკაცრად გასაიდუმლოებული ჯგუფების „ენა“. მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დეტალის გასაჯაროების შემთხვევაში მოთამაშეს ემუქრება უმკაცრესი სასჯელი.
2. აღნიშნული „ენის“ უმთავრესი ფუნქციაა ჯგუფის წევრებზე მაქსიმალური ვერბალური ზემოქმედების მოხდენა. ამიტომ ის დაკავშირებულია სიმბოლოებთან (ლურჯი - სასო-წარკვეთილების სიმბოლო), მათ შორის ბიბლიურ სიმბოლოებთან (ბიბლიური ვეშაპი), მუქარასთან, შანტაჟთან, არავერბალურ საშუალებებთან (მაგ. მუსიკა) და სხვა.
3. თამაშის პროცესი ემსგავსება *ერთ დიდ რიტუალს*, რომელიც, თავის მხრივ, სხვა უამრავ რიტუალს მოიცავს.

ნაშრომში დასმულია საკითხი პრობლემის შემდგომი სიღრმისეული კვლევის შესახებ.

საკვანძო სიტყვები: სოციოლექტი, არგო, ლექტი, სიმბოლო, რიტუალი. ინტერნეტსივრცე

ინტერნეტკომუნიკაციის სულ უფრო მზარდმა შესაძლებლობებმა უამრავი მნიშვნელოვანი საკვლევი სფერო და მიმართულება წარმოაჩინა. ამ თვალსაზრისით ჩვენი ყურადღება მიიპყრო ინტერნეტკომუნიკაციისა და სოციალური დიალექტოლოგიის პრობლემატიკის ურთიერთმიმართების საკითხებმა, რადგან სულ უფრო აშკარა ხდება, რომ ჟარგონის, არგოსა და სლენგის ფუნქციონირებისთვის ყველაზე ნოყიერ ნიადაგს სწორედ ინტერნეტსივრცე ქმნის. კერძოდ, ჩვენი ყურადღება მიიპყრო ამ სივრცეში ფართოდ გავრცელებულმა სოციოლექტის ერთ-ერთმა ნაირსახეობამ - **არგომ**, რომელიც მთლიანობაში ჯერ კიდევ ნათლად გააზრებულიც კი არ არის. როგორც მკვლევრები

აღნიშნავენ, „**არგო არაა ლინგვისტიკაში კარგად შესწავლილი, მიუხედავად იმისა, რომ სორბონის უნივერსიტეტში არსებობს არგოლოგიის ლაბორატორია**“ (ჯაში, 2002: 71).

არგოს შესწავლის თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესოა დახურული ინტერნეტჯგუფების საკომუნიკაციო სივრცე, რადგან **არგო კრიპტოლექტია** და მისთვის „**დამახასიათებელი იდუმალების დიდი ხარისხით**“ (გიტოლენდია, 2014: 50) ის ყველაზე მეტად სწორედ დახურული ჯგუფის მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

ამ დასკვნის საფუძველს გვაძლევს ერთ-ერთი დახურული ინტერნეტსივრცის, ე.წ.

„სასიკვდილო ინტერნეტამაშების“ მოყვარულთა, უფრო ზუსტად, ამ თამაშებში ჩათრეულთა გასაიდუმლოებული სოციალური ჯგუფების მეტყველების ანალიზი. ამ საკითხის სიღრმისეულ კვლევას ჩვენ სამომავლოდ ვგეგმავთ, წინამდებარე სტატიაში კი შევეცდებით წარმოვაჩინოთ პრობლემის ერთ-ერთი კონკრეტული ასპექტი - **არგოს, როგორც სოციოლინგვისტური მოვლენის სტატუსი და ფუნქციონირების ზოგიერთი თავისებურება ზემოთაღნიშნულ კონკრეტულ სივრცეში**. კერძოდ, მიგვაჩნია, რომ „სიკვდილის ჯგუფების“ სახელით ბოლო დროს გავრცელებული დახურულ სოციალური ჯგუფების ენა შეიძლება განხილულ იქნას როგორც არგოს კონკრეტული ნაირსახეობა - **რიტუალური არგო**.

რატომ „რიტუალური არგო“? ამ ტერმინის შესახებ ბ. ჯორბენაძე წერს, რომ არსებობს ჟარგონისა და არგოს მრავალი ნაირსახეობა. ცნობილია, მაგალითად, **რიტუალური არგო**“ რომელიც უნდა განიმარტოს როგორც „**მაგიურ რიტუალებთან დაკავშირებული არგო**“ (ჯორბენაძე, 1989: 50). მკვლევარი ხაზს უსვამს, რომ ის მსოფლიოს მრავალ ენაშია დაფიქსირებული და მაგალითად მოჰყავს ე. სეპირის მოსაზრებები: **ესკიმოსი ექიმბაშები იყენებენ განსაკუთრებულ ლექსიკას, საფეხებით გაუგებარს იმათთვის, ვინც მათი ამქრის წევრი არ არის**“ (ჯორბენაძე, 1989: იქვე).

არსებობს რიტუალური არგოს სხვადასხვა კლასიფიკაცია, რომელთა მიხედვითაც არგოს ამ ნაირსახეობის ქვეშ მოიაზრება: ქურუმების ენა (რომელიც იქმნებოდა სულელებთან სალაპარაკოდ); შელოცვის ფორმულები (ამის შესახებ იხ.: ჯორბენაძე, 1989: 50-51); „ქაჯური ენა“ (სადაც სიტყვები გადასხვაფერებულია ყოველ მარცვალზე რაიმე ნაწილაკის დართვით: *მოწავიწადაწა ან მონდერვინდერდა* - ანუ მოვიდა); მონადირეთა ტაბუირებული მეტყველება („ტყის

ენა“) (გითოლენდია, 2014: 51). და სხვა. განსაკუთრებით ხაზგასასმელია ხატის ანუ ჯვართენის ფენომენი. „ჯვართენას ეძახიან ორასიოდე სიტყვა-შესიტყვებას, რომელთაც ხატის მსახურნი და ქადაგ-მკითხავნი იყენებდნენ რიტუალების შესრულებისას“ (ჭინჭარაული, 2000: 151). რიტუალური არგოსადმი მათი მიკუთვნება ხდება **შედეგი ნიშნების საფუძველზე**:

1. ზებუნებრიობის ხაზგასმა (მაგ. „ჯვართენის“ შექმნა საჭიროა ჩვეულებრივ მოკვდავთა სასაუბრო ენისაგან ღვთისშვილთა „ენის“ განსხვავების მიზნით).

2. **ტექსტისთვის საკრალურობის მინიჭება**: ეს არის „სპეციალური“ ენა და ქადაგისაგან მოითხოვს სპეციალური ტერმინოლოგიის აუცილებელ ცოდნას... ეს ლექსიკა ყოველდღიური ურთიერთობის დროს ჯვართენაში გამოყენებული მნიშვნელობით არ იხმარება (გითოლენდია, 2014: 51-52).

3. **კავშირი მაგიურ რიტუალებთან**. ასე მაგალითად, ქურუმები საგანგებო ენას ქმნიდნენ სულელებთან სალაპარაკოდ. ან კიდევ - ხევსურეთში სანადირო ადგილთან მისვლისას კლდის პირველ შესასვლელში მონადირე სანთელს ანთებდა, საკმეველს აკმევედა, ილოცებდა და ხმელგანატებს შეჭამდა (**სიხარულიძე, 2006: 104**).

4. სწრაფვა საზოგადოების დანარჩენი ნაწილისაგან მისი **გასაიდუმლოებისკენ** (რის გამოც არგოს კრიპტოლექტს, ანუ „საიდუმლო ლექტს“ უწოდებენ: „პროფესიული საიდუმლოების გაცემა ხშირად გაკოტრებას ნიშნავდა. ამ საიდუმლოს დაცვა შესაბამისი არგოს გამომუშავებას საჭიროებდა, რომელიც მას ამქრის წევრისათვის გასაგებს, სხვებისათვის გაუგებარს ხდიდა“ (ჯორბენაძე, 1989: 50-51). მკვლევრები აღნიშნავენ, რომ ჯვართენაში ეს ნიშანი მკაფიოდ არ არის გამოკვეთილი, რაც არგოსადმი მის მიკუთვნებას ართულებს. ასე მაგალითად, ზ. კიკ-

ნაძის აზრით, არ იქნება სწორი, თუ ჯვართენას საიდუმლო ენად მივიჩნევთ, რადგან ის ფაქტობრივად ყველასთვის მისაწვდომია, გასაგებია და, მაშასადამე, არავისთვის არის საიდუმლო. ამიტომ ჯვართენის ბუნდოვანება შეიძლება ჩაითვალოს მისი „საიდუმლო სტატუსის“ ბუნდოვან სახედ (კიკნაძე, 1997: 148);

5. რიტუალური არგოსთვის დამახასიათებელია **სოციუმის განსაზღვრული მოცულობაც**, მაგ: მონადირეთა ენა ოჯახური არგოს ნიმუშია, ჯვართენა თემისთვისაა დამახასიათებელი და ა.შ.

ჩვენი აზრით, ჩამოთვლილ მოთხოვნებს აკმაყოფილებს და შესაბამისად, **რიტუალური არგოს კიდევ ერთ ნაირსახეობად უნდა ჩაითვალოს ინტერნეტსივრცეში მოქმედი დახურული და გასაიდუმლოებული ჯგუფების „ენებიც“**, რაც ჯერ-ჯერობით საერთოდ შეუსწავლელია. ეს ჯგუფები სხვადასხვა ნიშნით იქმნება. მათ შორისაა ე.წ. „სასიკვდილო ინტერნეტთამაშებში“ ჩათრეულ მოზარდთა ჯგუფები, მაგ.: „ლურჯი ვეშაპი“, „მომო“, „წყნარი სახლი“, „წითელი ბუ“, „გამაღვიძე 4.20 ზე“ (სახელწოდებათა თარგმანი ჩვენია. ავტ.) და სხვები.



ლურჯი ვეშაპის (რუს. Синий кит) შესახებ, რომელიც მთლიანად სოციალური ქსელების ფენომენია, ჯერჯერობით ძალიან მწირი ცნობებია: თამაში შექმნილია 2013 წელს ერთ-ერთი უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის სპეციალობიდან გარიცხული ვინმე

ფილიპ ბუდევიჩის (ფსევდონიმი ფილიპ „ლისი“) მიერ. როგორც თვითონ ამტკიცებს, მისი მიზანი იყო „საზოგადოების გაწმენდა“ იმ ადამიანებისაგან, რომლებსაც, მისი აზრით, არანაირი ღირებულება არ გააჩნიათ. ის 2016 წლის 15 ნოემბერს დააკავეს. (თამაში არსებობს რამდენიმე ქვეყანაში. პირველად გამოჩნდა რუსეთში 2013 წელს.

ტერმინი „ლურჯი ვეშაპი“ მომდინარეობს ნაპირზე გამორიყული ვეშაპების ფენომენისაგან, ვეშაპი კი **თვითმკვლელობის სიმბოლოდაა** მიჩნეული. თამაში დაფუძნებულია მონაწილეებსა და კურატორებს შორის **დახურულ სოციალურ სივრცეში ვერბალურ ურთიერთობაზე**. იგი შეიცავს **დავალებების სერიას**, რომლებსაც კურატორები იძლევიან. ზოგიერთი დავალება მოთამაშის თვითდაზიანებამდე მიყვანასაც მოითხოვს. **უკანასკნელი დავალებაა თვითმკვლელობის განხორციელება**. დავალებების სერია, რომელთა შესრულებაც 50 დღეში უნდა დასრულდეს თვითმკვლელობით, მოიცავს დილის 4:20 საათზე გაღვიძებას და სხვადასხვა ტიპის დავალებების შესრულებას. თამაშის მონაწილეები ვალდებული არიან პარალელურად უსმინონ მუსიკასა და უყურონ ვიდეოს, რომლებსაც მათ კურატორები უზღავნიან. მოთამაშეს **მკაცრად ეკრძალება თამაშთან დაკავშირებული ნებისმიერი დეტალის გასაჯაროება**, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ემუქრებიან ახლობლების დახოცვით. თამაშთან დაკავშირებული თვითმკვლელობის პირველი შემთხვევა მოხდა 2015 წლის მიწურულს რუსეთში და თანდათან გავრცელდა პოსტსაბჭოურ ქვეყნებში.

ვეშაპისა და ლურჯი ფერის სიმბოლიკას ბიბლიური ისტორია აქვს - ჯერ-ერთი, ვეშაპი განასახიერებს **ბიბლიურ ვეშაპს**, რომელმაც იონა გადაყლაპა, **ლურჯი ფერი კი - სასოწარკვეთილების სიმბოლოა**. მეორეც, როგორც მკვლევრები აღნიშნავენ, უკვე რამ-

დენიმე ათწლეულია ლურჯი ვეშაპები ათეულობით, ხან ცალკე და ხან - კოლექტიურად, ოკეანიდან ნაპირზე, ხმელეთზე ხტებიან და თვითმკვლელობით ასრულებენ სიცოცხლეს. ფენომენი აქამდე აუხსნელია მეცნიერების მიერ. (ლურჯი ვეშაპი (თამაში), 20

ჩვენი კვლევის საგანი, ცხადია, არის არა საკუთრივ თამაში, როგორც ასეთი, არამედ **თამაში, როგორც ვერბალური ზემოქმედების პროცესი და მისი ე.წ. ენა, როგორც არგო.** დახურულ სოციუმში, რომელიც თამაშის მონაწილეთა და მენტორთა სახითაა წარმოდგენილი, მისი უმთავრესი დანიშნულებაა არა იმდენად წმინდა საკომუნიკაციო ფუნქციის შესრულება, არამედ **მონაწილეთა შეკვრა, ერთ დახურულ ჯგუფში გაერთიანება და სხვა სოციალური ჯგუფისგან განსხვავება.** შესაბამისად, ჩვენი მიზანია, შეძლებისდაგვარად გამოვკვეთოთ ის ნიშნები, რომელთა საფუძველზეც აღნიშნული „გასაიდუმლოებული ჯგუფების“ ენას ვთვლით არგოს ნაირსახეობად (რიტუალურ არგოდ). სიღრმისეული ანალიზის გარეშეც კი აშკარაა, რომ ეს ნიშნები მსგავსი თამაშების ე.წ. ენას მრავლად აქვთ. ესენია:

1. ეს არის არა უბრალოდ დახურული, არამედ მკაცრად **გასაიდუმლოებული ჯგუფის ენა.** მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დეტალის გასაჯაროების შემთხვევაში მოთამაშეს ემუქრება უმკაცრესი სასჯელი;

2. აღნიშნული ენის უმთავრესი ფუნქციაა **მაქსიმალური ზემოქმედების მოხდენა.** ამიტომ ის დაკავშირებულია **სიმბოლოებთან** (ლურჯი - სასოწარკვეთილების სიმბოლო, მათ შორის ბიბლიურ სიმბოლოებთან (ბიბლიური ვეშაპი - რომელმაც იონა გადაყლაპა), **მუქარასთან, შანტაჟთან, არავერბალურ საშუალებებთან** (მაგ. მუსიკა) და სხვა უამრავ ხერხთან. აშკარაა, რომ ყოველივე ეს კეთდება ტექსტისთვის რაც შეიძლება მეტი **საკრალურობის მინიჭების მიზნით;**

3. თამაშის პროცესი ემსგავსება **ერთ დიდ რიტუალს,** რომელიც, თავის მხრივ, სხვა უამრავ რიტუალს მოიცავს. მაგალითად, თითოეული დავალების შესრულების შემდეგ მოთამაშე ვალდებულია დამამტკიცებელ საბუთად ატვირთოს ფოტოსურათი ან ვიდეო. მეტიც, ზოგჯერ ითხოვენ, უშუალოდ თვითდაზიანების პროცესის ვიდეოზე გადაღებასაც კი. თამაშის ბოლო ეტაპზე ითხოვენ მაჯაზე ლურჯი ვეშაპის გამოსახულების ამოტვიფვრას და სხვ.

ერთი სიტყვით, ინტერნეტსივრცეში გავრცელებული რიტუალური არგოს ფენომენის კვლევა ჯერ კიდევ მხოლოდ საწყის ეტაპზეა და ჩვენ მიერ ის საკითხის დასმის ფარგლებშია განხილული. მისი სიღრმისეული ანალიზი ჩვენი მომავალი კვლევების მიზანია, რომლის შედეგებსაც შემდგომ პუბლიკაციებში ავსახავთ.

*LINGUISTICS***ABOUT SOME PECULIARITIES OF THE LANGUAGE OF CLOSED INTERNET GROUPS**

TALIKO DAVITADZE, TEMUR AVALIANI

Batumi Shota Rustaveli State University

This paper makes assumptions that one of the varieties of sociolect that is ritual argo shall also include the lects of the secret social groups involved in the so called 'deadly Internet games' recently spreading in the Internet. The authors consider the following arguments to support this assumption:

1. This 'language' is a strictly secretive rather than just closed one. Disclosure of any details related to it is followed by severe punishment for the player.
2. The main function of the 'language' in question is to produce the maximum impact. Therefore, it is associated with symbols (blue as a symbol of despair), including biblical symbols (biblical whale), threats, blackmail, non-verbal means of communication (e.g. music), etc.
3. The process of the game is like one big ritual, which on its own, includes numerous other rituals. The paper raises the issue of the further in-depth research into the problem.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გითოლენდია თ. „პოლისემია და ომონიმია ქართულში აფხაზური პარალელებითურთ“. თბ., 2014;
2. კიკნაძე ზ. „ჯუართენის“ შესწავლისათვის. „ქართველური მემკვიდრეობა“. ქუთაისი, 1996, ტ. 1, გვ. 147-154;
3. ლომთაძე თ. „თანამედროვე ქართული სოციოლექტები“. თბ., 2010;
4. სიხარულიძე ქ. კავკასიური მითოლოგია, თბ., 2006;
5. ჯაში ქ. „თანამედროვე ფრანგული სასკოლო არგო და მისი სტილისტურ-საკომუნიკაციო ფუნქციები“//ენა, თარგმანი, ლიტერატურა. სამეცნიერო შრომათა კრებული. VIII. თბ. „ენა და კულტურა“ 2002. გვ. 71-91;
6. ჯორბენაძე ბ. „ქართული დიალექტოლოგია“. ტ 1, თბ. 1989;
7. ჭინჭარაული ა., „ჯვართენის“ ზოგი ტერმინის წარმომავლობისა და მნიშვნელობისათვის“. თბ., 2000;
8. ლურჯი ვეშაპი (თამაში) - [https://ka.wikipedia.org/wiki/ლურჯი_ვეშაპი_\(თამაში\)](https://ka.wikipedia.org/wiki/ლურჯი_ვეშაპი_(თამაში)), ბოლოს დარედაქტირდა: 14:13, 27 მაისი 2020;
9. "მომო" - ახალი სახიფათო ინტერნეტთამაში მოზარდებისთვის თუ მითი? <http://www.tabula.ge/ge/story/137957-momo-axali-saxifato-internet-tamashi-mozardebistvis-tu-miti> ბოლოს დარედაქტირდა: 18:57. 10 ოქტ, 2018;
10. Аналог "Синего кита": новые смертельные игры на казахском языке появились в Сети. <https://ru.sputnik.kz/society/20200920/15005518/siniy-kit-smertelnye-igry-kazakhskiy-yazyk.html> (обновлено 06:49 - 22.09.2020);
11. «Синий кит» – смертельная игра из соцсетей для подростков. Родители, будьте особенно внимательны! <http://www.20gp.by/informatsiya-dlya-posetitej/450-siniy-kit-smertelnaya-igra-iz-sotssetej-dlya-podrostkov-roditeli-budte-osobenno-vnimatelny>;
12. Синий кит (игра) [https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%A1%D0%B8%D0%BD%D0%B8%D0%B9_%D0%BA%D0%B8%D1%82_\(%D0%B8%D0%B3%D1%80%D0%B0\)](https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%A1%D0%B8%D0%BD%D0%B8%D0%B9_%D0%BA%D0%B8%D1%82_(%D0%B8%D0%B3%D1%80%D0%B0)).

მეზუსრი ავტორთათვის

1. სტატია წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი სახით და ელექტრონული ფორმით (ჟურნალის ელექტრონული ფოსტის მისამართზე). მიუთითეთ: ავტორის (ავტორების) სახელი და გვარი, სამეცნიერო / აკადემიური წოდება, სამუშაო ადგილი და ელექტრონული ფოსტის მისამართი.

2. სტატია შეიძლება წარმოდგენილი იყოს ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე მთავარი რედაქტორის სახელზე. სტატიას უნდა ახლდეს აგრეთვე:

- ცნობები ავტორის (ავტორების) შესახებ;
- ორი კვალიფიციური რეცენზია სხვადასხვა ინსტიტუტიდან;
- მიმართვა რედაქციის სახელზე გამოქვეყნების თხოვნით იმ დაწესებულებიდან, სადაც შესრულებულია შრომა;

სტატიას განიხილავს სარედაქციო საბჭო და გადაწყვეტს მისი გამოქვეყნება-არგამოქვეყნების საკითხს.

3. სტატია უნდა გაფორმდეს შემდეგი სახით:

- მეცნიერების დარგი;
- სტატიის სათაური;
- ავტორის (ავტორების) სრული სახელი, გვარი;
- სამუშაო ადგილი, ელ. ფოსტა;
- ანოტაცია:
- საკვანძო სიტყვები;
- ძირითადი ტექსტი;
- რეზიუმე ინგლისურ ენაზე;
- ბიბლიოგრაფია, ლიტერატურის ჩამონათვალი.
- ინგლისური ან რუსულენოვანი სტატიის ძირითადი ტექსტის შემდეგ რეზიუმე ქართულ ენაზე (გაფორმებული იმავე თანმიმდევრობით, როგორც ინგლისური ტექსტი), მოცულობა მაქსიმუმ 300 სიტყვა;
- დამოწმებული ლიტერატურის სია უნდა დალაგდეს ტექსტში ციტირების მიმდევრობის მიხედვით (ლიტერატურა ტექსტში აღნიშნული უნდა იყოს ციფრებით კვადრატულ ფრჩხილებში);
- ნახაზები და ცხრილები შესაძლებელია ჩაისვას როგორც ტექსტში ასევე ცალკე გვედზე;
- ნახაზები უნდა შესრულდეს JPEG ან PNG ფორმატში, სურათებს და ნახაზებს უნდა ახლდეს წარწერები;

▪ **ელექტრონული ვერსია:** ტექსტის ფორმატირებისთვის საკმარისია პროგრამ MS Word-ის სტანდარტული პარამეტრები. სტატია აკრეფილი უნდა იყოს A4 ფორმატში. შრიფტი - Sylfaen, მინდვრები - ტექსტის ზემოთ და ქვემოთ 30 მმ, მარცხნივ და მარჯვნივ დატოვებული უნდა იყოს 25მმ, ძირითადი ტექსტის შრიფტის ზომა უნდა იყოს 10,5 pt, სტრიქონებს შორის დაშორება – 1,15. სქოლიოებში (შენიშვნებში) შრიფტის ზომა – 9pt, სტრიქონებს შორის დაშორება – 1,0. ნახაზე და ცხრილებზე წარწერები 10pt.

4. სტატიის ტიპოგრაფიული თუ ელექტრონული სახით გამოქვეყნებაზე ავტორმა უნდა განაცხადოს თანხმობა;

▪ მიღებული სტატიის გასწორებული ვერსია, ან დაწუნებული ნაშრომი ავტორს არ უბრუნდება.

▪ სარედაქციო საბჭო არ განიხილავს ნაშრომს, რომელიც მოთხოვნების მიხედვით არ იქნება გაფორმებული.

▪ ავტორს შეუძლია ნიმუშად გამოიყენოს ჟურნალის რომელიმე ნომერი.

5. ნაშრომის გამოქვეყნება უფასოა.

ბათუმი, ნინოშვილის 35,

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ოთახი 306

ტელ.: 576 262687; 599 380626

E-mail: mikheil.donadze@bsu.edu.ge

GUIDE FOR AUTHORS

Manuscripts should be presented in the following form:

1. Two double-spaced copies of the manuscript, printed on a white paper A4, margined 30 mm below and above, 25 mm on the sides, must be provided. The length of the manuscript should not exceed 12 printed pages, including all text with figures, tables, and equations.

2. Manuscripts can be written in Georgian, English and Russian and sent to the Editorial Board. Attached to the manuscript should be:

- Short information about the research work by the author(s);
- Qualified references from different Institutions;

Articles will be evaluated by the Editorial Board and may be rejected or subjected to further review.

3. Manuscript order:

- Classification;
- Title;
- Full name(s), surname(s) of the author(s);
- Affiliation(s), postal address, e-mail;
- Abstract;
- Key words;
- Text, including acknowledgements and funding sources;
- References in the order of citation (square brackets used);
- After the main text of the English or Russian-language article, a summary in Georgian (in the same order as the English text), maximum 300 words;
- The list of referenced literature should be sorted in the order of citation in the text (literature should be indicated in the text by numbers in square brackets);
- Drawings and tables can be inserted both in the text and on a separate page;
- Drawings must be made in JPEG or PNG format, images and drawings must be accompanied by captions;

▪ **Electronic version:** Standard text settings for MS Word are sufficient for text formatting. The article should be typed in A4 format. Font - Sylfaen, margins - above and below the text 30 mm, left and right should be 25 mm, the size of the main text font should be 10.5 pt, the distance between the lines - 1.15. In footnotes (font) font size - 9pt, spacing between lines - 1.0. Captions on charts and tables 10pt.

4. The author will be asked to give consent to publish the manuscript in print and electronic version.

- Corrected version is not returned to the author(s).
- The Editorial Board reserves the right not to consider the paper, if the instructions are ignored.
- For symbols and style conventions, authors should consult current issues of the Journal.

5. Publication is free of charge.

35 Ninoshvili Street, Batumi

Batumi Shota Rustaveli State University, Room 306

Tel.: 576 262687; 599 380626

E-mail: mikheil.donadze@bsu.edu.ge